ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. ბიორბაძე

ფეოდალური უფლებრივობა საქართველოში

სახელგამი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ტ. გიორგაძე



ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში

სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი 1926.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ყმის ყველა გატოვნისა არის“.

(258 მუხლი ვახტანგ VI სამართლისა).

„დავადგინეთ აზნაურიშვილობის პატივსა და წესსა ზედა, რომ როგორათაც აზნაურიშვილისაგან სამსახურის ვალი იყოს, შენც იმ სახით და იმ გზით უნდა იყო ჩვენს ერთგულს სამსახურში“.

(სიგელი ერეკლე II 1782 წ. მაისის 6).

„არ შეგვიძლია არც მუშაობა, არც გუთანზე დაჯდომა, არც ვენახისა და ბოსტანის გარვა და თოხნა, არც საქონლისა და ცხვრის დევნა... ხოლო გლეხი... შობილია ამ გვარის მდაბიო ცხოვრებისათვის...“

(შეკრება 21 აზრისა 240 საქარ. მებატონეთა 1863 წელს. თ-დ დავით ციციანოვის აზრი).

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ე. ყაფლანი

ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში

წარსულის შესწავლა თანამედროვე ურთიერთობის სრული გაგების საშუალებაა. ვინც არ იცნობს ქართველი ერის განვლილი ცხოვრების პირობებს, ამ ცხოვრების მამოძრავებელ ღერძს, ძალთა განწყობილებას, ურთიერთ შორის შეჯახებას, ბრძოლას,—მას არ შეუძლია იქონიოს საღი შეხედულება შემდეგ ისტორიულ მსვლელობაზე. ვინც არ იცნობს წარსულს, მას არ შეუძლია თანამედროვეს დაფასება.

ისტორიული საფეხურების და მათ მიერ შექმნილი მიდრეკილების დაფასება შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი წარსულის ღირსებისა და ნაკლის გათვალისწინებით. ჩვენი ცხოვრების სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ მხარეების განხილვამ უნდა დაგვანახოს, რამდენად ნორმალურად მიმდინარეობდა ქართველი ხალხის განვითარება, რამდენად ფეხდაფეხ მისდევდა ის კაცობრიობის ეკონომიურ და კულტურულ მსვლელობას, რა ხვეულები განვლო მან. წარსულის აღნუსხვამ და გაშუქებამ უნდა გვიჩვენოს, წინ წავიდა ჩვენი ცხოვრება, თუ უკან, პროგრესისაკენ იყო მიმართული ჩვენი ცხოვრების განვითარების ხაზი, თუ რეგრესისაკენ.

ტენდენციურად წარსულის არც სიყვარული შეიძლება, არც სიძულვილი; მისი დაფასებაა საჭირო და ისტორიულ მსვლელობასთან დაკავშირება.

ჩვენი შრომის საგანი ერთი პატარა კუთხეა იმ დიდ გამოკვლევის ასპარეზზე, სადაც დღეს ბევრი გამოჩენილი ისტორიკოსი და მოღვაწე მუშაობს.

საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზმის ძალთა განწყობილება, მათი ეკონომიური, სახელმწიფოებრივი და უფლებრივი მდგომარეობა და მნიშვნელობა, განვითარების ტენდენცია დამოუკიდებლობის დაკარგვამდე (1801 წ.) და შემდეგ ყმების განთავისუფლებამდე (1864 წ.),—აი ჩვენი საგანი.

ჩვენ გვსურს განვიხილოთ საქართველოში არსებული ფეოდალური ურთიერთობა, მისი დამახასიათებელი იურიდიული ინსტიტუტებით და ფაქტიური მდგომარეობით, და დავანახოთ მკითხველს მისი ავ-კარგი.

ვფიქრობთ, რომ მოწინავე მშრომელთა წრეებისთვის და ჩვენი მოზარდი თაობისათვის არ იქნება უსარგებლო ამ საგანზე შეჩერება, მასზე მსჯელობა და განსაზღვრული შეხედულების შედგენა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I. ეკონომიკა

მამულიანობა. სოფლის მეურნეობა. განაწილება.

საუკუნეების განმავლობაში ძლიერ ცვალებადი იყო საქართველოს პოლიტიკური ისტორია: არაბთა შემოსევა და ბატონობა, საბერძნეთთან, სპარსეთთან და ოსმალეთთან სამხედრო და დიპლომატიური დამოკიდებულება, მათთან ბრძოლა, ბრძოლა შიგნით გაერთიანებისათვის, პოლიტიკური ძლიერების, მთლიანობის და დაუძლურების განცდა, კულტურული აღორძინების და დაცემის პერიოდები, მოკავშირის ძებნა, პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დაკარგვა, რუსეთის თვითმპყრობელობის მბრძანებლობა,—ასეთია საქართველოს პოლიტიკური სხვადასხვაობა.

სოციალური ძალების მდგომარეობაც ერთნაირი არ იყო ისტორიულ პროცესში: მდგომარეობა ხან უარესდებოდა, ხან უმჯობესდებოდა.

მიუხედავად ასეთი სხვადასხვაობისა, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, სოციალურ-ეკონომიური ცხოვრება საერთოდ ეყრდნობოდა ერთ უმთავრესს ღერძს—მიწათმფლობელობას, მამულიანობას და მიწათმოქმედებას.

მიწაა სიმდიდრე. ვინც მისი მეპატრონეა, მესაკუთრეა, ან მფლობელია, ისაა ეკონომიურად მდიდარი და პოლიტიკურად ძლიერი.

ეს ღერძი კი ეპყრათ ხელში მემამულეთ, წარჩინებულთ, თავად-აზნაურთ.

მიწის რაოდენობაზე, მის სიდიდეზე იყო დამოკიდებული მემამულეთა ხარისხი და გავლენა სახელმწიფოში.

დიდი მემამულე მეფესთან ახლო იდგა. მეფის კარზე თანამდებობა თუ ჰქონდა, მაშინ უფრო ძლიერი და გავლენიანი იყო.

მემამულეთა, თავადთა და აზნაურთა სისხლი იმდენად ფასობდა, რამდენად ეს თუ ის ფეოდალი დიდმამულიანი და ძლიერი იყო. ამის და მიხედვით არსებობდა თავად-აზნაურთა დაყოფა პირველ, მეორე და მესამე ხარისხად.[1])

არა მარტო საერო პირთ, სასულიერო პირთაც, როგორც ეკლესიის წარმომადგენელთ, კანონი იცავდა იმდენად, რამდენადაც ისინი ძლიერი იყვნენ მამულით, მიწა-წყლით: პირველ ხარისხის თავადს უდრიდა მთავარ-ეპისკოპოსი, საშუალო თავადს—ეპისკოპოსი, მესა-

---

[1]) ვახტანგის სამართალი 26—33 მუხლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ხარისხოვანს—არქიმანდრიტი[2]). ეს სასულიერო პირნი-კი, საეკლესიო იერარქიაში მდგომარეობის მიხედვით, იყვნენ ამა თუ იმ მამულის მფლობელნი და გამკარგულებელნი.

მამულის, მიწა-წყლის რაოდენობას იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში, რომ სამართალს მცირე მემამულისათვის შეუძლებლად მიაჩნია მკვლელობის ჩადენა. სადავო მამულის რაოდენობით სამართალი რამდენადმე ამართლებს სხვის სიცოცხლის მოსპობასაც-კი[3]). მემამულე თავს რომ დასხმოდა უმამულო, უმიწა-წყლო თავის გლეხს, უკანასკნელს უნდა მოეთმინა და თავდაცვისათვის არ უნდა მიემართა[4]).

ერთი სიტყვით, მამულიანობა, მიწათმფლობელობა შეიცავდა ეკონომიურ სიძლიერეს და ის იყო მბრძანებელი და დიქტატორი ყოველ სფეროში.

საკმარისი იყო, რომ ფეოდალის მამული გაყოფით ან სხვა რაიმე გარემოების გამო შემცირებულიყო, რომ მისი უფლებებიც თითქმის პროპორციონალურად შეკვეცილიყო[5]).

მამული აძლევს ამა თუ იმ ოჯახს ან პიროვნებას დიდგვარიანობას, წარჩინებულებას, და ამიტომ თვით მამულიც, ასე ვსთქვათ, გაგვარიანებულია: სამეფო, სადედოფლო, საბატონიშვილო, საეკლესიო, საგურამო, საათაბაგო, საბარათოვნო, საერისთავო და სხვა მამულის სახელწოდებანი ადასტურებენ მამულიანობის უპირატესობას და მის მფლობელთა სიძლიერეს და გავლენას: დიდი, საშუალო და მცირე ბატონი და ბატონობა გამომდინარეობს მამულის, მიწა-წყლის რაოდენობიდან.

მაგრამ მიწა, მამული დაუმუშავებელი არავითარ სიმდიდრეს, ღირებულებას თავისთავად არ შეიცავდა. საჭირო იყო მისი დამუშავება, სარგებლობა, მოხვნა, დათესვა, ჭირნახულის მოწევა და სხვა და სხვა, ე. ი. შრომა. ამიტომ ფეოდალურ საქართველოში მიწის დამამუშავებელი, მუშა ხელი, ყმა ანუ გლეხი შეადგენდა მამულის აუცილებელ კუთვნილებას.

გლეხი იყო ფეოდალურ წარმოების ძარღვი; გლეხის და მისი ოჯახის წევრების ენერგია ამუშავებდა მიწას, მოჰყავდა მოსავალი, ამდიდრებდა ბატონს და აძლევდა არსებობის საშუალებას ფეოდალურ სახელმწიფოს.

ვახტანგ VI „დასტურლამალი", 15—18 საუკ. სიგელები, გამოსაღებნი, ბაჟები, შემოსავლის განაწილება, მოსამსახურე პირთა

---

[2]) იქვე, 26—33 მუხლი.

[3]) ვახტ. დებულება, 88 მუხ.

[4]) იქვე, 56 მუხ.

[5]) იქვე, 23 მუხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულუფით და ფულით დაკმაყოფილება მოწმობენ, რომ ფეოდალურ წეს-წყობილების ერთად-ერთი საწარმოო ძალა გლეხი იყო, ხოლო საწარმოო მასალა მიწა, მამული.

ფეოდალური წარმოების სამუშაო ძალა მით განსხვავდება კაპიტალისტურ წარმოების სამუშაო ძალისაგან, რომ ფეოდალურ წარმოებაში გლეხი—სამუშაო ძალა—შეადგენს პატრონის საკუთრებას, აქ არა აქვს ადგილი არავითარ შეთანხმებას. გლეხი ბატონის კაცია, ის მიწაზეა მიჯაჭვული და მისი მოხსნა მიწიდან დამოკიდებულია ბატონის ნება-სურვილზე. ყმა, გლეხი და მისი ოჯახი არა მარტო სამუშაო ძალაა ფეოდალურ წარმოებისა, გლეხი მისი ტეხნიკაცაა, ის ბატონის განკარგულებაშია და უკანასკნელის კაცთმოყვარეობაზე და ადამიანობაზეა დამოკიდებული ამ შრომის სათანადო პირობებში ჩაყენება.

საწარმოო და განაწილების ურთიერთობა ფეოდალიზმის დროს გამოიხატება ბატონ-ყმურ დამოკიდებულებაში.

ასე იყო ჩვენში, ასე იყო ყოველგან, სადაც სათანადო ობიექტური პირობების მიხედვით ჩაისახა და განვითარდა ფეოდალური ურთიერთობა.

ფეოდალურ საქართველოში დაქირავებული შრომაც იყო. იყვნენ ისეთი პირნი, რომელთაც არ ყავდათ ბატონ-პატრონი და არ გააჩნდათ მიწა დასამუშავებლად. ასეთ პირებს თავისი შრომა უნდა მიეყიდათ მათთვის, ვინც მას საჭიროებდა.

ესენი ხელოსნები არ იყვნენ. ეს ბოგანო ხალხი იყო. მათ, გარდა უბრალო ფიზიკურ შრომისა, თანამედროვე მეურნეობის ტეხნიკური მხარე უნდა ჰქონოდათ შეთვისებული.

„დასტურლამალ"-ში ნათქვამია, რომ ს. ატენის მეფის ზვარს ეს და ეს სოფლები ამუშავებენო; მაგრამ ამუშავებენ სავსებით-კი არა, არამედ ორ მესამედს, ერთი მესამედი-კი მუშავდებოდა მეფის ფასით, ე. ი. დაქირავებული შრომით[6]).

შრომისათვის მეფის სალაროდან ეძლეოდა დაქირავებულთ თეთრი, ე. ი. ფული, ან აკმაყოფილებდენ მათ ფულის მაგიერობის გამწევ ნივთებით, მაგ. ფარჩით, პურით, ღვინით და სხვა: „ამ ფასით სამუშაოს ზუარებს მიეცემის თეთრი სალაროდან, ან ფარჩით, პური და ღვინო მიეცემის ერთ-ორ პირით ზვრისათვის—პური კოდი, ღვინო კოკა[7]).

ფეოდალური სამართალი რამდენადმე იცავდა გლეხს, როგორც პიროვნებას და სამუშაო ძალას, თუმცა ფაქტიური მდგომარეობა არ ამართლებდა გლეხის უფლებების დაცვას. ჩვენ ძლიერ

---

[6]) დასტურლამანი, 9 გვ.

[7]) ვახტანგის დებულება. 130 მუხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა მასალა მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში იმ-ყოფებოდენ ბატონ-ყმურ დამოკიდებულების გარეშე მდგომნი უმიწაწყლო პირნი, რომლებიც დაქირავებულ შრომას ეწეოდენ.

ვახტანგის სამართალი აღნიშნავს, რომ მუშა ხელი დღეში ერთ შაურად ღირდა[8]). საბუთებში არა ერთხელ ამოიკითხავთ, რომ ბატონ-ყმურ დამოკიდებულების გარეშე მდგომი პირი ჩივის, რომ მას არა ჰყავს პატრონი და ვისაც მოესურვება, ის სცარცვავს და ანადგურებს მას.

1788 წელს თავად ოთარ ამილახვარს რაჭველი ლობჯანიძე და ტყეშელაშვილი თავის ნებით ეყმენ და მას სათანადო საყმო სიგელი მისცეს, რომელშიაც სწერია: „ჩვენ ნებაყოფლობით მოვედით, შენი ბატონობა მოვინდომეთ, შენ მწყალობელი ბატონი იყო, ჩვენ ერთგული ყმანი ვიყოთ, არც შენს მეტი ბატონი საქართველოში მოვინდომოთ, არც არავინ მოცილე გყავს". სიგელს ხელს აწერენ მოწმეები და ამტკიცებს მამასახლისი[9]). 1702 წელს გლეხები სწერენ დეკანოზ გედევანიშვილს, რომ ისინი იყვნენ მისი ნათესავის ყმები, რომლის გარდაცვალების შემდეგ დარჩენ უბატონოდ და ვისაც სურს, ახადგურებს და სცარცვავს მათ, და სთხოვენ დეკ. გედევანიშვილს უპატრონოს მათ[10]).

თუ უბატონო გლეხის მდგომარეობა ასეთი იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ უმიწაწყლო ბოგანო მცხოვრების მდგომარეობა, რომელსაც თავისი შრომა უნდა გაეყიდა, მოახლედ, მოსამსახურედ ვისმესთან ვადით უნდა დამდგარიყო, სანუგეშოს არაფერს წარმოადგენდა.

მაგრამ რა გინდ ცუდ ეკონომიურ და უფლებრივ მდგომარეობაში არ უნდა ყოფილიყვნენ ამ კატეგორიის მუშა ხელი, უმამულონი, ისინი პირადი თავისუფლებით მაინც სარგებლობდენ, რაც ფეოდალურ წესწყობილებაში ძვირად ფასობდა. ბატონ-ყმურ ურთიერთობის გარეშე მდგომ პირის მდგომარეობა ხშირად ცუდი იყო, რადგან მას დამცველი არავინ ჰყავდა, მაგრამ პირადი თავისუფლებაც დიდი რამ იყო.

1708 წელს დაქირავებული კაცი მუშაობს ერთ ფეოდალთან. მან სქესობრივი კავშირი დაიჭირა ფეოდალის მოახლე ქალთან; ამ დანაშაულისათვის მას ფეოდალის სასარგებლოდ განსაზღვრული სისხლის ფასი უნდა გადაეხადა, მაგრამ, რადგან მან ეს ვერ შესძლო, ის დაისაჯა მით, რომ მემამულემ ის თავის ყმად ჩარიცხა[11]).

---

[8]) ვახტანგის დებულება. 130 მუხ.

[9]) ექ. თაყაიშვილი. საქარ. სიძველენი, III ტ. 524 გვ.

[10]) Пурцеладзе. Грамоты, 8 стр.

[11]) Пурцеладзе. Грамоты, 8 стр.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი ის დასაჯეს, ეს ნიშნავს, რომ დამნაშავე კარგი მდგომარეობიდან უარეს პირობებში ჩაუყენებიათ. ეს უარესობა გამოიხატებოდა მასში, რომ მან დაჰკარგა პირადი თავისუფლება და შეიქნა ბატონის ყმა, ანუ საკუთრება.

ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ფეოდალურ წარმოებაში დაქირავებული შრომა შემჩნეულია, მას უფრო გამონაკლისის ხასიათი აქვს, ვიდრე ეპოქის დამახასიათებელი მოვლენის. ის შედარებით უფრო დიდ, მაგრამ მაინც არამნიშვნელოვან ადგილს იჭერს ჩვენს ცხოვრებაში საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის 40-50 წლებიდან, როდესაც თავადაზნაურობა გაეცნო ახალ ცხოვრებას, ქალაქის პირობებს, გაიგო ფულის და არისტოკრატიული ცხოვრების გემო და შესტოპა მასში.

ფეოდალური წარმოება ძლიერ ღარიბი იყო ტეხნიკური მხრითაც. მისი უმთავრესი ტეხნიკა თვით გლეხია პრიმიტიული იარაღებით, რომლის გამოყენება მოითხოვდა ბევრი მუშა ხელის დიდი ხნობით დაბანდვას წარმოებაში.

რაკი ფეოდალები მიწას გლეხების საშუალებით ამუშავებდენ და უკანასკნელნიც ვალდებული იყვნენ დაემუშავებინათ,—სამუშაო ძალის რაოდენობას, მის მეურნეობაში ზედმეტად დაბანდვას არ ექცეოდა ყურადღება და არც მეურნეობის ტეხნიკაზე არავინ ზრუნავდა.

წარმოების უმთავრესი საგანი მიწათმოქმედება იყო. ის იყო როგორც სახელმწიფოს, ფეოდალის, ეკლესიის, ისე გლეხობის მასაზრდოვებელი დარგი. ამიტომ მას არ შეიძლება არ ჰქონოდა მიქცეული მეტი ყურადღება იმ მხრით, რომ მიწა არ ყოფილიყო მოკლებული მეურნეობისათვის აუცილებელ თვისებებს.

ამ მხრით დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული დასამუშავებელი ადგილების მორწყვას, აგრეთვე განოყიერებას და დასვენებას.

ვახტანგის სამართალი იხსენიებს მოსარწყავ და განოყიერებულ მიწებს და მათ დამუშავებას[12]). როგორც სამართალი, ისე სხვა და სხვა საბუთი განსაზღვრავს სარწყავი წყლით სარგებლობის წესს.

განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ადგილებში გაყვანილი იყო სარწყავი არხები. საქართველოს მეფეს სამართლით უფლება ჰქონდა გაეყვანა სარწყავი არხები იქ, სადაც საჭიროდ დაინახავდა, ვისი მამულიც არ უნდა ყოფილიყო, და გადაეცა სასარგებლოდ იმ სოფლებისათვის, რომლებიც წყალს საჭიროებდენ. კანონმდებელს ამ შემთხვევაში მხედველობაში ჰქონდა სახელმწიფო ინტერესები: მცხოვრებლების გამრავლებისათვის ხელის შეწყობა და ფიზიკალური მოსაზრება, რომ მცხოვრებთ შესძლებოდათ

---

12) ვახტ. დებულება, 250 მუხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასახადების გამოღება[13]). სარწყავი არხები დიდი ყურადღების და მზრუნველობის საგანი იყო. მათი უახლოესი მეთვალყურე იყო „მერუე", რომელიც ზრუნავდა არხების ნორმალურ მდგომარეობისათვის. მეურნეობაში არხებს იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, რომ არსებობდა ყველა არხების მეთვალყურე და საერთოდ სარწყავ საქმის ხელმძღვანელი, ეგ. წოდ. „ხასადარები"; ამ თანამდებობაზე მეფის შვილიც კი ინიშნებოდა...

1781 წ. დავას მემამულეთა შორის, წყლის სარგებლობის შესახებ, არჩევს თვით მეფე, ანაწილებს წყალს შვიდ ნაწილად და თვითეულ მოდავეს აკუთვნებს წყლის განსაზღვრულ ნაწილს; იმავე დროს არხის მეთვალყურედ ნიშნავს თავის შვილს ძულონს[14]).

კიდევ უფრო ადრე 1759 წ. მემამულე თუმანიშვილები იყოფენ სარწყავ წყალს, არხის შეკეთებას კისრულობენ ყველა წყლით მოსარგებლენი და ქურდობად აღიარებენ ზედმეტი წყლით სარგებლობას. ამასთანავე დასძენენ, რომ „თუ წყლის ქურდობა ჩაიდინა გლეხმა, ის უნდა იქნეს განადგურებული და დარბეულიო[15]). სარწყავი წყალი იმდენ ღირებულებას წარმოადგენდა მამულისათვის, რომ ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის და სხვა სამოქალაქო აქტების დროს ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მამულის ღირებულებისათვის.

მაგ., 1676 წ. ორი ბატონი სცვლის ურთიერთ შორის გლეხებს; ერთი აძლევს მეორეს გლეხს მამულით, ოჯახობით და „საფიჩხულეთ", მეორე-კი პირველს—ერთ გლეხს წისქვილით, წყლით, რომლის ¼ იყო გლეხის სარგებლობაში[16]).

არა თუ სოფლის მეურნეობისათვის, ქალაქში გაშენებულ ბაღებისათვისაც სარწყავ წყალს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც საბუთებიდან ჩანს, თვით მეფეს უნდა ჰქონოდა ტფილისში დიდი ბაღები. 1756 წ. თვით მეფე ამტკიცებს სოლოლაკის წყლით სარგებლობის წესს: რომელ დღეს რომელ ქუჩაზე და რაიონში შეიძლებოდა სოლოლაკის წყლის გაყვანა და რომელ დღეებში ეს წყალი უნდა მოხმარებოდა მეფის ბაღებს. მეფე უბრძანებს მებაღეს—„ასე იყოს"-ო[17]).

„დასტურლამალ"-შიაც არის განსაკუთრებული დადგენილება წყლის სარგებლობის შესახებ სათაუროთ: „ბატონის ბაღის წყლის გარიგებისათვის", სადაც აღნიშნულია, რომ „ყოველ პარასკევ დღეს წყალმა ციხის ამბრისათვის (თევზისათვის) უნდა იდინოს. და პარა-

---

[13]) იქვე, 170 მუხ.

[14]) **Пурцеладзе. Двор. грамоты**, 37 стр.

[15]) იქვე, 15 გვ.

[16]) იქვე, 7 გვ.

[17]) იქვე, 14 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკევს საღამოს, შაბათს, კვირას დღე და ღამე ბატონის ბაღში უნდა იდინოს. ორშაბათს და სამშაბათს დღე და ღამე ტფილისის და ქალაქის ბაღისათვის უნდა იდინოს. ოთხშაბათს და ხუთშაბათს ციხისა და აბანოებისაკენ იდინოს, და ამ რიგში ჰაჯი მამად ქულისაც თავის ბაღში მართებულად წყალს მისცემდენ"-ო[18]).

რომელ სოფელსაც ან რაიონსაც მიკუთვნებული ჰქონდა წყლით სარგებლობა, იმ სოფლის ნებადაურთველად არავის, არც ერთ მემამულეს, თვით მეფეს, როგორც მემამულეს, არ შეეძლო სარწყავი წყლის სხვა რაიონში გადაყვანა.

1801 წ. თვით დედოფალი დარეჯანი, როგორც მემამულე, სთხოვს წავთისხელთ, რომ, სანამ სოლოლაკის წყალი მოიდიდებდეს, პარასკეობით თქვენი წყალი მოძახმარეთ ბაღებისათვისო[19]).

ამგვარად, სოფლის მეურნეობაში ნიადაგის მორწყვას დიდი ადგილი ეჭირა, წყლით სარგებლობას განსაზღვრავდა კანონი და ჩვეულება.

ცხადია, რომ მტრების შემოსევის დროს, ან ფეოდალების ურთიერთ შორის ბრძოლის დროს, როდესაც უფლება და ჩვეულება-კი არ მოქმედებდა, არამედ ძალა, მტრობა, ღალატი და ვერაგობა, სარწყავი არხები ნადგურდებოდა, ოხრდებოდა, მათ მომვლელი აღარ ჰყავდა და მეურნეობა ეცემოდა. გლეხობა მისდა უნებურად ებმოდა ამ ბრძოლაში და მებატონეთა მამულები დაუმუშავებელი რჩებოდა.

საბუთებში ხშირად შეხვდებით ცნობებს, რომ ჩვენში, სხვათა შორის, ამ გარემოებათა გამო, შიმშილობა იშვიათი მოვლენა არ იყო, და მცხოვრებლები თავის გადასარჩენად უკიდურეს ზომებს მიჰმართავდენ.

მაგ., 1672 წ. საქართველოში ისეთი შიმშილობა ყოფილა, რომ კოდი ხორბალი 60 კაპ. ღირებულა. თავად კორღანაშვილს ერთი ბცხოვრები თავის ცოლშვილით შიმშილისაგან გადაურჩენია, გამოუკვებავს შიმშილობის დროს, და ისიც თავის ოჯახით კორღანაშვილის ყმად გამხდარა. შიმშილისაგან შეკიწროვებული და სიკვდილის მოლოდინე გლეხი სწერს თავად კორღანაშვილს, რომ შენს გარდა, ღმერთის მეტს, ჩვენზე უფლება არა აქვს; თუ ვინმემ გამომიყიდა, ერთ შვილს მაინც დაგიტოვებ ნაყიდ გლეხის პირობებში, მე-კი წავალ იმე ტიტველ-შიშველი, როგორც შენთან მოვედიო[20]).

კიდევ უარესი: 1756 წ. შიმშილობის გამო, გლეხი თავის ობლებსაც ჰყიდის[21]).

---

[18]) „დასტურლამა", 18 გვ.

[19]) იქვე, 78 გვ.

[20]) Цурцеладзе, Двор. Грам. 6 გვ.

[21]) იქვე, 14 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობაში მდინარე წყლით სარგებლობა ყოველთვის შესაძლებელი არ იყო ან იმიტომ, რომ ახლო მდინარე არ იყო, ან იმიტომ, რომ არხების გაყვანა მდინარის მიმართულებით შეუძლებელი იყო. ამიტომ სოფლის მეურნენი საქართველოში ტეხნიკურად ისეთ რთულ მუშაობას მიმართავდენ სარწყავი წყლის საშოვნელად, როგორც ჭებიდან წყლის გაყვანაა, რაც აღმოსავლეთის ქვეყნებში ცნობილი სარწყავი სისტემაა. იქ, სადაც დედამიწაზე წყლის ნატამალი არ მოიძებნება და არე უდაბნოს მსგავსია, აღმოსავლეთის მეურნე, საჭიროებით შეთვისებულ გამოცდილებით, ამჩნევს ადგილს, სადაც რამოდენიმე მანძილის სიღრმეზე წყალი უნდა იყოს. რამოდენიმე ადგილს ნახულ წყალს ის აერთებს და გაჰყავს არხებით სარწყავად.

1760 წლის საბუთი მოგვითხრობს გორის მაზრაში მემამულეთა შორის წყლით სარგებლობის, განაწილების შესახებ და დასძენს, რომ ჭის და მარაგელის შეკეთება ევალება მათ, ვინც სარწყავი წყლით სარგებლობსო[22]). აქედან ჩანს, რომ ჩვენში სცოდნიათ ამ საშუალებითაც მორწყვა და მით მეურნეობისათვის ხელის შეწყობა. ამ სისტემით სარგებლობა გულისხმობს პრაქტიკის საფუძველზე საკმაოდ განვითარებულ ტეხნიკურ და გიდრავლურ ცოდნას.

სამეურნეო საქმეში წყალი ისეთს განძს წარმოადგენდა, რომ ის გადასახადის ობიექტიც-კი იყო.

სოფლის მეურნეობაში თვალსაჩინო ადგილი მიწის განოყიერებასაც რომ ეჭირა, ეს, გარდა ვახტანგის სამართლისა, იქიდანაც ჩანს, რომ „დასტურლამალი" აღწერს ატენის ზვრის დამუშავების წესს და, სხვათა შორის, აღნიშნავს: $^1/_3$ სკრელებს და საციციანოელებს უნდა დაემუშავებინათ, $^1/_3$—ქვახვთელებს, ხოლო $^1/_3$ ბატონის ფასით; დიდ ზუარს ციციხელნი, ავკელნი და სხვა სოფლელნი თავის სარით, **ნეხვით** და ყოველისფერით მუშაობენო[23]).

მეურნეობაში მიწის დასვენებაც მიღებული იყო. 1729 წელის საბუთიდან ჩანს, რომ მიწა გაიცა იჯარით წლიურად, მაგრამ იმ პირობით, რომ, როდესაც მიწა ისვენებს, მოიჯარადრე არ იხდის საიჯარო ფასს[24]).

ყველაფერი ეს: მორწყვა, განოყიერება, მოხვნა, თესვა, მომკა, გალეწვა, მიზიდვა და სხვა და სხვა გლეხობის კისერზე იყო; მემამულეს დიდი მემამულისაგან—მეფისაგან, დედოფლისაგან, ბატონიშვილ-მთავრებისაგან, ან სხვა დიდ მემამულეთაგან სამსახურისათვის მიცემული ჰქონდა მამული გლეხობით, რომელიც პირდაპირ თავის ბატონსაც აძლევდა თავის შრომით დიდ მატერიალურ საშუალებას და მემამულის ბატონსაც.

[22]) იქვე, 16 გვ.
[23]) დასტურლამალი, 9 გვ.
[24]) **Пурцеладзе, Грамоты**, 60 стр.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზვარი და ბაღი მეურნეობის კვალიფიკაციურ დარგს წარმოადგენდა, და ამიტომ მებაღე მეტად ფასობდა და მას ბატონი მეტი ყურადღებით ეპყრობოდა.

1790 წელს ფულის მსესხებელმა საწინდრად მისცა მევალეს ბაღი; მას უნდა ესარგებლა ბაღის შემოსავლით %%-ის მაგიერ.

1630 წელს კათალიკოზის მებაღე ლეკებმა ტყვედ წაიყვანეს. კათალიკოსმა ვერ შესძლო მისი გამოსყიდვა, მებაღე იყო, ძვირად ღირდა. ის სხვა მემამულემ გამოისყიდა და ყმად აიყვანა[25]).

გლეხი-მეურნე ბევრ რასმე იწევდა: დაწყებული—ქერით, ხორბლით, სიმინდით, ღომით და გათავებული ღვინით, ბამბით, თაფლით, სანთლით და სხვა. ამ დოვლათს ასხდენ მთელი რიგი საერო და სასულიერო ფეოდალებისა და გლეხობის ნაოფლარი შეადგენდა მათი ცხოვრებისა და ფუფუნების დამაკმაყოფილებელ წყაროს.

მეღვინეობა მეურნეობის ერთი უდიდესი დარგი იყო.

შარდენი თავის მოგზაურობის აღწერაში აღნიშნავს, რომ ტფილისიდან სამხრეთს, მიდიასა და ისპაჰანს იგზავნებოდა დიდძალი ღვინო; ერთი საპალნე საუკეთესო ღვინო რვა ფრანკად ღირდაო. შარდენი სამეგრელოს ღვინოსაც აქებს: მაგარი დასალევია, სასიამოვნო გემო აქვს და კუჭისათვის მარგებელიაო (24, 181 გვ.).

გარდა ჩვეულებრივ სამეურნეო ნაწარმოებთა, დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით შავი ზღვის მახლობლად, მაგ. სამეგრელოში, ისეთი იშვიათი ხეხილიც კი იყო მოშენებული, როგორც მაგ. ზეთის ხილი.

ცაიშის ეკლესია მიწისძვრისაგან დაქცეულა და მისი სამკაული და დავთრები დაღუპულა. ცაიშის ტაძრის აგება ხელმეორედ დაუწყიათ და შემოსავლის დავთრებიც კათალიკოზ მალაქიას ბრძანებით აღუდგენიათ 1619—1621 წლებში[26]). ამ დავთარში აღნიშნულია, სხვათა შორის, რომ სერგია ჟგევშიას მართებს ცაიშის ეკლესიის **ზეთის ხილის** შენება, გოჭკუმურის კარგი საჭმელი, მისი ღომით და ღვინით, თევზით, ყველით და კვერცხით[27]). აქედან ჩანს, რომ სამეგრელოში მე-17 საუკ. პირველ ნახევარში ზეთის ხილის ბაღებიც კი ყოფილა. ცხადია, რომ ამ იშვიათი მცენარის მეურნეობას უფრო ძველი ისტორია უნდა ჰქონდეს.

თუ ეკლესია აწარმოებდა ასეთ მეურნეობას, აშკარაა, რომ სამეგრელო-გურიის მთავრების და თავად-აზნაურობის მეურნეობაშიც ექნებოდა მას სათანადო ადგილი.

ამ იშვიათი მცენარის მომშენებელიც „სერგია ჟგევშიები“ და ძმანი მათნი—ყმები იყვნენ.

---

[25]) **Пурцеладзе, Грамоты**.
[26]) ს. კაკაბაძე. „ცაიშის გამოსავლის დავთარი“.
[27]) იქვე, 7 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე სამეგრელოში მე-17 საუკ. პირველი ნახევრის მოგზაური ლამბერტი იხსენიებს სხვა ბოსტნეულებს შორის კომბოსტოს, რომლის სხვადასხვა თესლი უცხოეთიდან შემოჰქონდათ სამეგრელოშიო[28]). შარდენი (1672—73) იხსენიებს სამეგრელოს სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა შორის ბრინჯს, რომლის შესახებ აღნიშნავს, რომ ცოტას თესვენო[29]). გეოგრაფი ვახუშტიც მოწმობს, რომ სოფლის მეურნეობა საგრძნობლად განვითარებული ყოფილა ჩვენში შინაარსის მხრით: ისიც იხსენიებს ბამბის, ლიმონის, ზეთისხილის, ნუშის, აბრეშუმის, მრავალგვარ ბოსტნეულის და ხილის მოშენებას[30]). გლეხის მეურნეობის შემადგენლობას საერთოდ ჩვენ შეგვიძლია გავეცნოთ სხვა და სხვა დროს გამოცემულ წყალობის სიგელებიდან.

მაგ., 1428 წ. ალექსანდრე მეფემ უწყალობა მცხეთის ტაძარს გლეხი ტაირისშვილი რატია სახლით, ყანით, ვენახით, წყლით, წისქვილით, ჭალით, სათიბით, ტყით, სანადიროთი, მთით, მზღვარით, საძებრით და უძებრით[31]).

ყველაფერ ამას აწყობდა ყმა, რომელიც მთელი თავის ქონებით და პიროვნულადაც ეკუთვნოდა ბატონს. მას სანადიროც უნდა ჰქონოდა, რომ ბატონისათვის ნანადირევი მიერთმია, მას ვენახი უნდა გაეშენებინა და „კულუხი" ბატონისათვის თავის დროზე ჩაებარებინა და სხვა და სხვა.

1578 წ. მეფე ალავერდის ეკლესიას სწირავს სომეხ-ყმებს სახლით, მამულით, ღობის ტყით, სასაფლაოთი, ველით, ვენახით, ტყით, მინდვრით, მთით, ბარით, წყლით, წისქვილით[32]).

1751 წ. დეკემბრის 1-ს, ერეკლე II უწყალობებს ასლან ვაჩნაძეს მამულს გლეხებით, ზვრით, მარნით, მთით, ბარით, წყლით, წისქვილით, შესავლით, გასავლით[33]).

აქედან ცხადია, რომ ფეოდალურ მეურნეობის საფუძველი, უჯრედი გლეხის მეურნეობა იყო, რომელიც ბატონ-ყმურ უღელში იყო გაბმული. ამ უჯრედზე იყო აშენებული მეტად რთული ფეოდალური ორგანიზმი

ყმა, რომლიც ამ უჯრედის ხელმძღვანელი იყო, ხშირად ისეთ გაჭირვებას განიცდიდა, რომ შვილს და ძმასაც კი ჰყიდდა, რომ შიმშილის განადგურებისაგან თავი გადაერჩინა. ხოლო რაც შეეხება მეშამულეთა მდგომარეობას, რომელსაც ასაზრდოებდა გლეხის და მისი ოჯახის შრომა, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომიანობის დროს, მას

[28]) Арканджело Ламберти. Описание Колхиды, называемой теперь Мингрелией, 1635—1653 г.
[29]) Шарден. Путешествие по Закавказью, 26 стр.
[30]) ვახუშტის გეოგრაფია, 56 გვ.
[31]) ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები, ნ. II.
[32]) იქვე, გვ. 73.
[33]) ექ. თაყაიშვილი. საქ. სიძველენი III ტ. 462 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგვიძლია დაახლოებით გავეცნოთ მზითვის წიგნებიდან, რომელთაც მემამულენი გათხოვილ ქალიშვილებს აძლევდენ ნამზითვი ქონების აღნუსხვით.

მაგ., 1712 წ. ანუკა ბატონიშვილისათვის, რომელიც ვახუშტი აბაშიძეს მისთხოვდა, მშობლებს მიუციათ მზითვის წიგნი, რომელშიაც ჩამოთვლილია გასაოცარი რაოდენობის სიმდიდრე: დიდძალი ოქრო, ვერცხლი, განძეულობა, ძვირფასი ქვები, ფირუზი, იაგუნდი, ზურმუხტი, ოქრომკედით ნაქსოვი, მარგალიტები, ძვირფასი ბეწვეულობა, სხვადასხვაგვარი ძვირფასი ოჯახის მოწყობილობა, გლეხები და სხ. და სხ. განცვიფრებას იწვევს, სად და როგორ დაგროვდა ამდენი სიმდიდრე. თუ მზითვად ასეთი სიმდიდრის გაცემა შეეძლო მემამულეს, მისი სიმდიდრე დიდათ მეტი უნდა ყოფილიყო. ეს მზითვის წიგნი ამბობს, რომ „მრავალთაგან მცირედსა მოგითხრობო". ალბად, ყველა ის, რაც გაიცა ოჯახიდან მზითვად, წიგნში მოხსენებული არ არის, იქ მხოლოდ საყურადღებო უნდა იყოს აღნიშნული. მოვიყვანთ ამ წიგნიდან ზოგ დამახასიათებელ ადგილებს: „წარგვიძღვანებია... თვალგვარნი შუქთა მომფენელნი, მარგალიტნი უსასყიდლონი, ოქრო და ვერცხლი აღუწერელნი; ნიზნითა ზარქაშანი, სტავრა და ნასლი ოქროთ ნემსური ქსოვილნი... საყდრის იარაღი: მაცხოვრის ხატი მურასა ოქროთ მოჭედილი თორმეტის პატიოსანის იაგუნდითა, ათის პატიოსანის ბადახშოვანის ლალისთა, თოთხმეტი ნიშაბურის ფირუზითა, ორმოცდაათი ხოშრის მარგალიტითა და ვერცხლის ბუდით შემკული; ძელი ჭეშმარიტი... მოჭედილი ცხრის ხოშრის მარგალიტითა, შვიდის იაგუნდით, ოთხის ნიშაბურის ფირუზითა... აიაზმის ჯვარი მურსად მოჭედილი თოთხმეტის ხოშრის მარგალიტითა, თერთმეტის იაგუნდითა, თვრამეტის ზურმუხტითა; ვერცხლით მოჭედილი ნაწილიანი! პატარა ჯვარი თხუთმეტის ხოშრის მარგალიტითა, ხუთის სეილანითა; მურასა თაწმინდელი ჯვარი ოთხმოცის ზურმუხტითა... მარგალიტის ქუდი ერთი მრავალის ხოშრის მარგალიტითა, ნაკერი სიასამურით; იალქანი ერთი კარგი და პატიოსანი მრავლის ხოშრის მარგალიტითა, შიგ სხედს ბევრი კარგი ზურმუხტი და იაგუნდი მისის ოქროს თითბერითა; პირის მარგალიტები! ერთი კარგი და პატიოსანი, არის მარცვალი დიდროვანი მარგალიტები სამოცდაშვიდი, შიგ სარეკი ხოშორი მარგალიტი სამოცდაშვიდი თავის ოქროს მურასას ჯაჭვებითა; საყური ორი ობლის მარგალიტითა, ორის ნიშაბურის ფირუზითა... შიგ სხედს ყირმიზი იაგუნდი ოცდათექვსმეტი... ყელსაბამი კარგი და პატიოსანი ხუთ-ხუთის ოქროს ქულიჩითა, შიგ სხედს... იაგუნდი ცხრა, ზურმუხტი ათი, ნიშაბური ფირუზი ცხრა, ყირმიზი ლალი სამი, ლურჯი იაგუნდი ორი, ხოშორი პატიოსანი მარგალიტი ორმოცდაჩვიდმეტი მრავლის ოქროს ქერითა და ბირკითა... დუმბარჩა წყვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთი ოქროსი მრავლის პატიოსანის თვალით შემკული... კიდევ ერთი პატიოსანი მარგალიტის ყელისჯაჭვი არის მარცვალი დიდროვანი მარგალიტი ასი, ოქროს ბრკი ორმოცი.. შიგ ურევია დიდროვანი მარგალიტი ას სამოცი, ოთხმოცდათექვსმეტი ოქროს ქერითა და ბირკითა, სხვას მრავალს ფეროვანის თვალით შემკული... ორი ოქროს ქსოვილის ტყავებითა, ერთი კურდღლით დაბეწვილი, ერთი კვერნით დაბეწვილი, ორის ოქრო-ქსოვილის ქათიბითა და ტყავ-კაბითა, ცხრა ხელის ოქრო-ქსოვილი კაბა საგულითა, სარტყლითა და ყოვლის მისის რიგის ტანისამოსითა; სამი უმცროსი მხლებელი შვიდი ხელის ოქრო-ქსოვილის კაბასაგულითა და ოქრო-ქსოვილის ქათიბებითა და მისის რიგითა და ტანისამოსითა; გამდლის მოახლე ერთი... ერთი თასი ოქროსი, თასი ვერცხლისა ხუთი; ფიალა ვერცხლისა ორი; სანაჟურე დიდი ვერცხლისა ერთი; სანაჟურე კიდევ ვერცხლისა ერთი; თას-ყაშული ვერცხლისა ერთი; სამარილე ერთი; კოვზი ერთი; სუფრა-ყაშული ვერცხლისა ერთი; სასუფრე დანა ოქროთ მოჭედილი ერთი; იხტანი ერთი; ხალიჩა-ფუჩი საისა ერთი; სპილენძისა სურა ორი; აზარფეშა ვერცხლისა ერთი; წინ დასაფენი ზირანდაზი ერთი; ვერცხლის ფიალა შვიდი; ვერცხლის ჯამი შვიდი; ვერცხლის ნალბაქი შვიდი; თექში ვერცხლისა ხუთი; სპილენძის ჩამჩა ერთი; ავგარდანი ერთი; ბადია ერთი; მაჯმაა ხუთი; ბალქანი ცხრა; ფიალა ცხრა; ხონჩა ხუთი; ქაშანური ჯამი ცხრა; ნალბაქი ცხრა; მინა ცხრა; კოვზის დასტა ერთი... დოვრი ოქროს ქსოვილისა ერთი... ნახუცრიშვილი ბეჟან მერიქიფეთ, სავანელი ამირანა მერიქიფეთ, რუსაშვილი გიორგი მერიქიფეთ, მათის შედარებულის ტანისამოსითა; თუშმლათ მათიაშვილი ბეჟუა, მოლარეთ ხუციშვილი დათუნა, ფარეში ერთი ორის ხელის ტანისამოსითა, ზინდარი ერთი ორის ხელის ტანისამოსითა"[34]).

მემამულეთა დიდ სიმდიდრეს ადასტურებს ასეთივე მზითვის წიგნი ქსნის ერისთავის დავითის ასულის ელენესი, რომელიც ცოლად გაჰყვა ქაიხოსრო ავალიშვილს 1713 წ.

აქაც ბევრი ოქრო, ვერცხლი, სხვა ძვირფასეულობა, ნაქსოვები, აქაც აზნაურების და გლეხების ჩუქება: „აგრეთვე გამოგვიტანებია გამდელი პატიოსანი... აგრეთვე მხლებელითა ბიჭითა... აგრეთვე აზნაურიშვილის ფირცხალაურის ქალი პატიოსანი... მედოშაკე... კიდევ მხლებელი... მერიქიფეთ აზნაურიშვილი აბულაძე გიორგი... ფარეში ჩიქლაძე შერმაზან... მზარეული ღუგასაშვილი, ხაბაზი, ცხენის ჯოგი ცხრა მისის მეჯოგითა, ცხვარი ასი მისი მეცხვარითა, ღორი ოცდაათი მისის მეღორითა" და სხვა და სხვა[35]).

---

[34]) ექ. თაყაიშვილი, საქარ. სიძველენი, ტ. III გვ. 473—491.

[35]) იქვე, 492—501 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ამ სიმდიდრის შემძენი ასე თუ ისე იყო ის, ვინც მშვიდობიანობის დროს ბატონის მამულს ამუშავებდა, გადასახადებს იხდიდა, ბეგარას ასრულებდა, ყოველვე ბატონის ბრძანება უსიტყვოდ სისრულეში მოჰყავდა და სულით და ხორცით მას ეკუთვნოდა; ის, ვინც მეურნეობას სათავეში უდგა და დღე და ღამ მის ფიქრში უნდა ყოფილიყო, რომ ბატონისათვის ესიამოვნებინა,—ეს იყო ყმა, რომელიც ომიანობის დროსაც ბატონს თან ახლდა, მას შველოდა და ნადავლს ბატონს მიართმევდა.

ამგვარად, სოფლის მეურნეობა, მებატონეების მიწა-წყალზე გლეხობის მიერ წარმოებული, შეადგენდა ფეოდალურ საქართველოს უმთავრეს ეკონომიურ ძალას. მამული, მიწა-წყალი მებატონეების საკუთრებას ან სამფლობელოს შეადგენდა, და ამიტომ სოფლის მეურნეობის ნაწარმოებნიც მათ ხელში იყრიდა თავს. მათ ხელში იყო ქვეყნის ეკონომიური ძალა—მამული და სოფლის მეურნეობის ნაყოფი.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა.

ფეოდალურ საქართველოში მრეწველობას მცირე ადგილი ეჭირა. ფეოდალური წარმოება უმთავრესად ნატურალურია, კარჩაკეტილია; არც რაოდენობით, არც შინაარსით მას არ შეეძლო მიეღო ფართო ხასიათი, გასცილებოდა კუთხობრივ ფარგლებს, მით უფრო რაიმე აქტიური მდგომარეობა დაეჭირა უცხოეთის ბაზართან.

უმთავრესი ყურადღება მიქცეული ჰქონდა ფეოდალის საოჯახო, საგვარეულო და სამხედრო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. გლეხი იოლად გაიტანდა თავს, ხამით ან სხვა რითმე შეიმოსავდა ტანს, მაგრამ მისი ბატონისათვის ეს საკმარისი არ იყო, და გლეხი ბატონისათვის, მისი სასახლისათვის, მისი სხვადასხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ამზადებდა მრავალგვარ საქონელს. ქვეყნის თავდაცვა, ბრძოლა მტრებთან, რომელსაც საქართველო თითქმის განუწყვეტლივ აწარმოებდა, იწვევდა სათანადო შინამრეწველობის და ხელობის განვითარებას.

საერთოდ, ცხოვრების გაზრდილი მოთხოვნილებანი იწვევდენ მრეწველობის და ხელობის ზრდასაც. ევროპაში ფეოდალურ კარჩაკეტილ წარმოების წიაღში ჩაისახა და განვითარდა ჯერ ხელობა, რომელმაც მიიღო დასრულებული სახე და ორგანიზაცია ცეხების სახით, და შემდეგ თანდათანობით გაიკაფა გზა ფაბრიკის საშუალებით და მანქანურ წარმოებამდე მივიდა. ფეოდალიზმის უბეში გაჩენილი ახალი ძალები ჩაებენ ფეოდალურ წარმოების და მასზე დამყარებულ სოციალურ-პოლიტიკურ ძალების საწინააღმდეგო ბრძოლაში, და ქალაქის საშუალებით ახალმა ბურჟუაზიულმა ურთიერთობამ და ძალებმა დაამარცხეს ფეოდალური კარჩაკეტილი წარმოე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბა და ურთიერთობა და უპირველესი ადგილი მათ დაიჭირეს ერის ცხოვრებაში.

ამ დიდ ქალაქთა მოძრაობის გარეშე დარჩა საქართველოს ფეოდალური ურთიერთობა და საქართველომ თავის პოლიტიკური დამოუკიდებლობა ისე დაჰკარგა, რომ თავი ვერ დააღწია ფეოდალურ ურთიერთობას, დანაწილებას, ფეოდალურ იერარქიობას და მის ნანგრევებში დამარხა თავის დამოუკიდებლობა.

მან ვერ განავითარა საწარმოო ძალები და მით ვერ გააერთიანა საქართველო, მისი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ცხოვრება. ფეოდალურმა ურთიერთობამ ჩაჰკლა საქართველოს საწარმოო ძალები, არ მისცა მას გასაქანი, მოძრაობა, განვითარების საშუალება და მით ხელი შეუწყო საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, დაკნინებას და დაავადებას.

К 259.311

საქართველოს ძლიერების, გაერთიანების ხანაში, მაშინ, როდესაც საქართველო მოსვენებული იყო მტერთა შემოსევისაგან და განადგურებისაგან, ერთი მხრით, და მეორე მხრით—შინაურ ბრძოლისაგან—ფეოდალების მეფის წინააღმდეგ და ურთიერთ შორის ბრძოლისაგან, როდესაც ძმათა სისხლისმღვრელი პოლიტიკის მაგიერ გაბატონებული იყო მშვიდობიანობის და მორჩილების პოლიტიკა,—ხელობა და შინამრეწველობა ვითარდებოდა, წინ მიდიოდა და ცენტრი მას ყოველგვარ ღახმარებას და მფარველობას უწევდა.

ასეთი იყო მე-12 საუკ. ხანა, რომელსაც შავი ფეოდალური დღეები მოჰყვა, და მე-19 საუკ. დამდეგამდე იშვიათად თუ გაუღიმებია ბედს საქართველოსათვის. მხოლოდ რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველომ მოიპოვა შედარებით მყუდრო ცხოვრების პირობები საწარმოო ძალების განვითარებისათვის და პირი იბრუნა ევროპისაკენ.

მიუხედავად ამისა, ფეოდალურმა ურთიერთობამ ჩვენ დაგვიტოვა ღირსშესანიშნავი ნიმუშები ხუროთმოძღვრებისა, მხატვრობისა, შინამრეწველობისა, აზროვნებისა და სხვა, რომლებიც თუმცა შეკვეცილია და უმეტეს შემთხვევაში ქრისტიანულ-სარწმუნოებრივია თავის შინაარსით, მაგრამ უდაოდ მოწმობენ ერის სულიერ სიდიადეს და ძლიერებას.

რაც შეეხება ვიწრო მრეწველობას, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, შინამრეწველობას და ხელობას, საბუთები გვაძლევენ საფუძველს აღვნიშნოთ მათი ზოგიერთი დარგები, რაც არ იქნება ამომწურავი.

ბამბის ქსოვილების დამზადების შესახებ ბევრი საბუთი მოგვითხრობს:

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1779 წ. ხიზანი ჩივის, რომ მან თავის ნებით დაუხნა ბატონს მიწა ბამბისათვის, თუმცა ის არ იყო ვალდებული. მიუხედავად ამისა, ბატონმა კიდევ მეტი ამუშავა და შეავიწროვა[1]).

1780 წ. ბატონიშვილი სწერს თავის მდივანს: გამომიგზავნე ნახევარი არშინი წმინდა ტილო და ერთი დასტა ბამბარიო[2]). 1816 წლის სიგელიდან ჩანს, რომ საჩხერეში ამზადებდენ მუქ ნარმას, შემოქონდათ ქუთაისში და იქიდან გაჰქონდათ სამეგრელოში[3]). 1792 წ. ქართლის მეფე სწერს იმერეთისას, რომ ცხინვალში თავად გიორგი წერეთელმა მოიტაცა ებრაელი, რომელსაც თან ჰქონდა 30 ფუთი ბამბარიო[4]).

ზემოთ მოხსენებული მზითვის წიგნები ცხადად მოწმობენ სხვადასხვა ქსოვილების და ხელობის არსებობას და მათ საგრძნობლად განვითარებას: „ოქრო ნემსური ქსოვილი, ოქრო ქსოვილი, ოქრო მოჭედილი“ და სხვა.

ქართლ-კახეთის ნავარაუდევ შემოსავალში მოხსენებულია შემოსავალი ბამბის ქსოვილებისაგან 3.850 მან.[5]).

აბრეშუმის მოყვანა და მისი ქსოვილების დამზადება ძველიდანვე იყო საქართველოში. გადმოცემით, აბრეშუმი საქართველოში ვახტანგ გორგასლანს შემოუტანია. აბრეშუმის ნაწარმოებით ვაჭრობდა საქართველო რუსეთთან მეფე ივანე IV დროს მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში, აბრეშუმი გაჰქონდათ სპარსეთში და ოსმალეთში[6]).

ვახუშტი თავის გეოგრაფიაში იხსენიებს აბრეშუმის მოყვანას და მის ნაწარმოებთ[7]).

აბრეშუმის წარმოებაზე მოგვითხრობენ, სხვათა შორის, 1768 და 1777 წ. საბუთები. მეფე იძლევა განკარგულებას, რომ თელავში აბრეშუმით მოვაჭრეებს და აბრეშუმის შემომტანთ გადაახდევინონ გადასახადი. გლეხი, რომელიც ეწეოდა მეაბრეშუმეობას და ამზადებდა მისგან ნაწარმოებს, ვალდებული იყო გადაეხადა ბატონისათვის თითო ტიბეირზე 38 მისახლი აბრეშუმის ქსოვილი[8]).

ტფილისში აბრეშუმის ნაწარმოებზე შემდეგი გადასახადი ყოფილა: 1—ასაწონი, 2—შემოტანის და გატანის, 3—მტკვარზე გატანის და 4—აბრეშუმით ვაჭრობის[9]).

---

[1]) Пурцеладзе. Дв. Гр. 32 стр.
[2]) იქვე, 36 გვ
[3]) იქვე, 62 გვ.
[4]) იქვე, 54 გვ.
[5]) Ак. К. А. Ком. I ტ. № 160.
[6]) Шавров. Очерки шелков в Закавказьи Изд. 1883 г.
[7]) 56 გვ.
[8]) Пурцеладзе, Дв. Грам. 20, 28, 66, 75 стр.
[9]) Шавров.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგზაური ლამბერტი (მე-17 საუკ.) სხვა და სხვა ქსოვილების და ტილოს დამზადებას სამეგრელოში იხსენიებს თავის მოგზაურობის აღწერაში[10]).

ოქრო-ვერცხლის, სპილენძის, თოფის წამლის დამუშავება და დამზადება კარგად ცნობილი იყო საქართველოში.

1794 წ. მეფე იძლევა განკარგულებას, რომ მისი ქარხნიდან მისცემოდა ვილაც ლეკს ფარჩის ფასი 1000 მანეთი ოქროთ ან ვერცხლით. 1797 წ. რამდენიმე პირისაგან შემდგარი ამხანაგობა იღებს იჯარით ზარაფხანას, ე. ი. ფულის მოსაჭრელ საქმეს. კიდევ უფრო ადრე, 1777 წლის საბუთში ნათქვამია, რომ 3000 მან. ოქროთ და ვერცხლით დაიხარჯა სპილენძის ქარხანაზე თავის მოწყობილობით. იქვე მოხსენებულია მადანი და ქარხნის ბუხარი[11]).

ქართლ-კახეთის შემოსავალთა წყაროებში მოხსენებულია სპილენძის მადნები, რომლის შემოსავალი ნავარაუდევია 10.050 მან.[12]). 1778 წ. შეუმოწმებიათ გადასადნობ ქარხნის ანგარიში და აღმოჩენილა, რომ ვილაც ტაკაშვილს ერგებოდა სამი ათას მანეთამდე. ამავე ტაკაშვილს 1773 წ. აძლევს მეფე სავაჭრო ადგილს ტფილისში თოფის წამლის დასამუშავებლად და გასაყიდად[13]).

ერთი სიტყვით, მოხელეობა, შინამრეწველობა, წარმოების ყველა ელემენტები გარკვეულად ჩანს ფეოდალურ ურთიერთობის დროს. მაგრამ ეს საწარმოო ძალა ფრიად სუსტია, შეუკავშირებელია, უორგანიზაციოა. ბატონყმური ურთიერთობა, ფეოდალური კარჩაკეტილობა და წარმოების ნატურალური ხასიათი არ იძლეოდა მრეწველობის განვითარების საშუალებას. წარმოების და ცხოვრების უმთავრესი ღერძი ბატონყმურ დამოკიდებულებაზე აგებული სოფლის მეურნეობაა.

ᲐᲚᲔᲑ-ᲛᲘᲪᲔᲛᲝᲑᲐ.

ფეოდალური ურთიერთობა არ იძლეოდა რეალურ საფუძველს არც აღებ-მიცემობის განვითარებისათვის.

საქართველოს გაერთიანების ხანაში, როდესაც ერთი ცენტრი—წოდებრივი მონარქია—იმარჯვებს და ფეოდალებს იმორჩილებს, აღებ-მიცემობა საგრძნობლად ფართოვდება. დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ხანაში (12 საუკ.) ვაჭრობას სათანადო ყურადღება ჰქონდა მიქცეული, და დიდი ვაჭარნი პოლიტიკური წრეების პატივისცემით და ნდობითაც სარგებლობდენ. მათ ისეთ დიდ საქმესაც-კი ან-

---

[10]) **Ламберти. Описание Мингрелии, 176 стр.**

[11]) **Пурцеладзе. Дв. Грам. 59, 66, 24, 20 стр.**

[12]) **А. К. А. К. ტ. I, № 160.**

[13]) **Пурцеладзе.** იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღობდენ, როგორიცაა სხვადასხვა მეზობელ სახელმწიფოში წარმომადგენლობა და დიპლომატიური საქმეების მოგვარება. „ვეფხის ტყაოსნის“ ავტორი იხსენიებს „ვაჭართ უხუცესს“, რაც მოწმობს ვაჭართა ორგანიზაციის არსებობას[1]).

მე-10-12 საუკ. საქართველოს ბაზარზე, სხვათა შორის, შემდეგ ნივთებს ჰყიდდენ და ჰყიდულობდენ: ცხენს, ჯორს, უნაგირს, ლაგამს, სამოსელს, ტყავს, ქალამანს, ვენახს, მიწებს ნაჭრობლივ, სოფელს, ტყეს, სახნისს, ქვაბს, სახლს, ნაკალოევ ქვას, ქვიშას, კირს, საერთოდ საშენ მასალას და სხვა. ვაჭრობა ფულად, ან ნივთეულად —„განძად და პირუტყვად“ წარმოებდა, რადგან ფული იმ დროს ძნელი საშოვნელი იყო[2]). ამ ხანაში აღებ-მიცემობა იმდენად განვითარებული ყოფილა, რომ მის საწარმოებლად სავაჭრო ამხანაგობანიც კი არსებობდა, ეგ. წოდებული „ორტაღნი“, რომელნიც მამულებს ჰყიდდენ, ყიდულობდენ, ფულს ასესხებდენ და ამგვარად ერთგვარ საკრედიტო დაწესებულებების მაგიერობას ასრულებდენ[3]). საერთოდ საქართველოში და, კერძოდ, სამეგრელოში იცოდენ ბაზრობა განსაზღვრულ დროს, სადაც თავს იყრიდენ ვაჭრები და სოფლელნი, გამოჰქონდათ თავიანთი ნაწარმოებნი და ყიდვა-გაყიდვა წარმოებდა.

სამეგრელოში მე-17 საუკ. ბაზრობა ენკენისთვეში იხსნებოდა წიფურიის ეკლესიასთან, სადაც 2000 კაცი იკრიბებოდა. აქ აკეთებდენ კარვებს, სადაც ბაზრობის დროს მყიდველ-გამყიდველნი ცხოვრობდენ და საქონელს ინახავდენ. ხუთშაბათ დღეს თავდებოდა სამზადისი, ყველას თავის ადგილი ეჭირა ბაზარში. ამ დღეს სამეგრელოს მთავარი დაათვალიერებდა შეკრებილ მყიდველ-გამყიდველთ, ასე ვსთქვათ, გახსნიდა ვაჭრობას და ამის შემდეგ დაიწყებოდა ვაჭრობა.

გარდა ამისა, ბაზრობა სცოდნიათ მე-17 საუკ. ილორის წმ. გიორგის ეკლესიასთან გიორგობა დღეს, ბედიაში და სხვა ადგილებში. ამ ბაზრობის დროს, სხვათა შორის, იყიდებოდა: მარილი, ღომი, თაფლი, სანთელი, ძაფები, ადგილობრივი ქსოვილები, ტილო, ქვაბები, სპილენძი, რკინა, თიხის ჭურჭელი, მატყლი, ხარები, კამეჩები, ცხენები და სხვა[4]).

ძლიერების დროს საქართველო გარეშე ვაჭრობასაც აწარმოებდა არაბებთან, სპარსეთთან და საბერძნეთთან. სპარსეთიდან და არაბეთიდან საქართველოში შემოჰქონდათ საქართველოსათვის უცხო სხვადასხვა საქონელი: აფი ბაღდაური, ჯუბაჩა, ლარი, ძვირფასი ქსოვილები, ოქროს ქსოვილები, სურნელები და ნელსაცხებელნი, ზოდებით ოქრო, ფირუზი, სადაფი, ბროლი.

---

[1]) იე. ჯავახიშვილი. სამართლის ისტორია, 35 გვ.
[2]) იქვე, 32—33 გვ.
[3]) იქვე, 34—35 გვ.
[4]) Ламатин. 176—177 стр. Шарден. 35, 36. 181 стр.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბერძნეთიდან შემოჰქონდათ: ქსოვილები, საღვდელმსახურო და საეკლესიო ნივთები, ხატები, სურათები, ბერძნული ტაშტი და სხვა. სომხეთიდანაც შემოჰქონდათ წითელი ძვირფასი ფარჩეულობა.

ამ ხანაში (12 საუკ.) აღებ-მიცემობა იმდენად განვითარებული იყო, რომ ვაჭრობა წარმოებდა ისეთ შორ ქალაქებთან, როგორც ალექსანდრიაა[5]).

შემდეგი ხანა ერის ცხოვრებისა იყო ჯერ გარეშე მტრების შემოსევისა და მერე შინაურ მთლიანობის წინააღმდეგ ბრძოლის დრო. (15-16 საუკ.). მე-17 საუკ. საქართველოს სპარსეთის უღელი აწვა კისერზე, და მხოლოდ მე-18 საუკ. აღა-მახმად ხანის შემოსევამდე და რუსეთთან შეერთების შემდეგ დადგა შედარებით ხელსაყრელი დრო აღებ-მიცემობის განვითარებისათვის.

მაგრამ აღებ-მიცემობა მაინც არ ჩამქრალა. მე-17 საუკ. პირველ ნახევარში სამეგრელო და მის საშუალებით მთელი საქართველო აწარმოებდა ვაჭრობას სპარსეთთან და ოსმალეთთან, საიდანაც შემოჰქონდა სხვადასხვაგვარი ფერადი ნაქსოვები და შალები. ოსმალეთიდან მოსულ სავაჭრო გემებს სამეგრელოში მოჰქონდათ სხვადასხვა საქონელი და სამაგიერო გაჰქონდათ. ოსმალეთიდან სამეგრელოში და იქიდან მთელ საქართველოში, მოგზაური ლამბერტის აღწერით, შემოჰქონდათ: ნოხები, ტყავი, უნაგირები და სხვა ცხენის შეკაზმულობა, მაუდი სხვადასხვა ფერის, რკინა, სპილენძი, მატყლი, ქსოვილები, დამარილებული თევზი, ხიზალალა, დანები, პილპილი, შაქარი, მარილი და სხვა.

სამაგიეროდ საქართველოდან გაჰქონდათ: თაფლი, სანთელი, ადგილობრივი ხამი, ძაფები, აბრეშუმი, სელის კაკალი და სხვა. განსაკუთრებით დიდად ხელსაყრელი სავაჭრო საქონელი ყოფილა ოსმალეთისათვის მარილი, რომელსაც დიდ ფასად ჰყიდდენ. მაგრამ ყველაზე უფრო კარგი მოსაგებიანი საქონელი სამეგრელოში იმ ხანად ყოფილა ადამიანით აღებ-მიცემობა[6]).

მე-18 საუკ. მეორე ნახევარში (1782 წ.) ტფილისის მცხოვრები ვიღაც გოჩგაჩანოვი აძლევს ვექილობას ვიღაც ხატაგაევს და ავალებს მას მისი სავაჭრო საქმეების ლიკვიდაციას ქ. ბარსაში, ბუშირში, მადრასში და ინდოეთის სხვა ქალაქებში[7]). 1749 წ. მეფე თეიმურაზმა, სპარსეთში ყოფნის დროს, სპარსეთის შახის თხოვნით, გამოიწერა საქართველოდან ნოქრები სპარსეთის სავაჭროებისათვის[8]).

ეს ფაქტები უდავოდ მოწმობენ ჩვენი გარეშე და შინა ვაჭრობის განვითარებას.

---

[5]) ივ. ჯავახიშვილი. ეკონომ. ისტორია, 30—32 გვ.
[6]) Ламберти, Описание Мингрели 176—178 стр.
[7]) Пурцеладзе, Дв. грам. 99 стр.
[8]) იქვე, 12 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავაჭრო დამოკიდებულება საქართველოს ჰქონდა ჩრდილოეთით მცხოვრებ ერებთანაც. ლეკებთან აღებ-მიცემობას, მათთან ანგარიშის გასწორებას თუ ოქროთ, თუ ვერცხლით, თუ ფარჩით ხშირად მოგვითხრობენ საბუთები[9]).

მე-18 საუკ. და კიდევ უფრო ადრე ვაჭრობა რუსეთთანაც წარმოებდა ორი გზით: ერთი—დარიალის ხეობით, მეორე—კასპიის ზღვით; მაგრამ ამ აღებმიცემობას, როგორც სხვა გარეშე ვაჭრობასაც, არ უნდა ჰქონოდა ფართო ხასიათი.

1769 წ. მცხეთის ტაძარს მეფე უწყალობებს იმ ბაჟს, რომელიც შემოდიოდა **ასტრახანში** გატანილ და შემოტანილ საქონელზე. მცხეთის ეკლესია თვით ახდევინებდა ამ ბაჟს თავის კაცების საშუალებით. ერთ ვაჭარს აღმოაჩნდა თეიმურაზ მეფის წყალობის წიგნი, რომ ის განთავისუფლებული იყო **ასტრახანში** გატანილ და შემოტანილ საქონლის ბაჟისაგან. ეკლესიაც სცნობს ასეთ აქტს სავალდებულოდ[10]).

ამ ხანად, მე-18 საუკ. მეორე ნახევარში, საქართველო უახლოვდება რუსეთს პოლიტიკურადაც, რასაც 1783 წელს მოჰყვა მფარველობის ხელშეკრულების დადება ერეკლე II და ეკატერინე II შორის. სავაჭრო დამოკიდებულება და ურთიერთის გაცნობა-დაახლოვება დიდი ხნით წინ უძღოდა ამ დიდ პოლიტიკურ აქტს.

ზ. ჭიჭინაძის სიტყვით, მე-16 საუკ. სტამბოლში საქართველოს ვაჭართ ქარვასლაც-კი ჰქონიათ. ევროპაში ისეთი ხშირი ყოფილა საქართველოდან ვაჭრების მიმოსვლა, რომ ერეკლე მეფეს ბრძანება გაუცია: თუ ვინმე საქართველოდან ევროპაში წავიდოდა, მას საქართველოში ცოლ-შვილი უნდა ჰყოლოდა; მისი ცოლ-შვილი საქართველოში უნდა დარჩენილიყო. ეს განკარგულება მით ყოფილა გამოწვეული, რომ ბევრი ქართველი, სავაჭროდ წასული ევროპაში, იქიდან აღარ ბრუნდებოდაო[11]). საერთოდ ზ. ჭიჭინაძეს ბევრი ცნობა აქვს მოყვანილი საქართველოს აღებ-მიცემობის შესახებ ევროპასთან, მაგრამ, სამწუხაროდ, არ უჩვენებს წყაროებს ამ ცნობებისა და ამიტომ საძნელოა ამ ცნობებით სარგებლობა.

ერთი კი უეჭველია და ზ. ჭ. ბევრი ცნობა მოჰყავს იმის შესახებ, რომ მე-17 საუკ. და 18 საუკ. მიწურულში დიდი აღებ-მიცემობა წარმოებდა დასავლეთ საქართველოში და მისი საგანი ადამიანი იყო.

მე-18 საუკ. ოსმალეთში ბევრი ქართველი იყო, ბევრი ამათგანი მებატონეებისაგან გაყიდულნი იყვნენ. მარტო გურიიდან ყოველ წლივ ოსმალეთში გაჰყავდათ გასაყიდად არა ნაკლებ 200 ვაჟისა და

---

[9]) Пурцеладзе. Дв. грам., креп. акты.

[10]) იქვე, 23 გვ.

[11]) ზ. ჭ. საქარ. შესახებ ევროპ. ცნობები, 6 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალიშვილისა. სამეგრელოში და იმერეთშიაც ეს სამარცხვინო აღებ-მიცემობა დიდად იყო გავრცელებული. ამას მოწმობს ბევრი საბუთი.

1769 წ. თავადი მურავიოვი, რომელიც რუსეთიდან იყო გამოგზავნილი იმერეთში და ხელმძღვანელობდა ოსმალეთის წინააღმდეგ მომქმედ ჯარს, სწერს გრაფ პანინს, რომ იმერლები იპარავენ ბავშებს, მიჰყავთ ქუთაისში, სადაც იმ დროს ოსმალები იყვნენ, და იქ ჰყიდიანო[12]).

1711 წ. თავად ფარსადან ციციშვილმა მიჰყიდა მემამულე ნიკოლოზ რატიშვილს თავის მემკვიდრე ყმა დანდლისშვილი, ფარსიაშვილი ბერი და „აიღო ფასი სრული". „გქონდესთ და გიბედნიეროს ღმერთმან საქართველოს გამგებელის ბატონიშვილის ვახტანგის დღით სიგრძესა და სამსახურსა შინა"-ო, და მისცა „მტკიცე და მიზეზ შეუღებელი წიგნი"[13]).

მიუხედავად მოყვანილ ფაქტებისა, ფეოდალური, ბატონყმური ურთიერთობა საერთოდ ჰბორკავდა აღებ-მიცემობას, როგორც წარმოებას, არ ავითარებდა ქვეყნის მდიდარ ბუნებრივ ძალებს.

ასეთი საერთო სურათი ფეოდალურ ურთიერთობისა ურყევია. ფეოდალი ფიქრობს თავის სამფლობელოს მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და ტერიტორიალურ უშიშროების შესახებ. თუ ის ებრძვის მეზობელ ფეოდალს, ბრძოლას იარაღი სწყვეტს. კაპიტალისტური მეთოდები: აღებ-მიცემობით, ვაჭრობით, კაპიტალით ტერიტორიების დაპყრობა—უჩვეულოა ფეოდალურ ურთიერთობისათვის. ამიტომ საერთო სურათი მაინც ასეთია: უმეტეს შემთხვევაში აღებ-მიცემობას კუთხური ხასიათი ჰქონდა. ვაჭრობა იმდენად იყო განვითარებული, რამდენადაც ფეოდალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო იყო გაცვლა, შეძენა იმ საგნების, რომლებიც ფეოდალს არ მოეპოვებოდა.

სავაჭრო კაპიტალის დაგროვებას, საგანგებოდ საქონლის დამზადებას ბაზრისათვის თუმცა ჰქონდა ადგილი, მაგრამ არა გადამწყვეტი ერის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებისათვის. საქართველოს დაყოფა სამეფოებად და სამთავროებად, ერთი ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრის უქონლობა და ხელმძღვანელობა, მიმოსვლის საშუალებათა სიძნელე და აგრეთვე აღებ-მიცემობისათვის ხელის შემწყობი გარემოებანი, როგორიცაა მშვიდობიანობა, საკუთრების უფლებრივი და ფაქტიური უზრუნველყოფა და სხვა, ფეოდალურ ურთიერთობაში არ უწყობდა ხელს აღებ-მიცემობის განვითარებას.

ფეოდალური ურთიერთობა, კარ-ჩაკეტილობა, დანაწილება არ იძლეოდა საშუალებას საქონლის თავისუფალ მოძრაობისას.

---

[12]) **Цагарели. Грамоты.** 72 стр.

[13]) ექ. თაყაიშვილი. საქარ. სიძველენი ტ. III, 14 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგ., საჩხერედან გაჰქონდათ სამეგრელოში გასაყიდად ადგილობრივ დამზადებული ნარმა. ქუთაისში იყო საბაჟო და იმერეთის მეფე იძლეოდა განკარგულებას: საჩხერედან შემოტანილ მუქ ნარმაზე, რომელიც სამეგრელოში გააქვთ, ბაჟი ქუთაისში უნდა გადახდესო[14]).

ვაჭრის როლში იმ ხანად შესაძლებელი იყო გამოსულიყო ის, ვის ხელშიაც დაგროვილი იყო სიმდიდრე. ასეთი იყვნენ ფეოდალები, თავად-აზნაურობა. მაგრამ უკანასკნელნი აღებ-მიცემობას გაურბოდენ, როგორც სათაკილო, მათთვის დამამცირებელ საქმეს.

ამიტომ ვაჭრობა ქალაქის მცხოვრებთა ხელში იყო. ამ გარემოებას ფეოდალიზმის დასუსტების და დაცემის საქმეში დიდი როლი უნდა ეთამაშა, თუ ბურჟუაზიული ელემენტები მომძლავრდებოდენ საქართველოში, მაგრამ ეს წოდება ვერ განვითარდა, კლასად ვერ გადაიქცა და მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს საქართველო გამოუვალ ჩიხში მოემწყვდა.

და თუ საქართველოში, მიუხედავათ ამისა, აღებ-მიცემობა მაინც შესამჩნევი იყო, ეს იმიტომ, რომ საქართველოს ეჭირა დიდი სავაჭრო გზა, რომელიც აკავშირებდა აზიას ევროპასთან, და ამ დიდ გზაზე მცხოვრები ქართველები არ შეიძლებოდა დარჩენილიყვნენ გარეშე იმ ვაჭრობისა, რომელიც ამ დიდი სავაჭრო გზის საშუალებით წარმოებდა.

და სწორედ საქართველოს ასეთ მდგომარეობას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა აღებ-მიცემობის განვითარებისათვის, მაგრამ ამ დადებით გავლენას ასუსტებდა და აქარწყლებდა ფეოდალური ურთიერთობა, ბატონყმური დამოკიდებულება და ფეოდალური სეპარატიზმი.

ტფილისში, რომელიც იყო აღებ-მიცემობის ცენტრი, ვაჭრებს ჰქონდათ თავისი თვითმართველობის მსგავსი ორგანიზაცია. 1800 წ. მეფე მიმართავს სანთლის მოვაჭრეთ და წვრილ ვაჭართ წინადადებით; რომ მათ გაათავისუფლონ მეფის ნათლული გადასახადებისაგან. მეფის წინადადებას აკმაყოფილებს ვაჭართა კრება, რომელსაც ვაჭართა უსტაბაშიც დაესწრო[15]).

ცხადია, რომ აქ მთელ ორგანიზაციასთან გვაქვს საქმე. მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს ვახტანგ კანონმდებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ვაჭრებს და მათ, როგორც თავად-აზნაურთ, სამ ხარისხად ჰყოფს: დიდი ვაჭარი, საშუალო და მესამე ხარისხოვანი. მათი სისხლიც, როგორც სხვა წოდების, ქონებით, სიმდიდრის მიხედვით ფასდება. დიდი ვაჭარი სისხლის ფასით უდრის საშუალო, მეორე ხარისხოვან აზნაურს, საშუალო ვაჭარი—მესამე ხარისხოვანს, ხოლო მე-

---

[14]) Пурцеладзе Грамоты Зап. Грузии, 62 стр

[15]) იქვე, 77 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამე ხარისხოვანი ვაჭრის სისხლი—მსახურის და არქიდიაკონის სისხლს უდრის[16]).

საათაბაგოს სამართალიც (15 საუკ.) იხსენიებს დიდ ვაჭარს და აღნიშნავს, რომ საქმეს სამართლიანად და ჭკვიანად ისინი გაარჩევენ და მოსამართლეებად ისინი უნდა იყვნენო[17]).

მაგრამ, ფეოდალურ ურთიერთობის ბრძანებლობით, ჩვენში აღებ-მიცემობა ვერ განვითარდა ისე, რომ მისი წარმომადგენელნი შექმნილიყვნენ რეალურ ძალად, რომელსაც შეეძლებოდა შეენგრია ფეოდალური ურთიერთობა. ჩვენში, ფეოდალიზმის წიაღში, ვერ განვითარდა კრიზისის გამომწვევი ძალებ.

ასე იყო მანამ, სანამ პოლიტიკური ფეოდალიზმი არ შეინგრა და სანამ საქართველომ რუსეთის საშუალებით ევროპისაკენ პირი არ იბრუნა.

—:—

ამგვარად, ფეოდალურ საქართველოში თუმცა შინა-მრეწველობაც და აღებ-მიცემობაც შესამჩნევი ეკონომიური მოვლენა იყო, მაგრამ ქვეყნის ძირითად საწარმოო, ეკონომიურ ძალას სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა, ბატონი და პატრონი—მემამულე, ფეოდალი იყო,, მის ხელში იყო ქვეყნის ეკონომიური სიძლიერე.

ეს სიძლიერე არ იყო აგებული მკვიდრ ნიადაგზე. ერთი მხრით, სამხედრო დავლა დიდ როლს თამაშობდა მის შექმნაში. თამარ მეფის დროს სიმდიდრისაგან გალაღებული მხედრობა მოითხოვდა ახალ ომებს, მეზობლების ახალ დარბევას და მით კიდევ ხელის მოთბობას. მეორე მხრით—ფეოდალური მეურნეობა იყო უსაზღვრო ექსპლოატაცია არა მარტო ყმის ქონებისა და შრომის, მისი პიროვნების, მისი ადამიანობისაც.

საქართველოს ფეოდალიზმს ახასიათებდა შინაგანი წინააღმდეგობა, მემამულეთა ერთი მეორესთან ქიშპობა, მტრობა, ცილობა და ცდა ხელმწიფობის მითვისებისა. ჩვენმა ფეოდალურმა ურთიერთობამ ვერ განავითარა საწარმოო ძალები, რომლის საშუალებით შესაძლო იყო შინაგანი ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება, ერთი ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრის შექმნა.

---

[16]) ვახტ. დებულება, 30—32 მუხ.

[17]) ბექა-აღბულას სამართალი, 101 მუხ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II. ფეოდალური იერარქია

პირველი ფეოდალი

საქართველოს ფეოდალური ორგანიზაცია, ფრიად რთული და მრავალმხრივი, მიწათფლობელობისა და სოფლის მეურნეობის საფუძველზე იყო აშენებული.

ამ ორგანიზმს, სისტემას აგვირგვინებდა პირველი მემამულე, რომელიც იმავე დროს მეფედ იხსენიებოდა. „მემამულე" და „მეფე"—ეს ორი ცნება არის ორი პრინციპის გამომხატველი: ფეოდალიზმის, დანაწილების, დეზორგანიზაციისა და ერთი ცენტრის, გაერთიანების, მონარქიზმისა. ამ პრინციპებს შორის წარმოებდა ისტორიული დავა, რომელიც, საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში, ფეოდალიზმის გამარჯვებით გათავდა. მაგრამ ეს „გამარჯვება"—განაწილება, დეზორგანიზაცია არსებითად იყო ფეოდალურ ურთიერთობის დამარცხება და მოასწავებდა ადრე თუ გვიან პოლიტიკურ უფლებების დაკარგვასაც.

თეორიულად საქართველოს მეფე, მონარქი, თვითმპყრობელი იყო, მის ხელში იყო ერის სვე-ბედი და ყოველმხრივ სახელმწიფოს ცხოვრება მის ნებისყოფას ემორჩილებოდა. ის იყო უზენაესი კანონმდებელი, მმართველი, მოსამართლე. მის მიერ გამოცემული კანონი და ბრძანება ყველა ქვეშევრდომისათვის სავალდებულო იყო.

ის მოქმედებდა უზენაესი ღვთაებრივი ხელდასმით; ის მირონცხებული იყო, ღვთისაგან ამორჩეული და მოვლინებული; ვინც მის წინააღმდეგ იყო, ის ღვთის წინააღმდეგაც იყო; მისი პიროვნება გაღმერთებული იყო[1]).

„ჩვეულება აქვდათ ერთისა მეფისა მორჩილება და სარწმუნოდ მის მიმართ ყოფნა", სწერს ვახუშტი თავის საქართველოს გეოგრაფიაში[2]). და ეს ერთი მეფე, რომელსაც თეორიულად ემორჩილებოდენ ქართველნი, ღვთის წყალობით მირონცხებული და თვითმპყრობელია: „ჩვენ, მეფეთ მეფემან, იესიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატონიან, შვიდთა სამეფოთა მპყრობელმან", ასე იხსენებდა მეფე თავისთავს სიგელ-გუჯრებში[3]). მეფის კურთხევის წესი ამასვე ამოწმებს.,

---

[1]) ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს მეფე და მისი უფლებების ისტორია, გვ. 20—23.

[2]) ვახუშტი. საქარ. გეოგრაფია, 10 გვ.

[3]) იქვე, 48 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1745 წ. მცხეთას მოხდა დიდი ზეიმით დაგვირგვინება ქართლის მეფის თეიმურაზისა. კახეთიდან მოიწვიეს მეფე ერეკლე დედოფლით და ლაშქრით დაგვირგვინებაზე დასასწრებლად. მეფის ბრძანებით, გააკეთეს ოთხი დროშა და ოთხ ნაწილად დაჰყვეს ლაშქარი სხვადასხვა სარდლების—ორბელიანის, მუხრან ბატონის, ამილახვარის და თვით მეფის ხელმძღვანელობით. მცხეთის ტაძრის წინ ამართული იყო დიდი სეფე. გამობრძანდა მეფე და დაბრძანდა, მის გვერდით დიდებულნი ღირსებისამებრ: კათალიკოზი, მიტროპოლიტნი, ეპისკოპოსნი, მღვდელნი, მგალობელნი. დიდი ზეიმით და ღვთისმსახურებით აკურთხეს მეფე: „მოიტანეს სამეფო შესამოსელი; პორფირი, ბისონი, დიადიმა, გვირგვინი, ხმალი, სკიპტრა და ქვეყნის სფეროი. ყოველივე ეს ამიერ და იმიერ მოუწყვეს. მოვიდა მთავარ-ეპისკოპოსი არსენ შემოსილი და კმა მეფეს. ამის შემდეგ მთავარ-ეპისკოპოსმა აიღო მეფის შესამოსელი და იარაღი და ეკლესიაში შეიტანა. მას მიჰყვენ მგალობელნი. ზარების რეკა. აბრძანდა მეფე და ტაძარს გაემართა. ამ დროს ჰკრეს ქოსთა და სპილენძჭურთა. მეფეს შეეგებენ ეპისკოპოსნი, თაყვანი სცეს მას. ლოცვის შემდეგ ღამის თევა და შემდეგ მეფის კურთხევა"[4]).

გარდა ამისა, სწორედ თვითმპყრობელ მეფეს შეეფერება ის წესები მეფის „გამოსვლისა, მეჯლისისა", მგზავრობისა და სხვა, როელნიც ვახტანგ VI „დასტურლამალ"-შია აღწერილი.

ვახტანგის სამართალიც აღნიშნავს, რომ მეფეს ყველაფრის უფლება აქვს, მას მოქალაქის ყველა უფლებაზე მიუწვდება ხელი, გარდა სულისაო[5]). გიორგი V ბრწყინვალის კანონების „ძეგლის დების" (1318—1346 წ.) შესავალი, აღბუღას და ბექას სამართლის (15 საუკ.) და ვახტანგის დებულების (1709 წ.) შესავალიც, რომელიც წინ უძღვის ამ საკანონმდებლო აქტებს, ამასვე ამოწმებენ. აქ მეფე უზენაესი მსაჯული და მმართველია, რომელიც ღმერთმა აქოირჩია და მას ქვეყნის ბედი ჩააბარა.

მეფე ასამართლებს პირადათ, მეფე ამტკიცებს სასამართლოს განაჩენს, მეფე შეღავათს აძლევს დასჯილთ. ზოგ შემთხვევაში საგანგებო სასამართლოსაც ნიშნავს, ეს მაშინ, როდესაც რაიმე დავა დიდ მემამულეთა შორის არის ატეხილი. ამ შემთხვევაში და სხვა საყურადღებო საქმეების განხილვის დროს კათალიკოზს და ეპისკოპოსსაც იწვევდა და განაჩენი მათი დახმარებით და რჩევით გამოჰქონდა.

მეფე ათავისუფლებს ამა თუ იმ თავადს ან აზნაურს ყველა ან ზოგიერთი გადასახადებისაგან. მეფე აჩუქებს სოფელს და გლეხებს

---

[4]) მ. ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია, 430 გვ.

[5]) ვახტ. დებულება, 160 მუხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახურისათვის და თავის გამოჩენისათვის, ან სხვა რაიმე მოსაზრებით ამა თუ იმ თავადს ან აზნაურს.

აწესებს გადასახადს, ნიშნავს მოხელეთ, უნიშნავს გასამრჯელოს ვეზირებს და სხვა თანამდებობის პირთ და სხვა და სხვა.

მაგ., 1766 წ. ერეკლე II ამტკიცებს განაჩენს ლომი გვარამაძის შესახებ. მეფე ასე აწერს ხელს: „ჩვენ პატრონი მეფე ირაკლი ამ მდივან-ბეგთაგან გაჩენილს სამართალს ვამტკიცებთ". იქვე აწერია: „ჩვენი ბრძანება არს: ეს ლომი გვარამაძე ჩვენი ყმა არის, ამასთან სხვას ხელი არავის აქვს"[6]). 1661 წ. მდივან-ბეგი და მდივნები არჩევენ საქმეს მეფის ბრძანებით. 1667 წ. მეფე ათავისუფლებს გადასახადებისაგან გლეხებს. 1643 წ. მეფე როსტომი ათავისუფლებს გლეხებს პურის გადასახადისაგან, ცხვრის და ღორის საძოვრისაგან, რადგან ამ გლეხებმა ომიანობის დროს დიდი თავგანწირვა გამოიჩინეს. 1775 წ. მეფე აძლევს ბაინდუროვს ჩხარს გასაშენებლად და მის განკარგულებაში. მეფე აჩუქებს ეკლესიებს და თავადებს, პირველთ სულის საცხოვნელად, მეორეთ—წარსული და მომავალი სამსახურისათვის სოფლებს და გლეხებს[7]). მეფე უწყალობებს ამა თუ იმ თავადს პირადათ ან მთელ მის გვარს სისხლის სიგელს, რითაც ანიჭებს უფლებას მას ან მის გვარს განსაკუთრებულ სისხლის დაურვისას, თუ ვინმემ მათ შიმართ რაიმე დანაშაული ჩაიდინა. 1455 წელს მეფე გიორგიმ მელვინეთ უხუცესს ასათ ვაჩნაძეს რვა ასი ათასი ქირმანაული დაუნიშნა სისხლის ფასად[8]). 1463 წ. გიორგი XI-ე აძლევს სიგელს არალელისძეთა—კვიტაიშვილთ, რომლებს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას მათ წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა დაურვის შესახებ მათი სისხლის მიხედვით[9]).

მაგრამ მეფის მონარქიული უფლებები, ხელმწიფებანი ტარდებოდა ცხოვრებაში მაშინ, როდესაც მეფე იმორჩილებდა თავად-აზნაურებს, მემამულეთ და მის ბრძანებას და განკარგულებას გასავალი ჰქონდა. ეს შეიძლება ითქვას საქართველოს გაერთიანების, ძლიერების დროს. სხვა პირობებში საქართველოს მეფე უფრო მემამულეა, ვიდრე ხელმწიფე, მემამულე, ფეოდალი პირველი, ძლიერი, მაგრამ ხელმწიფობის ელემენტების ძლიერ სუსტად მატარებელი.

ამას ხელს უშლიდა ერთი ეკონომიური ცენტრის შექმნის შეუძლებლობა. ქვეყნის გაერთიანება, ცენტრის მიერ სადავეების ხელში დაჭერა შესაძლებელი იყო სათანადო ეკონომიურ და საერთაშორისო პირობებში. გარდა იმისა, რომ ფეოდალების დამორჩილებას ხელს

---

[6]) ექ. თაყაიშვილი. საქ. სიძველენი, III ტ. 172 გვ.

[7]) იქვე და ფურცელაძე, ღრამატები; ხახანაშვილი, საეკლესიო გუჯრები.

[8]) ფურცელაძე, ღრამატები, 1—2 გვ.

[9]) ექ. თაყაიშვილი. სიძველენი, III ტ. 436 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშლიდა საქართველოსადმი მტრულად განწყობილი მეზობლები, რომლებიც შუღლს და მტრობას სთესდენ მმართველ წრეებში, ასუსტებდენ მათ და მით თვით სარგებლობდენ,—ასეთი იყო მუდამ სპარსეთ-ოსმალეთის ცბიერი პოლიტიკა—უპირველეს ყოვლისა საქართველოში საწარმოო ძალების განუვითარებლობამ ვერ წარმოშვა ის წრე, რომელზედაც, ფეოდალებთან, თავის ვასალებთან ბრძოლის დროს, მეფეს—პირველ ფეოდალს შეეძლო დაყრდნობოდა.

ამიტომ დროებით საქართველოს გაერთიანება და შინაური მშვიდობიანობა არ იყო დამყარებული მტკიცე ნიადაგზე. დავით აღმაშენებელმა ამ მიზნით 50,000 მხედართაგან შემდგარი მუდმივი ჯარი დააარსა და ამ ჯარში 40,000 ჩრდილო-კავკასიიდან ყივჩაღელნიც-კი მოიწვია, რომლებიც საქართველოში ოჯახობით ჩამოასახლა[10]). მაგრამ ასეთი, შეიარაღებულ ძალით და მაგარი მართვა-გამგეობით, გაერთიანება და ბატონობა დროებითი იყო, რადგან მთლიანობისათვის არ არსებობდა ეკონომიური ბაზა. იმ ხანის ეკონომიურ ბაზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ გამარჯვებული ჯარის ხელმძღვანელნი—მმართველი წრეები ომიანობის დროს დიდ დავლას იძენდენ, მაგრამ, ცხადია, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიურ საფუძვლად, რომელზედაც პოლიტიკური წესწყობილება მტკიცედ იქნეს დაყრდნობილი. ეს მატერიალური ინტერესი გარდამავალი და იმავე დროს სახიფათი იყო. პირველ შემთხვევისთანავე ურჩი, ეკონომიურად გაძლიერებული თავადები თავს წამოჰყოფდენ, ზოგი მტერს მიემხრობოდა, ზოგი შიგნით ბრძოლას გააჩაღებდა. და კიდეც ამ სახით გრძელდება შემდეგ ქართველი ერის ისტორია.

თვითმპყრობელ მეფისათვის საჭირო იყო ფეოდალების დამორჩილება. მათი დამორჩილება-კი შეიძლებოდა დროებით ყივჩაღელების ფიზიკურ ძალითაც, მაგრამ საფუძვლიანი და ბუნებრივი მათი დამტუქსავი ძალები არსად ჩანდა.

გლეხობას, რომელიც ბატონ-ყმურ ჭახრაკში იყო და მის სიმწვავეს განიცდიდა, არ ჰქონდა არც შეგნება თავის მდგომარეობის და არც საამისო ორგანიზაციული მომზადება, რომ თავიანთი ბატონების წინააღმდეგ ამდგარიყო და ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა მოეპოვებინა. ორ მებრძოლთ შორის, ფეოდალებსა და მეფეს შორის, გლეხობა ბრძოლაში ორივესათვის გამოსადეგი იყო იმდენად, რამდენადაც ერთსაც და მეორესაც გლეხობა გაბმული ჰყავდათ ბატონ-ყმურ უღელში. გლეხობა, ეკონომიურად ბატონის ხელში ჩავარდნილი და ბატონ-ყმურ აპარატში მომწყვდეული, დიდი ძალა იყო, რომელზედაც ეყრდნობოდა მეფე და ფეოდალები ურთიერთ შორის ბრძოლის დროს.

---

[10]) ივ. ჯავახიშვილი. საქარ. ისტ. ტ. II, 515 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გამოუვალმა მდგომარეობამ აქცია მეფის უფლებები ფიქციად, და, მიუხედავად თეორეტიულად მეფის დიდი პრეროგატივებისა, ის უუფლებო მეფე მხოლოდ პირველი ფეოდალი იყო.

„თვითმპყრობელი" ჩვენში ცარიელ სიტყვას შეადგენდა[11]). ქვეყნის ბედი ფეოდალების ხელში იყო და არა „თვითმპყრობელ მეფის", რომელიც მათ ხელში ხშირად სათამაშო ხდებოდა. ფეოდალები იგივე პატარა მეფეები იყვნენ[12]). ვახტანგ კანონმდებელი თავის დებულების შესავალში სწერს, რომ საქართველოში მეფეები ხან მაღლდებოდენ, ძლიერი იყვნენ და ქვეყანას თვით განაგებდენ, ხან-კი, დროთა და გარემოებათა ცვალებადობით, ისე მდაბლდებოდენ, რომ მხოლოდ ერთი მეფის სახელი-ღა რჩებოდათო. ქვეშევრდომნი სახელის ძეტს მათ არაფერს უტოვებდენ და, როგორც სურდათ, ქვეყნის ბედს ისე განაგებდენ.

მე თვით მახსოვს ეს და მრავალ ჩემზე უხნესებს არა ერთხელ უნახავთ ასეთი ცვლილებებიო[13]).

1781 წ. აბელ ანდრონიკაშვილი ავიწროებს გლეხებს. გლეხებმა, როგორც იყო, გაბედეს მეფისათვის შეეჩივლათ. მეფემ შვიდჯერ უბრძანა თავად ანდრონიკაშვილს, რომ მას გლეხების შევიწროებაზე ხელი აეღო, მაგრამ არა გამოვიდა რა. უკანასკნელად გლეხები მიმართავენ მეფეს, აცნობებენ მას, რომ თავადმა ორი ქალიშვილი კიდევ წაართვა მათ, რომელთაგან ერთი გააუპატიურა. მეფემ გასცა ბრძანება, რომ თავადს წაერთვას გლეხები და გადმოასახლონ ისინი სახაზინო მიწაზე. ამასთან მეფე დასძენს, რომ თუ ეგ „მამაძაღლი" ახლაც არ შეასრულებს ჩემ ბრძანებას, „მიწასთან გავასწორებო"[14]).

ჩვენ არ ვიცით, თავადმა ანდრონიკაშვილმა შეასრულა მეფის განკარგულება, თუ მეფე იძულებული იყო მასთან ებრძოლა, ან ამ ბრძოლაში ვინ გაიმარჯვა, მაგრამ ეს ფაქტი ნათლად უარყოფს მეფის პოლიტიკურ სიძლიერეს და ადასტურებს ფეოდალების ძალმომრეობას.

თარხანიანი და სხვა მრავალი საბუთი ამასვე ამოწმებს: ხახანაშვილი, მონასტრის გლეხი, კარგი შეძლებული ყოფილა. გლეხი დაუჩემებია ადგილობრივ მებატონეს თარხნიშვილს. ის არ დამორჩილებია მებატონის თვითნებობას და ოცი წლის განმავლობაში რამდენჯერმე მოუგია საქმე სასამართლოს წესით, მაგრამ ვერა გაუწყვია რა.

---

[11]) ხიზანიშვილი. „იმედი". 1882 წ. № 11, 12.

[12]) **С. Какабадзе. Черты феодализма и крест. повинности в конце средних веков в Грузии.**

[13]) შესავალი ვახტ. დებულებისა.

[14]) **Пурцеладзе. Дв. грам, 38 стр.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელად გლეხს მიუმართავს მეფე ერეკლესათვის, მაგრამ ვერც პირადად მისმა ბრძანებამ გასჭრა[15]).

რა საჭიროა მოვიყვანოთ კერძოთ ფაქტები, როდესაც ჩვენი ისტორია სავსეა თავადების, ფეოდალების მოღალატური და უპატიოსნო ბრძოლის მაგალითებით ცენტრის წინააღმდეგ და ურთიერთშორის. თავის ხელქვეითების, თავის თავადების, ვასალების მიერ შევიწროებული ქართლის მეფე ხშირად თავს იმერეთში ინახავდა და წინააღმდეგ, ან ეს თუ ის მეფე უცხოეთს შეაფარებდა თავს და იქიდან აწარმოებდა ბრძოლას. ამასვე ჩადიოდენ გაბოროტებული ფეოდალებიც. გარდა ამისა, ძლიერ ბევრი სიგელი და განჩინებანი დამტკიცებული და ხელმოწერილია არა მარტო მეფის მიერ, არამედ დედოფლის, შვილების, ძმების და ოჯახის ყველა წევრის მიერ. ეს გარემოებაც იმას ადასტურებს, რომ მარტო მეფის დამტკიცება და ბრძანება საკმარისი არ იყო, საჭირო იყო ოჯახის ყველა წევრს დაედასტურებინა საბუთი, რომ მას მეტი ძალა მოეპოვებინა და მას დამორჩილებოდა ის, ვისაც ბრძანება ეხებოდა[16]). მაგ., 1797 წ. შესდგა განჩინება ამილახვარის და მისი განაყოფის ზაალ დავითიშვილის ურთიერთ შორის დავის გამო. ამ განაჩენს ამტკიცებს მეფე ერეკლე II, კათალიკოზი ანტონი, როგორც ძმა ერეკლესი, დედოფალი დარეჯანი, მეფის ძე გიორგი, ბატონიშვილი ვახტანგი, მეფის ძე ალექსანდრე, მეფის ძე ფარნაოზი, ბატონიშვილი ბაგრატი, ბატონიშვილი იოანე[17]).

აგრეთვე, 1798 წელს განაჩენს ამტკიცებს გიორგი XII, დედოფალი მარიამი, მემკვიდრე დავითი, მეფის ძე იოანე, ბატონიშვილი �-ეიმურაზი და მიხეილი[18]).

ამ მოვლენას ჩვენ ვხედავთ ქართველი ერის ისტორიაში მე 14—15 საუკუნიდან, და ეს მოწმობს მეფის პოლიტიკურ ხელისუფლების დაცემას და ფეოდალების, ცენტრის დამასუსტებელ ელემენტების გაძლიერებას.

მარტო ს ფაქტი, რომ, როდესაც აღა-მაჰმად ხანი ტფილისს მოადგა და ერეკლე II მაშველ ჯარს ბატონიშვილების მეთაურობით მოელოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა, არც ერთმა მათგანმა ქვეყნის საშველად თითიც არ გაანძრია, განა იმის დამარწმუნებელი არ არის, რომ საქართველოს პოლიტიკური ვითარება მე-18 საუკ. მეორე ნა-

---

[15]) საისტ. და საეტ. საზოგ. ოქმი № 66—პ. გელეიშვილის წიგნი—„ილია ჭავჭავაძე".

[16]) ივ. ჯავახიშვილი. მე-15 საუკ. საქ. ისტორია, 191 გვ.

[17]) ექ. თაყაიშვილი. საქ. სიძველენი, ტ. III, 179 გვ.

[18]) იქვე, 181 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხევარში უკვე კრიზისის ხანაში შევიდა, დიდი ხნით დაწყებული ცენტრის ნგრევა თითქმის მოსრულდა, კუთხობრივი პოლიტიკა გაბატონდა და ამ პოლიტიკის ხელმძღვანელნი—ფეოდალები ბეცნი იყვნენ და თავის ცხვირის იქით ვერაფერს ხედავდენ.

1768 წ. იმერეთში მყოფი რუსის თავადი მურავიოვი სწერს გრაფ პანინს, რომ იმერეთის მეფე სოლომონი დიდად შევიწროებულია, უფლებას მოკლებულია ერთი მხრივ ოსმალების თარეშით, მეორე მხრით—მისივე თავადების თვითნებობით.[19]).

ის გარემოებაც, რომ დიდი ნაბიჯების გადადგმის დროს მეფეები იწვევდენ ფეოდალების თათბირს, მოწმობს მას, რომ მეფე არ იყო იმდენად ძლიერი, რომ ფეოდალებისათვის ებრძანა და მით საქმე მოეგვარებინა. როდესაც ცენტრი ძლიერი იყო და ის საქართველოს ყველა ნაწილს იმორჩილებდა, მაშინ ფეოდალები ცდილობდენ თავიანთ სასარგებლოდ დაესუსტებინათ ცენტრი და მეფის უფლებები შეეკვეცათ. თამარ მეფის დროს დიდგვარიანები გაიფიცენ და მოთხოვნილება წარუდგინეს მეფეს, რომ მას კვლავ წოდებრივი უპირატესობა განეახლებინა და კვლავინდებურად წოდებრივი და ჩამომავლობითი თვისებები პირად თვისებებზე მაღლა დაეყენებინა, რა გზასაც ადგა თამარი მსგავსად მახლანდელ მის წინაპრებისა [20]).

საერთოდ, ფეოდალურ ურთიერთობას არ ეგუება ერთი ძლიერი ცენტრი. ეს წესწყობილება დანაწილებულია და თვითნებობით სულდგმულობს. მეფეს არ შეეძლო ქვეყნის პატრონობა, თუ ფეოდალები მისი მომხრენი არ იქნებოდენ; მტერთან ბრძოლის დროს ფეოდალები თავის ლაშქრით მეფეს უნდა დახმარებოდენ. ამისათვის საჭირო იყო ფეოდალების კეთილდღეობა და ძლიერება. მაგრამ, მეორე მხრით, მათი ძლიერება იწვევდა პირველი ფეოდალის—მეფის უფლებების შეკვეცას და მასთან ბრძოლას შინაგან წესრიგის დამყარების საქმეში.

ასეთი წინააღმდეგობით იყო სავსე ჩვენი ფეოდალური ურთიერთობა. ერთად-ერთი აქედან გამოსავალი იყო ეკონომიურად საქართველოს გაერთიანება, საწარმოო ძალების განვითარება, რის შედეგი იქნებოდა პოლიტიკური გაერთიანება, კარჩაკეტილობის მოსპობა, ცენტრის გაბატონება.

რაკი ეს ვერ მოხდა საქართველოში, მისი მეფეც უმეტესად ფეოდალი იყო, მხოლოდ პირველი, უფრო ძლიერი, ვიდრე სხვა.

ამასთანავე, კერძო-ფეოდალური და საჯარო-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით არ იყო გარკვეული, გამიჯნული და ჩამოყალიბებული; ძნელი გასარჩევი იყო სად თავდებოდა ერთი და სად იწყე-

---

[19]) **Цагарели. Грамоты.** 72 გვ.

[20]) ივ. ჯავახიშვილი. საქ. ისტორია, II ნაწ. 575 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა მეორე. მემამულეთა შორის მეფე მოჩანს უფრო, როგორც მემამულე; მეფე იგივე ბატონი, ფეოდალია. სამოქალაქო დამოკიდებულებაში ის როგორც კერძო პირი მოქმედებს. და არა მარტო კერძო ურთიერთობაში, ისეთ აქტების დროსაც, რომლებსაც სახელმწიფოებრივი ხასიათი ჰქონდა, მეფე უფრო როგორც ფეოდალი, მემამულე ჩანს.

მეფეს აღებული ჰქონდა იჯარით ეკლესიის მიწა ბაღის გასაშენებლად. საიჯარო გადასახადს წლიურად ხუთ მანეთს იხდიდა. რადგან ეკლესია არ იყო კმაყოფილი ამ საიჯარო ფასით, მეფემ 1745 წ. უარი განაცხადა იჯარაზე[21]). მეფე იჯარით სცემს მიწას; მოიჯარადრეს 15 კოდი ხორბალი და 15 კოდი ქერი უნდა გადაეხადა მისთვის[22]). მეფე, როგორც სხვა ფეოდალი, კერძოთ სესხულობს ფულს თავის ქვეშევრდომისაგან მაშინაც კი, როდესაც საჭიროებას, რომლისთვისაც მას ფული სჭირდება, სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვს. მეფე პირადათ აძლევს სესხის ბარათს მსესხებელს და პირადათ თავის თავს სთვლის ვალდებულად მის წინაშე. 1783 წ. მეფე ერეკლე პირადათ სესხულობს ფულს რუსის ჯარის საჭიროებისათვის, რომელიც იმ დროს გამოგზავნილი იყო საქართველოში[23]). ვიღაც მელიქ შაქროს უსესხებია მეფისათვის 4000 მან. და ფულის მაგიერ სთხოვს მეფეს ერთ საცხოვრებელ სახლს ტფილისში. მეფეც ამ საშუალებით ჰფარავს თავის ვალს[24]).

მეფის მიერ დაწესებული გადასახადები უმეტესად აგრეთვე კერძო ხასიათს ატარებენ. „დასტურლამალი" მოგვითხრობს უმთავრესად მეფის, დედოფლის, როგორც მემამულეთ, გამოსაღებზე და მათ მოსამსახურე პირების კმაყოფილებაზე და ძლიერ მკაფიოდ სახელმწიფო გადასახადებზე. მეფე ანთავისუფლებს ამა თუ იმ პირს გადასახადებისაგან და სიგელში სწერს: „არაფერი **საჩვენო** გამოსაკლები და სათხოვარი არა ეთხოვებოდეს რა: არა საბალახო, არა პირის თავი, არა კოდის პური, არა მუშა, არა ქეშიკი, არა საბზევე"[25]).

შემოსავალი გადასახადების, ბაჟის თუ ბეგარის სახით **მეფისაა**, და არა სახელმწიფოს, ხაზინის. მაგ., ცოლიანი ვაჭარი წლიურად 1800 წ. ტფილისში იხდიდა 1 მ. 20 კ., აქედან 1 მ. 5 კ. **მეფის იყო**, 15 კ. მელიქის და მამასახლისის[26]). იულონ ბატონიშვილის გლეხები **მეფის** სა-

---

[21]) **Пурцеладзе. Грамоты**, 12 стр.

[22]) იქვე, 1729 წ. საბუთი.

[23]) იქვე, 1783 წ. საბუთი

[24]) იქვე, 76 გვ.

[25]) ექ. თაყაიშვილი. საქ. სიძვ. ტ. III, 155 გვ.

[26]) **Ак. К. А. К.** т. I, № 159

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარგებლოდ იხდიდენ 180 კოდ პურს, ივანე ბატონიშვილს გლეხები 480, ვახტანგის—900 და ასე სხვა დიდებულნი[27]).

პირველი ფეოდალისათვის საჭირო იყო მომხრეები, რომლებიც ბრძოლის დროს მასთან იქნებოდენ და მშვიდობიანობის დროს მიწა-წყალს მეფესთან ერთად უპატრონებდენ, განაგებდენ. ამ მოსაზრებით ის უნაწილებს ამა თუ იმ თავადს მამულს, მასზე დასახლებულ ყმებით.

სამაგიეროდ თავადი ან აზნაური, რომელიც მეფის ასეთ წყალობას მიიღებდა, ვალდებული იყო ომიანობის დროს მეფის მოწოდებით მის საშველად თავის შეიარაღებული ძალით გამოცხადებულიყო და მასთან ერთად ეომა მტრის წინააღმდეგ, ხოლო მშვიდობიანობის დროს მეფის—მემამულისათვის—უნდა მიერთმია მამულის შემოსავლის განსაზღვრული ნაწილი, საბოსტნო.

მაგ., როსტომ მეფემ 1643 წ. უწყალობა ფარსადან ბარათაშვილს ხუციშვილი და ფირუაშვილი „მათის სამართლიანის მამულითა, დღეს რისაც მქონებელი იყვნენ... საძებრითა და უძებრითა, მთით ბარამდი... სამკვიდროდ და საბოლოოდ". ამასთანავე სიგელში დაძენილია: „გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან **ჩვენსა ერთგულ სამსახურსა შინა"[28]).**

მეფე ერეკლე II უბოძებს მანუჩარ ყორღანაშვილს მისი პაპისეულ მამულს „მთით, ბარით, სახნავით, უხნავით, ვენახით და სასახლით, ქვევრ-მარნით და წისქვილით" საშვილიშვილოდ:„შენთვის და სახლისა შენისა მომავლისათვის გვიბოძებია"-ო. მაგრამ ამასთანავე სიგელში ნათქვამია: „რომ როგორითაც **აზნაურიშვილისაგან სამსახური** ვალი იყოს, შენც იმ სახით და იმ გზით უნდა იყო ჩვენს ერთგულ **სამსახურში"-ო[29]).**

ამ სამსახურის საფუძველზე, როგორც ამას მოწმობს ბევრი სხვა სიგელი სხვადასხვა დროისა, მეფის, მემამულის, „ფეოდის" გამცემის და მის მიმღებ შორის ჩნდება ვასალური ურთიერთობა, რომელსაც, შეიძლება ვსთქვათ, ხელშეკრულების ხასიათი აქვს: ერთი მხარე აძლევს მეორეს მამულს სასარგებლოდ, მეორე—იღებს მას სასარგებლოდ და ვალდებულია მამულის პატრონს (სენიორს) ემსახუროს.

ასეთ პირად დამოკიდებულებას მოწმობს ის გარემოებაც, რომ, მიუხედავათ იმისა, რომ სიგელებში ნათქვამია მიწა-წყლის საშვილიშვილოდ ბოძებაზე,—მაინც საჭირო იყო, როდესაც ახალი მეფე ტახტზე ავიდოდა, მისი წინა მოადგილის მიერ გაცემული სიგელი მას დაემტკიცებინა და მით პირადი დამოკიდებულება ცხად ეყო.

1689 წ. ერეკლე I უახლებს სიგელებს აზნაურებს ყორღანაშვილებს, პაატაშვილებს, მესაბიშვილებს, ფარსადანიშვილებს, ქანდია-

---

[27]) იქვე, № 156.

[28]) ექ. თაყაიშვილი. ტ. III, 143 გვ.

[29]) იქვე, 168 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილებს, გარსევანიშვილებს, ზაალიშვილებს, ავთანდილიშვილს და სხვებს და სწერს: „ძველი სიგელებიც გინახეთ და ადრიდანვე ჩვენი სახასო აზნაურიშვილნი ყოფილიყვენით. გქონდეთ და გიბედნიეროთ ერთგულად სამსახურსა შინა[30]). თავადებს და აზნაურებს მეფე უწყალობებს არა მარტო მამულს და გლეხებს, არამედ აჯილდოვებს მათ ერთგული სამსახურისათვის, თავის გამოჩენისა, გამბედაობისა და მეფისადმი ერთგულებისათვის მით, რომ უწყალობებს მათ ამა თუ იმ შემოსავლის წყაროს, ან ანთავისუფლებს მას გადასახადებისაგან ნაწილობრივ ან სავსებით, აძლევს მათ ერთგვარ „იმუნიტეტს".

მაგ., 1706 წ. ვახტანგ VI ინდო ვაბაშვილის ნათესავთ ანთავისუფლებს, როგორც „ერთგულ და თავდადებით ნამსახურ ყმათ" ყოველგვარ გადასახადებისაგან: „სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს, არა კოდის პური და საკომლო მზე, არა ნახირის თავი, არა ცხვრისა და ღორის საბალახე, არა პირის თავი, შიშლიგი და სამეჯინიბო, არა მუშაობა, ბეგარა, არც მკა-ლეწვა" და სხვა, გარდა „ლაშქართ-ნადირობისა და სათარხნოს საურის მეტი"-ო[31]).

გარდა ამისა, მეფეს, როგორც პირველ და დიდ ფეოდალს—მემამულეს, ჰყავდა თავის მამულში დასახლებული აზნაურები, თავისი გლეხები, რომელნიც ვალდებული იყვნენ მის წინაშე სამსახურით, რისთვისაც მათ მამული ჰქონდათ მიცემული სასარგებლოდ.

მეფის აზნაურები უშუალოდ ემორჩილებოდენ მეფეს, რომელიც მათ აკისრებდა სხვადასხვა დავალებებს: სოფლების მოურავობას, ჯარის ათასეულის და ასეულის ხელმძღვანელობას და სხვა საპატიო და შემოსავლიან სამსახურს. ამგვარად, მეფე—მემამულე. მეფე მამულის მწყალობელი სამსახურისათვის. მეფის თავადი, მამულის მიმღები და მეფის მოსამსახურე; მეფის აზნაური, მეფისაგან მამულით ნაწყალობები სამსახურისათვის. მეფე—პირველი ფეოდალი, მემამულე. ის მეთაურია ფეოდალურ იერარქიაში. და ეს ასეა განსაკუთრებით საქართველოს დანაწილების შემდეგ; ამ დარღვევის, დეზორგანიზაციის ხანაში ის მოჩანს უფრო როგორც ფეოდალი, ვიდრე ხელმწიფე, მეფე.

დ ე დ ო ფ ა ლ ი.

ერთი დიდი ფეოდალი დედოფალიც იყო. მას ცალკე ჰქონდა სოფლები, მამულები, ჰყავდა აზნაურები და გლეხები. თავის სამფლობელოში ისიც მეფე იყო. ისიც უწყალობებდა სიგელებს ეკლესიას, თავადებს, აზნაურებს. მას თავის მოურავები ჰყავდა თავის მამულში. „დასტურლამალი"-ს მეორე ნაწილი „სადედოფლოდ" იწოდება. იქ

---

[30]) ექ. თაყაიშვილი. საქ. სიძველ. ტ. III, გვ. 4.

[31]) იქვე, 150 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღწერილია ის წესები, რომლის მიხედვით დედოფალს ემსახურებოდენ.

მაგ., „შუა ბოლნისის გარიგებისათვის", ე. ი. შუა ბოლნისს რა უნდა გადაეხადა ან რა ბეგარა უნდა შეესრულებინა დედოფლისათვის: „ამ სოფელმა მკას, ლეწოს, აზნაურიშვილის ყმამ სამ დღეს უნდა მკას, ერთ დღეს ლეწოს. აგრეთვე ზვრის მუშაობა, სარი თუ დაბარვა. იმ სოფელმა და აზნაურიშვილმა სამს დღეს ბარვა უშველოს... საშობაო ძროხა 1, ცხვარი3, ერბო ლიტრა სამი, ქათამი 30, კვერცხი 100, საყველიერო ერბო ლიტრა სამი, კვერცხი 1008... საბალახე პირის თავი, ნახირის თავი, ღორის საბალახე, ძმრის ტკბილი... სახლთუხუცესს საშობაოდ ცხვარი ერთი, მდივნებს თითო, სუფრაჯს"...

და კიდევ შემდეგ „ოფრეთის გარიგებისათვის". ოფრეთს: პირის თავი, ნახირის თავი, საბალახე, ღორის საბალახე, ღალა შვიდზედ, გუთნეულის მკა, ლეწვა, ბატონთან ბოლნისის ტკბილის ზიდვა"... „ოსიაურის გარიგებისათვის. ჭალაზე დღიურზედ კოდი ორი, პური და ღვინის ბეგარა; სძეს მალი და საკლავი"[32]).

მაგ., 1593 წ. სვიმონ მეფის მეუღლე დედოფალი ნესტან დარეჯანი უწყალობებს სააკაძეს ჩალის ციხეს მისი მთით, ბარით, წყალით, წისქვილით, სახნავ-სათესით, შესავლით და გამოსავლით. სიგელი თავდება შემდეგი ბრძანებით: „ასე გიბრძანეთ, კარისა ჩვენისა მოსაქმენო და მოხელენო,... თქვენცა ასე გაუთავეთ, რა რიგადაც ამ ჩვენგან ნაწყალობევსა წიგნში ეწეროს". ასე უბრძანებს დედოფალი თავის ხელქვეითებს, რომლებმაც სისრულეში უნდა მოიყვანონ მის ბრძანება მისი მამულის წყალობის შესახებ.

ჩვენამდი მოაღწია ზოგიერთმა ცნობებმა დედოფლის მამულის და შემოსავლის რაოდენობის შესახებ.

დედოფალი დარია, ერეკლე II-ს ცოლი, ჰფლობდა:

473 ქრისტიან გლეხს,

122 თათარ გლეხს,

წლიურად შემოდიოდა: 1672 კოდი პური, ქერი, ღომი,

180 საპალნე ღვინო,

52 ლიტრა აბრეშუმი,

80 ლიტრა ბამბნარი,

5½ საპალნე არაყი,

400 ლიტრა სარაჩინის ღომი,

9.431 მ. 20 კაპ. ფული[33]).

კიდევ უფრო ნათლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დედოფლის საფეოდალოს სიდიდე შემდეგი აღწერილობიდან. 1802 წელს ერეკლე

---

[32]) „დასტურლამალი", გვ. 116, 117 ,121.

[33]) **Акты К. А. К. № 171, I т.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის მეუღლემ, და დედამ გიორგი 12-სა, წარუდგინა ღენ. კნორინგს მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ მისი მეუღლის სიცოცხლეში და აგრეთვე შვილის გიორგის მეფობის დროს მას ეკუთვნოდა შემდეგი სოფლები: კახეთში—სოფ. გავაზა და ჭიქაანი 150 კომ., ველისციხე 38 კომ., ზემო-ხედეშენი 20 კომ., ქ. გორში 24 კომ., ტფილისში 50 კომ. მოქალაქე, სოფ. ციცქა, კალაგორი 55 კომ., ს. ქუჩათინი 50 კომლით, სანავარდო 60 კომლით; ქართლში—სოფ. ახალდაბა, ალი 30 კომ., კეუხი და აჩაბეთი 15 კომ., სოფ. ცხინვალს 30 კომლი აზნაურები და გლეხები, რუისს 6 კომლი, ტფილისში 18 კომ., ავლაბარში 94 კომ., ხასან-გაჯანელი თათრები 15 კომ.; ს. ორფეთი, თერთი, შუაბოლნისი, ხასან გუბეთი და გოგტანი[34]).

ამავე აქტიდან ჩანს, რომ დედოფალს ჰქონდა საღებავი ქარხნები ქიზიყში, ქართლში და ტფილისში, რომელსაც იჯარით სცემდა. მარტო ტფილისის საღებავი ქარხანა 7000—5000 მან. შემოსავალს აძლევდა[35]). მასვე ტფილისის ვაჭრებისაგან შემოსდიოდა წლიურად 500 მან., ბაჟები 800 მან., გორიდან 150 მან.[36]).

დედოფალს თავის ხელისუფალნიც ჰყავდა, რომელნიც მასთან მის სასახლეში მსახურებდენ: სახლთ-უხუცესი,

მანდატურთ უხუცესი,
მოლარეთ უხუცესი,
მწიგნობარნი,
ბეჭდის მცველნი,
ჩუნჩერახი,
მწერალნი,
მხატველ-უხუცესი,
მეპურე და სხვა[37]).

ამგვარად, დედოფალი, როგორც მეფე, უპირველესად ყოვლისა მემამულეა.

ფეოდალურ იერარქიაში ის თითქმის მეფის სწორია.

ბატონიშვილები.

მეფის შვილები, ძმები და სხვა ოჯახის წევრებიც მემამულეები იყვნენ და თავის მამულში პატარა მეფეები. თითოეულ მათგანს, განსაკუთრებით მე-18 საუკ. მიწურულში, მიკუთვნებული ჰქონდა რომელიმე კუთხე და მას განაგებდა. მათი გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ მეფის მიერ გაცემული სიგლები მათ მიერ ხელმოწერილი და

---

34) **Акты К. А. К. № 171, I т.**

35) იქვე, 208 გვ.

36) იქვე, № 186, I ტ.

37) ალ. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში, დამატება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედ დასმული იცემოდა. მეფის ბრძანებას ემორჩილებოდენ იმდენად, რამდენადაც ამას მათი კერძო ინტერესი მოითხოვდა და რამდენად შეგნებული ჰქონდათ დამორჩილების და მთლიანობის აუცილებლობა. თითოეული მათგანი მეფის მორჩილი და მისი სამსახურის შემსრულებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სინამდვილეში განკერძოებით მოქმედებდენ და მით ქვეყანას ჰლუპავდენ. ურთიერთ შორის მხოლოდ მტრობა და ცილობა ჰქონდათ თავის საფეოდალოს გაფართოებისათვის და ტახტისათვის.

მათი მამულიც აზნაურებით და გლეხებით იყო დასახლებული, რომლებიც მამულს ამუშავებდენ და ბატონიშვილებს ემსახურებოდენ.

ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებით (1801 წ.) ზოგიერთი ბატონიშვილი ძლიერ უკმაყოფილო იყო და იმერეთში გადაიხვეწა.ამის გამო მაშინდელმა საქართველოს მართველობამ დაადგინა, რომ მათი **ადგილ-მამული** გადასცემოდა ხაზინას, სანამ გადახვეწილნი არ დაბრუნდებოდენ და თავის ბედს არ შეურიგდებოდენ, რაც მათ ფიცით უნდა დაემტკიცებინათ[1]). 1802 წ. 27 იანვარს კნორინგი აცნობებს დედოფალ დარიას, რომ ბატონიშვილი მირიანს და აგრეთვე სხვა ბატონიშვილებს, რომლებიც რუსათში იმყოფებიან, დაენიშნათ ჯამაგირი 10.000 მან. და ამასთან მათ **მამულები შეენახებათო** . მცირე წლოვან ბატონიშვილისათვის დიორგი მე-12-ეს მიუცია **სამკვიდრებლად**: ბამბაკში 400 კომლი, ბორჩალოში 80 კომ., სარვანში 80 კომ., ფაშანში 20 კომ., უჯარმაში 70 კომ., ძველი გალავანი, შარკრიონი, ტახტის სოფელი, ფიჩხოვანი, დიდი შულავერი, პატარა შულავერი, არუხლო, შილდა[3]).

ეს სოფლები ამა თუ იმ პიროვნებას ნაწყალობები ჰქონდა სამსახურისათვის, ან ზოგს მათგანს განაგებდენ თვით ბატონიშვილები თავისი მოურავების საშუალებით.

ამგვარად, ფეოდალური, სენიორულ-ვასალურ საფუძველზე იყო აგებული ბატონიშვილების მიერ მამულის პატრონობა და მით სხვების მიერ სარგებლობა.

სამეგრელოს და გურიის მთავრებიც მეფის ვასალები იყვნენ. ფორმალურად ისინი იმერეთის მეფეს ემორჩილებოდენ, მაგრამ ფაქტიურად არა თუ დამოუკიდებლად განაგებდენ სამთავროებს, ხშირად ებრძოდენ იმერეთის მეფეს. ისინი სრული ბატონი იყვნენ სამთავროებში და განაგებდენ მათ ისე, როგორც სურდათ, მათ თავისი თავადები და აზნაურები ჰყავდათ.

---

[1]) **Акты К. А. К. № 168, I т.**

[2]) იქვე, № 186, I ტ.

[3]) **А. К. А. К. № 168, I т.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელოს მთავარი „დადიანად“ იწოდებოდა, გურიის—„გურიელად“. არც ერთი და არც მეორე არ იყო გვარი, არამედ თანამდებობა, ხელისუფლება მეფის მიერ დაარსებული[4]).

ამრიგად, ფეოდალური იერარქია თვით მწვერვალში იყო მრავალ-შტოიანი და დაყოფილი, რაც სხვა, ძირითად მიზეზებთან ერთად, ასუსტებდა და ასახიჩრებდა საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზმს.

ჩვენი ერის ისტორია სავსეა მაგალითებით, როდესაც შვილი მამის წინააღმდეგ იბრძვის, ძმა ძმის და სხვა. განსაზღვრულ კონკრეტულ პირობებში ამ ქიშპობას გადამწყვეტი მნიშვნელობაც ჰქონდა. მაგ., გიორგი XII რომ უიმედო ავად იყო, მის მემკვიდრეთა შორის ცხარე ბრძოლა გაჩაღდა მის შესახებ, თუ ვის უნდა რგებოდა გიორგის ტახტი, პირველი ფეოდალობა. ერეკლე II შვილები იულონი,ვახტანგი, მირიანი და ფარნაოზი ებრძოდენ გიორგი XII შვილს, დავითს, ტახტისათვის. ორივე მხარემ მომხრეები იშოვეს თავად-აზნაურობასამღვდელოებაში, მოწოდებით მიჰმართეს მათ, რომელშიაც ასაბუთებდენ უფლებებს მეფის მამულზე და ტახტზე. ფეოდალების ამ დავამ და შინაურმა არევ-დარევამ იმ ხანად ხელი შეუწყო საქართველოს მიერ პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დაკარგვას.

უმაღლესი მოხელენი. ცენტრალური მართველობა.

მეფესთან იმყოფებოდენ უმაღლესი ხელისუფლების პირნი, მოხელენი, მეფის უახლოესი თანამშრომელნი, რომლებიც იმავე დროს დიდი მემამულეები—ფეოდალები იყვნენ. არა თუ მეფეს, ყველა დიდ, შეძლებულ ფეოდალს ჰყავდა თავის სასახლეში ასეთი პირნი, მათ საშუალებით ის განაგებდა თავის საფეოდალოს. მეფის ახლოს დიდი გვარის პირნი და წარჩინებულნი იდგენ. გარდა იმისა, რომ ისინი, როგორც დიდი მემამულეები, ძლიერნი იყვნენ, მეფის კარზე სამსახური, იქ დიდი თანამდებობის აღსრულება უფრო ადიდებდა მათს გავლენას სახელმწიფოში. ისინი ეკუთვნოდენ მმართველ წრეებს და წარმოსდგებოდენ იმ წოდებიდან, რომლის ხელში იყო როგორც ეკონომიური სიძლიერე, ისე პოლიტიკური ძალა-უფლება.

უმაღლესნი იყვნენ „დარბაზის კარს მყოფნი მოხელენი“, ე. ი. სასახლეში მეფესთან მოსამსახურენი, ცენტრიდან სახელმწიფოს, თანახმად მეფის სურვილისა, გამგენი. ასეთი იყვნენ ვაზირები ანუ მინისტრები.

უპირველეს ვაზირად მწიგნობართ-უხუცესი ითვლებოდა. ეს სახელწოდება მე-10-11 საუკ. საბუთებშია მოხსენებული. მწიგნობართ-

---

[4]) ვახუშტის გეოგრაფია, 30 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხუცესად, დავით აღმაშენებლის დროის საბუთებში, მოხსენებულია მღვდელ-მთავარი გიორგი ჭყონდიდელი. იგივე მწიგნობართ-უხუცესი მართლ-მსაჯულიც იყო, უზენაესი მზრუნველი და პოლიტიკის ხელმძღვანელი[1]).

ჭყონდიდელს ასეთი დიდი გავლენა სახელმწიფოს საქმეზე იმიტომ ჰქონდა, რომ ის, როგორც უმაღლესი სასულიერო პირი, მცოდნე, მწიგნობარი იყო, ხოლო დიდ საეკლესიო ადგილებზე დიდებული გვარის პირნი მოდიოდენ,—ასე რომ ორივე მოთხოვნილებას, წოდებრივობას და ცოდნას, ის აკმაყოფილებდა.

ამირ-სპასალარი სახელმწიფოს მხედრობის სარდალი და წინამძღოლი იყო. მისი უახლოესი თანაშემწე ამირახორი და მეჯინიბეთ-უხუცესი იყვნენ. მათ ექვემდებარებოდა ზარდახანა, სადაც ყოველგვარი აბჯარ-იარაღის და სამხედრო ნიშნების და სამკაულის საწყობი იყო.

მანდატურთ-უხუცესი—მეფის გამობრძანების და მგზავრობის დროს წესრიგის დამცველი იყო. მას სხვა ვალდებულებაც ეკისრა, მაგ., ზუარის მუშათა ზედამხედველობა და სხვა. მისი უახლოესი თანამშრომელნი ამირეჯიბი და გამგეთ-უხუცესი იყვნენ[2]).

მეჯინიბეთ-უხუცესი—სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალს განაგებდა, ფინანსთა ვაზირი იყო. მასვე ექვემდებარებოდა ყველა ქალაქის „ამირნი" ანუ თავნი და „ქალაქის მეჭურჭლენი", ვაჭარნი და აღებ-მიცემობა, სავაჭრო გადასახადები და ბაჟი და მეფის ყოველგვარი შემოსავალი და გასავალი.

მეღვინეთ-უხუცესი—ღვინის გადასახადის უმაღლესი მეთვალყურე და გამგე იყო. მონადირეთ უხუცესის და ტყის მცველთა უხუცესის თანამდებობაც არსებობდა მეფის კარზე.

მე-12 საუკ. თამარ მეფემ შემოიღო საქართველოში ათაბაგობა. ეს თანამდებობა მწიგნობართ-უხუცესობაზე მდარე იყო, მაგრამ ამირ-სპასალარობას—კი აღემატებოდა.

ვაზირებათ იხსენიებოდან: ჭყონიდიდელი, ათაბაგი, ამირ-სპასალარი, მეჭურჭლეთ უხუცესი, მანდატურთ-უხუცესი და ამირახორი, როგორც ვაზირის თანაშემწე. ესენი შეადგენდენ ვაზირთა თათბირს[3]).

ასე იყო მაშინ, როდესაც მეფე მეფობდა, ხელმწიფობდა და არ იყო გარეშე მტრის ან თავის მთავრების და დიდებულების—ვასალების სათამაშო და უფლება აყრილი.

---

[1]) ივ. ჯავახიშვილი. სამართლის ისტორია, 114—127 გვ.

[2]) იქვე, 130—164 გვ.

[3]) იქვე, 169—199 გვ. ვახუშტის გეოგრაფია, 21—22 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეშე მტრების ბატონობამ, შინაურმა შუღლმა და საქართველის დანაწილებამ (15-17 საუკ.) ისე დასცა საქართველოს მეფის უფლებები, რომ ის ბევრ საბუთში მეფედაც აღარ იხსენიება, ის უბრალო მმართველი და რწმუნებული იყო სპარსეთის შაჰისა. მე-18 საუკ. საქართველომ რამდენადმე ამოისუნთქა, მაგრამ აღა-მაჰმად ხანის შემოსევამ ბოლო მოუღო ამ მდგომარეობასაც (1795 წ.) და მე-18 საუკ. მიწურულში საქართველოს ცენტრალური და პროვინციალური მართველობაც უნუგეშო სურათს წარმოადგენდა. მეფის შვილები—მთავრები—ბატონიშვილები სახელმწფო საქმეებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ, ყველა მათგანი ფიქრობდა თავის სამთავროს, თავის საფეოდალოს გაფართოვებაზე. ყველა ბევრად თუ ცოტად თვალსაჩინო თანამდებობა მემკვიდრეობით იყო, მიუხედავად იმისა, თუ რა ჭკუის, ცოდნის და გამოცდილების პატრონი იყო დიდი გვარის და წოდების პირი. ამიტომ ბევრი სრულებით არ შეეფერებოდა იმ თანამდებობას, რომელსაც ასრულებდა. სამეფო ან სახაზინო სოფელს მართავდენ მოურავები და ნაცვლები, რომლებიც უფრო გამდიდრებაზე და წაგლეჯაზე ფიქრობდენ, ვიდრე ხალხის კეთილდღეობაზე, რადგან არ იყვნენ დარწმუნებულნი თავის მდგომარეობის სიმტკიცეში. მათ არ იცოდენ, როდის ჩამოაყენებდენ მათ და ვინ—მეფე, დედოფალი, თუ მთავრები. ქართლ-კახეთში სულ 60 მოურავი იყო. ეს თანამდებობა დიდათ შემოსავლიანი იყო და წარჩინებული თავადების გვარებს ჰქონდა მიკუთვნებული, მაგ., ამილახვრებს, ჩოლოყაშვილებს, ჯანდიერებს და სხვ. ყველაფერი ბარათებით წარმოებდა, ბარათებს სცემდა ყველა: მეფე, დედოფალი, მთავრები და სხვა დიდი მოსამსახურე პირები. ბარათები შეიცავდა ბრძანებას, რომელ ვაჭარს რა და რამდენი უნდა მიერთმია, ან ვის რა და რამდენი უნდა ეძღვნა სასახლისათვის პური, ღვინო, თაფლი, ფული და სხვა. განსაზღვრული ჯამაგირი არ არსებობდა, ყველა თანამდებობის პირი შემოსავლით ცხოვრობდა. სამოქალაქო საქმეებს მოქალაქეთა შორის მდივან-ბეგები არჩევდენ, ოთხი ქართლის და ოთხი კახეთის საქმეებს. ისინი ტფილისში ცხოვრობდენ. მებატონე—ფეოდალი თვით განაგებდა თავის სოფლებს, მის ხელში იყო მართველობა და სამართალიც. მეფის შემოსავალ-გასავალს სახლთ-უხუცესი განაგებდა, ერთი სახლთ-უხუცესი ქართლისას, მეორე კახეთისას[4]).

დასავლეთ საქართველოს ცენტრალური მართველობა ასეთსავე სურათს წარმოადგენდა. აქაც თანამდებობები თავად-აზნაურობის გვარებს ჰქონდათ მიჩენილ-მიკუთვნებული.

---

[4]) Акты К. А. К. № 129, 151, т. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლ-კახეთში სარდლობის თანამდებობა მიჩენილი ჰქონდა განსაკუთრებულ გვარებს: თავ. ორბელიანს, ანდრონიკაშვილს, ამილახვარს, ბაგრატიონ-მუხრანსკის, ციციანოვს. ზემო-კახეთის სარდლად ითვლებოდა რუსთქველის მთავარ-ეპისკოპოსი, დიდი გვარის პირი.

იმერეთშიაც ასე იყო, სარდლობა მიჩენილი ჰქონდა სამ გვარს: თავ. წერეთელს, წულუკიძეს და აგიაშვილს.

სახლთ-უხუცესი უნდა ყოფილიყო თავადი წერეთელი, რომელსაც მეფე ირჩევდა და დანიშნავდა; ბოქაულთ-უხუცესი იგივე თავ. წერეთელი; ორი მდივან-ბეგი—ჩიჯავაძე და წულუკიძე მეფის ამორჩევით და დანიშვნით; ორი მოლარეთ-უხუცესი წერეთელი მემკვიდრეობით; მეღვინეთ-უხუცესი-- იოსელიანი მემკვიდრეობით; ხაბაზთ-უხუცესი—ნიჟარაძე მემკვიდრეობით; მესტუმრეთ-უხუცესი—აზნ. მდივნებიდან; ხევის თავი ორი—წულუკიძე და ბარათაშვილი დანიშვნით; ფარეშთ უხუცესი—აზნ. აბაშიძე; ქაშიკთ (ყარაულების) უხუცესი—თავ. აგიაშვილი; მეჯინიბეთ უხუცესი—აზ. საყვარელიძე; ბაზიერთ-უხუცესი—აზ. კროჭი და ტყავაძე.

სოფლის მოურავობაც გვარეულობას ჰქონდა მიკუთვნებული. მაგ.,

კვახჭირის	მოურაობა	—აზ. აბაშიძეს,
მუხურის	„	—აზ. საყვარელიძეს,
ვარციხის	„	—თავ. წერეთელს,
საზანოს	„	—თ. ავალიშვილს,
სიმონეთის	„	—აზ. კლდიაშვილს,
კაცხის	„	—აბაშიძეს,

მინდის და ხიდის-კარის	თ. ივანე ლეონიძეს,
ღების და გლოლის	აზ. ჯაფარიძეს
ჭიორას	აზ. ბეჟან ჯაფარიძეს,
ჭკვიშის	გიორგი გელოვანს,
ლოსიათხევში	აზ. მაჭავარიანს
ფარცხანაყანევში . .	თავ. ნიჟარაძეს და სხვა და სხვა[5])

ამრიგად, ყველა თანამდებობა გვარზე იყო დამოკიდებული, გვარი-კი მამულზე.

ჯილდო ამ მოხელეების-ფეოდალებისა, გარდა დიდი ადგილ-მამულისა, რომელიც მათ სამსახურისათვის ნაწყალობევი ჰქონდათ, იყო სხვადასხვა მათ თანამდებობასთან დაკავშირებული შემოსავალი. „დასტურლამალ"-ში აღნიშნულია „ვეზირთა სარგოსათვის" ყოველ წელიწადს თხუთმეტი მინალთუნი; ტყავის ბაჟიდან თხუთმეტი

---

[5]) **Ак. К. А. К. IV т. 255 стр.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მეოთხედი; აგრეთვე ყაფნის იჯარიდან; აგრეთვე კარის აბანოდან; აგრეთვე თამბაქოს იჯარიდან; ყასაბხანადან ქონი ლიტრა ასი"[6]).

ჩვენ გვაქვს ცნობები, თუ რას იღებდა სახლთ-უხუცესი მე-18 საუკ. მიწურულში. აქედან რამდენიმეთ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ კარის მოხელეთა შემოსავლის რაოდენობა.

ერეკლე II ქალიშვილი ეკატერინე იყო მეუღლე გიორგი ჩოლოყაშვილისა, რომელიც მეფის კარზე სახლთ-უხუცესის თანამდებობას ასრულებდა. მისი ჩვენებით მეფის სასარგებლოდ კახეთში თითო კომლი სამ კოდს ხორბალს იხდიდა, რაც 18,000 კოდს შეადგენდა, აქედან სახლთ-უხუცესს $^1/_{10}$ ეკუთვნოდა. საგარეჯო და მარტყოფიდან სახლთ-უხუცესს ერგებოდა 65 კოდი, ამდენივე მის მეუღლეს; ქიზიყიდან—100 კოდი, ამდენივე მის მეუღლეს; მასვე ღვინო 10 საპალნე, მეუღლეს ამდენივე; თუშები და ხევსურები მისვე სასარგებლოდ საძოვრისათვის 40 სულ ცხვარს იხდიდენ, ფულად 200 მან. სახლთ-უხუცესს უხდიდენ და ამდენსავე მის მეუღლეს; მასვე ღვინის საიჯარო შემოსავლისაგან 100 მან., თამბაქოს საიჯარო შემოსავლისაგან 35 მან. ყველით, კარაქით, სახორცე ძროხით, მოგზაურობის დროს ცხენებით დაკმაყოფილება კახეთის შეჯოგეებს ჰქონდათ დავალებული. გარდა ამისა, სახლთ-ეხუცესს ეძლეოდა ჯამაგირი 180 მ. და დღიური ულუფა; ჯარიმის შემოსავლიდან $^1/_{10}$; ლეკების ჩამოტანილ საქონელის შემოსავლიდან $^1/_5$ მეფის იყო, აქედან $^1/_{10}$ სახლთ-უხუცესის. როდესაც მეფე კახეთში მოგზაურობდა, მის სამასპინძლოდ იკრიბებოდა ღვინო, პური და საკლავი. აქედან $^1/_{10}$ სახლთ-უხუცესს ეკუთვნოდა[7]).

მსგავსი კმაყოფილება სამსახურისათვის, გარდა აზნაურებითა და გლეხებით დასახლებულ დიდძალი ადგილ-მამულისა, ენიშნებოდა სხვა დიდ ხელისუფლების პირთაც.

ამრიგად, დიდი მოხელეობა გვარზე იყო დამოკიდებული, გვარი მამულზე. თანამდებობა თუ მემკვიდრეობითი არ იყო რომელიმე ოჯახისა, გვარზე მაინც იყო მიკუთვნებული. პირად ნიჭს და ღირსებას გასავალი არ ჰქონდა.

თ ა ვ ა დ ე ბ ი.

დედოფალი და ბატონიშვილები—მთავრები იყვნენ მეფის, პირველი ფეოდალის, ოჯახის წევრები და ამიტომ ისინი დიდი მამულისა და გლეხების მფლობელნიც იყვნენ. მათ და მეფეს შორის დამოკიდებულებას უფრო ოჯახური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე ვასალური.

---

[6]) „დასტურლამალი", 32 გვ.

[7]) **Акты К. А К. № 172, I т.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ფეოდალის ნამდვილი ხელქვეითნი, ვასალები, როგორც ევროპაში უწოდებდენ, იყვნენ თავადები და მათ შემდეგ—აზნაურები. მეფეს და მათ შორის ვასალური დამოკიდებულების საფუძველი იყო მამული გლეხებით, რომელსაც თავადნი წყალობის სახით იღებდენ მეფისაგან. მამულის რაოდენობაზე, გლეხების რიცხვზე და მამულის მოწყობილობაზე იყო დამოკიდებული თავადების ძლიერება და გავლენა. მამულის სიდიდე განსაზღვრავდა მათ პოლიტიკურ და სამოქალაქო-პროცესუალურ უფლებებსაც. ვისაც მამული ჰქონდა, ის კაციც იყო, გვარიც ჰქონდა და მას ანგარიშსაც უწევდენ. თუ მამული შემცირდებოდა გაყოფით, ან სხვა რაიმე მიზეზით, უფლებაც, გავლენაც და გვარიც მცირდებოდა. თუ მამული გაფართოვდებოდა ან მზითვით ან სხვა საშუალებით, გვარიც, გავლენაც და უფლებებიც იზრდებოდა. გვარისშვილობა მამულზე იყო დამოკიდებული, წოდებრივობა მამულიდან, ქონებიდან გამომდინარეობდა. გვარიანს მეფის კარისკენაც გზა გახსნილი ჰქონდა, უგვარო დიდი ნიჭით, დიდი ცოდნით და მოქნილობით უნდა ყოფილიყო დაჯილდოვებული, რომ ყურადღება მიეპყრო და დიდგვარიანების მეტოქეობისათვის გაეძლო.

ჩვენს სახელმწიფო ცხოვრებაში იყო მომენტები, როდესაც მართველები ადამიანის პირად ღირსებას, ნიჭსა და ცოდნას უფრო მაღლა აყენებდენ, ვიდრე გვარიანობას, მამულიანობას, მაგ. დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის ხანა. ამ დროს სახელმწიფო გეზი პირადი ღირსებისაკენ გადიხარა, მაგრამ, მიუხედავათ ზოგიერთ ხვეულებისა, ჩვენი ისტორიის სოციალურ-პოლიტიკური მიმართულება საერთოდ მაინც მამულიანობას, დიდგვარიანობას, ჩამომავლობას და წოდებრივობას ემყარებოდა. დავით აღმაშენებელმა რუის-ურბნისის კრება მოიწვია, რომელსაც დაესწრენ კათალიკოზი, მოძღვარნი, მეცნიერნი და „ერი მრავალი“ იმ მიზნით, რომ ეკლესიაში მოესპო წოდებრივი უპირატესობა და ეკლესიის მართვა-გამგებლობა პირადი ღირსების მიხედვით მოეწყო. თამარ მეფის დროს გაფიცვასაც-კი ჰქონდა ადგილი დიდგვარიანების მხრით იმ დიდი მოხელეების წინააღმდეგ, რომლებიც დიდგვარიანები არ იყვნენ, მეფის კარზე-კი დიდი თანამდებობები ეჭირათ. გაფიცულნი მოითხოვდენ ამირ-სპასალარის და მანდატურთ-უხუცესის ყუბასარის და მსახურთ-უხუცესის აფრიდონის გადაყენებას, რადგან პირველი უგვარო ნაყივჩალარი იყო, ხოლო მეორე—„აზნაურის ყმობაში“ ნამყოფი. ეს გაფიცვა იმდენად ძლიერი იყო და მოთხოვნილება ულტიმატური, რომ დიდგვარიანებმა გაიმარჯვეს[1]).

---

[1]) ივ. ჯავახიშვილი, საქარ. ისტორია. ტ. II, 530—533, 575—577 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ საუკუნეებში, რუსეთთან შეერთებამდის (1801 წ.) და მის შემდეგაც, ფეოდალურ წესწყობილების საფუძვლების შერყევამდის (1864 წ.), დიდგვარიანობას, წოდებრივობას, მამულიანობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ერის ცხოვრებაში, რასაკვირველია, არა ერთგვარი ყველა ხანაში.

მე-18 საუკ. დასაწყისის ვახტანგის სამართალი სავსებით წოდებრივობაზეა აგებული. ვისაც დიდი მამული აქვს, ის დიდი წოდებისაა; ვინც დიდი წოდებისაა, მისი სისხლიც მეტი ღირს, მას სამართალი განსაკუთრებით იცავს. ვახტანგის სამართალი ავალებს მსაჯულთ, კარგად გაშინჯონ, დაუკვირდენ: ვინ რა ქონებისაა, რა მამულისაა, რამდენად ახლო დგას ტახტთან, და ისე გასაჯონ[2]). პროცესშიაც თავის მართლების და ბრალის დადების მხრით და სამოქალაქო უფლებების დაცვაში უპირატესობა და შეღავათი წოდებრივობას ჰქონდა.

უმაღლესი წოდების ზედაფენები დიდებულნი იყვნენ. „დიდებულნი", წარჩინებულნი იმ თავადებს ეწოდებოდა, რომლებსაც თავის საფეოდალოში ჰქონდათ ციხე-ქალაქი და მათი ადგილ-მამული შეიცავდა საგრძნობ დასახლებულ ადგილებს, მთელ კუთხეს[3]). ამათ ვახტანგის სამართალი „დიდებულებათ" იხსენიებს, ვახუშტი „წარჩინებულებად". მათი პირველობა დამოკიდებული იყო მამულის განუყოფლობაზე. თუ მამულს ოჯახის წევრები დაიყოფდენ, დაინაწილებდენ, მათი გვარიც მცირდებოდა. როდესაც მამული ოჯახს ან გვარს ერთად ჰქონდა, მისი წევრები ერთ შეკავშირებულ ძალას წარმოადგენდენ, და უფროსი წევრი ამ გვარისა დიდებული, წარჩინებული იყო.

ასეთები იყვნენ: „გაუყრელი ერთი თავი თითონ არაგვის ერისთავი, გაუყრელი ერისთავი თითონ, ქსნის ერისთავი, გაუყრელი ერთი თავი თითონ ამილახვარი, გაუყრელი ერთი თავი თითონ ორბელიშვილი, როცა გაუყრელი ყოფილა ციციშვილი. ამთთან სომხეთის მელიქიც ითქმის"[4]). ვახუშტი შემდეგ წარჩინებულთ იხსენიებს: „მთავართა შორის აწინდელთა ჟამთა უწარჩინებულესი და შეძლებულნი ესენი იყვნენ და გაუყრელი სახლი აქუდათ. პირველი, მუხრანის-ბატონი, არაგვის ერისთავი, ქსანის ერისთავი, ამილახვარი და ყაფლანიშვილი. ზემო ციციშვილი, ოდეს გაუყრელი იყოს, და სომხეთის მელიქი[5]). დიდებულნი წარჩინებულნი იმავე დროს დიდი ხელისუფლებით აღჭურვილნი პირნი იყვნენ.

ვახტანგის სამართალი თავადებს სამ კატეგორიად ჰყოფს: დიდებულნი, საშუალო და მესამე ხარისხის[6]). მათი სისხლიც სხვადა-

[2]) ვახტ. დებულება, 23 მ.
[3]) **С. Авалиани. Крест. вопрос в Закав., 55 стр.**
[4]) ვახტანგის დებულება, 35 მ.
[5]) ვახუშტის გეოგრაფია, 45—46 გვ.
[6]) ვახტ. დებულება, 26—28 მუხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვაგვარად ფასობდა და მათი გავლენაც, ალბად, სხვადასხვაგვარი იყო. მაშინ, როდესაც დიდებულის სისხლი 15.360 მ. ღირდა, მესამე ხარისხის თავადის 3.840 მ., საშუალოს 7.680 მ. ეს პრინციპი დაცული იყო ყველა დანაშაულის და დაზარალების დროს.

ვახუშტი (მე-18 საუკ. მეორე ნახევარ.) თავადობის ასე დანაწილებას ხარისხებად არ იხსენიებს, მაგრამ, ცხადია, ყველა თავადი ერთნაირი არ იყო, ზოგი დიდმამულიანი, დიდი თავადი იყო, მცირემამულიანი—სუსტი,—ყველაფერი დამოკიდებული იყო, ვინ რამდენ მამულს ჰფლობდა და განაგებდა.

ძველი გვარებიდან ვახუშტი შემდეგთ იხსენიებს: ქობულიძე, დონაური, მარუშაძე, კახაბერიძე, ორბელიანი, გამრეკელი, ჯაყელი, ჩოლოყაშვილი, შარვაშიძე, ჯავახიშვილი და სხვა. კახეთში ხორნაბუჯის ერისთავს, მაჭის ერისთავს და სხვა. იმერეთში ბელიელს, დადიანს და სხვა. იქვე აღნიშნავს, რომ დადიანობა გვარი კი არ ყოფილა, არამედ თანამდებობა სასახლეში, „ხოლო შემდგომად მეფისა თამარისა, იქნეს ოდიშს დადიანად და იყვნეს ერისთავად, ვითარცა ცოტნე დადიანი, და არა გვარი მისი საჩინო არს[7]). ვახუშტი აწინდელ, მის თანამედროვე, გვარებსაც იხსენიებს: ბარათაშვილს, ყაფლანიშვილს, აბაშიძეს, ორბელიანს, სააკაძეს, ჩხეიძეს, მაჩაბელს და სხვა. ამასთანავე აღნიშნავს, ვინ რისი მფლობელია: „ბარათაშვილი, რომელთა უპყვრია გაჩიანისა და გარდაბანისა საერისთაო, ტფილისის სამხრეთით[8]). საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, 1819 წელს აღიძრა საკითხი თავადების ხარისხების შესახებ და სპეციალურმა კომისიამ, საბუთების შეკრებით და მცოდნე პირების დაკითხვით, გამოარკვია, რომ ტრაქტატში, რომელიც დაიდვა ერეკლე II და რუსეთის იმპერ. ეკატერინე II შორის (1783 წ.), ერეკლე იხსენიებს ექვს დიდებულთ, ანუ პირველი ხარისხის თავადებს: 1) ქსანის ერისთავი, 2) არაგვის ერისთავი, 3) ამილახვარი, 4) ორბელიანი, 5) ციციანოვი და 6) სომხითის მელიქი. მათი შვილები, ძმები და ნათესავები ეკუთვნოდენ მეორე ხარისხის თავადებს. ამავე კომისიამ გამოარკვია, რომ თუ დიდებულის ოჯახი გაიყოფოდა, მაშინ დიდებული, პირველი ხარისხის თავადი, გადაირიცხებოდა მეორე ხარისხში, ხოლო მისი შვილები, ძმები და ნათესავები მესამეში. მესამე ხარისხის იყვნენ ორმოცდაათი გვარის თავადები, რომლებიც ტრაქტატშია ჩამოთვლილი[9]).

მეფის მიერ ნაწყალობევი მამული და გლეხები, რომლის მფლობელი იყვნენ თავადები, მემკვიდრეობით გადადიოდა მათ ჩამომავ-

---

[7]) ვახუშტის გეოგრაფია, 31—32 გვ.

[8]) იქვე, 40—41 გვ.

[9]) **Акты К. А. К. VI т. I ч. 115—128** გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობაზე. ამას ბევრი სიგელი ადასტურებს. მაგრამ სიგელების განახლება მაინც საჭირო იყო, როდესაც მეფე („სიუზერენი") გადაიცვლებოდა, ან ტახტს დაჰკარგავდა და სხვა დაიჭერდა. მამული მათ სამსახურისათვის ეძლეოდათ და მეფესთან—პირველ ფეოდალთან—თავადთ პიროვნული დამოკიდებულება ჰქონდათ.

თავადნი მეფის, პირველი ფეოდალის, ხელქვეითნი, მოსამსახურენი, ევროპის ფეოდალიზმის თერმინოლოგიით „ვასალები" იყვნენ. მაგრამ იმავე დროს თვით მათ ჰყავდათ ხელქვეითები „ვასალები" და თვით მათი ბატონები („სენიორები") იყვნენ.

ზევით თავადს ბატონი ჰყავდა—მეფე, ხოლო ქვევით თვით მას ჰყავდა ხელქვეითნი. თავადები ვალდებული იყვნენ სამსახურით მეფის წინაშე, ხოლო თავადების წინაშე ასეთ მოვალეობას აზნაურები ასრულებდენ.

ეკლესია—ფეოდალი.

საქართველოს ეკლესია ერთი ძლიერი ფეოდალთაგანი იყო. მის ხელში იყო დაგროვილი დიდი მიწა-წყალი. მეფე, დედოფალი, ბატონიშვილები, თავადები, უმაღლესი მოხელენი, აზნაურნი და ყველა, ვისაც კი ჰქონდა უფლება ჩუქებისა, წყალობისა, თავის ვალდებულებად სთვლიდა სულის საცხოვნებლად შეეწირა ამა თუ იმ მონასტრისათვის, კათედრისათვის, ან ეკლესიისათვის მამული, გლეხები და სხვა.

სწირავდენ ეკლესიას არა თუ მამულს გლეხებით, ხშირად მეფე უწყალობებდა მას შემოსავლის რომელიმე წყაროსაც, ან ათავისუფლებდა მის გლეხებს სახელმწიფო გადასახადებისაგან და ანიჭებდა მას ერთგვარ შეუვალობას—„იმუნიტეტს".

წყალობის სიგელებში მოხსენიებულია, რომ სამაგიეროდ ეკლესია ლოცულობდა შემწირველთა სულის მოსახსენებლად და აღაპს უხდიდა მათ. გარდა ამისა, ეკლესიას დავალებული ჰქონდა ომიანობის დროს მონაწილეობის მიღება და მეფის სასარგებლოდ გადასახადების აკრება თავის გლეხებისაგან. მაგ., ალექსანდრე მეფე (1412 წ.) სწირავს მცხეთის ეკლესიას ატენის გლეხებს თბილელიძეებს მათი შვილი და მომავალით, მამულით, მთით, ბარით, წყლით, წისქვილით, ველით, ვენახით, ჭალით, სათიბით, ტყით, სანადიროთ, შესავლით და გამოსავლით, საძებნით და უძებნით, მკვიდრად და შეუვალად და იმავე დროს ამ გლეხებს ათავისუფლებს სამეფო ანუ სახელმწიფო გადასახადებისაგან[1]). ხიმშა ამილახორი სწირავს იმავე მცხეთის ეკლესიას გლეხებს ყოველივე მათი მამულით[2]). და სხვა მრავალი საეკ-

---

[1]) ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები, II ტ. 9 გვ.

[2]) იქვე, 3—4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლესიო გუჯარი სავსეა ასეთი ცნობებით[3]). 1393 წ. ქართლის მეფე უწყალობებს ეკლესიას სოფლებს შინდისს, წაკისს, დაკონს, ავლაბარში ვაჭრებისაგან შემოსავალს, დიღომში მამულს და ბაღს, ლისაში 5 გლეხს, ორალეთში ბერეთს და პატარა ბერეთს, ახტალაში შვიდ სომეხს მათი ოჯახობით... ბელაქანში მოვაჭრე სომხებს და ებრაელებს და სხვადასხვა ურიცხვ მამულებს და შემოსავლის წყაროებს, რომელიც სამ ვეებერთელა დაბახზეა დასტამბული[4]). მე-15 ს. მეფე ათავისუფლებს ეკლესიას მალის (სათათროს) გადასახადისაგან. ამავე საუკუნეში საეკლესიო გლეხები მისივე ბრძანებით თავისუფლდებიან ყოველგვარ გადასახადისაგან: „სრულათ არ ეთხოვებოდეს არა ულუფა, არა გუთნის თავი და არა სათხოვარი, არა სამეჯინიბო, არა სამუშაო, არა ზროხის საკლავი, არა გოჭი, ქათამი და არა საყველიერო და არა სათხოვარი"-ო. სიონის გლეხებს მეფე ათავისუფლებს ღალისაგან, მცხეთის გლეხებს შემოდგომის ბეგარისაგან: „არა ულაყი (ვირი), არა ულამი (ურემი ხარებით), არა საპალნე და ტიკი". ქვათახევის საეკლესიო გლეხები თავისუფლდებიან სხვადასხვა გადასახადებისაგან მეფის სასარგებლოდ: „არა მალი, საჯინიბე, არა სასუქი, არა ულუფა" და სხვა[5]).

საეკლესიო გლეხებს მეფე იმიტომ ათავისუფლებდა გადასახადბეგარისაგან, რომ გლეხების დოვლათით სავსებით ეკლესიას ესარგებლა. გლეხისათვის სულ ერთი იყო, ვის გადაუხდიდა გადასახადს და ბეგარას. ამ წყალობის დროს მეფეს და სხვა მწყალობელთ მხედველობაში ჰქონდათ ეკლესიის ინტერესები და არა გლეხობის კეთილდღეობა. ეკლესია იმიტომაც ლოცულობდა მეფისათვის, იმიტომ უხდიდა მას და სხვა მწყალობელთ აღაპს, რომ საეკლესიო გლეხების გადასახად-ბეგარისაგან განთავისუფლება არსებითად საშუალებას აძლევდა ეკლესიას გადასახადები მას წაეღო და ბეგარა მას მოეთხოვა.

მეფეები, დედოფლები, ბატონიშვილები და სხვები უწყალობებდენ მამულს არა მარტო საქართველოს ეკლესიას, უცხო მართლმადიდებელ ეკლესიასაც, რომელთანაც კავშირი ჰქონდა საქართველოს ეკლესიას. ასეთი იყო ანტიოქიის ეკლესია. შემდეგ ამ გარემოებამ გამოიწვია ის მოვლენა, რომ ანტიოქიის პატრიარქი წინააღმდეგი იყო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის—ავტო-კეფალიის იმ შიშით, რომ საქართველოში ის დაჰკარგავდა ნაწყალობევ მამულებს[6]).

---

[3]) ს. კაკაბაძე. ისტორ. საბუთები; ექ. თაყაიშვილი. საქარ. სიძველენი; ალ. ხახანაშვილი. საეკლ. გუჯრები და სხვა.

[4]) **Акты К. А. К.** I т. 14 გვ.

[5]) იქვე, 7—9 გვ.

[6]) **К. Цинцадзе. Историч. справка по вопросу об автокефалии груз. церкви.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწყალობევი მამულები და გლეხები ეკლესიის განკარგულებაში გადადიოდა, მაგრამ ეკლესიას არ ჰქონდა უფლება გაეთავისუფლებიან ყმურ მდგომარეობიდან მეფის მიერ მიცემული ყმები მის ნებადაურთველად[1]).

რაკი ეკლესია დიდი მემამულე იყო, ცხადია, რომ ამ ორგანიზაციას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა სახელმწიფოს ცხოვრებაში.

ეს ასეც იყო. ეკლესიის გავლენას აძლიერებდა ის გარემოება, რომ ეკლესიის მეთაური დიდი გვარის იყო, ის ან მეფის ოჯახის წევრი იყო, მისი მონათესავე, ან დიდ თავადთაგანი. სხვა დიდი ხარისხებიც მთავარ-ეპისკოპოსის, ეპისკოპოსის და სხვა იმავე წარჩინებულ წოდებას ეჭირა. აქაც კაცი ფასდებოდა არა ცოდნით, ჭკუით და ღვთის-მოსავობით, არამედ მამულით და გვარით. ამ გარემოებას დიდი უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიისათვის. ასეთი წესის წინააღმდეგ იბრძოდა მე-11 საუკ. პირველი ნახევრის გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი. რუის ურბნისის საეკლესიო კრებაც, დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეული, ამ წესს ებრძოდა, რომ უღირსი ეპისკოპოსები „მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით“ გადაეყენებინა. დროებით ამ წესმა გაიმარჯვა, მაგრამ დიდმამულიანობა და დიდგვარიანობა მაინც შერჩა საეკლესიო ორგანიზაციას.

თუ ამ მატერიალურ საფუძველს მივუმატებთ სასულიერო პირების სარწმუნოებრივ გავლენას, მათ ღვთის მოციქულობას, რისი რწმენა იმ ხანად ხალხში ურყევი იყო, ცხადია, რომ კათალიკოსი მეფის ტოლი პიროვნება იყო, და ეკლესიის სხვა უმაღლეს თანამდებობის პირთაც, მამულის და თანამდებობის მიხედვით, ფეოდალურ იერარქიაში სათანადო ადგილი ეჭირათ.

ვახტანგის სამართალი ყველა წოდების სისხლს უწესებს განსაზღვრულ ფასს, მაგრამ არ აფასებს მეფისა და კათალიკოსის სისხლს, როგორც დაუფასებელს[2]). სხვა თანამდებობის პირნი: მთავარ-ეპისკოპოსი მიტროპოლიტი, არქიმანდრიტი, წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი, მღვდელი და არხიდიაკონი ამა თუ იმ ფეოდალურ კიბეზე მდგომ პირებს ედრებოდა.

მთავარ-ეპისკოპოსი უდრიდა დიდებულს, პირველი ხარისხის თავადს (დიდებულთ), ერთის და მეორეს სისხლის დასაურავი სამართალით განსაზღვრული იყო 15.360 მან. ეპისკოპოსი უდრიდა დიდებულის ნათესავს; არქიმანდრიტი—მეორე ხარისხის (საშუალო) თავადს; წინამძღვარი—პირველ ხარისხის აზნაურს; მღვდელ მონა-

[1]) Акты К. А. К. I т. № 39.

[2]) ვახტ. დებულება, 33 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზონი—მეორე ხარისხის (საშუალო) აზნაურს; მღვდელი—მესამე ხარისხის აზნაურს; არქიდიაკონი—მსახურს. თითოეულ მათგანს, თანამდებობის მიხედვით, მიკუთვნებული ჰქონდა მამული სასარგებლოდ. უკანასკნელი ორი თანამდებობის პირნი—მღვდელი და დიაკონი—არ შეიძლება მირიცხულ იქნენ ფეოდალურ იერარქიას, რადგან ისინი ყმურ მდგომარეობაში იმყოფებოდენ და გლეხისაგან არაფრით განირჩეოდენ.

სასულიერო ფეოდალები ისე, როგორც საერონი, აწერდენ თავის საფეოდალო სოფლებს გამოსაღებს და ბეგარას, ფლობდენ სოფლებს და გლეხებს ისე, როგორც თავად-აზნაურობა, მათაც ჰყავდათ თავისი აზნაურები და გლეხები.

მაგ., აფხაზეთის კათალიკოსის მალაქიას ბრძანებით, მე-17 საუკ. პირველ ნახევარში, ცაიშის სოფლებს ეწერება გადასახადი, ამის შესახებ დგება დავთარი, რომელშიაც ჩამოთვლილია, თუ ვინ რამდენი უნდა გადაიხადოს ცაიშის ეკლესიის სასარგებლოდ. მაგ., „მართებს ხახუბიას ბუკიას 1 საკლავი, 1 ქათამი, 4 ლიჯი ღომი, 4 კოკა ღვინო და 1 გომეჭკუმური კარგი საჭმელი მისის ღომითა, ხორცითა და სამხრითა მისის ყოვლისფერითა“[1]). სასულიერო პირებს შორის, გარდა იერარქიულ დამოკიდებულებისა, იყო ფეოდალურ-ვასალური დამოკიდებულება იმდენად, რამდენად ერთს ეძლეოდა მამული გლეხებით საბატონოდ და საპატრონოდ და რამდენად მიმღები ვალდებული იყო მწყალობელის-ბატონის წინაშე ფისკალურ და სამხედრო სამსახურით.

ეკლესია და მისი წარმომადგენელნი საეკლესიო მამულებს გლეხებით განაგებდენ თავიანთი ხელქვეითების,—მოურავებისა და ნაცვლების საშუალებით. მაგ., ანტონ I კათალიკოსი 1780 წ. აძლევს სიგელს აზნ. თაზიშვილს, უწყალობებს მას გავერანებულ სოფლის მოურავობას, რომელიც მას უნდა გაეშენებინა და შემდეგ ეპატრონებინა. ამასთანავე კათალიკოსი დასძენს: „გქონდესთ და გიბედნიეროსთ ღმერთმან ჩვენი ეკლესიისა და ჩვენსა ერთგულებასა შინა“.

საეკლესიო გლეხების ბატონ-პატრონი და მოსამართლე ეკლესია იყო: „ეკკლესიის საქმე ყმისა და მამულისა“ ეპისკოპოსის ხელში იყო.

ამგვარად, ეკლესია ფეოდალურ სისტემაში სახელმწიფოს სახელმწიფოში წარმოადგენდა, თავის სამფლობელოში ის თითქმის დამოუკიდებელი იყო. თვით მეფეც ვერ ერეოდა საეკლესიო მამულების მართვა-გამგეობაში. ერეკლე II სწერდა გუჯარლებს 1789 წ.: „არა თუ წართმევა, ვერც კი შემიძლია შევეხო საეკლესიო მიწებსა“-ო.

---

[1]) ს. კაკაბაძე. საცაიშო გამოსავალის დავთარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი XII, ერეკლეს მემკვიდრე, აშკარად აცხადებდა: „მე ეკლესიასთან ბრძოლა არ შემიძლიაო“[1]), მაგრამ მეფეს ზოგიერთ საკითხებში მაინც ეკუთვნოდა უმაღლესი ზედამხედველობა და მეთვალყურეობა. მაგ., მეფის ნებადაურთველად ეკლესიას არ შეეძლო გაეთავისუფლებინა ყმურ მდგომარეობისაგან ის გლეხი, რომელიც მას ნაწყალობევი მეფის მიერ ჰქონდა. საჭირო შემთხვევებში მეფე აცნობებდა ხოლმე კათალიკოსს, რომ ესა თუ ის განკარგულება, რომელიც სახელმწიფოსაც ეხებოდა, არ გაცემულიყო მის დაუკითხავად[2]).

ამასთან ერთად მეფე ყოველთვის ზრუნავდა ეკლესიის მატერიალურ უზრუნველყოფისათვის, როდესაც თვით მეფე მეფობდა და გარეშე და შინაური მდგომარეობა ხელს უწყობდა.

მიუხედავად ეკლესიის ასეთ სიძლიერისა, ეკლესია არ ებრძოდა მეფეს ხელისუფლებისათვის. მათ განაწილებული ჰქონდათ სამოქმედო ასპარეზი და ხშირად დიდ საქმეებში ერთად თათბირობდენ და საერთო გადაწყვეტილება გამოჰქონდათ. მაგ., გიორგი V ბრწყინვალის საკანონმდებლო აქტის „ძეგლის დება“-ს შედგენაში და ვახტანგ **VI** საკანონმდებლო მუშაობაში სამღვდელოების წარმომადგენელნიც იღებდენ მონაწილეობას.

დიდ ეროვნული განსაცდელის დროს, როდესაც მე-15 საუკ. მთლიანი საქართველო დანაწილებისაკენ მიექანებოდა და ბრძოლა წარმოებდა მთლიანობისა და დანაწილების გარშემო, ეკლესია მომხრე იყო პოლიტიკური მთლიანობის, ცენტრის გაძლიერების, ის მხარს უჭერდა მეფეს ფეოდალებთან ბრძოლაში[3]).

ომიანობის დროს ეკლესიაც ისე იღებდა მონაწილეობას ქვეყნის დაცვაში, როგორც სხვა ყველა ფეოდალი, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა სამხედრო სამსახური. 1710 წ. მეფე ამტკიცებს და აქვეყნებს წესს ლაშქრის მობილიზაციისას და აქ ეკლესიის წარმომადგენელნიც ისევე არიან მოხსენებული, როგორც საერო პირნი: „ამიერიდან ვაუწყოთ ძირთა და მოდგმათა თავადთა, აზნაურთა, ეპისკოპოსთა, წინამძღვართა და გლეხთათვის, თუ რამდენი ფუძენი და თავადთა ძენი მიუბოძებიან დროშასა ქვეშე“ და შემდეგ ჩამოთვლილია რომელი სოფლები, რამდენი და ვის ხელმძღვანელობით უნდა გამოსულიყვნენ სალაშქროთ: „პირველად აღდგეს რუსთველი... სამებელი... გარდაღმა კახეთი, თიანეთი, ფშავნი და ხევსურნი, ერწონი, აზნაურნი და თავადნი... ნეკრესელი ეპისკოპოსი ყმით, სამწყსოთი... ხარჭავნელი ეპისკოპოსი ყმით, სამწყსოთი... ჯვარის

---

[1]) Груз. цер. гуджары, 85, 89 გვ.; ხიზანაშვილი. „უფლება და კანონი ძველ საქართველოში“, „იმედი,“ 1882 წ. ნოემბერი და დეკემბერი.

[2]) Акты К. А. К. № 23, 39.

[3]) ივ. ჯავახიშვილი. მე-15 საუკ. ისტორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინამძღვარი, ზედაზნის წინამძღვარი... სამების ეპისკოპოსი, სამებით, აყმით, სამწყსოთო... ხოდაშნის წინამძღვარი ხოდაშნის ყმით... მაყაშვილი ერთობით, ყმით"[1]).

1769 წ. ერეკლე II ბრძანება გასცა, რომ საეკლესიო გლეხები ომიანობის დროს მისი ძმის კათალიკოს ანტონის დროშის ქვეშ შეკრებილიყვნენ. მათთვის სარდლობა კათალიკოსს უნდა გაეწია. თუ რაიმე მიზეზის გამო კათალიკოსი ანტონი ვერ ისარდლებდა, მაშინ სარდლობა უნდა მიეღო რომელიმე ხელქვეითს მისივე დავალებით. კათალიკოსის ლაშქარი მეფის საერთო ხელმძღვანელობას ემორჩილებოდა. ვახუშტი თავის გეოგრაფიაში აღწერს ლაშქრის წესს და, კერძოდ, „ეპისკოპოსთა ლაშქრად წასვლისათვის", სადაც, სხვათა შორის, სწერს: „ჰყვათ ეპისკოპოსთა აზნაურნი, და მსახურნი, და შეწერილნი გლეხნი წარსვლად ბრძოლასა შინა", რომლებსაც ეპისკოპოსები განსაცდელის დროს შეჰკრებდენ, ამხნევებდენ და ეტყოდენ: „ნუ მოღაფლდებით, და ნუ მოუღონოვდებით ბრძოლად მათდა, და ნუ დაუტოვებთ სარწმუნოებასა, რჯულსა და ჩვეულებასა თქვენსა, და ჩვენ ვიქნებით წინა-მბრძოლნი თქვენნი"-ო [2]).

როგორც მეფეს და სხვა დიდ ფეოდალებს, ისე კათალიკოსს ჰქონდა თავის სასახლე და კარი, უმაღლესი მოხელენი: სახლთუხუცესი, დეკანოზი დიდი კარისა, ჯვარის მტვირთველი, ქადაგი, მოლარეთუხუცესი, ბოქაულთუხუცესი, მერიქიფეთ უხუცესი, ქორეპისკოპოსები, შემოსავლის მცველნი, საწიგნის მცველი, მწიგნობართუხუცესი, ბეჭდის მცველი, მეჯინიბეთუხუცესი [3]). ეკლესიის ფეოდალური ორგანიზმიც ისე დაცალკევებული იყო, როგორც საერო ფეოდალური. ხშირად ეპარქიის ხელმძღვანელი-მღვდელმთავარი დამოუკიდებლად განაგებდა თავის ეკლესიას და მამულებს, ჰქონდა თავისი საეკლესიო სამართალი და სხვა. მაგ., სამთავროს, წილკანის ეპარქიები [4]).

ა ზ ნ ა უ რ ე ბ ი.

აზნაურობა შეადგენდა ფეოდალურ სისტემის უკანასკნელ საფეხურს, რომლის საშუალებით ზემოთ მდგომი მემამულეები ახორციელებენ თავის უფლებებს გლეხობაზე. აზნაურებს უშუალოდ ჰქონდათ საქმე გლეხობასთან, ისინიც მემამულეები იყვნენ, მხოლოდ უფრო მცირე, და დამოკიდებული იყვნენ ბატონისაგან, როგორც მეფის, ეკლესიის ან თავადების ხელქვეითნი — „ვასალები".

---

[1]) ექ. თაყაიშვილი. საქარ. სიძველენი, III, 510—513 გვ.

[2]) ვახუშტი. საქარ. გეოგრაფ. აღწერა, 50 გვ.

[3]) ალ. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში. დამატება.

[4]) ხიზანაშვილი. უკლებანი და კანონი ძველ საქართველოში, 43—45 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირად კარგი სამსახურისა და რაიმე საქმეში თავის გამოჩენისათვის მეფე ან სხვა ფეოდალები—ბატონები უბოძებდენ გლეხს აზნაურობას, როგორც ხარისხს, წარჩინებას და თან ადგილ-მამულის წყალობით აჯილდოვებდენ.

აზნაურის საერთო მოვალეობა იყო ბატონის—მეფის, ეკლესიის, თუ თავადის სალაშქრო სამსახური და გადასახად-ბეგარის შესრულება. ყველა ამას აზნაური ასრულებდა გლეხების საშუალებით, რომლებიც ნაბოძებ მამულში ცხოვრობდენ და რომლების უშუალო ბატონ-პატრონი აზნაური იყო.

ნაბოძები მამული აზნაურთა სრულ განკარგულებაში მაინც არ იყო. მათ ეკუთვნოდათ სარგებლობის უფლება, როგორც ყველა ხელქვეითს—„ვასალს"; სრული განკარგულებისათვის საჭირო იყო ბატონის („სუზერენის")—მეფის, ეკლესიის, თუ თავადის ნებართვა [1]).

აზნაურები სამ კატეგორიად იყოფოდენ: სამეფო, სახაზინო და სათავადო. სამეფო აზნაურები უფრო მაღლა იდგენ თავისი უფლებებით და გავლენით, ვიდრე საეკლესიო და სათავადო აზნაურნი. ისინი ახლო იყვნენ მეფესთან, დედოფალთან, ბატონიშვილებთან, საერთოდ სასახლესთან, მათ ემსახურებოდენ, მათგან იღებდენ სხვადასხვა დავალებას, მათ მამულს პატრონობდენ და, ცხადია, რომ მათ მეტი პატივი და გავლენა ჰქონდათ. მათ შორის ჭკვიანნი, ნასწავლნი და გამოცდილნი მეფისა და სასახლის ყურადღებას იპყრობდენ და წარჩინებასაც იღებდენ.

იმავე დროს აზნაური თავის ბატონის განკარგულებაში იყო. ცხადია, რომ აზნაურთ, როგორც საპატიო წოდების პირთ, ბატონი მეტი სიფრთხილით ეპყრობოდა, მეტ პატივსა სცემდა მის მდგომარეობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აზნაურის მზითვად გაცემა და გაჩუქება ხშირი მოვლენა იყო. მაგ., კახეთის მეფე გიორგი III თავის დას მზითვად აძლევს აზნაურს გილდაშვილს მთელი მისი მამულით, გლეხებით, ზვრითა და სახნავით [2]). ქსნის ერისთავი დავითი თავის ასულს, ელენეს, 1713 წ. მზითვად ატანს მერიქიფედ აზნაურს ფიცხალაურს და გიორგი აბულაძეს[3]). მეფეს არა ერთხელ უწყალობებია თავადებისათვის აზნაურები მისი გლეხებით და მამულით.

1782 წ. აზნ. რჩეულიშვილის ქვრივმა იჩივლა მეფე ერეკლე II-თან, რომ მისი ბატონები, თავადი მაჩაბლიშვილები, იყოფენ მამულს და მათ სურთ, რომ მისი, რჩეულიშვილის, გლეხები და მამული დაჭყონ, დაინაწილონ. აზნაურის ქვრივი სთხოვს მეფეს, რომ ის თავის გლეხებით მთლიანად მიეცეს გაყოფის დროს რომელიმე ერთ მაჩა-

---

[1]) С. Авалиани. Крест. вопрос в Закавк., 57 გვ.

[2]) იქვე, 56 გვ.

[3]) ექ. თაყაიშვილი. საქ. სიძვ. III, 500 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელს. მეფე აკმაყოფილებს ამ თხოვნას და განაჩენში აღნიშნავს, რომ აზნაურების მამულის და გლეხების დანაწილება თავადების გაყოფის დროს არ შეიძლებაო[1]).

ამგვარად, ბატონი-მეფე, მისი სახლობა, ეკლესია, თავადი თავისუფლად განაგებდენ აზნაურების ბედს. აზნაური უბრალო ყმა იქნებოდა და გლეხისაგან ვერაფრით გააჩრევდით, რომ მას ხელქვეითი გლეხები არ ჰყოლოდა. გლეხის ბატონი აზნაურია, აზნაურის-კი თავადი, ეკლესია, ან მეფე. აზნაური ბატონის ხელქვეითია და იმავე დროს გლეხის ბატონი. ბატონი და იმავე დროს ყმა—ეს ახასიათებს ჩვენს ფეოდალურ სისტემას, როგორც ყველა ერის ფეოდალურ ურთიერთობას.

აზნაურს ჰქონდა ბატონიდან წასვლის უფლება და სხვა ბატონის მოძებნა, მაგრამ იმ პირობით, რომ მამული და გლეხები დაეტოვებინა და ხელცარიელი წასულიყო. 1793 წ. მეფე ერეკლეს, აზნაურ აგლაძის თხოვნის გამო, გამოაქვს შემდეგი განაჩენი: თუ გინდა, წადი, მოშორდი შენს თავადს—ბატონს, მაგრამ გლეხები და მამული დატოვეო[2]).

საეკლესიო აზნაურებს დავალებული ჰქონდათ როგორც ეკლესიის, ისე მეფის სამსახური—სახელმწიფო გადასახადებისა და ბეგარის მოხდისა. მეფე ხშირად ათავისუფლებდა მათ ამ გადასახადებისაგან. მაგ., 1662 წ. მეფე გიორგი ათავისუფლებს სახელმწიფო გამოსაღებისაგან და მეფის სამსახურისაგან საეკლესიო აზნაურს ვახტანგაძეს. 1782 წ. მეფე სოლომონმა გელათის მონასტრის საეკლესიო აზნაურები გაათავისუფლა ყველა სახაზინო გამოსაღებისაგან[3]). საეკლესიო აზნაურები ეკლესიის მამულებში ინიშნებოდენ სხვადასხვა თანამდებობაზე; ეკლესიის წინაშე რაიმე დამსახურებისათვის ეკლესია ასაჩუქრებდა მათ მამულით და გლეხებით. მაგ., კათალიკოსმა ქრისტეფორემ 1640 წელს უწყალობა აზნ. ქარსიძეს ოთხი კომლი გლეხი, კათალ. დომენტიმ აზნ. მაღლაკელიძეს—საეკლესიო მამული და მოურავობა[4]) და სხვა.

სათავადო აზნაურები ყველა აზნაურებზე დაბლა იდგენ. მოწინავე გლეხს, რომელიც ბატონის ყურადღებას დაიმსახურებდა, თავადი აძლევდა აზნაურობას და მით გამოჰყავდა ის ყმური მდგომარეობიდან. ამის შემდეგ, თუმცა ის, აზნაური, ხელქვეითი და ყმა იყო ბატონისა, მაგრამ იმავე დროს თვით მასაც ჰყავდა ყმები. თავადის

---

[1]) Пурцеладзе. Двор. Грамоты, 26 გვ.

[2]) Акты К. А. К. 6 т., I ч, 118 стр.

[3]) Авалиани. Кр. вопрос в Закавк. 57 стр.

[4]) იქვე, 57 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ გლეხის გადარიცხვას აზნაურობაში ამტკიცებდა მეფე, მაგრამ არა ყოველთვის.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ აღიძრა საკითხი სათავადო აზნაურების უფლებების შესახებ. გამოირკვა (1819 წ.), რომ სათავადო აზნაურები ორი ჯგუფისა იყვნენ: ერთი—აზნაურობა წოდებაში თავადის მიერ აყვანილი და მეფის მიერ დამტკიცებული, ხოლო მეორე—მეფის მიერ დაუმტკიცებელი. მაშინდელმა საქართველოს მართველობამ იცნო აზნაურის უფლებების მქონედ მხოლოდ მეფის მიერ დამტკიცებული აზნაურები, დანარჩენნი-კი გლეხებში ჩარიცხა.[1])

მეფე ერეკლე II და რუსეთის იმპერ. ეკატერინე II შორის დადებულ ხელშეკრულებაში (1783 წ.) მოხსენებულია სამეფო, საეკლესიო და სათავადო აზნაურები. იქვე ჩამოთვლილია თავადების გვარები და ნაჩვენებია, რომელ თავადის გვარს რამდენი აზნაურის გვარი ეკუთვნოდა. ერისთავს ეკუთვნოდა 18 გვარის აზნაური, ბარათაშვილს—9 გვარის აზნაური, მაჩაბელს—2, დიასამიძეს—3, ციციანოვს—34, თარხან-მოურავოვს—5, ამირეჯიბს—3, ამილახვარს—12, ბაგრატიონ-დავიდოვს—3, აბაშიძეს—19, ჩხეიძეს—3 და ასე. ამავე სიაში, რომელიც დართული აქვს იმავე ტრაქტატს, აღნიშნულია მეფის აზნაურთა 118 გვარი, კათალიკოსისა—13 და საბატონო—186.[2])

ვახტანგის სამართალი აზნაურთ სამ კატეგორიად ჰყოფს: პირველ, მეორე და მესამე ხარისხოვნად. პირველი ხარისხის აზნაურის სისხლი დაფასებულია 1920 მან., მეორე ხარისხის—960 მან., მესამესი-კი 480 მან. ხარისხოვნების საფუძველი ქონებრივი მდგომარეობა იყო, მამულის სიდიდე და გლეხების რაოდენობა.

აზნაურთა ხარისხებად დაყოფა არ შეეფერდებოდა მათ სამეფო, საეკლესიო და სათავადოდ დაჯგუფებას. შესაძლებელი იყო, რომ სამეფო აზნაური მეორე ხარისხოვანი ყოფილიყო, საეკლესიო პირველი და წინააღმდეგ—იმის მიხედვით, თუ რა მამულის პატრონი იყო ერთი ან მეორე.

ეს, სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ 1783 წ. მდივანბეგები მეფის აზნაურის სისხლს 480 მან. აფასებენ, ხოლო თავად ბაგრატიონ-მუხრანსკის აზნაურის ზედგინიძის სისხლს 1664 მან. და ამ განაჩენს ასაბუთებენ მით, რომ აზნაური ზედგინიძე გლეხების რაოდენობით და მამულის სიდიდით პირველ ხარისხოვანი აზნაური არისო.[3])

ყველა ფეოდალს, როგორც თავადს, ისე აზნაურს, შეძლების მიხედვით სასახლე ჰქონდა და კარის მოსამსახურენი ჰყავდა. რაც დიდი და შეძლებულია თავადი, მისი სასახლე, ციხე, კარის მოსამსა-

[1]) Акты К. А. К., 6 т., I ч., 117—118 стр.

[2]) Акты К. А. К. 6 т., I ч., 118 ст.

[3]) Акты. К. А. К. 6 т., 118 стр.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხურეთა რაოდენობა, ცერემონია და დიდება უფრო უახლოვდება მეფის სასახლის წესრიგს.

კათალიკოსის სასახლე მეფის სასახლეს არ ჩამოუვარდებოდა, ეპისკოპოსების—თავადებისას.

საშუალო აზნაურის კარზე, მაგ. სამეგრელოში, შემდეგი მოხელე-მოსამსახურენი იყვნენ: ხელოსანი—გადასახადების ამკრეფი, მოლარე, მეჯინიბე, მეწისქვილე, ხაბაზი, მზარეული, პირის ფარეში, ფარეში, მოახლე, მოჯალაბე და სხვა.

თვით აზნაურები თავადების კარზე სხვადასხვა დავალებას ასრულებდენ, როგორიცაა: მაურავობა, სახლთუხუცესობა, მეჯინიბეთ-უხუცესობა და სხვა.[1])

ამგვარად, განხილულ ურთიერთობას ახასიათებს: 1) მიწათ-მფლობელების ეკონომიური ბატონობა; 2) ამ ძლიერებასთან დაკავ-შირებით მათ მიერ პოლიტიკური უფლებების მითვისება; 3) საჯარო და კერძო უფლებების გაუმიჯვნელობა; 4) სახელმწიფოს ტერიტო-რიალურად დაყოფა და თითო ერთეულში დიდი მემამულის ბატო-ნობა; 5) იერარქიული დამოკიდებულება მემამულეთა შორის მამუ-ლის რაოდენობისა და სამსახურის მიხედვით; 6) მამულით და გლე-ხობის შრომით სარგებლობა ბატონის წინაშე სამსახურისათვის და 7) ერთი მხრით—ცენტრის დამასუსტებელი ძალების და მეორე მხრით—სამართლის და სამსახურ-გამოსაღების ნიადაგზე აღმოცენებულ შეკავ-შირების მიდრეკილება და ამ ორ ტენდენციათა შორის ბრძოლა.

ამ ურთიერთობით მთელი სახალხო სიმდიდრე და დოვლათი მემამულეების, თავად-აზნაურების ხელში იყო. თუ როგორ სარგებ-ლობდენ მემამულეები ამ დოვლათით, რომელსაც მათ გლეხობა აძლევდა, სხვა საბუთებს რომ არ მივმართოთ, საკმარისია დავი-მოწმოთ „კაცია ადამიანი“-ს გმირი: „თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი,—უკაც-რავად არ ვიყო ამ სიტყვაზე—როგორც კარგი ნასუქი კურატი... წითელ თურაშაულის ვაშლსავით ხაშხაში ლოყები; სამკეცად ჩამო-სული ტრფიალების აღმგზნები ფაფუკი ღაბები... დიაღ პატივსა-ცემი და პატივცემული ღიპი... სწავლა ღვთის მადლით არაფრისა არა ჰქონდა... მის აზრით კაცი ძირგავარდნილი ქვევრი იყო, რომელ-საც ყოველდღე უნდა ჩააყარო ხორაგი და ჩაასხა სასმელი [2])...“ თუ ამას დაუმატებთ ბუზების თვლას და კოტრიალს, სურათი სრული იქნება.

---

[1]) Бороздина. Крепост. право в Мингрелии. 43 стр.

[2]) ილია ჭავჭავაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ასე იყო მე-19 საუკ. პირველ ნახევარში, გლეხების განთავისუფლების წინა ხანაში, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ბედოვლათი იქნებოდენ წინა საუკუნეების თათქარიძეები!

მაგრამ ამასთან ერთად ისიც უტყუარია, რომ ზოგი მემამულე არ იყო მოკლებული კულტურულ საქმიანობასაც. შეძლებულ წოდებას ისინი წარმოადგენდენ, მატერიალური საშუალება მათ ხელში იყო და პირადი თავისუფლებით ისინი სარგებლობდენ, და ამიტომ კულტურულ და პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწენი ამ წრიდან უნდა გამოსულიყვნენ. და ეს ასეც იყო. მაგ., მე-17 საუკ. მიწურულის და მე-18 საუკ. დამდეგის მოღვაწენი: არჩილ მეფე, მოსამართლე ლევანი, მისი შვილი ვახტანგ კანონმდებელი, ვახუშტის შვილები: ბაქარ მწიგნობარი და ვახუშტი ისტორიკოსი, კათალიკოსი ანტონ I ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, საბა ორბელიანი, ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ვახტანგ ორბელიანი, იესე ქსნის ერისთავი, თეიმურაზ მეორე, ბესარიონ გაბაშვილი და სხვანი მემამულეთა წრიდან იყვნენ გამოსული.

გარეშე მტერთან ბრძოლის დროსაც მათ არა ერთხელ უსახელებიათ თავი ლაშქრის ხელმძღვანელობით და თავდადებით, თუმცა ლაშქრის გული და მარჯვენა ხელი გლეხობა იყო.

ფეოდალებს შორის, მეფის შემდეგ, უძლიერესი ეკლესია იყო, რომლის მონასტრები ძველად იყო კერა მწიგნობრობისა, ღვთისმეტყველებისა, ფილოსოფიისა და ისტორიისა. ბიზანტიასთანაც კულტურული კავშირი ეკლესიის საშუალებით არსებობდა.

მაგრამ ნათქვამი და დაწერილი ხშირად ცხოვრებაში არ ტარდებოდა, სიტყვასა და საქმეს შორის დიდი განსხვავება იყო. „ვეფხის ტყაოსანი“-ს აზრებს არავინ არ ახორციელებდა. საქართველოში ბატონყმობა მთელი თავის სისასტიკით მძვინვარებდა, მებატონე კი ქალიშვილს ისე არ გაათხოვებდა, რომ „ვეფხის ტყაოსანი“, „სახარება“ და „სამოციქულო“ მზითვად არ გაეტანებინა. ერთი, მეორეცა და მესამეც, მეტს თუ არა, ადამიანურ მოპყრობას მაინც მოითხოვდა მოყვასისადმი, მის შეწყალებას, დახმარებას, პატივისცემას. ყმების მდგომარეობის განხილვა სულ წინააღმდეგს დაგვანახვებს. ასე მძლავრი და დამთრგუნველია ცხოვრების მატერიალური პირობები.

გლეხობა კი სავსებით მოკლებული იყო ყოველგვარ კულტურულ სარბიელს. მისთვის მიუწდომელი იყო რამე კულტურული დარგი. ის უმეცრების და გაუნათლებლობის წყვდიადში იმყოფებოდა. წერა-კითხვა და სწავლა, რამდენადაც ის არსებობდა, მემამულეთათვის იყო.

ამიტომ ყმების მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ შემდეგ თავში შევეხებით, ყველაზე უფრო საყურადღებოა მართველ წრეების დასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხასიათებლად. ის სარკეა ფეოდალური საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ-კულტურულ მდგომარეობის ნათელსაყოფად.

შ ე დ ა რ ე ბ ა.

ფეოდალური ურთიერთობა არ იყო მარტო ჩვენი ცხოვრების მოვლენა. მისი სამშობლო, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ევროპა იყო (11-15 საუკ.), ხოლო საფრანგეთი ტიპიური ფეოდალიზმის სახელმწიფო იყო. ფეოდალური ურთიერთობა იყო ინგლისში, იტალიაში, გერმანიაში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში და ყველგან ის ზემომოყვანილ საერთო თვისებებს შეიცავდა. იმავე დროს, თვითეულ ქვეყანაში მას თავის განსაკუთრებული თვისებები ჰქონდა, რითაც ერთი სახელმწიფოს ფეოდალური წესწყობილება მეორისაგან განირჩეოდა. „კოროლი“ უმაღლესი ბატონი, ფეოდალი იყო. ის იყო სამხედრო ძალების ხელმძღვანელი. ის უწყალობებდა რომელიმე წარჩინებულ პირს მიწა-წყალს, ჩააბარებდა ეგ. წოდებულ „საინვესტიტურო“ ნიშნებს: შუბს, ბეჭედს და სხვა ჩვეულებით შემოღებულ ემბლემებს. ამის შემდეგ მიმღები მისი „ვასალი“ იყო. ვასალი მას შეჰფიცავდა და ემსახურებოდა სამხედრო მოქმედების დროს თავისი რაზმებით, მშვიდობიანობის დროს კი განაგებდა თავის ნაწყალობევ სამფლობელოს, ჰკრეფდა გადასახადს „სენიორის“—კოროლის სასარგებლოდ და ასრულებდა სხვა მის დავალებებს.

ვასალებსაც თავისი ვასალები,— ქვე-ვასალები ჰყავდათ, რომლებიც უშუალოდ თავის ბატონს—„სიუზერენს“ ემსახურებოდენ. ეს სისტემა მთლიანად იერარქიულად იყო აგებული: პირველი იყო მეორის ბატონი, მეორე მესამის, მესამე მეოთხის, და ასე ამგვარად: ერთის ბატონობა, მეორის სამსახური; იმავე დროს მეორეს ბატონობა მესამეზე, და მესამის სამსახური მეორის წინაშე. იქაც მხოლოდ გლეხობა იყო მოკლებული ბატონობას, მას მხოლოდ მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული. ამ იერარქიულ კიბეზე მდგომ პირების სახელწოდება იყო სხვადასხვაგვარი თითოეულ სახელმწიფოში და თვით კიბის საფეხურებიც მცირე რიცხვოვანი არ იყო: კოროლი, გერცოგი, გრაფი, ვიცე-გრაფი (ვიკონტი), მარკ-გრაფი (მარკიზი), ლორდ-გრაფი, პფვალდ-გრაფი, ბურგო-გრაფი (შოტელმანი) და სხვა. ეკლესიაც დიდი ფეოდალი იყო ევროპაში. ის დიდ ბრძოლას აწარმოებდა საერო ფეოდალების და განსაკუთრებით პირველი ფეოდალის წინააღმდეგ პოლიტიკურ ხელისუფლებისათვის.

რუსეთში ისტორიკოსი სოლოვიოვის სკოლის მეცნიერნი უარყოფდენ ფეოდალიზმის არსებობას. მათი შეხედულებით, რუსეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისებური ქვეყანაა, სულ წინააღმდეგი ევროპისა და ფეოდალურ ურთიერთობას რუსეთში ადგილი არ ჰქონია.

დღეს ეს აზრი უარყოფილად უნდა ჩაითვალოს; რუსეთის ისტორიის შემდეგი საუკეთესო მკვლევარნი უარს არ ჰყოფენ რუსეთში ფეოდალურ ურთიერთობის არსებობისას. ცხადია, რომ არც ერთი ქვეყნის ფეოდალიზმი არ იყო ასლი მეორე ქვეყნის ფეოდალურ ურთიერთობისა და, როგორც ჩვენს, ისე რუსეთისა და ევროპის ფეოდალიზმს ჰქონდა თავისებურობა, მაგრამ საერთო თვისებები და ეკონომიური სოციალური ბაზა, რომელზედაც აგებული იყო პოლიტიკური ორგანიზმი, ერთი და იგივე იყო. ჩვენ არ შევუდგებით რუსეთის ფეოდალური ურთიერთობის განხილვას. ჩვენ საკმარისად მიგვაჩნია მოვიყვანოთ რუსეთის საუკეთესო ისტორიკოსების აზრი ამ ურთიერთობის შესახებ.

ჯერ კიდევ ისტორიკოსი კისტიაკოვსკი მე-19 საუკ. მეორე ნახევარში სწერდა: „რუსეთმა მე-13 საუკ. ნახევრიდან 15 საუკ. ბოლომდის განიცადა ფეოდალური წესწყობილება... ფეოდალიზმი გულისხმობს ისეთ პოლიტიკურ წესწყობილებას, როდესაც მთელი მხარე მიწათმფლობელების ხელშია, ისინი უმეტეს და უმცირეს ხარისხების არიან და ერთი მეორეს ემორჩილებიან. სათავეში მათ უდგას მეთაური. ასეთი წესწყობილება რუსეთში სავსებით არსებობდა... რუსეთში დიდი მთავრების სახელწოდებას ატარებდენ 16 საუკ. სუზდალის და ნოვგოროდის, რიაზანის, ტვერის, სმოლენსკის თავადები; დროგამოშვებით სხვებიც ცდილობდენ ეტარებინათ დიდი თავადების სახელწოდება. დიდ მთავრებს ექვემდებარებოდენ უმცროსი თავადები თავისი მამულით, დამოკიდებულება მათ შორის იყო ნათესაური, მამობრივი“. უკანასკნელი გარემოებით, კოსტომაროვის აზრით, რუსეთის ფეოდალიზმი განსხვავდებოდა ევროპის ფეოდალიზმისაგან: „ჩვენი თავადები ყველა ერთი გვარიდან იყვნენ, ახლობელნი დიდი მთავრისა... მიუხედავად ამისა, ისინი ისეთ მორჩილებაში იყვნენ დიდ თავადებთან, რომ მათი დამოკიდებულება მოგვაგონებს დასავლეთის ფეოდალურ კიბეს. ისინი ვალდებული იყვნენ შეეტანათ დიდ მთავართან სათათრო გადასახადი, რომელსაც დიდი მთავარი გადასცემდა ვისაც ჯერ იყო და აგრეთვე ყოველთვის მზად უნდა ყოფილიყვნენ სამხედრო სამსახურისათვის... ფეოდალიზმი თათრების მიერ რუსეთის დაპყრობის შემდეგ გაჩნდა. თათრების ხანებმა გახადეს თავადებიმხ ოლოდ მემამულეებად ნაცვლად მართველებისა[1]).

ისტორიკოსი კლიუჩევსკი, რომელიც სცნობს რუსეთში ეგ. წოდ. „საუფლისწულო წესის“ (удельный порядок) არსებობას და არა

[1]) Кареев. В каком смысле можно говорить о сущест. феод-зма в России, 8—11 стр.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეოდალიზმისა, საბუთების ანალიზის დროს იძულებულია აღიაროს, რომ რუსეთის წესწყობილებას ბევრი მსგავსება აქვს დასავლეთის ფეოდალიზმთან: „ნამდვილათ რომ ვსთქვათ, თავადი მართველი კი არ იყო, არამედ მფლობელი; მისი სამთავრო მისთვის იყო არა საზოგადოება, არამედ მეურნეობა; ის არ მართავდა, მხოლოდ ექსპლოატაციას ეწეოდა... ის არ იყო „ხელმწიფე“ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაგრამ არც უბრალო მიწისმფლობელი იყო. ის განირჩეოდა ჩვეულებრივი მიწათმფლობელისაგან მით, რომ ჰქონდა ხელმწიფების უფლება, მაგრამ ამ უფლებით სარგებლობდა, როგორც მემამულე... შეიქმნა ურთიერთობა, რომელიც დასავლეთ ევროპის ურთიერთობას მოგვაგონებს, მაგრამ ეს ურთიერთობა არის პარალელური ევროპის ურთიერთობასთან და არა მისი მსგავსება... რუსეთის სამთავრო წეს-წყობილებას აქვს არა მცირე ისეთი თვისებები, რომლებიც მოგვაგონებენ ფეოდალურ იურიდიულ და ეკონომიურ ურთიერთობას, მაგრამ ეს მსგავსი თვისებები ერთი მეორესთან ჩაქსოვილი იძლევიან სხვა შემადგენლობას და ჰქმნიან სხვაგვარ პროცესს“.—ამგვარად, კლიუჩევსკიც ვერ უარყოფს რუსეთში ფეოდალურ ურთიერთობის მსგავს დამოკიდებულების არსებობას.

მილიუკოვიც კი, რომელიც აკრიტიკებს ისტორიკოს პავლოვ-სილვანსკის საბუთებს რუსეთში ფეოდალიზმის არსებობის შესახებ, იძულებულია აღიაროს, რომ „რუსეთში არსებული ურთიერთობა ატარებდა ფეოდალიზმის ზოგად თვისებებს, მაგრამ მას ჰქონდა ისეთი განსაკუთრებული თვისებები, რომლებიც არ გვაძლევენ საბუთს ვუწოდოთ ამ ურთიერთობას ფეოდალიზმი“. მილიუკოვი აღიარებს, რომ რუსეთში არსებობდა „ვასალიტეტი“—„ბოიარების“ სამსახური თავადების წინაშე,—მაგრამ ამ სამსახურს არ ჰქონდა ტერიტორიალური ხასიათი[1]).

ისტორიკოსმა პავლოვ-სილვანსკიმ დასწერა გამოკვლევა: „ფეოდალიზმი ძველ რუსეთში“ (1910 წ.), სადაც სავსებით გაარკვია ეს საკითხი. „მეო—სწერს ის—შევისწავლე ცალკე იურიდიული ინსტიტუტები, როგორიცაა სათემო, საბატონო, ვასალური სამსახური, დამოკიდებულება დაცვისათვის და სხვა და მივედი იმ დასკვნამდე, რომ ეს ურთიერთობა არსებითად ისეთივე იყო, როგორიც იყო ფეოდალური ეპოქის ურთიერთობა და დაწესებულებანი... გერმანიის საშუალო საუკუნეების თემი უდრის ჩვენს თემს მთავრების წესწყობილების დროს, ე. ი. ივანე მრისხანემდე. აქ ჩვენ ვხედავთ არა მარტო მსგავსებას ურთიერთობისა და დაწესებულებებისა, არამედ მათ იურიდიულ სტრუქტურის მსგავსებასაც. ძველ გერმანულ „მარ-

---

[1]) იქვე, 20 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კას“ ჩვენი საშუალო საუკუნეების „ვოლოსტი“ უდრის. შემდეგ ჩვენი „ვოლოსტები“ ისე ნაწილდება, როგორც გერმანული „მარკები“... საშუალო საუკუნის დიდი მამულები, როგორც ჩვენში, ისე ევროპაში—სწერს ის,—იყოფა ორ არა თანასწორ ნაწილად: ერთ ნაწილს ამუშავებენ გლეხები და განსაზღვრულ გადასახადს იხდიან მიწის მესაკუთრის სასარგებლოდ, მეორე ნაწილს, უფრო მცირეს, განაგებს თვით მემამულე... ჩვენი სამთავროები დიდი და უმცროსი თავადებით უდავოდ იგივეა თავის არსებით, რაც „სენიორია“ სხვადასხვა რანგის ფეოდალურ თავადებით“... მისი გამოკვლევით, რუსეთშიაც ისეთივე იერარქიული დამოკიდებულება იყო მემამულეთა შორის, როგორც ევროპაში: „კიბე დიდი და უმცროსი თავადებისა—„ბოიარებისა“, მათი შვილების და მოსამსახურეებისა—ეს ვასალური იერარქია დაკავშირებული იყო მამულიანობის იერარქიასთან... ჩვენი „ბოიარინი“, რომელიც ეახლებოდა თავადს და თაყვანსა სცემდა მას, უდავოდ იგივე ფეოდალია, რომელიც თავის სუზერენს ემსახურებოდა თავისი სენიორიით[1]).

ფეოდალურ წესწყობილების შესახებ რუსეთში მე-15-17 საუკ. ისტ. პოკროვსკი ამბობს, რომ „არავის არა დროს ისტორიულ ლიტერატურაში არ უარუყვია ის მოვლენა, რომ მსხვილ მემამულეთა არისტოკრატია არა მარტო ჰფლობდა მამულს, არამედ ახდევინებდა ხელქვეითებს გადასახადს, ბეგარას და კიდეც ასამართლებდა მათ.

ნ. როჟკოვი თავის გამოკვლევაში „სოფელი და ქალაქი რუსეთის ისტორიაში“ სწერს: „ეკონომიურად ძლიერნი იყვნენ დიდი და უმცროსი თავადები, შემდეგ მღვდელ-მთავართა კათედრები, განსაკუთრებით მიტროპოლიტების, მონასტრები და „ბოიარინები“. ასე რომ მთელი მიწა „გამთავრებული და გააზნაურებული“ იყო[2])“.

დასასრულ, ისტორიკოს კარეევის აზრით, ძველი საუფლისწულო წესწყობილების რუსეთი წარმოადგენდა შემდეგ სურათს: „პირველად რიგში ერთი დიდი თავადი, შემდეგ ბევრი ამ სახელწოდებით, რადგან ყველა დიდმა ოლქმა გაიჩინა თავისი დიდი მთავარი, რომელსაც ჰყავდა მორჩილი უმცროსი თავადები, და, რასაკვირველია, ყველა ეს „დიდი მთავრები“: ტვერის, რიაზანის, სმოლენსკის და სხვა იყვნენ თანასწორნი, მაგრამ ზოგნი ედავებოდენ ერთი მეორეს პირველობას მთელ რუსეთში... საფრანგეთის ახლანდელი ისტორიკოსები აღნიშნავენ საფრანგეთის ფეოდალიზმის შემდეგ სქემას: ერთი სახელმწიფო ნაწილდება „კოროლი“-ს მოხელეთა შორის სამთავროებად, რომელიც მემკვიდრეობით გადადის; ეს სამთავროები კიდევ ნა-

---

[1]) იქვე, 50-94 გვ. Павлов Сильванский. Феодализм в древней Руси.

[2]) იქვე, 18 გვ. Рожков. Город и деревня в русской истории.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილდება პატარ-პატარა ერთეულებად; ეს სამთავროები თითქმის დამოუკიდებელნი იყვნენ. ამას შემდეგ იწყება იერარქიული დამორჩილების პროცესი უმცროსი სენიორების დიდ და ძლიერ სენიორებისადმი. ასეთივეა რუსეთში არსებულ ურთიერთობის სურათი[1])".

ამგვარად, ფეოდალური ურთიერთობა არსებობდა როგორც ჩვენში, ისე ევროპა-რუსეთშიაც, მაგრამ ამ ურთიერთობას ყველა ქვეყანაში განსხვავებული თავისებურობა ჰქონდა.

---

[1]) იქვე, 41 გვ. მისივე: Поместье—государство и сословная монархия сред. веков.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. ᲧᲛᲔᲑᲘ.

ბატონი და ყმა, ყმა და ბატონი—ასე იყო აგებული ფეოდალური იერარქია. მხოლოდ ყმა-გლეხობა, რომელიც ამ იერარქიის გარეშე იყო, არავის ბატონი და პატრონი არ იყო, არც სხვისი და არც თავისთავის; ის მხოლოდ და მხოლოდ ყმაა, ბატონისაგან დამოკიდებული, მისი მოსამსახურე და მორჩილი, მისი ბრძანების აღმასრულებელი. ის ბატონისაა მთელი თავისი ქონებით და ოჯახობით. ბატონ-ყმობის უღელში იყო შებმული მთელი საქართველო მეფისგან დაწყებული უბრალო მდაბიომდე [1]). ამ დამოკიდებულების ქვაკუთხედი იყო ყმა და მისი შრომა. ეს საფუძველი რომ გამოსცლოდა ბატონ-ყმობას, მასზე აგებული იერარქიული კიბე მყისვე დაინგრეოდა. საუკუნეების განმავლობაში ურყევად იდგა ეს საფუძველი და მასზე აგებულ ორგანიზაციას არა დაშავებია რა.

„ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲧᲛᲘᲡᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ“.

ბატონ-ყმობის ერთი უძველესი მკვლევართაგანი დიმ. ფურცელაძე ჩვენს მემამულეს ახასიათებს, როგორც „თვითნებურს“ (самоуправный вельможа), რომლის სურვილი კანონი იყო ყმისათვის, ხოლო ყმას ისეთ ადამიანად, რომელსაც დაკარგული ჰქონდა პიროვნება, ქონებრივი დამოუკიდებლობა და სავსებით ფეოდალს ემორჩილებოდა [2]). კოვალევსკი, რომელიც საქართველოში წარმოგზავნილი იყო რუსეთიდან 1783 წელს, სწერს, რომ საქართველოში უზენაესი უფლება ძლიერისაა [3]). შარდენი, რომელსაც მე-17 საუკ. უმოგზაურია საქართველოში, სამეგრელოს ბატონ-ყმობაზე მოგვითხრობს: „მაღალი წოდება სრული ბატონია თავისი ქვეშევრდომებისა, მათი ქონება მისია, მათი სული და ხორცი იმათ ხელშია; უფლება აქვს სიცოცხლე მოუსპოს; რაც უნდა, იმას უშვრება: წაართმევს ცოლშვილს, შეუძლია გაყიდოს, ან და ისე მოიხმაროს, როგორც ენებება. ყველა გლეხს ბატონთან მოაქვს განსაზღვრული სოფლის ნაწარმოები, მოყავს საქონელი, ასე რომ ბატონის სიმდიდრე გლეხების რიცხვზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, გლეხი ვალდებულია წელიწადში ორსამ დღეს ასვას-აჭამოს თავის ბატონს; ამიტომ ბატონი მთელი წლის

---

[1]) ივ. ჯავახიშვილი. სამართლის ისტორია, 97 გვ.

[2]) Д. Пурцеладзе. О крепостном состоянии в Грузии, 15 გვ.

[3]) Акты А. К. К. I т., № 34.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმავლობაში დადის თავის სამფლობელოში, გლეხებს ესტუმრება, სახლში ჩაუჯდება და მათი ხარჯით ცხოვრობს... თან დაჰყავს მთელი თავისი ოჯახი... ამათ ემატებათ ფეხშიშველა გლეხები, რომლებსაც ზურგით გადააქვთ ბატონის ბარგი... ამ მოგზაურობის დროს ბატონი ხარკს ჰკრეფს, ხოლო ვისგანაც არ ერგება, საჩუქრებს არ-თმევს" [1]). 1804-5 წ. იმერეთში მყოფი ლიტვინოვი სწერს: „თავადები თავიანთ ქვეშევრდომებს დესპოტიურად ეპყრობიან და გლეხების ქონება მეფეს და თავადებს ეკუთვნის" [2]).

შეიძლება ამ სიტყვებში ზოგი რამ უსწოროდ და ზედმეტი იყოს ნათქვამი, მაგრამ საერთოდ ყმის უფლება-მდგომარეობა სწორად არის აღნიშნული.

„ყმის ყველა ბატონის არის",—მეფეს სრული უფლება აქვს ყმაზე, გარდა სულისა[3]); ღვთის მეტს ჩვენზე უფლება არა აქვსო, მარტო შენ ხარ ჩვენი ბატონიო,—წერილობით აღუთქვამენ გლეხები თავ. კორღანაშვილს[4]). მემამულეები მიწა-წყლის გაყოფის დროს გლეხებს ისე იყოფენ, როგორც სხვა საგნებს კენჭით[5]) არც მეტი, არც ნაკლები. ყმა „საქონელია",—„აწი შენი საქონელია, მოკვდება თუ ცოცხალი იქნება",—სწერს ერთი აზნაური მეორეს მიყიდულ მოახლის შესახებ[6]).

ყმა რომ ბატონის საკუთრება იყო, ეს ცნება იმდენად გამტკიცული იყო სამართალში, რომ მის დანაშაულობისათვის მატერიალური პასუხისმგებელი ბატონი იყო: ყმის დანაშაულისათვის სისხლის დასაურავი ბატონს უნდა გადაეხადა; თუ დაზარალებულს ის არ უზღავდა დაწესებულ დასაურავს, მას ერთმეოდა ყმა და ეძლეოდა დაზარალებულს სავსებით ან საწინდრად [7]).

ყმას ჰქონდა ერთად ერთი პირადი და ქონებრივი უფლება, რომლის განხორციელება მას შეეძლო უბატონოდ. ეს იყო სამარხი მიწის შეძენა, მაგრამ ამ რამოდენიმე ადგ მიწაშიაც მას ერთი ხარი უნდა გადაეხადა [8]).

ამგვარად, გლეხი უმამულოა, მაშასადამე, უგვაროცაა. ვინც უგვარო და უმამულოა, ის უუფლებო და არარაა. ამიტომაც ყმის,

---

[1]) Бороздина. Креп. право в Мингрелии. Шарден. Путешествие Шардена. по Закавказ. 1672-1673 მ.

[2]) იქვე, „მოამბე" № 1899 წ., № XI.

[3]) ვახტ. დებულება, 160, 258 მ.

[4]) Пурцеладзе. Крест. грам. 1676 წ.

[5]) ვახტ. დებულება, 104 მ.

[6]) Пурцеладзе. Грамоты Зап. Грузии 126 გვ.

[7]) იქვე 119 გვ.

[8]) ვახტ. დებულება, 218 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხის სისხლი 120 მან. იყო დაფასებული სამართალში, და ისიც, ფულის მაგივრად, მკვლელს შეეძლო გადაეხადა მისი ბატონისათვის ხარებით, ძროხებით, ცხვრებით და სხვა რაიმე მოსახმარ საგნებით [1]).

ასეთია ყმის მდგომარეობის ზოგადი სურათი.

ყმის პიროვნება.

ყმის პიროვნება, როგორც უმამულოს, უგვაროს, ძლიერ სუსტად იყო დაცული კანონით და ჩვეულებით.

სამართალი იოლად უყურებდა ყმის პიროვნებისადმი მოპყრობას ბატონის მხრით. სამართალი აფრთხილებს ბატონს,—დანაშაულისათვის არ მოჰკლას და არ დაასახიჩროს ყმა მეფის დაუკითხავად. მაგრამ მიუხედავად ამისა, თუ მან მაინც მოჰკლა თავისი გლეხი რაიმე დანაშაულის გამო, ის არ იყო ვალდებული სისხლის დაურვით დაეკმაყოფილებინა მოკლულის ან დასახიჩრებულის ოჯახი, ე. ი. პასუხს არ აგებდა. მხოლოდ უდანაშაულოდ დასახიჩრებულ ყმას შეეძლო მიეტოვებინა ბატონი და სხვა ბატონი მოეძებნა. [2])

სამართლის ასეთი შეხედულება თითქმის ნებართვაა თავის ყმის მოკვლის ან დასახიჩრებისა. ბატონს ყოველთვის შეეძლო ეთქვა, რომ მოკლულმა ყმამ ჩაიდინა ესა თუ ის დანაშაული მის წინაშე, და მით საქმე გათავდებოდა. გარდა ამისა, არც ის იყო განსაზღვრული, თუ რა დანაშაულის გამო შეეძლო ბატონს შეხებოდა თავის ყმის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა ჰქმნიდა ყმის სრულ უუფლებობას. ერთად-ერთი გარანტია ყმის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისა იყო ის, რომ ყმის მოკვლით ან დაშავებით თვით ბატონი ზარალობდა, მუშა ხელი აკლდებოდა. თუ ბატონი მას დაზოგავდა, ეს ან ამ ინტერესით იქნებოდა გამოწვეული, ან პირადი კაცთმოყვარეობით. ყველაფერი დამოკიდებული იყო ბატონის სურვილზე.

მაგრამ ეს ძლიერ სუსტი უზრუნველყოფა იყო ყმის პიროვნებისა. ზოგი ბატონის თვითნებობას საზღვარი არა ჰქონდა. მაგ., 1802 წ. გლეხმა ბატონ თაქთაქიშვილის ნებადაურთველად ცოლი ითხოვა. ამ „დანაშაულის“ გამო ბატონმა დაიჭირა გლეხი, ბორკილები დაადვა და საპყრობილეში ჩააგდო. ცივ იანვრის დღეებში დილით, შუადღეზე და საღამოს ცივ წყალს ასხმევინებდა ტიტველ ტანზე. მის ცოლს კი წინადადება მისცა, რომ მის ხასად გამხდარიყო. ქალი არ დასთანხმდა. ბატონმა დაიჭირა ის და კოშკში შეათრია.

---

[1]) იქვე, 18, 33 მ.

[2]) იქვე, 95 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოწარკვეთილი ქალი კოშკიდან გადმოვარდა და ცხვირ-პირი და თეძოები დაიმტვრია.[1])

აღსანიშნავია, რომ ყმის მდგომარეობა მით უფრო უარესი იყო, რამდენად მისი ბატონი პატარა მემამულე იყო. მეფე, რამდენადაც მას შესწევდა ხელმწიფების, ბრძანებლობის უფლება, თუ კი გაიგებდა ბატონის წრეს გადასულობას ყმებისადმი, უკანასკნელს იცავდა ბატონის არაჩვეულებრივ მოპყრობისაგან. მაგ., იმავე მემამულე თაქთაქიშვილის მიერ შეურაცხყოფილ ყმის ცოლს მიუმართავს მეფე ერეკლესათვის. მეფეს გაუცია ბრძანება, რომ ყმას და მის ცოლს ერთად ეცხოვრათ და ბატონს ისინი არ შეეწუხებინა. ეს ასე იყოო,— მოახსენებს ყმის ცოლი დედოფალს,—მაგრამ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს მეფე ერეკლეს ბრძანება დამეკარგაო და სთხოვს დედოფალ დარეჯანს აღუდგინოს მას ასეთი ბრძანება. დედოფალი აკმაყოფილებს მის თხოვნას.[2]) გავს, რომ თაქთაქიშვილი დიდი და ძლიერი მემამულე არ ყოფილა, თორემ მეფის ბრძანებას ასე ადვილად არ დაემორჩილებოდა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე მის ყმას შეეხებოდა.

გლეხს სამართლით ერთი დიდი უფლება ჰქონდა მინიჭებული: თუ ბატონს თავის ცოლთან ან ქალიშვილთან მრუშების დროს შეისწრებდა, ასეთ პირობებში ბატონის მოკვლისათვის პასუხს არ აგებდა[3]). ცხადია, რომ სამართალი და ხალხის შეგნება, რომელიც ასე უყურებს ამ მოვლენას, ვერ დაუშვებდა ეგ. წოდ. „პირველი ღამის უფლებას".

სამართალი ყმას ანიჭებდა უფლებას, თუ ის გაექცეოდა ბატონს და ექვსი წლის განმავლობაში დაჰყოვდა სხვა მემამულესთან, პირველ ბატონს მასზე უფლება ეკარგებოდა. ამას მიტომ ვადგენთო,— დასძენს კანონმდებელი—რომ „ნურა კაცი თავის ყმას ძალას ნუ დაატანს"-ო[4]). თუმცა ამ უკანასკნელ დებულებას არ ჰქონდა სავალდებულო ხასიათი, რომლის დარღვევას უნდა მოყოლოდა განსაზღვრული შედეგი, მაგრამ ექვსი წლის შემდეგ ცუდი ბატონისაგან განთავისუფლების უფლება ყმისათვის ცოტა შეღავათს მაინც შეიცავდა.

ამავე დროს საბუთებში არა ერთხელ ამოიკითხავთ ბატონის თხოვნას მეფისადმი, რომ მან ნება დართოს მას შეკრიბოს მისგან გაქცეული გლეხები და ისევ თავის მამულში დაასახლოს, და მეფეც აკმაყოფილებს ამ თხოვნებს. თუ აღნიშნული ვადა (6 წელი) გასული

---

[1]) Пурцеладзе. Крестьян. грамоты, 78-79 გვ.

[2]) იქვე, 78-79 გვ.

[3]) ვახტ. დებულება, 42 მუხ.

[4]) ვახტ. დებულება, 201 მუხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იყო, ბატონს სამართლით უფლება ჰქონდა თავის მამულში მოეყვანა წასული ყმა, თუ კი მას მოსძებნიდა, და მეფისაგან განსაკუთრებული ნებართვის გამოთხოვა ზედმეტი იყო. ცხადია, ამ შემთხვევაში ნაგულისხმევი ვადა გასული იყო.

აგრეთვე არა ერთი საბუთი მოიპოვება, საიდანაც ჩანს, რომ ყმებს ან ხიზნებს მიუმართავს მეფისათვის თხოვნით, რომ დაიცვას ბატონის უსამართლო და უმსგავსო საქციელისაგან. მაგ., 1772 წ. ხიზანი სთხოვს მეფეს დაიცვას ის მემამულისაგან, რომელსაც ექვსი მანეთი წაურთმევია მისთვის, შეუკრავს და რამდენიმე დღით საპყრობილეში ჩაუგდია. 1778 წ. მემამულე ავალიშვილი ავიწროებს გლეხებს, დაუხოცა მათ ხარები და ამ გარემოების გამო გლეხებმა მოსავალი შინ ვერ მოიტანეს. მეფემ ბრძანა, რომ ავალიშვილს წართმეოდა გლეხები და დაესახლებინათ ისინი მეფის მამულში [1]). ეს ასე იყო, მაგრამ მეფის ბრძანება ცხოვრებაში იმდენად ტარდებოდა, რამდენადაც მას მემამულე ემორჩილებოდა, რამდენადაც ცენტრალური ხელისუფლება ძლიერი იყო. ზევით, სათანადო ადგილს, ჩვენ მოვიყვანეთ თავად აბელ ანდრონიკაშვილის მაგალითი, რომელიც შვიდჯერ არ ასრულებს მეფის ბრძანებას ყმების შესახებ, და ბოლოს მეფეს მეტი არა დარჩენოდა რა, რომ „მამაძაღლობით“ ეგინებინა და დამუქრებოდა [2]).

ან რა ფასი უნდა ჰქონოდა მეფის ბრძანებას, როდესაც თვით სამართალი ამბობდა, რომ თუ უმაღლესი თავს დაესხმოდა უმდაბლესს, უკანასკნელს უნდა მოეთმინა [3]).

ამიტომ ის ცოტა უფლებები, რომელსაც სამართალი ანიჭებდა ყმას თავის პიროვნების დასაცავად, ცხოვრების მიერ გაბათილებული იყო ისე, რომ მე-19 საუკ. მიწურულში ჩვენში გამტკიცებული იყო ჩვეულება, რომელსაც კანონის ხასიათი ჰქონდა, რომ გლეხი ბატონის ჩივილს ვერ გაბედავდა. ბატონს ჰქონდა უფლება არა თუ დაჯარიმების, თავის გლეხის გაროზგვისაც, მხოლოდ გაროზგვისა და ცემის შედეგი არ უნდა ყოფილიყო ყმის დასახიჩრება. მაგრამ თუ ბატონი ამასაც ჩაიდენდა, ან სხვაგვარად მოეპყრობოდა თავის ყმას, ის არავის წინაშე პასუხს არ აგებდა, მეფე საყვედურსაც ვერ ეტყოდა, რადგან ყმა შეადგენდა ბატონის საკუთრებას და გლეხს არ შეეძლო ბატონისათვის სადმე ჩივლა [4]).

---

[1]) Пурцеладзе. Крест. грамоты, 30 გვ.

[2]) იქვე, 38 გვ.

[3]) ვახტ. დებულება, 56 მუხ.

[4]) 71 ст. Обычаи, введеные при груз. царях законом (Приложенае к Сборнику Законов Вахтанга VI, რუსული გამოცემა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმის გაჩუქება.

ყმა სამოქალაქო დამოკიდებულებაში ისეთივე ობიექტი იყო, როგორც სხვა ჩვეულებრივი ნივთი. ყმის ჩუქება ადგილ-მამულით ან უმამულოდ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ზოგ შემთხვევაში წყალობას ჰქონდა კერძო ხასიათი,—ჩუქება რაიმე სამსახურისათვის, ზოგჯერ კი ის გამომდინარეობდა მეფის ხელმწიფეობისაგან.

გაჩუქების დროს მებატონე არავითარ ანგარიშს არ უწევდა ყმების ნება-სურვილს. ცხადია, ყმის გაჩუქების აქტი მოწმობს მისი პიროვნების არარაობას.

მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს.

1643 წ. როსტომ მეფე აძლევს ფარსადან ბარათაშვილს სიგელს და უწყალობებს მას, მის ძმას გიორგის და ჩამომავლობას გლეხებს ხუციშვილს და ფირუაშვილს „მათი მამულითა და ნასყიდობითა, რომ ისინი სამკვიდრონი ყმანი ყოფილიყვნენ; გიბოძეთ სამკვიდროდ და საბოლოოდ“[1]) 1717 წ. რუსუდან დედოფალი, ვახტანგ VI მეუღლე, აძლევს სიგელს ბახუტა, ივანე და ნიკოლოზ საკაძეს და უწყალობებს მათ „მრავალ სამსახურისა სანაცვლოდ“ გლეხთ იაკობაშვილს ნასყიდას, გურასპანაშვილს ივანეს და თამაზას, ხუხიტაშვილს აბრამს, გაგლიძეს და სეხნია როსაპაშვილს მიწით, წყლით, სახლ-კარით, ჭურმარნით, საბძლით, ველით, ვენახით, მთით, ბარით, წყლით, წისქვილით, სასაკლაოთი, ნასყიდითა და უსყიდით, შემოსავლით და გასავლით[2]). ხიმშია ამილახვარი უბოძებს მცხეთის ეკლესიას გლეხ შერგილაშვილს ყოველი მისი მამულით[3]). მეფე ალექსანდრე იმავე მცხეთის ტაძარს უწყალობებს გლეხს ტაირასშვილს[4]).

თავადმა სოლომონ ერისთავმა აჩუქა ვილაც ექიმ კარაევს მსახური ოსის ქალი ექიმობისათვის; საჩუქრის წიგნში ნათქვამია, რომ ნაჩუქარი ქალი შეადგენს კარაევის სრულ საკუთრებას და მას შეუძლია ის გაყიდოს, დააგირაოს და გააჩუქოს[5]). იმავე ექიმისათვის თავად დავით ერისთავს უჩუქებია ბავში ოთარ ოთანაშვილი; თავად კონსტანტინე მუხრანსკის და ანასტასია ორბელიანს კიდევ ბავში, ცხადია ყმის[6]).

სამართლით ნაწყალობევი ყმის მდგომარეობა უკეთესი იყო, ვიდრე სხვა ყმებისა. ნაწყალობევი ყმის სიკვდილს შემდეგ, თუ მას არ დარჩებოდა ვაჟი, მისი ქონება გადადიოდა ცოლზე და ქალი-

---

[1]) ექვ. თაყაიშვილი. საქ. სიძველენი, III ტ, 143 გვ.

[2]) ექ. თაყაიშვილი. საქარ. სიძველენი. III ტ. 153 გვ.

[3]) ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები, III, გვ. 3.

[4]) იქვე, 13 გვ. 1428 წ.

[5]) Д. Пурцеладзе. Дв. Грам. Зап. Грузин, 81 გვ. 1812 წ.

[6]) იქვე, 81 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილზე ყმური უფლებებით. ამ უფლებით არ სარგებლობდა, მაგ., ნაყიდი ყმა. ნაჩუქარი გლეხის ქვრივს შეეძლო გათხოვება, თუ თვითონ მოისურვებდა, ბატონს არ შეეძლო იძულებულ ეყო ის გათხოვებულიყო; ნაწყალობევი ყმის ქალიშვილი ბატონს არ უნდა წაეყვანა მოახლედ[1]).

მიუხედავად ასეთი საკანონმდებლო ნორმებისა, ფაქტიურად ნამოწყალევი ყმა არაფრით არ განირჩეოდა თავისი უფლებრივი მდგომარეობით სხვა კატეგორიის ყმებისაგან. ცხოვრება თანდათან აუარესებდა მათ მდგომარეობას, და მე-19 საუკ. პირველ ნახევარში მათი მდგომარეობა არა თუ არ გაუმჯობესდა, არამედ უფრო დამძიმდა.

ყმა მზითვად.

ყმა, როგორც პიროვნება, იმდენად დამცირებულია და იმდენად უახლოვდება ის თავის მდგომარეობით ჩვეულებრივ სასარგებლო ნივთს, რომ როდესაც ბატონი ათხოვებს თავის ოჯახის წევრს— ქალიშვილს, დას და სხვა ვისმე, მზითვად, სხვა ქონებასთან ერთად, ყმებსაც აძლევს.

სამართალი არსად არ იხსენიებს ნამზითვ ყმას, მაგრამ, რაკი ბატონი ყმის სრული განმკარგულებელი იყო, რაკი ყმის, გარდა სულისა, ყველაფერი ბატონისაა, ყმის მზითვად გაცემა არ წარმოადგენდა არაჩვეულებრივ რასმე, და საბუთებმა ბევრი ამის ფაქტი დაგვიტოვა.

მაგ., 1765 წ. თავადი ორბელიანი აძლევს მზითვად თავის დას ელისაბედს ოთხ კომლ ნაყიდ გლეხს მთელი მათი მიწა-წყლით[2]). ელისაბედ ჩაციძის მეუღლე ათაბეგ მელიქიშვილის ასული იტრიის ეკლესიას უწყალობებს გლეხს პაატა ულუმბელაშვილს თავის შვილით და სახლეულობით და იმავე წყალობის წიგნში აღნიშნავს, რომ მან ეს ერთი კომლი ნაყიდი კაცი მზითვად მიიღო[3]). 1792 წ. ბატონი თავის ქალიშვილს აძლევს მზითვად ებრაელ ყმას[4]). ქსანის ერისთავის ასულის ელენეს და ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნებში მოხსენებულია მზითვად მიძღვნილი ყმები ცხენების ჯოგთან და ღორებთან ერთად.[5])

იმავე მზითვის წიგნებში მოხსენებულია, რომ მზითვად, სხვა ურიცხვ სიმდიდრეთა შორის, ეძლევა გათხოვილს „ვეფხის ტყაოსანი“

---

[1]) ვახტ. დებულება. 248-მ.

[2]) Д. Пурцеладзе. Крест. грам. 17 გვ.

[3]) ექ. თაყაიშვილი. საქარ. სიძველენი, III ტ. 132 გვ. 1777 წ.

[4]) Д. Пурцеладзе. Крест. грам. 54 გვ.

[5]) ექ. თაყაიშვილი. საქარ. სიძველენი. III ტ., 501, 491 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საღვთო წიგნები. ერთიც და მეორეც ეწინააღმდეგებოდა ადამიანის ასეთ დამცირებას, მაგრამ ბატონისათვის, რომელიც თავის კმაყოფილებაზე და ქალიშვილის „სასახელოდ“ გამზითვებაზე ფიქრობდა, ამას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა.

ყმის დაგირავება.

ცხოვრებაში ხშირი იყო ისეთი მოვლენა, როდესაც ამა თუ იმ ვალდებულების შესახებ დაინტერესებულ მხარისათვის საჭირო იყო რეალი გარანტია. ასეთ გარანტიას ფეოდალურ საქართველოში წარმოადგენდა ყმა. მიწა, მამული, ბაღი უყმოთ, დაუმუშავებელი არ შეიცავდა რეალ ღირებულებას და, მაშასადამე, გარანტიას. ამიტომ ჩვენში დიდად გავრცელებული იყო ყმების დაგირავება, პიროვნულად ან ოჯახობით მის გადაცემა მოვალესადმი, რომელიც, თუ კი ვალდებულებას არ შეასრულებდა მეორე მხარე განსაზღვრულ ვადაში, ყმას თავის განკარგულებაში დაიტოვებდა.

ყმის დაგირავებას, საწინდრად გაცემას, ყმის ნასესხები ფულის ან საქონლის ეკვივალენტად მიჩნევას, ცხადია, არარაობამდის დაჰყავდა ყმის პიროვნება და ოჯახური მდგომარეობა.

აი რამდენიმე მაგალითი:

თავადი ალმასხან წულუკიძე სესხულობს 45 მან. თავად დავით ჩხეიძისაგან და ვალდებულების გარანტიად აძლევს მას გირაოდ გლეხ ლევან გურგენიძეს. ვალის გადახდამდის დაგირავებული გლეხის შრომით სარგებლობს მსესხებელი, და როდესაც თავადი წულუკიძე ვალს გადიხდიდა, ჩხეიძე მას ყმას დაუბრუნებდა [1]).

ბეჟან ერისთავმა ისესხა ქუთაისის მიტროპოლიტ დოსითეოსისაგან 500 მარჩილი და მისცა მას საწინდრის ქალალდი, რომლითაც ვალის საგარანტიოდ დაუგირავა მიტროპოლიტს სოფ. ბაშის ხუთი კომლი გლეხი უძრავი და მოძრავი ქონებით. სანამ ერისთავი გადაიხდიდა ვალს, დაგირავებული გლეხები იყვნენ მიტროპოლიტის სრულ განკარგულებაში [2]).

ბატონი არა თუ სხვას უგირავებდა თავის ყმას, უკანასკნელს აიძულებდა, რომ თვით მას დაეგირავებინა ბატონისათვის რომელიმე თავისი ოჯახის წევრი. მოხდებოდა ხოლმე, რომ ყმა ვერ შეასრულებდა ბატონის წინაშე ყმის ვალდებულებას,—ვერ გადაიხდიდა გამოსაღებს, ვერ შეასრულებდა ბეგარას და სხვა. ასეთ შემთხვევაში ბატონი აძლევდა მას ვადას ვალდებულების შესასრულებლად და გირაოდ ოჯახის რომელიმე წევრი მიჰყავდა სამოახლოდ.

---

[1]) Пурцеладзе. Грам. Зап. Грузии. 122 გვ. 1815 წ.

[2]) იქვე, 119 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგ., 1819 წ. გლეხმა ნიკოლოზ გვინცაძემ ვერ გადაუხადა ბატონს ივანე ქუთათელაძეს გადასახადი და მას საწინდრად აძლევს თავის დას სამი წლის ვადით მოახლეთ იმ პირობით, რომ თუ სამი წლის განმავლობაში გლეხი ვერ გადაიხდიდა გადასახადებს, მისი და დარჩებოდა ბატონს მოახლედ სამუდამოდ [1]).

ამრიგად, ყმა იყო გირავნობის ობიექტი ბატონის ხ,ლში, თვით-კი არ ჰქონდა ასეთი უფლება თავის შრომით შეძენილ საგნებზე. ყმას არ შეეძლო, თუ ბატონი ნებას არ დართავდა, ვისმე თავდებად დადგომოდა. და თუ ბატონი ასეთ მოწყალებას მოიღებდა, მას შეეძლო მხოლოდ ერთი ხარის ფასის, ე. ი. ორი მანეთის, თავდებობა. [2])

ყმების გაყიდვა.

ყმის გაჩუქება-წყალობასა, დაგირავებასა, მის მზითვად გაცემაში უკვე ჩაქსოვილი იყო მათი გაყიდვის უფლებაც. ამიტომ მას შემდეგ, რაც ზევით აღვნიშნეთ, სავსებით ბუნებრივია ყმების ყიდვა-გაყიდვის მოვლენა.

ყმა აღებმიცემობის ერთი ობიექტთაგანი იყო, რომელსაც ბატონები—ფეოდალები აწარმოებდენ. ისინი ასრულებდენ გამყიდველისა და მყიდველის როლს. საათაბაგოს სამართალი,—ბექას და აღბუღას კანონები (15 საუკ.), ბატონის მიერ ყმის გაყიდვას ნორმალურ მოვლენად აღიარებს, მხოლოდ ამ აქტის ზოგიერთ მხარეებს აქცევს ყურადღებას და განსაზღვრავს მის წესრიგს [3]). საეკლესიო სამართალი—სჯულის კანონი (1605—1639 წ.), დადგენილებებით სასტიკად ებრძოდა ამ მოვლენას, აღიარებდა ადამიანით აღებმიცემობას დანაშაულად და დამნაშავეს სიკვდილით დასჯით—ჩამოხჩობით ემუქრებოდა [4]). ასეთი სასტიკი ზომა აიხსნება მით, რომ მე-17 საუკ., განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, გავრცელებული იყო ადამიანით ვაჭრობა. იმერეთში გიორგი III (1605—1639 წ.) მეფობის დროს გავრცელებული იყო მრავალგვარი ბოროტმოქმედება: ტყვეების ყიდვა, კვლა, ძარცვა და სხვა. შარდენის ცნობას, რომ სამეგრელოში გავრცელებული იყო ადამიანით აღებმიცემობა, რომ ტყვეებს ან ფულად ჰყიდდენ ან საქონელზე სცვლიდენ, ჰყიდდენ ოსმალეთსა და სპარსეთში, რომ მარტო კონსტანტინოპოლში წლიურად 3000 ტყვე იგზავნებოდა, ამტკიცებს ეგრედ წოდ. „რჯულის კანონი", სა-

---

[1]) Д. Пурцеладзе. Грам. Зап. Грузии, 122 გვ.

[2]) აღბუღა და ბექა, 69 მ. ვახტ. დებულება, 18 მ.

[3]) აღბუღას და ბექას სამართალი, 57 მუხ.

[4]) კათალიკოსის კანონები, 1 მუხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც ნათქვამია, რომ გავრცელდა სხვადასხვა მძიმე ბოროტმოქმედება და განსაკუთრებით ადამიანის ყიდვა-გაყიდვა, ამიტომ მეფე გიორგი III ინიციატივით მოწვეულ იქნა სასულიერო კრება, სადაც შედგენილ იქნა „რჯულის კანონი". მაგრამ ეს სიმკაცრე ფიქტიური იყო: არა თუ საერო ფეოდალებს, სასულიერო პირთაც არ აუღიათ ხელი ადამიანით აღებმიცემობაზე. ამ სამარცხვინო სენს ისე გაუდგამს ფეხი ფეოდალურ წეს-წყობილებაში, მებატონეთ ისე გატკბობიათ ამ „საქონლით" ვაჭრობა, ეს ხელობა იმდენად მომგებიანი ყოფილა, რომ ვახტანგის სამართალი (18 საუკ. დასაწ.) კრძალავს ადამიანის გაყიდვას მხოლოდ ურწმუნოზე, ე. ი. არა ქრისტიანზე [1]).

რაკი პრინციპიალურად სამართალიც სცნობს ნორმალურ მოვლენად ადამიანით აღებმიცემობას, აქედან, ცხადია, ამ ვაჭრობის ასპარეზი გაფართოვდებოდა, რადგან აღებმიცემობა ნაკლებ ანგარიშს უწევდა და უწევს მორალურ მოსაზრებებს. ეს ასეც მოხდა. ფეოდალურ საქართველოში ადამიანით ვაჭრობამ მიიღო საგარეო ვაჭრობის ხასიათიც-კი, და რაც დრო გადიოდა, მით უფრო ვრცელდებოდა ეს სამარცხვინო მოვლენა. ამ მოვლენას, გარდა სპარსეთოსმალეთის გავლენისა, ხელს უწყობდა მთლიანი საქართველოს დაშლის პროცესი და კუთხობრივი საქმიანობის და პოლიტიკის გაბატონება.

მოვიყვანთ ყმების აღებმიცემობის ზოგიერ მაგალითს: 1773 წ. თავადმა გარსევან კორღანაშვილმა მიჰყიდა თავის ძმას ერთი კომლი გლეხი მთელი მისი მამულით და ქონებით[2]). 1794 წ. აზნ. ღულაძემ მიჰყიდა ერთი გლეხი ქუთაისის მიტროპოლიტს დოსითეოსს[3]). აზნ. ლევან იოსელიანმა მიჰყიდა 120 მან. სიმონ კანდელაკს თავის მსახური ქალი, რომელიც ბორკილ გაყრილი ჩააბარა მას და პირობა დაუდვა, თუ მოყიდული ქალი გაექცეოდა კანდელაკს, ფასს უკანვე დაუბრუნებდა[4]). აზნ. ახვლედიანები, მათგან ერთი მღვდელი, ჰყიდიან ოთხ გლეხს და ნასყიდობის ბარათსაც აძლევენ მყიდველს[5]).

მოვიყვანთ შემოკლებით ერთ ასეთ ნასყიდობის წიგნს, როგორც ნიმუშს. „1759 წ. ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგართვი და მოგეცი ჩვენ ხერხეულიძემ ავთანდილის შვილმან იოვანემ და ძმამან ჩემმან სვიმონ თქვენ, ამილახვარისშვილს ხელმწიფის სახლთუხუცესს, პატრონს დიმიტრის და შვილსა შენსა გიორგისა, იოვანესა, ალექსანდრეს და ნიკოლოზს და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველსავე

---

[1]) ვახტ. დებულება. 97 მუხ.

[2]) Д. Пурцеладзе. Крест. Грам. 7 გვ.

[3]) Д. Пурцеладзе, Грамоты Зап. Грузии, 105 გვ.

[4]) იქვე, 120 გვ.

[5]) იქვე, 122 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე და ამა პირთაზედა, ავის დროთა და ჟამთა ვითარებით დამეჭირა და მოგყიდეთ ჩვენისავ ნებით და ჯერ ჩინებით და თქვენ შემოგეხვეწენით და მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი და ბარათში გამოყოლილი ცხინვალის მემკვიდრე და მსახლობელი ჩამოვარდნასშვილი ყაყიტა, იმისი შვილი ბეჟანა და თანდილა თავეთის სახლ-კარით, ჭურ-მარნით, დუქნებით, მამულით, წყლითა, წისქვილითა, ვენახითა, სახნავითა, ჭალითა, სათიბითა, მთითა და ბარითა, სასაფლაოთი, ნასყიდითა და უსყიდიოა, თავეთის ნატამლითა, დღეს რასაც მქონებელი იყოს და ან ყოფილიყოს, თქვენთვის მოგვიყიდნია, მოგვირთმევია და მოგვიცია ყოვლის კაცის უცოდებლად და ულაპარაკოდ და მოუდევრად... ან ესე ჩვენი მისყიდული კაცი თქვენთვის მამულით გქონდესთ და გიბედნიეროსთ ღმერთმან, ვითარცა სხვა მრავალი ალალთა მონასყიდეთა და ვერავინ გედაოსთ თვინიერ ღვთის მეტი და თუმცა ამისა შლად და ქცევად ხელ-იყოს დიდმან, ანუ მცირემან, ანუ ჟამთა ცვალებათა და დრო პოვნათა მიერ, მასამც რისხამს დაუსაბამო ღმერთი და ყოველი მისი წმინდანნი და ნურთმცა იხსნა სული მისი ჯოჯოხეთისაგან განუხსნელად საკვირველთაგან, ხოლო დამამტკიცებელი მისი ღმერთმან აკურთხოს. არიან ამის მოწამენი და დამსწრენი პირველად ღმერთი, კაცთაგან: ციციშვილი ნაზარი დიმიტრი, მდივანი გოჯასპირ, მდივანი ყარამან, მდივანი ედიშერ, თაქთაქიშვილი ელიზბარ, გორის მამასახლისი ბაბალისშვილი გიორგი, ქრცხინვალის მამასახლისი იესე, მე სვეტის-ცხოველის კათალიკოზ-პატრიარქის მდივანს მაღალაშვილს ნიკოლოზს ამ ხერხეულიძის ყაბულობით დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი".[1]) ნაყიდობას აწერია: „ჩვენ ყოვლად უსამღვდელოესი მთავარ-ეპისკოპოზი მროველი, ნიქოზელი მიტროპოლიტი იუსტინე ხელს ვაწერთ ამ ნასყიდობის სიგელსა".

ამ სამწუხარო აქტის დაწერას ვითომ ღმერთიც მოწმეთ დასწრებია, რომელიც შეაჩვენებს ყველას, ვინც მას დაარღვევს. ამიტომ მიტროპოლიტიც ხელს აწერს და ამტკიცებს მას! გარდა მიტროპოლიტისა, რამდენიმე დიდებული, ორი მამასახლისი და სამი მდივანი ამტკიცებენ ამ ნაყიდობას.

საბუთები ამოწმებენ იმ მოვლენას, რომ ადამიანით ვაჭრობა იმდენად გავრცელებულა ფეოდალურ საქართველოში, რომ ის ფართო მასაშიაც შეჭრილა. ხშირად შეძლებული გლეხიც კი ყიდულობდა ბაზარზე გამოყვანილ ყმას და მას ასრულებინებდა საბატონო ბეგარას [2])

---

[1]) უჭ. თაყაიშვილი. საქარ. სიძველენი, III ტ. 431—432 გვ.

[2]) Бороздин. Креп. право в Мингрелии, 47 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოთმოყვანილ ნასყიდობის წიგნიდან ჩანს, რომ ბატონმა გაყიდა ყმა მიტომ, რომ „უჭირდა“. როდესაც ბატონი საჭიროებისათვის ყიდის ყმას, ეს გასაგებია იმ სოციალურ პირობების მიხედვით, რომელიც ფეოდალურ საქართველოში არსებობდა, მაგრამ როდესაც მამა შვილს ჰყიდის მიტომ, რომ „შიმშილისაგან ილაჯი აღარ მქონდა“-ო, ეს იწვევს გაოცებას და მოწმობს არაფეოდალურ წრეების უკიდურეს ეკონომიურ შევიწროებას. მაგ., 1757 წ. მამაჯან შალუაშვილმა მიყიდა მდივან ჯავახიშვილს თავის შვილი და ნაყიდობის წიგნში სწერს: „შიმშილისაგან ილაჯი აღარ მქონდა და მოგყიდე ჩემი შვილი... ავიღე ფასი სრული დაუკლებარი“-ო. ამ უტყუარი საბუთების შემდეგ, ფეოდალურ საქართველოში ყმის ყიდვა-გაყიდვის შესახებ, მოგზაური ლამბერტის (1635—1654 წ.) და შემდეგ შარდენის (17 საუკ.) ცნობები ამ მოვლენის შესახებ საერთოდ სწორად უნდა აღვიაროთ. მოგზაური ლამბერტი აღნიშნავს, რომ სამეგრელოში ძლიერ გავრცელებული ყოფილა ადამიანით აღებ-მიცემობა. ჰყიდდენ მათ მემამულეები ოსმალეთში საჭირო ნივთების შესაძენად, ან დანაშაულობისათვის. ლამბერტი აგვიწერს ერთ ფაქტს: ვიაც ჭელიძეს გადაეწყვიტა 12 თავის ყმის გაყიდვა; ფული მას ჭირდებოდა საქორწილოდ, ეს გაუგიათ ყმებს და გაქცეულან. ჭელიძეს კი საქონელი უნდა შეეძინა ოსმალებისაგან, რომლებიც გემით უცდიდენ მას. ჭელიძე გასაჭირში ჩავარდნილა. მაშინ მას შემდეგი ხერხისათვის მიუმართავს: მოუპატიჟებია ახლო-მახლო სოფლების მღვდლები საწირავად თავის ეკლესიაში. მღვდლები სიხარულით და მორჩილებით გამოცხადებულან და უწირავთ, რომელსაც მეც დავესწარიო, სწერს ლამბერტი. წირვის შემდეგ ჭელიძეს ხალხი კარში გამოუსტუმრებია, ეკლესიის კარები დაუკეტია, ეს 12 მღვდელი გაუკრეჭია, შეუკრავს, გემზე ოსმალებთან წაუყვანია და გაუყიდია [1]). ამ ფაქტს შარდენიც იხსენიებს თავის მოგზაურობის აღწერაში, როგორც მის მიერს გაგონილს სამეგრელოში [2]). იგივე მოგვითხრობს, რომ წლიურად სამეგრელოდან 12 ათასი კაცი იყიდებოდა სპარსეთსა და ოსმალეთშიო; აქედან 3000 სტამბოლში. მამაკაცი 25-40 წლოვანი, შარდენის თანადასწრებით, გაუყიდიათ ეკიუ-დ (экю), 40 წელზე უხნესი უფრო იაფად 5-10 ეკიუ-დ, ლამაზი 13-18 წლოვანი ქალიშვილები 20, ქალები—12, ბავშები 3—4 ეკიუ-დ. ეს ყიდვა-გაყიდვა მომხდარა გემზე, რომელზედაც ეს მოგზაური ყოფილა. გაყიდულებს შორის მას უნახავს ერთი 25 წლის საუცხოო ლამაზი ქალი ძუძუ-მწოვარი ბავშით, ის უყიდია ბერძენ ვაჭარს [3]).

---

[1]) Ламберти, 179 გვ.

[2]) 36 გვ. Путешествие Шардена по Закавказью.

[3]) იქვე, 108 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა უუფლებობა.

ბლეხი არ სარგებლობდა არც სხვა უფლებებით. მას არ შეეძლო ცოლის შერთვა და მისი ოჯახის წევრს არ შეეძლოს გათხოვება, თუ ბატონის ნებართვას არ მიიღებდა და ბატონის სასარგებლოდ განსაზღვრულ გადასახადს არ გამოიღებდა.

ყმა ბატონის იყო და მას არ შეეძლო სხვა ბატონთან გადასახლება. ის მიმაგრებული იყო თავის ბატონთან და მის მამულთან. თუ ყმა გაექცეოდა ბატონს, უკანასკნელს უფლება ჰქონდა მოეძებნა ის და ძალით მოეყვანა თავის მამულში. ყმის ერთად-ერთ უფლებას შეადგენდა ის, რომ თუ ყმა გაექცეოდა ბატონს და 30 წლის განმავლობაში სხვა ბატონთან იცხოვრებდა და წინანდელი ბატონი მას ვერ მოსძებნიდა, ის ჰკარგავდა მასზე ბატონის უფლებას [1]).

30 წელი ისე დიდი ხანაა, რომ ძლიერ საეჭვოა, ყმას ამ უფლებით ესარგებლა. თუ ბატონი მიაგნებდა მას და მოითხოვდა მის დაბრუნებას, მისი მოთხოვნა ყოველ მიზეზს გარეშე დაკმაყოფილებული იქნებოდა. მართალია, ფეოდალური სამეფოების ნაწილები კარჩაკეტილი იყო, მაგრამ ისე მოწყვეტილი არ იყო ერთი კუთხე მეორეს, რომ ბატონს, თუ კი სურვილი ექნებოდა, ვერ გაეგო თავის ყმის ბინადრობა.

ამიტომ ასეთი დიდი ვადა ხანდაზმულობის ამ უფლებას ფიქტიურად ხდიდა.

რამდენადმე შეღავათს აძლევდა ყმას კანონი, რომლის ძალით, თუ ის ექვს წელს დაჰყოფდა სხვა ბატონთან, შემდეგ თვით დაბრუნდებოდა და მოისურვებდა სახაზინო ან სამეფო ყმობას, მეფის გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული დაუბრუნებდა მას ბატონს, თუ ყმის სურვილს დააკმაყოფილებდა [2]). თავის თავად არც ეს უფლება წარმოადგენდა რასმე, რადგან საკითხის გადაწყვეტა ამ შემთხვევაში მეფის სურვილზე იყო დამოკიდებული და არ გამომდინარეობდა იმ ფაქტიდან, რომ ყმამ დაჰყო ექვსი წელი სხვა ბატონთან და შემდეგ თვით დაბრუნდა.

ყმას არ ჰქონდა უფლება ყიდვის ან გაყიდვის, თუ ბატონის დასტურს არ მიიღებდა [3]).

ერთი სიტყვით, უფლების რომელ მხარესაც არ უნდა შევეხოთ, დავინახავთ, რომ ყმის უფლების განმსაზღვრელი უმთავრესად იყო ბატონის ან მეფის სურვილი, ან ინტერესი.

---

[1]) ვახტ. დებულება, 199—200 მ.

[2]) იქვე, 201 მ.

[3]) იქვე, 163 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსახურნი.

უფლებებით და ფაქტიური მდგომარეობით ყმაზე მაღლა იდგენ მსახურნი, რომლებიც იგივე ყმები იყვნენ, მაგრამ ბატონის კარზე მოსამსახურენი, ბატონთან ახლო მდგომნი, და ამიტომ უკეთეს პირობებში იმყოფებოდენ. თავადებთან ასეთ მსახურებად აზნაურებიც იყვნენ.

ბატონის კარზე სამსახურის დროს მსახურნი გამოიჩენდენ ხოლმე ბუნებრივ ნიჭს, ჭკუა-მახვილობას, სიმარჯვეს, ერთგულებას, იძენდენ გამოცდილებასაც და ბატონი აზნაურის ხარისხსაც უბოძებდა მათ.

ამიტომ სამართალში და ცხოვრებაშიაც მსახურნი, თუმცა ყმები იყვნენ, მაგრამ მათ საშუალო ადგილი ეჭირათ ყმებსა და აზნაურებს შორის. მათი სისხლიც მეტად ფასობდა, ვიდრე გლეხის, და ნაკლებ მესამე ხარისხის აზნაურის სისხლისა. გლეხის სისხლი 120 მან. იყო დაურვილი, მსახურის ორჯერ მეტად 240 მან., ხოლო მესამე ხარისხის აზნაურის—980 მ.[1]).

აზატი.

აზატი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს თავისუფალ ადამიანს. აზატები იგივე ყმები იყვნენ, მაგრამ მსახურზე დაბლა იდგენ და ჩვეულებრივ ყმასთან შედარებით პრივილეგიური მდგომარეობა ჰქონდათ, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ბატონი ათავისუფლებდა მათ მთელი რიგი გადასახადებისა და ბეგარისაგან ან იმიტომ, რომ მათ რაიმე სამსახურით ბატონის წინაშე დაიმსახურეს მისი ყურადღება, ან იმიტომ, რომ ამ პრივილეგიებისათვის ერთდროულად აძლევდენ ბატონს სასყიდელს. აზატები თავისუფალი იყვნენ მძიმე და არასასიამოვნო შრომისაგან, არ აძლევდენ ბატონს თავის ოჯახიდან მოჯალაბეს, ფარეშს, რომლებიც ბატონის კარზე სავსებით უუფლებონი იყვნენ, არ იყვნენ ვალდებულნი მონაწილეობა მიეღოთ „ნადობა"-ში, ე. ი. ბატონის საკუთარ ყანების დამუშავებაში და სხვა. ისინი ამუშავებდენ მიცემულ მამულს, იხდიდენ განსაზღვრულ გამოსაღებს და ასრულებდენ ჩვეულებრივ ბეგარას.

აზატები ერთგვარ საპატიო თანამდებობას ასრულებდენ, იყვნენ ბატონის კარზე მერიქიფეებად, მესტუმრეებად, ბატონს მოგზაურობის დროს ეახლებოდენ ცხენოსნები, ასრულებდენ გზირის როლს და სხვა.

---

[1]) 8, 10 მ. აღბ. და ბექას სამართალი; ვახტ. დებულების 32 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ აზატები, გარდა ჩვეულებრივ გადასახად-ბეგარისა, მაინც ვალდებულნი იყვნენ, მაგ. სამეგრელოში, ორ წელიწადში ერთხელ მიერთმიათ ბატონისათვის ერთი ძროხა, 1-2 კოდი ღომი და 1-2 კოკა ღვინო —ამასთანავე აზატებს ბატონის კარზე მჭედლობა, მეთორნეობა და სხვა ხელობა ევალებოდა და ვინც ამის მცოდნე იყო, მებატონის სასახლეში ხელობას ეწეოდა[1]).

მოჯამაგირე, მოახლე, ფარეში.

ყველაზე უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდენ ბატონის კარზე დაბალი მოსამსახურენი, რომლებიც სხვადასხვა შავ სამუშაოს ასრულებდენ. მოჯალაბე, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, —იმერეთ-გურია-სამეგრელოში, ბატონის ნამდვილი მონა იყო. მას არ ჰქონდა თავის სახლ-კარი, თავის მეურნეობა, ის ბატონის კარზე ცხოვრობდა და ბატონის ნასუფრალით იკვებებოდა. მათი უმთავრესი დანიშნულება იყო ღომის ცეხვა, გარეცხა, სიმინდის დაფქვა, მეჯინიბეობა, მეწისქვილეობა, ხაბაზობა და სხვა ამგვარი სამუშაო[2]).

ამ კატეგორიის ყმებმა, მოჯალაბე-მოახლე-ფარეშმა, მიიღეს ერთგვარი ჯგუფური ხასიათი, და მათი სამსახური-მოვალეობა ჩამომავლობით, მემკვიდრეობით გადადიოდა. ასე იყო დასავლეთ საქართველოში.

აღმოსავლეთ საქართველოში ყმის ოჯახი ვალდებული იყო მიეცა ბატონისათვის შინამოსამსახურე. ზოგ ყმას ხან ოჯახობით, ხან გვარეულობით ბატონი ათავისუფლებდა ამ მოვალეობისაგან.

ყმების მდგომარეობა ყმობის საფუძვლის მიხედვით.

ყმის უფლებრივი და ფაქტიური მდგომარეობა ბევრად დამოკიდებული იყო მისი ყმობის საფუძველზე. ყმა ნაყიდი, ვალ-გადაუხდელი, ტყვედ ჩავარდნილი, ტყვეობიდან გამოყიდული ერთი კატეგორიის ყმებს ეკუთვნოდენ და თავის უფლებრივი მდგომარეობით ძლიერ დაბლა იდგენ, მათი მდგომარეობა ძლიერ ცოტად განირჩეოდა მონის მდგომარეობისაგან. მათ ჰქონდათ მხოლოდ მოვალეობანი, რომლის ხასიათი და რაოდენობა ბატონის ნებასურვილზე და ადამიანობაზე იყო დამოკიდებული. რაკი ბატონმა ის იყიდა, ტყვეობიდან გამოიყიდა, ან ვალში, ან სისხლის დასაურავში გასცა, - მასზე

[1]) С. Авалиани. Крест. вопрос в Закав. 81 გვ. Борозина. Креп. право в Мингрелии.

[2]) იქვე, 64 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონს სუბიექტიურად და მატერიალურადაც სრული უფლება ებადებოდა, როგორც ისეთ ყმაზე, რომელსაც მან უშველა, ან რომელზედაც ფული დახარჯა.

საბუთები ხშირად აღნიშნავენ ტყვეობის საშინელს სურათს, და, ცხადია, ბატონი, რომელიც დიდი სატანჯელისაგან იხსნიდა ტყვეს, უკანასკნელის აბსოლუტურ ბატონად სთვლიდა თავს.

მაგ. 1779 წ. საბუთში აღწერილია გულშემზარავი სურათი სპარსელების მიერ ტყვეების წასხმისა. ისინი მიუყვანიათ ერევანში. იქ აბანოში წაუყვანიათ, დაუბანიათ და წინადაცვეთა დაუპირებიათ. ტყვეებს საშინელი ტირილი, გოდება და ღრიალი დაუწყიათ. ერთ მებატონეს შეცოდებია და რამდენიმე ტყვე გამოუყიდია [1]). რასაკვირველია, მშველელი ბატონის ხელში ზნეობრივ და ფიზიკურ ტანჯვას გადარჩენილი ყმა უუფლებო იქნებოდა, თუ კი ბატონი არ მისცემდა მას ადამიანის ზოგ უფლებებს.

1781 წ. საქართველოდან ვაჭარი ლეკეთში სავაჭროდ წასულა. იქ დავალიანებულა; მოვალეები ჩამოსულან ტფილისში, დაუჭერიათ მისი ოჯახი და მიჰყავდათ ლეკეთში. მეფეს მიუცია წინადადება ბატონისათვის, რომ მას გამოეხსნა თავისი ყმა. ბატონს არ გამოუხსნია და არც ვინმე გამოჩენილა, რომ გამოეყიდა, ვალი გადაეხადა და ოჯახით ის ყმად წაეყვანა. გლეხი სომეხი ყოფილა. მაშინ შეკრებილან ტფილისში მცხოვრები სომხები, შეუგროვებიათ გამოსაყიდი თანხა, გამოუყიდიათ და თავის ოჯახით გამოყიდული ეჩმიაძინის მონასტრისათვის შეუწირავთ [2]).

ვალგადაუხდელის მძიმე მდგომარეობა, ცხადია, საბუთს აძლევდა გამომყიდველს თავის უფლებები მასზე გაეფართოვებინა.

ნაწყალობევი და თავის ნებით ყმად შესულის მდგომარეობა უკეთესი იყო. თავის ნებით თავისუფალი კაცი ყმობის უღელს ან იმიტომ იდგამდა, რომ მას მფარველი ესაჭიროებოდა, რადგან სხვის ძალადობას ვერ უძლებდა, ან იმიტომ, რომ შიმშილის გამო განსაცდელში ჩავარდნილი, ბატონს ის ოჯახობით შიმშილისაგან ეხსნა და მისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა. უკანასკნელ შემთხვევაში ყმა არაფრით არ განირჩეოდა ნაყიდ ან ტყვეობიდან გამოყიდულისაგან, ხოლო პირველ შემთხვევაში-კი ყმობა დიდად შეღავათიანი იყო.

საბუთებში მრავალ შემთხვევებს ამოიკითხავთ ასეთი ყმობისას. მოვიყვანოთ აქ ორიოდე მაგალითი: შიმშილობაა. გლეხი თავის ოჯახობით შიმშილით სიკვდილის წინაა. მემამულე შველის მას, ჰკვებავს,

---

[1]) Д. Пурцеладзе. Крест. грамоты, 67 გვ.

[2]) იქვე, 98.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლ-შვილით, და გლეხი აძლევს ბატონს თავის თავს და მთელ თავის ოჯახს სრულ მის განკარგულებაში [1]).

ზაქარია კაცისშვილი სწერს თავად კონსტანტინე მუხრანსკის, რომ ის, კაცისშვილი, იყო თავისუფალი მოქალაქე, მან თავისი ნებით მოინდომა თავად მუხრანსკის ყმობა და ოჯახობით ეყმო მას, რომ ის ემსახურება მას ყოველი შეძლებით და საშუალებით, ხოლო ბატონმა არ უნდა მოაკლოს მას კეთილი გული და ბატონის მოხელეებმა არ შეურაცხჰყონ ის [2]).

1794 წ. გლეხები სწერენ ნინო წმინდის ეკლესიას, რომ ისინი იყვნენ ჩხეიძის ყმები. ჩხეიძემ სამჯერ გაყიდა ისინი. მათ შესძლეს სამჯერვე თავის დახსნა. ამის შემდეგ დარჩენ უმიწაწყლოდ და სთხოვენ ნინო წმინდის ტაძრის წინამძღოლს, რომ მიიღოს ისინი ყმებად [3]).

ცხადია, ასეთ საფუძველზე აღმოცენებული ყმობა უფრო ლმობიერი უნდა ყოფილიყო, რადგან ასეთ აქტებს აქვს ერთგვარი ნებაყოფლობითი და ორმხრივი ხასიათი.

ყმების ვალდებულება.

ყმები სხვადასხვა იყვნენ არა მარტო ყმობის საფუძვლის, ბატონის მიხედვითაც. სამეფო, საეკლესიო და სათავადო ყმები ერთ პიროებებში არ იმყოფებოდენ. ყველაზე უუფლებო სათავადო ან სააზნაურო ყმები იყვნენ. უკეთეს მდგომარეობაში საეკლესიო და სამეფო ყმები იმყოფებოდენ.

მეფეები, ზოგიერთი მაინც, არ იყვნენ მოკლებულნი იმ შეგნებას, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობა დამოკიდებული იყო გლეხობის მდგომარეობაზე, რომ მათი ქონებრივი დაუძლურება და ზნეობრივი დაკნინება იმავე დროს სახელმწიფოს დასუსტება და დაავადება იყო.

ამიტომ, საერთოდ, მათი დამოკიდებულება ყმებისადმი უკეთესი იყო, ვიდრე წვრილფეხა თავად-აზნაურობის, რომელიც უმთავრესად პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობდა. მეფე კიდეც მფარველობდა საერთოდ ყმებს ბატონის თავგასულობისაგან იმდენად, რამდენადაც მას ამის ძალა შესწევდა, მაგრამ ასეთი ცდა უნაყოფო იყო და მიზანს ვერ აღწევდა.

ეკლესიაც შედარებით მფარველობით და მზრუნველობით ეპყრობოდა თავის ყმებს, უმთავრესად სარწმუნოებრივი მოსაზრებით. საეკლესიო გლეხებს ჰქონდათ მეტი უფლება მამულის შეძენისა, მისვლა-

[1]) Д. Пурцеладзе. **Крепост. акты**, 6 გვ. 1672 წ.

[2]) Д. Пурцеладзе. **О крепостном состоянии в Грузии**, 21 გვ.

[3]) იქვე, 22 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსვლის და ვაჭრობისა[1]). მაგრამ სარწმუნოებრივი მოტივები არ უშლიდა ხელს ეკლესიას და მის აგენტებს მიემართათ სასტიკი ზომებისათვის, როდესაც ამას მოითხოვდა მათი ფეოდალური უფლებების დაცვა.

საეკლესიო გლეხებს არა ერთხელ მიუმართავსთ მეფისათვის და შეუჩივლიათ, რომ ეკლესიის წარმომადგენელნი მათ ავიწროებენ, მაგრამ მეფე სანუგეშებლად უპასუხებდა: „საქართველოში არაოდეს არ ვის გაუგონია, რომ ვინმემ თავიდან აიშოროს საეკლესიო ხარჯის მიცემა“,—ასეთი იყო ერეკლე II პასუხი ურბნელებისადმი[2]).

მეორე მხრით, ეკლესიას არა ერთხელ მიუმართავს მეფისათვის, რომ დახმარებოდა ურჩი გლეხობის დასამორჩილებლად. მაგ., 1775 წ. ეკლესიამ აცნობა მეფეს, რომ მას არ ემორჩილებიან ყმები. მეფემ უბრძანა ქიზიყის მოურავს, რომ მას, მომჩივან ბერის ჩვენებით, მიეღო ზომები ურჩი ყმების წინააღმდეგ: ვინც ბერმა გიჩვენოს, დაიჭირე, ბორკილები დაადე და გაანადგურე, თითეულს ის სასჯელი განუწესე, როგორც ბერმა სთქვასო[3]). ცხადია, ყველა ურჩი ერთგვარად არ ყოფილა დამნაშავე, დამნაშავეთა გამოძებნა და მათთვის მძიმე და მსუბუქი სასჯელის განწესება ბერზე ყოფილა დამოკიდებული.

ყმების ვალდებულებაც სხვადასხვაგვარი იყო ბატონის მიხედვით. სხვა იყო გადასახადი და ბეგარა სამეფო ყმის, სხვა იყო საეკლესიო და სათავადო ყმისა. ამ მხრივ ბევრი რამ დამოკიდებული იყო ბატონის კეთილ-განწყობილებაზე, ლმობიერებაზე და ადამიანობაზე. მიუხედავად ამისა, რამდენადმე მაინც შეიძლება აღდგენა საერთოდ ყმების ვალდებულებისა მეფის, ეკლესიის და თავადაზნაურობის წიხაშე. ტყუილად დაუწყებთ ძებნას ერთ რაიმე ჩამოყალიბებულ მტკიცე ფინანსიურ სისტემას. ამის ცდა ვითომ უკისრია „დასტურლამალის“-ს ავტორს. მაგრამ სწორედ ეს შრომა გვიდასტურებს ფინანსიურ უსისტემობას და გაურკვევლობას.

აქ ყმის ყველაფერი დაბეგრილია, ყოველგვარი მოსავალი, ყველა დარგი, რასაც ის აწარმოებს, და ყველას სასარგებლოდ: მეფის, ბატონის, ეკლესიის, მოურავის, ნაცვლის, მდივანბეგის, სახლთუხუცესის და სხვადასხვა. გამოსაღები და ბეგარა ყოველგან ერთი და იგივე არ არის. ის სხვადასხვაა და მრავალი: „ავლაბრის რიგისა და სამსახურისათვის“ ერთი წესია დადგენილი, „ატენის კაცზე ბატონის დებულება და ატენის კაცზე მოურავის დებულება“ სხვადასხვაა, „ბოლნისის გასაღები“, „გორის გასაღები“, „დიღომის ბატონის

[1]) ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა, 62-65 გვ.

[2]) ხიზანაშვილი. 45 გვ.

[3]) Д. Пурцеладзе. Крепост. Грамоты, 27 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაღები", „შულავერის და თეთრი სოფლის ბატონის და მოხელეთა გასაღები", „ეკლესიის გამოსაღები" სხვადასხვაგვარია როგორც რაოდენობით, ისე გადასახადების ერთეულებით [1]).

გადასახადდადებული და დაბეგრილი იყო ყველაფერი, რის დაბეგვრაც კი შეიძლებოდა: არა თუ პური, ღვინო, ოთხფეხი, ცხვარი, —გათვალისწინებულია გამოსაღები „ერბოს რიგისათვის", „ძველი და ახალი თევზისათვის" [2]) და გადასახადდადებულია ქათამი, მარილი, კვერცხი და სხვა და სხვა [3]).

დღესასწაულები: აღდგომა, შობა, ახალწელიწადი ყმების დაბეგვრის ახალ საფუძველს იძლეოდა [4]). ბატონის მოგზაურობა, მწუხარება ან ბედნიერება ყმებს სხვა გადასახადს ავალებდა [5]).

მოვიყვანთ ორიოდე დადგენილებას: „სამი დღე ბატონის ხვნა, იმისი მკა, ლეწვა, თავზე სამი აბაზი მალი, საქვრივო ძროხა ბატონის არის, ფუთზე ჩარექი ერბო, საშობაოდ ორი ცხვარი და ათი ქათამი, სააღდგომოდ ორი ცხვარი და ათი ქათამი. ბეგარა რაზედაც დაუძახონ, უნდა წავიდეს. სამი დღე ზვარი უნდა იმუშაოს. თუ ქურდობა ჩაიდინონ, საზღაური ბატონის არის და ათის თავი მოურავისა.—მოურავს ერთი დღე ხვნა, ერთი მკა, მისი მიზიდვა, ლეწვა, შაური თავის გასამტეხლო. ძროხა ერთი საშობაო, ცხვარი ერთი, კომლზე ქათამი ერთი, სააღდგომოდ ერთი ბატკანი, ქათმის კვერცხი. სააღდგომოდ ბატონის მოსავალისა ათის თავი ნახევარი მოურავისა არის და ნახევარი მეღალეს სახლთუხუცესისა... და სხვა [6]). აი კიდევ მეორე მაგალითი: „ეკლესიის გამოსაღებისათვის. ეკლესიის გამოსაღები საბატონო, საშობაო და სააღდგომო ძღვენი: ცხვარი რვა, ქათამი თუთხმეტი. ბატონი რომ აიყრება, ექვსი ცხენი, ან მისი ქირა უნდა გამოიღონ... საბალახე, ღორის საბალახე... ფურზე ერთი ჩარექი ერბო, ბერწზე ნახევარი ჩარექი... ქათამი აბარია მ (40), იმისი ნაშენი წელიწადში რვ (106), საშობაო და სააღდგომო ლ (30). ეკლესიის მოურავისაა: კაცის თავზე ორი შაური; რამდენი გუთანია, ერთ დღეს ხვნა, ფარცხვა, მისი მორწყვა, მომკა, მოტანა, გალეწვა; საჩექმე ათი შაური... კუამლზე თითო ულაყი... ეკლესიის მამასახლისის, ეკლესიის ნაცვლისაა [7])...

---

[1]) „დასტურლამალი", 8, 9, 17, 21, 26, 31, 47 გვ.

[2]) იქვე, 27, 40, 7—8 გვ.

[3]) ს. კაკაბაძე. საცაიშოს გამოსავალი.

[4]) „დასტურლამალი", 7—8 გვ.

[5]) იქვე, 7 გვ.

[6]) „დასტურლამალი", 7—8 გვ.

[7]) იქვე, 31 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, ყმა დატვირთული იყო მრავალგვარი გადასახადით და ბეგარით. აქედან ჩვენ შეგვიძლიან გამოვყოთ სახაზინო, სამეფო, საეკლესიო და საბატონო გამოსაღები და ბეგარა.

საბატონო გამოსაღები და ბეგარა.

ყმა ყველა საოჯახო და სამეურნეო მოთხოვნილებას უკმაყოფილებს ბატონს თავის შრომით და მოწეული ჭირნახულით.

მას უნდა გადაეხადა **ღალა**,—ხორბალზე დაწესებული გადასახადი. ეს გამოსაღები ყველგან ერთნაირი არ იყო: ალაგ—დიდი, ალაგ—მცირე. ალაგ—დღიურზე თითო კოდი, ალაგ—მოსავლის კვალობაზე,—ხუთიდან ათ ნაწილამდე.

კულუხი—გადასახადი ღვინოზე. ეს გადასახადი არ იყო ყოველგან ერთი რაოდენობის. ზოგან განსაზღვრული იყო, ზოგან არა, ზოგან მთელ სოფლისათვის იყო განსაზღვრული საპალნის რაოდენობის გადახდა, ზოგან კომლზე იყო გაწესებული. ყოველ შემთხვევაში არ აღემატებოდა მოსავლის მეოთხე ნაწილს. მაგ., სოფ. კურდღელაურს წლიურად 23 საპალნე უნდა გადაეხადა ბატონისათვის და 110 კოდი ხორბალი, ახმეტას 14 საპალნე.

ძღვენი.—აღდგომას, შობას და ახალწელიწადს ყმა ვალდებული იყო მიერთმია ბატონისათვის ოთხფეხი, ქათამი, გამომცხვარი პური, ყველი, კვერცხი, ერბო და სხვა.

გასამყრელო.—როდესაც გლეხები, ბატონის ნებართვით, გაიყოფოდენ, ბატონს აძლევდენ ოთხფეხის და საერთოდ მოძრავი ქონების $^1/_{10}$-$^1/_{20}$-დე.

საქვრივო.—როდესაც ყმის ქვრივი თხოვდებოდა, ცხადია ბატონის ნებართვით, ბატონი ახდევინებდა ქმარს 5-50 მანეთამდე.

საჩექმე.—როდესაც ყმის ქალიშვილი თხოვდებოდა, ბატონი ახდევინებდა 1 მან. 20 კაპ.—3 მანეთამდე.

საქორწილო და სამარხი.—ბატონი ან მისი ოჯახის წევრი თუ დაქორწილდებოდა ან გარდაიცვლებოდა, გლეხი ვალდებული იყო გადაეხადა ბატონის სასარგებლოდ 5-50 მანეთამდე, ხოლო თვითეულ სოფელს თითო ძროხა უნდა მიერთმია.

თუ ბატონის ცხოვრებაში ადგილი ექნებოდა სხვა მოვლენას, რომელიც ხარჯებს იწვევდა, ეს ხარჯებიც ყმებს უნდა დაეფარათ. მაგ., თუ ბატონი სახლს აშენებდა, ან შეკეთებას განიზრახავდა, მასალა ყმებს უნდა მოეზიდათ.

პირისთავი.—გადასახადი ცხვრებზე, თუ ყმა მეცხვარეობას ეწეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახირისთავი.—გადასახადი ოთხფეხზე. თრიალეთში ოცი კომლი ერთ ძროხას იხდიდა. **საღორე**—ღორებზე, თუ ყმას ღორები ყავდა. **საფიჩხულე.**—თუ ბატონის მამულში მდინარე ჩამოდიოდა, ყმები ვალდებული იყვნენ მოეწყოთ თევზის საჭერი და დაჭერილი თევზიდან განსაზღვრული რაოდენობა ბატონისათვის უნდა მიერთმიათ.

საფუტკრე.—ერთ სკაზე ჩარექნახევარი სანთელი უნდა გადაეხადა ყმას, თუ ის ისეთ ადგილს ცხოვრობდა, სადაც მეფუტკრეობა ხეირობდა.

გარდა ამისა, ყმებია ბატონის შინამოსამსახურე: მეჯინიბე, მზარეული, მეპურე, მწყემსი და სხვა. თუ ბატონი მოგზაურობს, ან ნადირობს, ყმები თან ახლავს და მის ბრძანებას ასრულებენ.

დახვნა, დათესვა, გალეწვა, მოზიდვა, გზების შეკეთება, რუს გამოყვანა და სხვა და სხვა ყმების ბეგარას შეადგენდა[1]).

აღნიშნული გადასახადებით და ბეგარით არ ამოიწურებოდა გლეხის ვალდებულება ბატონის წინაშე, რაკი მტკიცედ იყო ის დებულება, რომ „ყმის ყველა ბატონისაა“.

გამოსაღები და ბეგარა ერთი და იგივე იყო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, ხოლო დასავლეთ საქართველოში ის უფრო დანაწილებული და მრავალრიცხოვანი იყო, უმნიშვნელო გადასახადს ან ბეგარას თავის სახელწოდება ჰქონდა. რაც უფრო პატარა იყო სამეფო ან სამთავრო, მით გადასახადი და ბეგარა მრავალრიცხოვანი და წვრილმანი იყო.

ღალა და კულუხი ყველგან საერთო გადასახადი იყო. მაგრამ მათ გარდა, მაგ. სამეგრელოში, ყმას ბევრი სხვა წვრილმანი გადასახადი უნდა გამოეღო: **ბეგარა ანუ თავი ბეგარა**—გადასახადი ღომით, ღვინით და ღორით. **ოჩამური**—ბატონის გამასპინძლება წელიწადში ერთხელ და ორჯერ. **ცხენის ჩაბმა**—ბატონის ცხენების შენახვა და გამოკვება ზამთრის თვეებში. **საბოჭი ქათამი**—ხსნილში თვეში ერთხელ ბატონისათვის ქათმის მირთმევა. **ოკირე-ფიჩხური**—შობის მარხვაში გადასახადი სამარხვო სანოვაგით. **საყველიერო**—ოცდაათი ნაჭერი ყველი, 30-40 კვერცხი და სხვადასხვა თევზეულობა ყველიერში ბატონისათვის უნდა მიერთმია. **ოდიდი ფიჩხური**—დიდმარხვის გადასახადი: ორი დიდი პური—დედო პური, ერთი მჭადი, ერთი კოთხო ლობიო, ფქვილი, მარილი, წვანილი, პილპილი და კიბო. **სამარხვო**—სხვა მარხვის დღეებში გადასახადი: ლობიო და ნიგოზი. საღდგომო

---

[1]) Акты К. А. К. 4, 6, 7 томы. Д. Пурцеладзе. О креп. состоянии в Грузии. ხახანაშვილი. ბატონყმობა საქართველოში. ივ. ჯავახიშვილი. საქვრთველოს ეკონომიური ისტორია. С. Авалиани. Крест. вопрос. Вейденбаум. Креп. право в Грузии в начале настоящ. столетя. изд. 1877 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღდგომას თიკნები, აღდგომის შემდეგ თხები. **საპურე პური**—ახლად მოწეული პური, ერთი ტიკი ღვინო, ერთი ქათამი, ან ორი ნაჭერი ყველი. **სამაჭრო**—ახლად მოსული ღვინის მირთმევა. **საბაზიერო, სამეჯოგო**—თითო თხა წელიწადში. **სამეჯინიბო**—ცხენის მომვლელთა გამოკვება. **საქორწილო, სამაყრო**—ერთი ძროხა ან ხარი, ან ფულად 10-15 მან. **საჩექმე**—1-30 მანეთამდე. **საქვრივო**—ერთი ხარი; **სათაფლე, სასანთლე, სააბრეშუმე** და სხვა და სხვა [1]).

ამგვარად, ყმა აკმაყოფილებდა გამოსაღებით და ბეგარით ბატონის ყოველგვარ მოთხოვნილებას. თუ ყმა ბატონს არ ასიამოვნებდა, ან გადასახადს და ბეგარას თავის დროზე საკმარისად არ შეასრულებდა, ბატონი ასეთ ყმას თავიდან მოიშორებდა, მას გაჰყიდდა, კარგ ფასს აიღებდა და მის მიწა-წყალზე სხვას დაასახლებდა.

ამრიგად, საბატონო (სათავად-აზნაურო) ყმების გადასახად-ბეგარის დაახლოებითი ნუსხა ასეთი იყო:

ღალა,	მოზიდვა,
კულუხი,	ცხენის ჩაბმა,
ძღვენი,	საბოჟი ქათამი,
საგამყრელო,	ოკირე ფიჩხური,
საქვრივო,	საყველიერო,
საქორწილო,	ოდიდე ფიჩხური,
სამარხის,	სამარხვო,
პირისთავი,	სააღდგომო,
ნახირისთავი,	საპურე-პური,
საღორე,	სამაჭრო,
საფიჩხულე,	საბაზიერო,
საფუტკრე,	სამეჯოგო,
დახვნა,	სამეჯინიბო,
დათესვა,	საქორწილო,
გალეწა,	სამაყრო.

საეკლესიო ყმები.

გადასახად-ბეგარის მხრით საეკლესიო ყმებიც ისეთსავე პირობებში იმყოფებოდენ, როგორც ზემოაღნიშნული ყმები. საეკლესიო ყმის გადასახადი და ბეგარაც მრავალრიცხოვანი იყო, მათი რაოდენობა დამოკიდებული იყო ეკლესიის ადგილობრივ აგენტებზე.

ღალა და კულუხი იქაც საერთო იყო. გარდა ამისა, შეიძლება აღვნიშნოთ: **სახუცო**—ორ წელიწადში ერთხელ, ან ზოგან წელი-

[1]) С. Авалиани. Крест. вопрос. в Закавказьи, 78—79 გვ. Бороздина. Крепост. право в Мингрелии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წადში ერთხელ 5-12 მან. მღვდელ-მთავრის სასარგებლოდ. **საქვრივო**—3-10 მანეთი მღვდელ-მთავრის სასარგებლოდ, როდესაც ქვრივი თხოვდებოდა. **ნიშანი** – ეპისკოპოსის სასარგებლოდ გადასახადი, როდესაც ოჯახში უფროსი შვილი მოკვდებოდა. ამ გადასახადს თავად-აზნაურობაც იხდიდა. **დრამა**—ერთი კოდი ხორბალი, ნახევარი კოდი ქერი და ერთი ქათამი. **თავის გასამტეხლო**—ჯარიმა ჩხუბში თავის გატეხისათვის. ზოგან ეს ჯარიმა მოურავის იყო, ზოგან ეკლესიის. **საკანონო**—ჯარიმა—თუ ვინმე ოჯახში უზიარებლად მოკვდებოდა, აგრეთვე მრუშებისათვის, მარხვის დარღვევისათვის და სხვა საეკლესიო წესების შეუსრულებლობისათვის.

ხშირად თვით გლეხების შემწირავი წყალობის სიგელში აღნიშნავდა იმ გადასახადებს, რომლებიც შეწირულ გლეხებს უნდა გამოელოთ ეკლესიისათვის. მაგ., მეფე ერეკლემ შესწირა ალავერდის ეკლესიას 10 კომლი გლეხი და განუწესა, რომ ყოველწლიურად 15 ნოემბერს, გლეხებს უნდა მიერთმიათ ეკლესიისათვის: ერთი ოთხფეხი, ორი ცხვარი, ერთი საპალნე ღვინო, სამი კოდი გამომცხვარი პური, ქათმები, ორი ლიტრა ყველი, ლიტრა კარაქი, 40 კვერცხი, ხმელი თევზი, ოთხი ლიტრა სანთელი [1]). წილკანის ეპისკოპოსის დადგენილებით, თითო საეკლესიო გლეხს წლიურად უნდა გადაეხადა: ერთი ხარი ან ცხვარი, ერთი კოდი ხორბალი, ერთი ლიტრა ქერი, 60 კაპ. კომლზე და ერთი დღის მუშაობა. იმავე წილკანის ეკლესიას შემოდიოდა 50 კომლისაგან 200 კოდი ხორბალი, 200 ფუთი ქერი, საეკლესიო ზვარიდან 50 კოკა ღვინო და 120 მან. [2]).

ეკლესიის გადასახადები და ბეგარა აღნიშნული იყო საეკლესიო დავთარში. მაგ., საცაიშოს გამოსავლის „დავთარ"-ში აღნიშნულია სოფლები და გლეხები შეწერილი გადასახად-ბეგარით: „მართებს თოლიოქროს ხვანიას ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი პური, მისი მარილი, სამი ლიჯი ღომი, სამი ფოხალი ღვინო და გოჭკუმური კარგი საჭმელი მისი ღომითა, ღვინითა, ხორცითა, თევზითა, ყველითა, კვერცხითა, რაც ამ დღეს მოუნდებოდეს" [3]).

ეკლესიას ოქრო, ვერცხლი, სპილენძი და სხვა განძეულობა შემოწირვებითაც შემოდიოდა. ამ შემოწირულებასაც ჰქონდა ერთგვარი გადასახადის ხასიათი იმდენად, რამდენადაც შემწირველი ვალდებულად სთვლიდა თავის თავს გამოელო ასეთი. მაგ., გურიელი მამია IV ჯუმათელ მღვდელ-მთავარს აძლევს უფლებას „როდესაც

---

[1]) Д. Пурцеладзе. Пер. гуджары. С. Авалиани. Крест. вопрос, 72 стр.

[2]) იქვე, 72 გვ.

[3]) ს. კაკაბაძე. საცაიშოს გამოსავლის დავთარი, 13 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯუმათო მოიმწყსოდეს", აიღოს ოქროს, ვერცხლის, სპილენძის და სანთლის ათის თავი [4]).

ამგვარად, დაახლოებითი ნუსხა ამ გადასახად-ბეგარისა შემდეგია:

ღალა,	დრამა,
კულუხი,	თავის გასამტეხლო,
ხვნა,	საკანონო,
თესვა,	ოთხფეხი,
გალეწვა,	გამომცხვარი პური,
მოზიდვა,	სანთელი,
საალდგომო,	ოქრო,
საშობაო,	ვერცხლი,
საახალწლო,	სპილენძი } ათის თავი
სახუცო,	და სხვა.
საქვრივო,	
ნიშანი,	

სამეფო ყმები.

სამეფო, სადედოფლო და საბატონიშვილო ყმებიც ეწოდენ ბატონის წინაშე პირად სამსახურს და მათაც დავალებული ჰქონდათ გადასახადები და ბეგარა.

ჩვენში ხშირი იყო მოვლენა, როდესაც მეფე ანიჭებდა მემამულეს ეგ. წოდ. „იმუნიტეტს", ე. ი. ათავისუფლებდა მის გლეხებს სამეფო ანუ სახაზინო გადასახადებისაგან და მათ ყმებს, როგორც გადასახადების გამომღებთ, სავსებით მემამულეს ანიჭებდა.

სამეფო-საგვარეულო და სახაზინო-სახელმწიფო გადასახადები და ბეგარა სავსებით გამიჯნული არ იყო, მათი ერთი მეორესაგან გამოყოფა ძნელია, მაგრამ, რამდენადაც ისინი მოხსენებულია წყალობის სიგელებში, შეიძლება მათზე ვიქონიოთ ზოგადი წარმოდგენა.

მე-15 საუკ. მეფე ათავისუფლებს საეკლესიო გლეხებს გადასახადებისაგან და წყალობის სიგელში სწერს, რომ ისინი თავისუფალი არიან „ყოვლისა სათხოვარისა და გადასახადისაგან; სრულიად არ ეთხოვებოდეს **არა ულუფა, არა გუთნის თავი, არა სამეღორე, არა სამუშაო, არა ძროხის საკლავი, არა გოჭი, არა ქათამი, არა საყველიერო და არა სათხოვარი**". მეორე შემთხვევაში საეკლესიო გლეხებს მეფე ათავისუფლებს მალის (სათათრო) გადასახადისაგან, **ღალისაგან,** საშემოდგომო ბეგარისაგან: „**არა ულაყი, არა ულამი** (ხარები ურმით), **არა საპალნე და ტიკი**". ქვათახევის მონასტერი თავის-

---

[4]) Дм. Бакрадзе. Путешествие по Гурии и Адчаре, 301 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლდება შემდეგი გადასახადებისაგან: **„არა მალი, არა საური, არა საჯინიბე, არა სასუქი“** [1]). 1511წ. მეფე გიორგი ათავისუფლებს მცხეთის გლეხებს გადასახადებისაგან და სწერს: „არა ეთხოვებოდეს არა მალი, არა ყინულისა მუშაობა, არა საბაზიერო“ [2]). 1707 წ. მეფე ვახტანგი სწირავს იოანე ნათლისმცემლის მონასტერს უზნიარს და ძველ უზნიარს და ათავისუფლებს ამ სოფლის გლეხებს ყოველივე გადასახადისაგან: **სათავადო, საერისთავო, სააზნაურისაგან;** აგრეთვე სხვა გადასახადებ-ბეგარისაგან,—არ მოეთხოვოს მათ **ხორბლის, საძოვრის, მწვადის, ცხენის ჯოგის, კრავის, ყველის** გადასახადიო; კიდევ „არც საჯინიბო, არც კვიცის მიბარება, მათი საზრდო და ქერი, არც ბზე, არც ულაყი, არა ბაჟი და სეფის მუშა, არა მკა და ხვნა, ლეწვა, ნახშირი, არა ოქრო და ვერცხლი, არა რკინა და სპილენძი, არა კალა და ტყვია, არა პირუტყვი, არა ფრინველთაგანი, არა მხალთაგანი, არა ბალახთაგანი, სამასპინძლო და თოვლის ზიდვა“ [3]).

ამგვარად, სამეფო-საგვარეულო გადასახადები და ბეგარა მრავალგვარი და სხვადასხვა ხასიათისა იყო; უკეთ რომ ვთქვათ, მათ განსაზღვრავდა სასახლის მოთხოვნილება: რაც საჭირო იყო, ყმებს უნდა გამოეღოთ.

აქედან ისიც ცხადია, რომ გადასახადების და ბეგრის შეუვალობა ჩვენში არ იყო, თუ ამ შეუვალობას მეფე, რომელსაც ეს უფლება ეკუთვნოდა, არ მიანიჭებდა მემამულეს[4]). ამისთვის საჭირო იყო სიგელი, წყალობის წიგნი მეფის მიერ ხელმოწერილი. ცხადია ეს უფლება ტარდებოდა ცხოვრებაში იმდენად, რამდენადაც ქვეყნის მდგომარეობა და ფეოდალებთან დამოკიდებულება ხელს უწყობდა ცენტრის ბატონობას.

„დასტურლამალი“ ბევრს მოგვითხრობს ამ გადასახადებზე და ბეგარაზე და ისე დაწვრილებით, რომ ავტორს არ დავიწყებია „ბატისა და ქათმის“ გადასახადიც, მაგრამ რაიმე სისტემის მოძებნა, გარდა გადასახადების ობიექტის აღნიშვნისა, ძლიერ ძნელია.

მაგ., „ბატისა და ქათმისათვის“. სადაც ჩვენ სახასოში, თრიალეთზე თუ სხვაგან, ბატი ყვანდეს ვისმე, ყველგან ასი ბატი შეაწერონ. თრიალეთს და კავთისხევს სოფლად გაუყონ და მიაბარონ. თავის ბატში წელიწადში ორ-ორი ჭუჭული ჩვენ ქარხანაში მიაბარონ. რაც ჩვენი სახასო სოფელი იყოს, დავთრის პირზე თრიალეთსა და კავთისხევის გარდაისად, კომლზე თითო ქათამი მიაბარონ წელი-

---

[1]) Акты К. А. К. I ტ. 3-16 გვ.

[2]), ს. კაკაბაძე. ისტორ. საბუთები, II ტ. 43 გვ.

[3]) Д. Пурцеладзе. Гуджары, 78-79. С. Авалиани Крест. вопрос, 68 გვ.

[4]) ივ. ჯავახიშვილი. სამართლის ისტორია, 104 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წადში, და წელიწადში სამ-სამს ქათამს და სამს კვერცხს ჩვენს ქარხანაში მიაბარებენ". აქვე მოხსენებულია სხვადასხვა კუთხის ყმების გადასახადები: „ბოლნისის გამოსაღებისათვის... უნდა მომკონ და მოზიდონ, გალეწონ და ქალაქს ჩამოიტანონ. ზოგჯერ ბევრი მოვა, ზოგჯერ ცოტა. ზვარს რაც მუშაობა და სარი მოუნდეს, უნდა იმუშაონ; 50 საპალნე ტკბილი კოჯორზედ აიტანონ; კულუხი, რასაც ბატონი შეადგენს, მოსავალზე ჰკიდია; რაც კულუხის და ან ზვარის ტკბილი დარჩება, ზოგს ბატონი ჩამოატანინებს, ზოგი სოფელმა უნდა ჩამოიტანოს ქალაქს. სააღდგომო ძროხა ერთი, ცხვარი სამი, ქათამი თხუთმეტი, ასე საშობაოდ; მალი თავზე ხუთი აბაზი, და ორი შაური მოხელეებისა არის. ვისაც ცოლი ყავდეს, ნახირის თავი ხარი ერთი, პირის თავი და საბალახე, სამეჯინიბო—ბატკანი; ბაზიერს წელიწადში კომლზე ერთი ქათამი... ქათამი თუ აბარია ო (70), სარგებელი წელიწადში სი (210), საშობაოთ და სააღდგომოთ 30; ბატონი რომ აიყრება, 10 ცხენი, ან მისი ქირა უნდა მიართვან". ან კიდევ „დიღომში სამეფო სახასო გლეხი 103 არის. ამათ აძევს მალი თავზე შაური ოცდა ორი, აქედან ხუთი აბაზი ბატონის არის, შაურნახევარი მოურავის და მემამულის, ნახევარი შაური სახლთუხუცესის. ღალა სარწყავზე ხუთზე ერთი ბატონს; ურწყავზედ შვიდზე ერთი. კულუხი შეწერით არის, საშობაო ცხვარი იპ (28), სააღდგომოთ ამდენივე. ბატონის ზვარის მუშაობა ყოველისფრით" [1]) და სხვა და სხვა. ყველა ამ გადასახად-ბეგარის ნუსხა დაახლოებით შეიძლება ასე აღვნიშნოთ:

ბეგარა: გუთნის თავი,
ულაყი,
ულამი,
ყინულის მუშაობა
(ანუ თოვლის ზიდვა),
ხვნა,
მკა,
ლეწვა,
მიზიდვა,
მოგზაურობის დროს ცხენები.

გადასახადი: მალი, ბატი,
ღალა, ქათამი,
კულუხი, საყველიერო,
ძროხის საკლავი, სააღდგომო,
საღორე, საშობაო,
გოჭი, საჯინიბე,

[1]) დასტურლამალი. 26 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასუქი,	ბზის,
საძოვარი,	ნახშირის,
ნახირის თავი,	სპილენძი,
პირის თავი,	კალა,
ცხენის ჯოგის,	ტყვია,
მწვადის,	ვერცხლი,
ურავის,	ოქრო.
კვიცის მიბარება,	

ყმები და სახაზინო გადასახადი.

გარდა ზემომოყვანილ გადასახადებისა მეფის, თავად-აზნაურობის და ეკლესიის სასარგებლოდ, რომელსაც იხდიდა თვითეული კატეგორიის ყმა, აგრეთვე დავალებული ჰქონდათ საერთო სახელმწიფო ხასიათის გამოსაღები.

ამ გადასახადების გამოყოფა, გამიჯვნა სამეფო გადასახადებისაგან ძნელია, ისინი ერთი მეორეშია აბნეული, რადგან სამოქალაქო და პოლიტიკური აზროვნება ჯერ კიდევ ვერ გამოსულა კერძოუფლებრივ შეხედულებიდან და ვერ ამაღლებულა საჯარო უფლებრივ დონემდე: რაც მეფისაა, ის სახელმწიფოსია და რაც სახელმწიფოსია, ის მეფისაა.

მიუხედავად ამისა, ზოგი გადასახადი ცხადად ატარებს სახელმწიფოებრივ ხასიათს.

ასეთია **საუდიერო ანუ საური**—ეს მიწის სარგებლობისათვის გადასახადია, მას იხდიდა ყველა ყმა. ალაგ მას ფულად იხდიდენ, ალაგ ოთხფეხით. სამეგრელოში და იმერეთში ეს გადასახადი 50 კაპ. შეადგენდა თვითეულ კომლზე. შემდეგ მემამულეებმა საური მიითვისეს და თავის შემოსავლის წყაროდ გახადეს [1]).

სალაშქრო—სამხედრო გადასახადი, რომლის დაწესება გამოიწვია გარეშე მტერთან მუდმივმა ბრძოლამ. ამ ბრძოლის ორგანიზაციაში ყველას უნდა მიეღო მონაწილეობა. ამიტომ ეს გადასახადიც უნდა გამოეღო. მეფე ძლიერ იშვიათად ათავისუფლებდა ვისმეს ამ გამოსაღებისაგან. მაგ., ალავერდის ეკლესიის გლეხებს მეფე ათავისუფლებს ყველა გადასახადისაგან, გარდა სალაშქროსი [2]). გურიელი მამია IV სასახლის მოძღვარს სიმონ ცინცაძეს, მის ძმის შვილებს და ჩამომავლობას ათავისუფლებს თეთრისა, საუდიერო და სალაშქროს გამოღებისაგან [3]).

---

[1]) Дм. Бакрадзе. Путешествие по Гурии и Адчаре, 314 გვ.
[2]) Акты К. А. К. № 13. Авалиани. Крест. вопрос, 66 გვ.
[3]) Дм. Бакрадзе. Путеш. по Гурии и Адчаре, 303 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოურავო. მეფე სამეფოს მოხელეების საშუალებით განაგებდა, რომლებიც ადგილობრივ მეფის წარმომადგენელნი იყვნენ, როგორც ხელმწიფის, და მეორე მხრით, როგორც მემამულის. ასეთი მოხელეები იყვნენ მოურავები. ქართლ-კახეთი დაყოფილი იყო შემდეგ სამოურაოდ: ტფილისის, ქიზიყის, თუშეთის, ხევსურეთის, ფშავის, შამშადილის, ბორჩალოს, ბამბაკის, გორის, თელავის, საგარეჯოს, სურამის. ამ სამოურავოთა სათავეში იდგენ მეფის მიერ დანიშნულნი პირნი დიდებულთა გვარისაგან. ეს დიდი ერთეულები დაყოფილი იყო პატარა ერთეულებად, რომლის სათავეში იდგენ თავადაზნაურთა გვარისაგან: ამილახვარი—საგურამოში, სუმბათაშვილი—ნავთლუღში, გურგენიძე—დიდუბეში, მაყაშვილი—ცინცქარაში, მაყაშვილი—ავლაბარში, ახალ სოფელში—აზნ. ქარუმიძე, გორში—ამილახვარი, მეჯვრისხევში—აზნ. ლოლაძე, თელავ-საგარეჯოში—ჩოლოყაშვილი და ორბელიანი, სართიჭალაში—ჩოლოყაშვილი, უჯარმაში მაყაშვილი, ლორში—მაყაშვილი, ქისტაურში—აზნ. საგინოვი და სხვა [1]). ასე იყო დასავლეთ საქართველოშიაც. ყმები, გარდა სხვა გამოსაღებისა, იხდიდენ გამოსაღებს მოურავის სასარგებლოდ—სამოურავოს.

მოურავის გარდა, სოფლის ადმინისტრაციას შეადგენდენ მამასახლისი, ნაცვალი, ხასადარი,—მეფის საკუთარი მოხელე და ხევის თავი. ამათ სასარგებლოდ გადასახადს **საამილახვრო, სანაცვალო, სახასადარო, სახევისთაო** ეწოდებოდა. „დასტურლამალი“ აწესებს: „მოურავს კოდზე ორი კოდი პური, ტკბილი დიდი კოკა ერთი; გუთანი თითო დღეს უხნავს და უფარცხავს, მოურწყავს, მოუმკიან, გალეწენ, შემოუზიდავენ; ორ კომლზე ორი ულაყი ქალაქამდის; კომლზე ორი კვერცხი, ყაჭი, ბატონის მოსავალის ათის თავის მართებული, თავის გასამტეხლო ძროხა, აგრეთვე გასამყრელო...რაც მამული გაიყიდოს, თუმანზე ათი შაური...კომლზე ქათამი, კომლზე ნახევარი კოდი ფქვილი, ნახევარი კოდი ქერი, ორი ჩაფი ტკბილი [2]). სამოურავო ყველგან ერთნაირი არ იყო, ზოგან ნაკლები ზოგან მეტი. მაგ., თრიალეთში მოურავის სარგო: „კომლზე ორი კოდი ქერი, შაური აღდგომას, შაური შაბათს, თავის გასამტეხლო ხარი, საჩექმე მარჩილი, გასამყრელო ხარი, ფუთზე ერთი ქსანი ერბო“ [3]).

ნაცვალს—კომლზედ კოდი ქერი, გასამყრელო ცხვარი, თავის გასამტეხლო აბაზი. ასე იყო თრიალეთში [4]). ბოლნისის ნაცვალს—თავის ბატონის ათის თავი, კომლზედ ერთი ჩაფი ტკბილი, გასამყრე-

---

[1]) Акты К. А. К. № 156. т. I.

[2]) დასტურლამალი, 26 გვ.

[3]) იქვე, 35 გვ.

[4]) იქვე, 36 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ მარჩილი, საჩექმე აბაზი, მამულის გაყიდვის თუმანზე აბაზი და ერთი შაური, კომლზე თითო ძღვენი და ათი სათარი შეშა [1]).

ხასადარს—კომლზედ კოდი ქერი, კომლზედ ქათამი. მამასახლისს გასამყრელო მარჩილი, კომლზედ კოდი ქერი, საქვრივო აბაზი, საჩექმე ორი შაური[2]). მასვე ბოლნისში—კომლზედ ტკბილი ჩაფი ორი, კომლზე მუშა ორი, ქორწინებაზე ერთი აბაზი, გასამყრელო ერთი აბაზი, მამული რომ გაიყიდოს, თუმანზე ხუთი შაური [3]).

ხევისთავს—„ასე გაგვირიგებია—წელიწადში ერთხელ შემოივლიდნენ, თავის ბატონის კაცს მუშრობად წაიყვანდენ, ათის კაცისა და ათის ცხენის მეტს ნუ წაიყვანს. სოფელში რომ მოვიდეს, იმ დღეს კომლად **ყველამ ძღვენი მოუტანოს,** კვამლად თითო საღვინე ღვინო, სამი პური, ერთი ქათამი, ერთი ლიტრა ქერი". [4]) გურიაში ადმინისტრატიული ორგანოების შესანახად დაწესებულ გადასახადს „სალიანი" ერქვა (თურქული სიტყვაა [5]). გარდა ამისა, სახელმწიფო საჭიროებისათვის ყბებს უნდა გამოეღოთ **ულუფა,** სამხედრო საქმისათვის **საკარვე,** სატუსაღოს და პატიმრების შესანახად **საციხო**[6]).

ყმების ბეგარას შეადგენდა გზების შეკეთება და მოვლა-პატრონობა. ამ ბეგარას „დასტურლამალი" განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. შარა გზების მეთვალყურეობა დავალებული ჰქონდა განსაზღვრულ გვარეულობას, ხოლო მათი შეკეთება დაკისრებული ჰქონდა სოფლებს [7]).

სახელმწიფოს შემოსავლის სხვა წყაროებიც მოეპოვებოდა. ქალაქის მცხოვრებნი დაბეგრილნი იყვნენ სხვადასხვა გამოსაღებით, რომელიც მიდიოდა ქალაქის მოხელეთა და მეფის სასარგებლოდ.

ქალაქის მოხელეები იყვნენ: ქალაქის მოურავი, მელიქ-მამასახლისი და ნაცვალი. 1784 წ. ერეკლე II ქ. ტფილისის მოურავობა უბოძა თავის სიძეს დავით ციციშვილს; ამ სიგელზე, გარდა ერეკლესა, ხელი უწერია დედოფალ დარეჯანს, კათალიკოზ ანტონს, ბატონიშვილს გიორგის, იულონს და ვახტანგს [8]). ამავე წელს აღძრულა საკითხი ქ. ტფილისის მოხელეების შესახებ,—რამდენი იყო ქალაქის მოხელე და რა თანამდებობისა. ამ საკითხის გამო დაუკითხავთ საერო და სასულიერო პირნი, როგორც ქართველნი, ისე სომეხნი, და მათ დაუმოწმებიათ, რომ ქ. ტფილისში ძველთაგან ყოფილა:

---

[1]) იქვე, 26 გვ.
[2]) იქვე, 38 გვ.
[3]) იქვე, 26 გვ.
[4]) იქვე, 105 გვ.
[5]) **Дм. Бакрадзе. Путешествии по Гурии Ачаре,** 309,314,315 გვ.
[6]) **С. Авалиани. Крест. вопрос,** 67 გვ.
[7]) დასტულამალი. 22 გვ.
[8]) ექ. თაყაიშვილი. საქ. სიძვ. III ტ., 12 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მოურავი, ერთი მელიქ-მამასახლისი და ერთი ნაცვალი[1]).

ამ მოხელეების შესანახად ქალაქის მცხოვრებთ და ვაჭართ გაწერილი ჰქონდათ გადასახადი. ცოლიანი ვაჭარი იხდიდა 1 მან. 50 კაპ. აქედან მეფეს ერგებოდა 1 მან. 5 კაპ., დანარჩენი 45 კაპ. ქალაქის თანამდებობის პირთ.

მამულის გაყიდვის დროს, ნაყიდობის დამტკიცებისათვის დაწესებული იყო 2 მან., სასამართლოს განაჩენის დამტკიცებისათვის, საქმის გამოძიებისათვის, გაყოფისათვის, ტფილისში ჩამოსულ ვაჭრებზე განწესებული იყო ცალკე გადასახადი. გარდა ამისა, ტფილისის ვაჭრები ვალდებულნი იყვნენ წელიწადში ერთხელ ქალაქის თანამდებობის პირთათვის მიერთმიათ ძღვენი ღირებულებით არა ნაკლებ 120 მანეთისა.

საგრძნობ შემოსავლის წყაროდ ითვლებოდა სხვადასხვა შემოტანილ და შინამრეწველობის საქონელზე დადებული ბაჟი, როდესაც უკანასკნელი ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში გაქონდათ. დაბაჟული იყო: თავრიზის ფარჩა, აბრეშუმი, ბამბა, ენდრო, ერბო, მატყლი, ბრინჯი, რკინა, შაბი, მარილი, ქიშმიში, თამბაქო, ზეთი, ხმელი თევზი, ადგილობრივი აბრეშუმი და ფარჩა და სხვა[2]) ზოგი შემოსავლის წყარო სახელმწიფოს მონოპოლიას შეადგენდა და იჯარით იცემოდა. ასეთი იყო ზარაფხანა (ფულის მოჭრა), დაბაღხანა, ყასაბხანა, საღებავი ქარხნები, ხიდები, აბანოები, არაყის გაყიდვა და სხვა[3]). მაგ., „დასტურლამალი“ აღნიშნავს ზოგიერთ მოხელეების ჯამაგირს და უჩვენებს წყაროს, საიდანაც ისინი უნდა დაკმაყოფილდენ: „მდივნის სარგო ყოველ წელიწადს ზარაფხანიდან თუმანი თორმეტ ნახევარი, ტყავის ბაჟიდამ, რაც დადგების თერთმეტის თავის მეოთხედი; აგრეთვე ყაფნიდამ, აგრეთვე არაყხანიდამ; ყასაბხანის მაგიერ ქარხნიდამ ქონი ლიტრა. ვეზირს „წელიწადში თუთხმეტი მინალთუნი; ტყავის ბაჟიდამ თერთმეტი თავის მეოთხედი, აგრეთვე ყაფნის ბაჟიდამ; აგრეთვე კარის აბანოდამ, აგრეთვე თამბაქოს იჯარიდამ; ყასაბხანიდამ ქონი ლიტრა ასი“[4]).

სახელმწიფო გადასახადების რაოდენობის და სხვადასხვაობის შესახებ შეიძლება ვიქონიოთ წარმოდგენა იმ ცნობების მიხედვითაც, რომელიც მოთავსებულია კოვალევსკის მოხსენებაში 1802 წ. მაისის თარიღით სათაურით „საქართველოს (ქართლ-კახეთის) სამეფოს შემოსავალი“[5]):

---

[1]) იქვე, 15-17 გვ.

[2]) დასტურლამალი, 100, 20 გვ.

[3]) იქვე, 24, 32, 49; Цурцеладзе. Грам. зап. Грузии, 115 გვ.

[4]) იქვე, 33, 49 გვ.

[5]) Акты К. А. К. I т. 197 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპალნების იჯარისაგან		400 მ.
გორში შემოტანილ და გატანილ საქონელზე: მარილზე, თევზზე, სასწორზე, ღვინოზე და არაყზე		1.400 „
კახეთში ასეთივე შემოსავალი		1.900 „
ერთდროული გადასახადი „მახტა“ ტფილისში და თათრებისაგან პურით და ფულად		35.300 „
სურსათი საჭიროების დროს:		
ქიზიყიდან	3.000 მ.	
შამშილდიდან	1.500 „	
ბორჩალოდან	1.500 „	
ბამბაკიდან	1.500 „	
შულავერიდან	1000 „	
ტფილისში შემოტანილ და გატანილ საქონელზე, გასასვლელი და შემოსასვლელი, მარილზე		13.200 მ.
თამბაქოს იჯარისაგან		5.000 „
ტფილისში დამზადებელ ტილოს და საბეჭდი		3.800 „
ტფილისში შემოტანილ დამარილებელ თევზის და ხიზილალის		1.050 „
ქალაქის ყაფნიდან		760 „
ტფილისში შემოტანილ ღვინის და არაყის		3.030 „
ტფილისის მეყასბეებისაგან		3.100 „
სპილენძის მადნების		10.050 „
ენდროს (წითელი საღებავი) იჯარისაგან		2.300 „
სადუქნე ადგილების		120 „
ციხის ადგილების იჯარისაგან		120 [1]) „

ყოველ შემთხვევაში, წლიური შემოსავალი მე-19 საუკუნის დასაწყისში არ აღემატებოდა 100,000 მან., რაც მაშინდელ დროისათვის საგრძნობ თანხას შეადგენდა. უდიდესი ნაწილი ამ გადასახადებისა გლეხობას აწვა. მდგომარეობას განსაკუთრებით ის ართულებდა, რომ გადასახადები იჯარით იცემოდა, მოიჯარადრეებს განსაზღვრული თანხა შექონდათ ხაზინაში ანუ მეფესთან და მათ სრულ განკარგულებაში გადადიოდა იჯარით აღებული შემოსავლის წყარო, რაც მოასწავებდა მოიჯარადრეების გაბატონებას გადამხდელებზე. ასეთი ფინანსიური სისტემა მოწმობს სახელმწიცო აპარატის დაძაბუნებას, მოუწყობლობას, დაშლილობას.

მეფეს სხვა შემოსავალიც ჰქონდა მამულიდან. კერძოდ შემოსავალს აძლევდა მამული დედოფალს და ბატონიშვილებს. საქართვე-

---

[1]) Акты К. А. К. I т., 197 ვვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს რუსეთთან შეერთების დროს მარიამ დედოფალს წლიურად 18.000 მან. შემოდიოდა, დარია დედოფალს 5.000 მან. 5.000 მან. დარია დედოფლისათვის საკმარისი არ ყოფილა და ღენ. კოვალევსკი შუამდგომლობს პეტერბურგის მთავრობის წინაშე, რომ მას, გარდა ამ შემოსავლისა, დაენიშნოს 14,000 მანეთი ჯამაგირიო[1]).

ყველა ამ გადასახადების გამღები, სახაზინო, სამეფო, სადედოფლო და საბატონიშვილო საჭიროების დამაკმაყოფილებელნი ყმები იყვნენ.

ბატონ-ყმურ მდგომარეობიდან გამოსვლა.

ყმურ მდგომარეობიდან გამოსვლა ადვილი არ იყო. ვინც ამ ულელში მოხვდებოდა, თავის დაღწევა ძნელი იყო. ოცდაათი წელი გაქცევა, სხვა კუთხეში თავის შეხიზვნა ადვილი საქმე არ იყო.

მხოლოდ ბატონის კეთილ სურვილს შეეძლო მიენიჭებინა ყმისათვის თავისუფლება, რაც იშვიათი მოვლენა იყო. სულის საცხონებლად თუ გაათავისუფლებდა ვინმე ყმას, თორემ სხვა მოტივები არ არსებობდა. თუ ასეთი ამბავი მოხდებოდა, ბატონი ყმას გაათავისუფლებდა, სათანადო განთავისუფლების სიგელი უნდა შემდგარიყო და მეფეს, ბატონს და მოწმეებს უნდა დაემტკიცებინა. ომიანობის დროს თუ ყმას ტყვედ წაიყვანდა მტერი და ყმა თავს ტყვეობიდან თვითონ დაიხსნიდა, ამით ის თავისუფლებას იძენდა და ბატონი ვალდებული იყო თავისუფლების სიგელი მიეცა.

მაგ., 1782 წ. მემამულე ზურაბიშვილი აძლევს თავდახსნილობის სიგელს გურგენა რამაზიშვილს, რომელიც ზურაბიშვილის ყმა იყო. ტყვედ წაყვანილმა რამაზიშვილმა თავი თვით გამოისყიდა და „რადგან ხელმწიფის ბრძანებაც ასეთი არის“, სწერია თავდახსნილობის სიგელში— „რომ ტყვეობიდან მოსული კაცი თავისუფალი შეიქნება, ამის მიზეზით მეც ეს წიგნი მოგეცი, რომ არას კაცს შენთან ხელი არავის აქვს. ეს წიგნი მომიცია და გამითავისუფლებიხარ“.[2]) ამ სიგელს ამტკიცებს მეფე ერეკლე II, დედოფალი დარეჯანი, ბატონიშვილი გიორგი და იულონი, სახლთ-უხუცესი ორბელიანი, მდივანბეგები: ამილახვარი, ორბელიანი, ქაიხოსრო, ციციშვილი და ადასტურებენ მოწმეები.[3])

მეფის ბრძანებით შესაძლო იყო ამა თუ იმ ბატონს გაეთავისუფლებინა ყმები, მაგრამ იმავე ბრძანებით შესაძლო იყო კვლავ

---

[1]) იქვე, № 173.

[2]) ექ. თაყაიშვილი, ტ. III, 19 გვ.

[3]) იქვე, 21 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისივე ან სხვის ყმად გამხდარიყო განთავისუფლებული. მაგ., 1784 წ. მეფე ერეკლე ფარსადან ესატაშვილს აძლევს წერილს, რომლიდანაც ჩანს, რომ გლეხი ესატაშვილი მეფის ბრძანებით გაუნთავისუფლებიათ შინჯიკაშვილებს და ამ განთავისუფლებისათვის ყმიდან ფასი აუღია. ეხლა მეფე უბრძანებს ესიტაშვილს, ფასით თავდახსნილ ყმას, კვლავ ყმობოდა შინჯიკაშვილს: „შენივე ყმები არიან ამავე მამულით, და რაც იმათი მოცემული ფული დაგრჩა, ველარც იმას გიდავებენ“ [1]).

ამგვარად, ყმის განთავისუფლების ან თავდახსნილობის საკითხი უმწეო მდგომარეობაში იყო. ყმები ვერ იღებდენ თავისუფლებას მაშინაც-კი, როდესაც მღვდელ-მთავარი რომელიმე მათგანს სამღვთო წერილში მცოდნეს, რაც იშვიათი მოვლენა იყო, მღვდლად აკურთხებდა, ე. ი. მაშინდელი რწმენით, ნაკურთხზე სული წმინდის ძალა გადმოვიდოდა. მღვდელი მაინც ბატონის ყმა იყო და ყველა ვალდებულება მის წინაშე უნდა შეესრულებინა, თუ ბატონი სავსებით ან ნაწილობრივ არ გაათავისუფლებდა მას ბეგრის და გადასახადისაგან. ასე რომ, არც სარწმუნოება შველოდა ყმის თავისუფლების საკითხს.

ხ ი ზ ნ ე ბ ი.

ვახტანგის სამართალი არ იხსენიებს ხიზნებს, სამაგიეროდ მე-18 საუკ. აქტები უდავოდ აღნიშნავენ ხიზნების არსებობას. ხიზანი პიროვნულად თავისუფალი მიწის მეურნეა, რომელიც ცხოვრობს ბატონის მამულში, ამუშავებს მამულს და იხდის ბატონის სასარგებლოდ ისეთ გადასახადს, როგორც ყველა ყმა. ხიზანი ქონებრივად სავსებით დამოკიდებულობაში იყო მემამულისაგან. აქედან აშკარაა, რომ ხიზნის პირადი თავისუფლება ფაქტიურად არ არსებობდა. მაგრამ განსაზღვრულ პირობებში მას მაინც ჰქონდა უფლება დაეტოვებინა მემამულის მიწა-წყალი და მემამულეს არ შეეძლო წინააღდგომოდა მის სურვილს.

ხიზნობა იმდენად ცნობილი ყოფილა ჩვენში, რომ საბუთები აღნიშნავენ ხიზნის მოვალეობას, როგორც ყველასათვის ცნობილს: ისე იმსახურე, როგორც ხიზანი მსახურებსო. მაგ. 1772 წ. გლეხები მჭედლიშვილები ჩივიან სასამართლოში, რომ ისინი ცხოვრობდენ გიორგი ტურქისტანიშვილის მამულზე ხიზნებად. ტურქისტანიშვილმა გამოიხმო ისინი ტფილისში, ისინი წამოვიდენ და თან წამოიღეს ექვსი მანეთი. მოვიდენ თუ არა მემამულესთან, მან ბევრი სცემა მათ,

---

[1]) იქვე, 254 გვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წაართვა ფული, შეკრა ისინი, დაადვა ბორკილები, ამყოფა ამ მდგომარეობაში რამდენიმე დღე და შემდეგ გაუშვა. ამიტომ მათ არ სურთ დარჩენა ამ მემამულესთან და სურთ გადასახლდენ სხვა მამულში. სასამართლომ დაადგინა, რომ ხიზნებს აქვთ უფლება დაესახლონ, სადაც სურთ; გარდა ამისა ბატონს დაავალა დაუბრუნოს მათ წართმეული ფული[1]). აქედან ჩანს, რომ ხიზანს დიდად მეტი უფლებები ჰქონდა, ვიდრე ყმას. ყმას არ ჰქონდა უფლება აღეძრა ასეთი საჩივარი. ხიზანს შეეძლო ბატონის მამულიდან წასვლა, მაგრამ წასვლის საფუძველი (ცუდად მოპყრობა, გაცარცვა და სხვა) სასამართლოს უნდა დაედასტურებინა.

1775 წ. ჭურიშვილების საჩივრის გამო სასამართლო ადგენს, რომ მათგან ორი ძმა არის ხიზანი და მემამულეს ისე უნდა ემსახურონ, როგორც **საერთოდ ხიზნის წესიაო.** მემამულე-კი ამტკიცებდა, რომ ჭურიშვილები ხიზნები კი არა, ნაყიდი ყმებიაო.

საერთოდ, მემამულეთ დიდი სურვილი ჰქონდათ, რომ ხიზნები ყმურ მდგომარეობაში ყოლოდათ. 1800 წ. მეფე გიორგი უბრძანებს წმ. დავითის მონასტრის წინამძღვარს, რომ ხიზნები არავინ გადაასახლოს სოფ. საგარეჯოდანო[2]).

ხიზნების კადრი შემდეგნაირად იქმნებოდა. ერთი მხრით, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა, მეორე მხრით—ბატონ-ყმობის სიმწვავე ძლიერ უწყობდა ხელს ყმების სამშობლოდან გაქცევას უცხოეთში. მე-18 საუკუნეში, სხვათა შორის ამ გარემოების გამო, საგრძნობლად შემცირდა მცხოვრებთა რიცხვი საქართველოში. ერეკლე II ცდილობდა, რომ უცხოეთში გასული ქართველობა უკან დაებრუნებინა. ამ მოსაზრებით 1765 წ. მან გამოსცა ბრძანება, რომ ტყვეობიდან განთავისუფლებული ან უცხოეთიდან დაბრუნებული ყმა თავისუფლდებოდა ბატონ-ყმურ მდგომარეობიდან და შეეძლო დასახლებულიყო, სადაც სურდა და ვისთანაც უნდოდა[3]). უმეტესად ეს განთავისუფლებული ყმები შეადგენდენ ხიზნების კადრს. ისინი ესახლებოდენ მემამულეთა მიწა-წყალზე და ამუშავებდენ მათ. ამ მიწა-წყლის მიტოვება მათთვის საძნელო და არახელსაყრელი იყო, რადგან თუ დატოვებდა მამულს, მას ეკარგებოდა ნაშენი და ნაშრომი. ამიტომ ხიზანი მემკვიდრეობითი მიწის მეურნე, მოიჯარადრე იყო, და ის მამულს მხოლოდ არაჩვეულებრივ შემთხვევაში თუ მიატოვებდა, და ისიც სასამართლოს წესით.

მე-18 საუკ. მიწურულში და მე-19 საუკ. დასაწყისში უცხოეთში გაქცევამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, საქართველოს მობინად-

---

[1]) Д. Пурцеладзе. Крест. Акты, 24 стр.

[2]) იქვე, 76.

[3]) იქვე, 17 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ იმდენი მცხოვრები დააკლდა, რომ რუსეთის მთავრობამაც კი მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და 1819 წელს 22 ოქტომბერს გამოსცა დებულება, რომელიც შეიცავდა წესებს უცხოეთიდან დაბრუნებულ გლეხების მოწყობის შესახებ მემამულეთა, სახაზინო და საეკლესიო მამულზე.[1]) დებულება მოუწოდებდა უცხოეთში გასულ ქართველებს დაბრუნდენ საქართველოში. მემამულეთ ავალებდა მათ მიღებას და პირადი თავისუფლების ხელუხლებლობას. დაბრუნებულთ და მემამულეთ შორის მიწით სარგებლობის შესახებ უნდა შემდგარიყო შეთანხმება მთავრობის დაწესებულებაში. მემამულეს მაინც ჰქონდა უფლება მათი გაყიდვისა, გაჩუქებისა და გამზითვებისა, მაგრამ მამულით, და დადებული ხელშეკრულება პირველ მემამულესთან ძალაში რჩებოდა ყოველ შემთხვევაში.

ასე ჩამოყალიბდა ხიზნების მდგომარეობა მე-19 საუკ. დასაწყისში. ასე იყო ქალალდზე, საქმით კი მემამულე ხიზნის სრული ბატონი იყო.

ფეოდალიზმის გარეშე.

ფეოდალურმა ურთიერთობამ შეცვალა მოდგმური წეს-წყობილება. ფეოდალიზმმა დაანგრია ოჯახზე და მოდგმაზე აგებული ურთიერთობა: მან, ნაცვლად ნათესაურ კავშირისა და ოჯახურ უფროს-უმცროსობისა, წამოაყენა ძლიერი მფარველის და მმართველის ბატონობა. ასეთი მფარველი და მმართველი საჭირო შეიქნა მოდგმაზე აგებულ ურთიერთობის კრიზისის შემდეგ.

საქართველოს ფარგლებში მე-18 საუკუნეშიაც კი იყო ისეთი კუთხეები, სადაც ფეოდალური ურთიერთობა ვერ შეიჭრა და მოდგმური წესწყობილება არსებობდა. ფშავეთი, ხევსურეთი, თუშეთი ისეთი კუთხეებია, სადაც ოჯახი და მოდგმა კიდევ ძირმომაგრებული და ურყევი იყო მე-18 საუკ. მიწურულში. აქ არ იყო წოდებები და სახელმწიფო ორგანოები. თვითეული მოდგმა, გვარეულობა ცხოვრობდა თავის ჩვეულებით. სრულწლოვანი მამაკაცები სწყვეტდენ საოჯახო, საგვარეულო საქმეებს. მხოლოდ სასულიერო პირნი, ეგ. წოდ. დეკანოზები, სარგებლობდენ ყველას პატივისცემით და ფაქტიურად იყვნენ ყველა მოდგმის მეთაურნი, წინამძღოლნი და მმართველნი. მაშინდელი რწმენით, დეკანოზები ღვთის ნებით მოქმედებდენ და ამიტომ ყველა მათ ემორჩილებოდა.

მიწის სარგებლობა საერთო მოდგმური იყო. მთელი გვარი, მოდგმა ერთად ამუშავებდა მიწას.

---

[1]) Положение о принятии помещиками в Грузии поселенцев выходящих из за границы и о водворении их на собственных землях.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი მეფეების ხელისუფლება მათზე ნომინალური იყო. ფაქტიურად ისინი თავიანთ დეკანოზებს ემორჩილებოდენ. მაგრამ რადგან მათი ბედი დაკავშირებული იყო მთელ საქართველოს მდგომარეობასთან, ამიტომ განსაცდელის დროს თუშ-ფშავ-ხევსურნი დიდ სამსახურს უწევდენ ქართლ-კახეთს. მამაცობით და შეუპოვრობით მათ ვერავინ შეედრებოდა. ლეკებთან და ქისტებთან ბრძოლამ ისინი გააკაჟა და მებრძოლ ხალხად გახადა. ქართლ-კახეთის მეფეების პირადი მხლებლები და მცველები ისინი იყვნენ. ომიანობის დროს მათგან შემდგარ რაზმს 2.000 კაც. თვით მეფე ხელმძღვანელობდა [1]). მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს, რუსეთთან შეერთების ხანაში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში მეფეს მოურავებად ყავდა დანიშნული დიმიტრი და დურმიშხან ჩოლოყაშვილები, რომლებიც თიანეთში ცხოვრობდენ.

სავსებით ცალკე იდგა თავისუფალი სვანეთი, რომელსაც შეადგენდა მდ. ინგურზე და მულახზე მდებარე თერთმეტი საზოგადოება. ამ რაიონის მცხოვრებლებმა—სვანებმა ჯერ კიდევ მე-15 საუკ. განდევნეს თავიანთი ბატონები და თავი გაითავისუფლეს მათი ბატონობიდან. ამას შემდეგ თვითეულ საზოგადოებაში არსებობდა კრება „ჯან ნაზურანი", რომელსაც შეადგენდენ ყველა მცხოვრებლები. კრება ირჩევდა თავის წრიდან მამასახლისს „მახვში"-ს და თორმეტ პატივცემულ პირთ „მიბარი"-ს. ეს ორგანოები განაგებდენ თავისუფალ სვანეთის ცხოვრებას.—გარდა ამისა, არსებობდა სოფლის ყრილობა, სადაც წყდებოდა ის საკითხები, რომლებიც ერთ სოფელს შეეხებოდა. იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე საკითხი ყველა ან რამდენიმე სოფლის ინტერესს შეეხებოდა, დგებოდა სოფლების ყრილობა, სადაც საკითხები უმეტეს შემთხვევაში შეთანხმებით წყდებოდა. თუ ვერ შეთანხმდებოდენ, მოპირდაპირე სოფლები თავიანთ კოშკებში გაიხიზნებოდენ და საკითხს ბრძოლა სწვეტდა.—ასე იყო მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში [2]).

სადადიშქელიანო სვანეთში-კი ისეთივე ბატონ-ყმური ურთიერთობა იყო, როგორც საერთოდ საქართველოში.

ყმების უკმაყოფილების გამოძახილი.

ასეთი იყო საერთოდ ყმების მდგომარეობა ფეოდალურ საქართველოში მე-18 საუკ. მიწურულში. იმ ხანად არ შეიძლებოდა ლაპარაკი ამ მდგომარეობის საწინააღმდეგო ბრძოლის შესახებ. საუკუნეებით განსაზღვრულ ობიექტიურ პირობების მეოხებით შექმნილი

---

[1]) Иваненко. Граж. Упр. Закавказья. 11-22 стр.

[2]) იქვე, 514 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურთიერთობა შეიძლება შეცვლილ იქნეს მისი საფუძვლის შერყევით და ახალი საძირკვლის ჩაყრით. სანამ შემამულეების ხელში იყო ეკონომიური სიმდიდრე, მანამ არსებულ დამოკიდებულების და უფლებრივ მდგომარეობის შეცვლის ცდა ოცნება იყო.

მაგრამ მაინც აქა-იქ, იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ უდაბნოში, გაისმოდა კანტი-კუნტად პროტესტი, როგორც სტიქიური მოვლენა: ყმები, ბატონის თავგასულობით შევიწროებულნი და უფლება აყრილნი, იჩენდენ მასიურ ურჩობას და ალაგ-ალაგ წინააღმდეგობასაც უწევდენ ბატონს, რისთვისაც ბატონის საშინელ რისხვას იმსახურებდენ. ამ წინააღმდეგობას უფრო პასიური ხასიათი ჰქონდა: ყმები არ მუშაობდენ, არ ასრულებდენ ბატონის დავალებებს, არ ასრულებდენ ბეგარას, არ იხდიდენ გადასახადს. მაგ 1775 წ. ბერი გრიგოლი აცნობებს მეფეს, რომ პორტაიდის მონასტრის ყმები არ ემორჩილებიან მას, არ ასრულებენ მის განკარგულებას და გაურბიან მოვალეობის ასრულებას. მეფე უარძანებს ქიზიყის მოურავს, რომ მან მიიღოს უკიდურესი ზომები: თუ საჭიროა გაროზგოს, დააატყვევოს, ბორკილები დაადვას, გაანადგუროს, წაართვას ოთხფეხი და ქონება და დაუმორჩილოს ყმები მონასტერს[1]). ამ შემთხვევაში მეფე თავის ორგანოებით ეხმარება ეკლესიას და სჯის მორჩილებიდან გამოსულ ყმებს.

სამაგიეროდ, როცა ასეთ დახმარებას მეფე საჭიროებს, ეკლესიის წარმომადგენელნიც არ ზოგვენ თავიანთ დახმარებას და ყოველივე ზომით ამშვიდებენ ყმებს და არიგებენ მათ მეფის მოხელეებთან. მაგ. 1791 წ. მეფე დიდ ეპისტოლეს სწერს ნეკრესის ეპისკოპოსს, ჯერ ეამბორება მას მარჯვენა ხელზე და შემდეგ სწერს, რომ სოფ. ახმეტის მცხოვრებნი არ ემორჩილებიან მოურავ ჯორჯაძეს, არ მუშაობენ და არ ემსახურებიანო. მეფე სთხოვს ეპისკოპოსს დაიბაროს ახმეტელები და მოურავი, ჩააგონოს ახმეტელებს, რომ არ შეიძლება ურჩობა და შეარიგოს მოურავთან: „როგორც ჩვენ მიერ ნაბრძანებია, აიძულე ახმეტელები დამორჩილდენ და ემსახურონ თავიანთ ბატონსო“ [2]). ცხადია, ნეკრესელს ჯერ ღვთის და საღვთო წერილის სიტყვებით უნდა მოეხდინა მათზე გავლენა, დაერწმუნებინა ახმეტელები, რომ მორჩილებას მოითხოვს ღმერთი, რომ მათ უნდა მისცენ „ღმერთს ღვთისა, ხოლო კეისარს კეისრისა“, რომ ურჩობისათვის და ბატონის უპატივცემულობისათვის ღმერთი მათ დასჯის საიქაოს, რომ მეფის სიტყვა და ბრძანება თვით ღვთის სიტყვაა და სხვა. და თუ ეს ქადაგება არ გასჭრიდა, და თუ საეკლესიო გლეხების მიმართ ურჩობისათვის მეფე მიმართავს რეპრესიებს, ცხადია, რომ

---

[1]) **Д. Пурцеладзе. Крепост. акты**, 27 გვ.

[2]) იქვე 53 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მოურავის საბოტაჟისათვის და ურჩობისათვის მეფე მათ მიმართ სასტიკ ზომებს არ დაზოგავდა.

ამრიგად, აქა-იქ ყმების სტიქიური უკმაყოფილების ხმა გაისმოდა, მაგრამ ეს არ იყო შეგნებული ორგანიზაციული ნაბიჯები. მე-18 საუკ. მიწურულში ჩვენში ჯერ კიდევ ადრე იყო ასეთი ორგანიზაციული მოძრაობის შესახებ რაიმე ოცნება.

შ ე დ ა რ ე ბ ა.

ბატონ-ყმური ურთიერთობა, მემამულეების ყმებზე ბატონობა, არ იყო მარტო ჩვენი ფეოდალიზმის დამახასიათებელი მოვლენა. ასეთი მდგომარეობა საერთო იყო იქ, სადაც ფეოდალური ურთიერთობა არსებობდა.

ავიღოთ რუსეთი. რუსეთის ისტორიაში ცნობილია ყოველ უფლებას მოკლებული პიროვნება—„ხოლოპი", რომლის გაყიდვა, დაგირავება, გაჩუქება და ამ მდგომარეობის ჩამომავლობით გადასვლა არ იწვევს დავას. ნაყიდი კაცი „ხოლოპი" იყო[1]). „ხოლოპი" მეტად უფრო ძველი მოვლენაა, ვიდრე ყმა-გლეხი. თავისუფალი მიწის დამამუშავებელი გლეხი თანდათან ჰკარგავს პირად უფლებას, ხდება მემამულის მოვალე და გადადის სრულ მის განკარგულებაში.

მე-16 საუკ. დამლევს რუსობის მთელი გლეხობა უკვე შებმული იყო ბატონ-ყმურ უღელში. მისი პიროვნება და ქონება სავსებით მემამულის შეიქნა. გადასახადების და ბეგარის სიდიდე ანადგურებდა გლეხობის კეთილდღეობას. უცხოელები, რომლებიც იმ დროს რუსეთში ყოფილან, მოწმობენ, რომ გლეხის ქონება და პიროვნება არაფრით დაცული არ იყო. მემამულეები საშინელი სისასტიკით ეპყრობოდენ მათ, ვინც ვერ შესძლებდა თავის დროზე გადასახადების გადახდას და ბეგარის შესრულებას. ასეთი მათი მძიმე მდგომარეობა იწვევდა მას, რომ გლეხები ჯგუფ-ჯგუფად გარბოდენ მემამულეებისაგან და თავს აფარებდენ რუსეთის დიდ სივრცეს.

1649 წ. საერო კრებამ და „დებულებამ" გლეხებს მოუსპო ერთი მემამულისაგან მეორე მემამულესთან გადასვლა, რაც ფაქტიურად კაი ხანია არ ჰქონდათ მათ, და გლეხობა მიწას და ბატონს მიამაგრა და მით ყმობა მემკვიდრეობით მოვლენად აღიარა. „დებულება"-ში სრულებით არ იყო გარკვეული გლეხობის და ბატონის უფლება-მოვალეობანი. ამიტომ ბატონი გლეხს თავის სურვილისამებრ განაგებდა. არსად მე-17 საუკ. სამართალში არ არის ნათქვამი, რომ ბატონს ქონდა უფლება გლეხის ფიზიკური დასჯის, მიუხედავად

---

[1]) Ключевский. Крепостное право в России, 35 стр.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისა, „კნუტზე“ და ჯოხზე იყო დამყარებული რუსეთის მაშინდელი მეურნეობა და მემამულეების ბატონობა. მემამულეები ყიდდენ, აგირავებდენ, ცვლიდენ და ამზითვებდენ თავიანთ გლეხებს. ციხე, ბორკილი, „კნუტი“, ცემა ჩვეულებრივი მოვლენა იყო [1]). გადასახადების მხრით, ყმა ყოველ მხრივ დაბეგრილი იყო: 15 მან., ორი ფუთი ღორის ქონი, 1 ბატი, 1 გოჭი, 30 არშინი ტილო, 10 გირვანქა მატყლი და სხვადასხვა—რითაც და რამდენითაც უნდოდა, ისე ბეგრავდა გლეხს მემამულე, ბატონის ეტლით წაყვან-წამოყვანა და სხვა გლეხობის კისერზე იყო. ამიტომ მე-17 საუკ. რუსეთში დიდი არეულობა-„ბუნტები“ იყო, როგორც „სტენკა რაზინის“ და სხვა. მე-18 საუკ. რუსეთში ყმების მდგომარეობა გაუარესდა. პეტრე დიდის დროს მოხდა აღწერა, რომლის დროს „ხოლოპები“ და გლეხები იქნენ გათანასწორებულნი. ამ დროს აზნაურობა ჩაება სახელმწიფო სამსახურში, დაებადა მას ახალ-ახალი მოთხოვნილებანი, რაც მთელი თავის სიმძიმით გლეხობას დააწვა. გლეხობის მდგომარეობას ვერ შველოდა მათი დაყოფა სახელმწიფოდ, საეკლესიოდ და საბატონოდ.

მე-18 საუკ. მიწურულში რუსეთში ფართო ადგილი ეჭირა ყმების ყიდვა-გაყიდვას, [2]) რასაც გაზეთებშიაც კი აცხადებდენ. მაგ.. № 73 სანკტ-პეტერბურგის უწყებაში 1796 წ. გამოცხადებული იყო; „მივდივარ რა ს.-პეტერბურგიდან, ვყიდი 11 წლის ქალიშვილს, 15 წ. პარიკმახერს, რომელშიაც 275 მ. მაძლევენ. აქვე იყიდება მაგიდები, 4 ლოგინი, სკამები, ბალიშები და სხვა ნივთები“. ასეთივე განცხადება იყო იმავე გაზეთის № 79: „ლიტეინის ნაწილში, პირველ კვარტალში, სიმონ ღვთის მიმრქმელის ეკლესიის პირდაპირ, იყიდება მამაკაცი თერძი, მზარეული, მეწაღე, კალატოზი და კარგი ცხენი. მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ცნობები მსახურ ანდრია დიმიტრიევისაგან. [3])

ასეთ მდგომარეობაში მყოფნი გლეხნი ან გარბიან დნეპრზე და სხვა შორ ადგილებში, ან სტიქიურად ებრძვიან მემამულეთ. 1764—1769 წ. ხუთი წლის განმავლობაში მარტო მოსკოვის გუბერნიაში მოუკლავთ გლეხებს 30 მემამულე და 5-ზე მცდელობა ჩაუდენიათ. ეს მდგომარეობა იყო „პუგაჩოვის“ გამოსვლების სარჩულიც.

ვერც ამ ბუნტმა და ვერც ეკატერინე II „რეფორმებმა“ გააუმჯობესეს გლეხობის მდგომარეობა.

იმავე დროს მემამულეები, თავად-აზნაურობა მთავრობის სრული მფარველობით სარგებლობდა. მათთვის შემოიღეს ახალი ტიტულები:

---

[1]) **М. Дьяконов. Очерки из истории сельского населения в России в 16 и 17 в.**

[2]) **Владимир-Будановский, 187 стр.**

[3]) იქვე, 81—82 გვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავადი, გრაფი და ბარონი. სამხედრო და სამოქალაქო სარბიელზე ისინი მსახურობდენ და ამისათვის მათ, გარდა ჯამაგირისა, გლეხებით დასახლებულ ადგილებს უწყალობებდენ (ეკატერინე II, პავლე I) [1]. ისინი იყვნენ მამულის მესაკუთრეები და მათ ქონდათ მინიჭებული უპირატესობა აღებმიცემობაში, საწარმოო საქმეში, სამოქალაქო ურთიერთობაში და სისხლის სამართლის სფეროშიაც. [2])

ასეთი იყო ჩვენში და მოკლედ რუსეთში გლეხობის მდგომარეობა. როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ეს ორი ერი ერთ თვითმპყრობელობის უღელში შეება და ისტორიამ მათ დიდი ამოცანის გადაჭრა დაავალა: ამ უღლის დამსხვრევა და მასთან ერთად ბატონ-ყმურ ურთიერთობის ნაშთების მოსპობაც.

---

[1]) იქვე, 187 გვ.

[2]) იქვე, 115—138 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. სამართალი[1]).

წოდებრივობა.

ფეოდალური კანონმდებლობა ზედნაშენია ფეოდალურ საზოგადოების და სახელმწიფოს საფუძვლისა. ჩვენ დავინახეთ, რომ პოლიტიკური ძალა-უფლება უპყრია მას, ვის ხელშიაცაა ფეოდალური ქვეყნის სიმდიდრე—მიწა.

კანონმდებლობა, სისხლის სამართლის, სამოქალაქო და სათანადო პროცესუალური ნორმები შეადგენენ პოლიტიკურ წეს-წყობილების ერთ მხარეს. ამიტომ ფეოდალური სამართალიც აგებულია წოდებრივ საფუძველზე: წოდებრივობა მოსჩანს მის განვითარების პროცესში და დასრულებულ დებულებებში.

ფეოდალურმა საქართველომ არ იცოდა ერთი მთლიანი სამოქალაქო, სისხლის სამართლის, ან პროცესუალური ჩამოყალიბებული დებულებანი. ეს ნორმები გაფანტულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში. როდესაც მათ ამოკრეფთ და დაალაგებთ, დაინახავთ მათ წოდებრივობას.

სისხლის სამართალი იცავს მოსახლეობის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივს, ქონებას, ოჯახს, საკუთრებას, მფლობელობას და სხვა უფლებებს მის მიხედვით, ვინაა დაზარალებული და დამნაშავე—თავადი, აზნაური, სასულიერო პირი, თუ არა, და თუ ასეთია, რა ხარისხისაა, რა თანამდებობისაა.

სამოქალაქო სამართალიც ანიჭებდა უპირატესობას ამა თუ იმ პიროვნებას მისი წოდებრივობის მიხედვით. სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესუალური ნორმები განსაკუთრებელ საშუალებს აძლევდენ წარჩინებულ პირთ დაეცვათ თავიანთი უფლებები და ინტერესები.

მაგ., გიორგი V სამართალი (14 საუკ.) „ძეგლის დება“ ანიჭებს მეფეს უფლებას ერისათვის მკვლელი დასაჯოს სასტიკად, როგორც მეფეს მოესურვება. ასეთ შემთხვევაში კანონი არ აწესებს განსაზღვრულ სასჯელს, მეფეს შეეძლო მკვლელი სიკვდილითაც დაესაჯა ან სხვა სასჯელი დაენიშნა. ეს დამოკიდებული იყო მაზე,

---

1) ამ თავში ჩვენ შევეხებით ზოგ სისხლის სამართლის, სამოქალაქო და პროცესუალურ ნორმებს, რომლებიც ახასიათებენ ფეოდალურ ურთიერთობას და უფლებრივ შემეცნებას. ეს თავი ამოღებულია ალაგ-ალაგ აგტორის განზრახულ შრომიდან: „ქართული სამართლის სისტემა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ იყო წარჩინებული პირის მკვლელი: გვარიანი, თუ უგვარო. ის, რაც ეპატიებოდა წარჩინებულთ, არ მიეტევებოდა უგვაროს.—იგივე კანონმდებლობა აწესებს სხვადასხვა სასჯელს მოურავის მკვლელობისათვის მის მიხედვით, რომელ წოდებას ეკუთვნოდა ის, კეთილშობილი იყო, თუ მსახურთაგანი [1]).

ამავე პრინციპზეა აგებული ბექას და აღბუღას (15 საუკ.) სისხლის სამართლის კანონმდებლობა: აზნაურის მკვლელობა, რომელსაც არა აქვს არც ციხე, არც მონასტერი და რომლის მამული მოუვლელია,—სულ სხვა დანაშაულია ისეთ აზნაურის მკვლელობასთან შედარებით, რომელიც აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას, ე. ი. რომელსაც აქვს ციხე, მონასტერი და კარგი მამულიც. უკანასკნელის სისხლი ღირს 20,000 ვერცხლი, პირველის-კი 12,000 [2]).

ვახტანგ VI სამართალი სრული დაგვირგვინებაა წოდებრივობის პრინციპის გატარების მხრით. აქ ყველას სისხლი დაფასებულია მის მიხედვით, თუ ვინ წოდებრივობის რომელ საფეხურზე დგას. თავადები და აზნაურები სამ ხარისხათაა დაყოფილი მამულის მიხედვით, თვითეულ ხარისხს მიკუთვნებული აქვს განკერძოებული უფლებები.—ასევე დანაწილებული არიან სასულიერო პირნი და ვაჭარნი [3]).

პრივილეგიური მდგომარეობიდან გამორიცხულია მხოლოდ გლეხი, რომლის სისხლი დაფასებულია 120 მან. მაშინ, როდესაც პირველი ხარისხის თავადის სისხლი დაურვილია 15,360 მან. აზნაურის—1920 მან.

ღვთაებრივობა.

გარდა ამისა, ფეოდალურ სამართალს სუბიექტიურად ახასიათებს ღვთაებრივი წარმოშობა. ყველა წყაროები მოწმობენ, რომ კანონმდებელი ღვთის მოწყალებით, მისი ჩაგონებით, ღვთისა და ღვთისმშობლის მეოხებით სწერს და აქვეყნებს კანონებს. ვახტანგ კანონმდებელი თავის თავს სთვლის ისეთ პირად, რომელიც ღმერთმა ამოირჩია, უბრძანა მას მსაჯულად და მმართველად ყოფნა, და მისი საშუალებით ღმერთი ამცნობს ხალხს თავის ნებას [4]). თუ საქართველოს მეფეებს შეთვისებული ჰქონდათ აზრი თავის საკანონმდებლო მოქმედების ასეთი წარმოშობისა,—სასულიერო უწყების მეთაურთათვის ამ დებულებას დოღმატიური მნიშვნელობა ჰქონდა.

---

[1]) ძეგლის დება, 1, 2, 4 გ.

[2]) ბექას სამართალი, 3, 4 გ.

[3]) ვახტანგის სამართალი, 26-33 გვ.

[4]) ვახტან. დებულება, შესავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა თუ უზენაესი ხელისუფლება და კანონმდებლობა, თვით დანაშაულიც, რომელსაც ჩადის ეს თუ ის პირი, კანონმდებელის აზრით, ღვთის წყრომა და ეშმაკის მაცდურებაა.[1]) ფეოდალური კანონმდებლობა იმდენად დიდ მნიშვნელობას აძლევდა თეოლოგიურ მომენტს, რომ პროცესუალური ნორმებიც ამ შეხედულებაზეა აგებული. სამართალში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ფიცს; გარდა ფიცისა, სამართალი განსაზღვრულ შემთხვევებში სავალდებულოდ აღიარებდა ეგ. წოდ. „ორდალიებს", როგორიც იყო შანთი, მდუღარე და ხმალი[2]).

სასჯელის მიზანიც არ არის მოკლებული თეოლოგიურ საფუძველს. სასჯელს ფეოდალურ ურთიერთობაში, გარდა ამ ურთიერთობის დაცვისა, მიზნად ჰქონდა ღვთის ნება-სურვილის დაკმაყოფილება, რომ ბოროტება იქნეს დასჯილი. აქ კიდევ გამოსჭვივის შეხედულება, რომ დანაშაული იწვევს ღვთის გულის წყრომას, რომ დანაშაული თვით ღვთის შეურაცხყოფაა. ამიტომ მის დასაკმაყოფილებლად და დასამშვიდებლად აუცილებელია მსხვერპლის გაღება [3])

მატერიალური ხასიათი.

ფეოდალური სამართალი მატერიალური ზარალის ანაზღაურების საფუძველზეა დამყარებული. მატერიალური მომენტი უმთავრესია ფეოდალურ სამართალში. სასჯელის რაოდენობისა და მისი ხასიათის განსაზღვრისათვის გადამჭრელი მნიშვნელობა ჰქონდა ზარალის ანაზღაურებას.

ეს საზომი ერთნაირი არ იყო ყველა მოქალაქისათვის. საზომი დიდი ან მცირეა წოდების მიხედვით. ზარალიანობის რაოდენობაც წოდებაზეა დამოკიდებული. ამიტომ ყველას სისხლი ერთნაირად არ იყო დაურვილი; ამიტომ იყო ორმაგი, სამმაგი და შვიდმაგი დაურვა ერთისა და იმავე დანაშაულისათვის იმის მიხედვით, თუ ვინ იყო დაზარალებული: თავადი, აზნაური, სასულიერო პირი თუ ყმა [4]) მაგ., ვახტანგის სამართალი ქურდს სჯის ნაქურდალის შვიდჯერ მეტის გადახდით, თუ დაზარალებული იყო თავადი ან აზნაური, მთელი ეს ჯარიმა შეადგენდა მის საკუთრებას, ხოლო თუ გაქურდული იყო გლეხი, მას ეძლევოდა ნაქურდალის ორჯერ მეტი, დანარჩენი მეფეს ეკუთვნოდა[5]).

---

[1]) ძეგლის დება, 15,17 მ. ბექა-37 მ.

[2]) ვახტ. დებულება, 6 მ.

[3]) ვახტან, დებულება, შესავალი.

[4]) 59,50,89,150—154 მ.

[5]) ვახტ. დებულება, 154 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმთავრესი სასჯელი ფეოდალურ სამართლისა იყო სისხლის დაურვა, რომელიც სასჯელთა სისტემის ქვაკუთხედი იყო. სხვა ზომებს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ადასტურებს მას, რომ ჩვენში ფეოდალური ურთიერთობის დროს სოციალური მოვლენები ფასდებოდა არა სახელმწიფო საზოგადოებრივი თვალსაზრისით, არამედ მატერიალური ზარალის გაზომვით. როდესაც ყმის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ვინმე აყენებს ზიანს, ის ლახავს გლეხის ბატონის ინტერესებს, ზიანს აყენებს მას და ეს ზარალი მებატონეს დამნაშავემ უნდა უზღოს. თუ ზარალი ანაზღაურებულია, არავითარ გაუგებრობას დამნაშავეს და დაზარალებულს შორის ადგილი არა აქვს, დაზარალებული სისხლის დასაურავით სრულ კმაყოფილებას იღებს სუბიექტიურადაც. [1]).

უფლების სუბიექტი.

ჩვენი ფეოდალური სამართლით უფლების მატარებელი ადამიანია. მართალია, სამართლის წინაშე ყველა თანასწორი არ არის, სამართალი ყველას ერთნაირად არ იცავს, ერთნაირ უფლებით არ აღჭურავს, ყველა დამნაშავეს ერთსა და იმავე დანაშაულისათვის ერთნაირ სასჯელს არ უწესებს, მაგრამ დანაშაული შეუძლია ჩაიდინოს, ზარალი შეუძლია მიაყენოს ვისმეს ადამიანმა და არა სხვა ვინმემ. ეს აზრი მტკიცედაა დაცული სამართალში.

ჩვენს ფეოდალურ კანონმდებლობას არა ერთხელ განუცდია რეგრესი იმ პოლიტიკურ პირობების მეოხებით, რომელშიაც დროთა ვითარება ჩააგდებდა ხოლმე საქართველოს; სპარსეთის და ოსმალეთის გავლენა თავის კვალს სტოვებდა როგორც ჩვეულებებზე, ისე სამართალზედაც,—მაგრამ ჩვენი სამართალი მაინც არ დაცემულა იმდენად, რომ დანაშაულის სუბიექტად ცხოველები აღეარებინა, რასაც საშუალო საუკუნეებში ადგილი ჰქონდა ევროპაშიაც-კი.

მაგრამ ყველა ადამიანი ერთგვარი უფლებების მატარებელი არ იყო. მაშინ როდესაც სამართალი ნებას აძლევდა ბატონს მოპყრობოდა გლეხს, როგორც მას სურდა,—თვით გლეხი, თუ გაბედავდა და ბატონს, სცემდა, ისჯებოდა ხელის მ·ჭრით; თუ გალანძღავდა ბატონს მას სიტყვით შეურაცხყოფას მიაყენებდა,—ენის მოჭრით და ორთავე შემთხვევაში სათანადო სისხლის ფასიც უნდა გადაეხადა ბატონისათვის[2]).

ქალს არ ჰქონდა ისეთივე უფლებები, როგორც მამაკაცს, მისი უფლებები შეზღუდული იყო. ქალი თუ ჩივოდა, არ შეიძლებოდა

[1]) იქვე, 26-32 მ.

[2]) იქვე, 259 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის მოპასუხეს დავალებოდა ფიცი. თუ ქალი დაასახელებდა მამაკაცს მოწმედ, არც ისეთი მამაკაცი მიიღებოდა მოწმედ, არ შეიძლებოდა ქალს დავალებოდა ფიცი და არც გარეშე კაცი შეიძლებოდა ყოფილიყო მის მოფიცრად[1]).

არც პროცესუალური უფლებები იყო ყველასათვის ერთნაირი. როდესაც ირჩეოდა პირველხარისხოვან თავადის მკვლელობის საქმე და ბრალდებული თავის წოდებით უდრიდა მოკლულის ხელქვეითს,— ბრალდებული, რომელიც არ სცნობდა თავს დამნაშავედ, ვალდებული იყო თავი ემართლა მდუღარით ან შანთით. თუ ბრალდებული და მოკლული ერთისა და იმავე ხარისხის იყვნენ, ან ერთი და იგივე წოდების, ორივე თავადი, ან მათ შორის ცოტა განსხვავება იყო, —ბრალდებულს ეძლეოდა უფლება თავის უდანაშაულობის დამტკიცებისა ფიცით.[2]) პირველი თავადი ვერ გავიდოდა ხმალში საშუალო თავადთან. თუ ბრალდებული წოდებით უდრიდა დაზარალებულის ხელქვეითს, დაზარალებულ წარჩინებულ წოდების პირს შეეძლო გაეგზავნა მასთან ხმალში თავის ხელქვეითი, ბრალდებულის წოდებით თანასწორი.

„ორდალიებს" ეგრ. წოდ. „საღვთო სამართალს" კანონმ. ებლობა მიმართავდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე თავად-აზნაურობის უმაღლეს წრეებს ეხებოდა[3]).

თ ა ვ დ ა ც ვ ა.

თავდაცვის შემეცნება იბადება მაშინ, როდესაც საზოგადო და სახელმწიფო ორგანიზაციები კისრულობენ წარმოშობილ წეს-წყობილების, ჩვეულების და ნორმების დაცვას, ნაცვლად წინეთ გაბატონებულ კერძო ინიციატივისა. როდესაც დაზარალებული თვით უსწორდება დამზარალებელს, თვით იცავს თავს, თვით ებრძვის მტერს, მაშინ, ცხადია, თავდაცვის იდეა არ არსებობს. მას ჰფარავს თვითნებობა.

მაგრამ როდესაც ცხოვრების რთული პირობები არ ამართლებენ თვითნებობას, არევ-დარევას და მოითხოვენ მტკიცე წესებს, — თვითდაცვის უფლება მაინც რჩება და იღებს განსაზღვრულ ხასიათს. პირველ ხანში სახელმწიფო ხელისუფლება, სურს რა საზღვარი დაუდვას თვითნებობას, თავდაცვას ძლიერ მცირე ასპარეზს აძლევს, მაგ., მოითხოვს იარაღის თანასწორობას და სხვას. მაგრამ რაც დრო გადის

---

[1]) ვახტ. დებულება, 216, 239 მ.

[2]) იქვე, 37 მ.

[3]) იქვე, 37, 38, 39 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თვითნებობა მცირდება,—თავდაცვის ინსტიტუტი იჭერს ცხოვრებაში სათანადო ადგილს და მისი ფარგლებიც ფართოვდება.

საათაბაგოს სამართალი (15 საუკ.) აღიარებს, რომ იმ პირს, რომელსაც დაესხმის თავს ავაზაკი, აქვს უფლება დაიცვას თავი და თუ თავდაცვის დროს მოჰკლა დამცემი, პასუხს არ აგებს.[1]) შემდეგ ჩვენი ფეოდალური სამართალი უფრო გარკვევით აღნიშნავს თავდაცვის პირობებს. თავდაცვა დასაშვები იყო, 1) როდესაც განსაცდელი მოელოდა სიცოცხლეს, ჯანმთელობას და ქონებას და 2) როდესაც შელახული იყო ოჯახის სიწმინდე[2]). თავდაცვით მდგომარეობაში იმყოფებოდა ის, ვისაც თავს დაესხმოდენ, ან ცარცვავდენ, ან ჰკლავდენ.

გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ყმა. თუ ბატონი ესხმოდა თავის ყმას, თუ ბატონი მიიწევდა თავის ყმის მოსაკლავად ან დასაჭრელად, - ამ შემთხვევაში ყმისათვის არ არსებობდა თავდაცვითი მდგომარეობა.[3]) მას უნდა მოეთმინა, ის ბატონის საკუთრებაა და მას არა აქვს თავდაცვის უფლება. შესაძლო იყო, რომ გლეხს თავს დასხმოდა არა მისი ბატონი, არამედ სხვა უმაღლესი წოდების პირი,— ამ შემთხვევაში, უნდა ვიფიქროთ, რომ გლეხს ჰქონდა თავდაცვის უფლება. ბატონისადმი მას არა აქვს ეს უფლება, რადგან ის ბატონის საკუთრებას შეადგენს, მაგრამ სხვა, ვინც გლეხს თავს ესხმის, მას ქონებას ართმევს, ან სიცოცხლეს უსპობს ან აზიანებს,—ვნებას აძლევს ბატონს, რომლის ქონებას და კეთილდღეობას იცავს კანონი.[4])

თავდაცვით მდგომარეობის სხვა საფუძველს სამართალი ხედავს ოჯახურ უფლებების დარღვევაში: ყმას ჰქონდა უფლება მოეკლა თავისი ბატონი და აგრეთვე თავის ცოლიც, თუ მას ის მრუშების დროს შეისწრებდა ცოლთან.[5]) ამ შემთხვევაში ყმა არ იხდიდა სისხლის დასაურავს, მხოლოდ დასამარხ ხარჯების დასაფარავად რამდენიმე თანხას იღებდა. ასეთი უფლება ჰქონდა გლეხს თავის ბატონის მიმართ, მაგრამ ეს უფლება არ ჰქონდა მას სხვისი ბატონის მოქმედების დროს. სამართლის შეხედულებით, ბატონი თვით უნდა ზრუნავდეს თავის გლეხის კეთილდღეობაზე, ამიტომ მას არ ეპატიება თავის ყმის ოჯახის გაუპატიურება; გარეშე, არა ბატონს, შეიძლება აღძროდა საწინააღმდეგო მოტივები სხვისი გლეხის ოჯახის მიმართ, მაგრამ ეს დაუშვებელი იყო, სამართლის შეხედულებით, ბატონის მიერ. ყმების მდგომარეობა და ბატონის მოქმედება ფაქტიურად არ

---

[1]) ბექას სამართალი, 139 მ.

[2]) ვახტ. დებულება, 42 (3—4), 51, 52, 59, 76, 89).

[3]) 423-4, ვახტ. დებულება.

[4]) 423-4, იქვე.

[5]) 426—9, ვახტ. დებულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამართლებდა სამართლის ამ მოსაზრებას, მაგრამ სამართლის ასეთი შეხედულება და მისწრაფება უდავოა.

სიკვდილით დასჯა.

სიკვდილით დასჯას ფეოდალური სამართალი მიმართავდა მძიმე დანაშაულობისათვის. „ძეგლის დება“ გიორგი მე-V-ისა (14 საუკ.) იშვიათად მიმართავს ამ ზომას. მშობლების მკვლელობა სამართალს მიაჩნია არაჩვეულებრივ დანაშაულად, რისთვისაც დამნაშავე ყოველგვარი სასჯელის ღირსია: სიკვდილის, სამუდამოდ სამშობლოდან განდევნის, განადგურების. ამ შემთხვევაში ამა თუ იმ სასჯელის დანიშვნა, გარემოების მიხედვით, დამოკიდებული იყო მსაჯულისაგან [1]). აგრეთვე მძიმე დანაშაულად აღიარებული იყო ერისთავის მკვლელობა; მეფეს შეეძლო ამ დანაშაულობისათვის დაესაჯა დამნაშავე თავის მიხედვით [2]).

საათაბაგოს სამართალიც (15 საუკ.) მხოლოდ მძიმე დანაშაულის დროს მიმართავდა ამ ზომას. ზოგი დანაშაული, როგორიცაა მეფის ან მისი გვარეულობის და კათალიკოზის მოკვლა, ღალატი, მშობლების მოკვლა და სხვა, კანონმდებელს მიაჩნია ისეთ უჩვეულო და ველურად, რომ ან სულ არ იხსენიებს მათ, ან თუ აღნიშნავს, თან დასძენს, რომ ღმერთმა ნუ ქნას, რომ ასეთი რამ ვინმემ ჩაიდინოსო [3]). სახელმწიფო ღალატს, ხაზინის გაცარცვას, ცხენის ჯოგის მოტაცებას და ეკლესიის გაცარცვას საათაბაგოს სამართალი სჯის ორივე თვალების ამოწვით [4]), რაც სიკვდილით დასჯას უდრის.

ვახტანგის სამართალიც სიკვდილით სჯის მხოლოდ პოლიტიკურ დანაშაულისათვის. ვინც სამშობლოს ღალატს ჩაიდენს, ის ყოველგვარი სასჯელის ღირსიაო [5]). კანონმდებელს ეს დანაშაული მიაჩნია იმდენად მძიმედ და დაუშვებლად, რომ კონკრეტულად დამნაშავეს სასჯელსაც არ უნიშნავს. ასეთივე შეხედულებისაა სამართალი ჯაშუშობაზე და სამხედრო ღალატზე. ვინც გაიქცევა ციხიდან, გაექცევა მეფეს ან ამხანაგებს ომიანობის დროს, გადავა მტერთან, გასცემს საიდუმლოებას და თავს დაასხამს მტერს თავის მოძმეთ, როგორც მრავალთა დამღუპველი, ყოველი სასჯელის ღირსიაო [6]).

---

1) ძეგლის დება, 15 მ.
2) იქვე, 1 მ.
3) ძეგლის დება, 1,15 მ.; ბექა—1 მ.; ვახტ. დებ. 33 მ.
4) ბექას სამართალი, 153 მ.
5) ვახტ. დებულება, 222 მ.
6) იქვე, 221 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია, ასეთ დანაშაულისათვის დამნაშავე სიკვდილით დასჯას ვერ გაექცეოდა. კანონმდებელს ვერ გამოუნახავს სასჯელის უმაღლესი ფორმა ამ დანაშაულთათვის. ხოლო ეგ. წოდ. „ბერძენთა კანონები", რომელნიც მოთავსებულია ვახტანგ VI სამართლის კანონთა კრებულში და რომლითაც ხელმძღვანელობდა მოსამართლე მაშინ, როდესაც ნაციონალურ სამართალში არ იყო გათვალისწინებული ქმედება ან სასჯელი, ამ დანაშაულისათვის უნიშნავს სიკვდილით დასჯას ან სარზე ჩამოცმით, ან დაწვით, ან თავის მოჭრით[1]).

გარდა ამისა, სამართალი ანიჭებს მეფეს უფლებას დასაჯოს თავის მიხედვით კათალიკოზის, მეფის, ძმის, დის, მშობლების მკვლელი და ის, ვინც აწვალებს თავის მსხვერპლს და ისე მოკლავს[2]).

საერთოდ აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა სიკვდილით დასჯის მხრით თითქმის ყველა იმ ხანის სამართალთან შედარებით უფრო ჰუმანიურია.

ევროპაში სიკვდილით დასჯით დაიწყო ბრძოლა ეკლესიამ „ერეტიკების" წინააღმდეგ; 385 წ. ორი ესპანელი ეპისკოპოსის მოთხოვნით, სიკვდილით დაისაჯა ერეტიკი პრისცილიანი. ამის შემდეგ დასავლეთ ეკლესიის ხელმძღვანელნი, ქრისტეს მოძღვრების ოფიციალური წარმომადგენელნი, ლევ დიდი, ავგუსტინი და ამბროსი იცავდენ ამ სასჯელს საშუალო საუკუნეებში, ეკლესიის ზეგავლენით. ევროპის სახელმწიფოებში სიკვდილით დასჯამ ფართო ადგილი დაიჭირა. მიუხედავად იმისა, რომ მე-13 საუკუნიდან იწყება ოპოზიცია სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, მე-19 საუკ. დასაწყისში ინგლისში სიკვდილით ისჯებოდა 240 დანაშაული, საფრანგეთში, დიდ რევოლიუციამდე,—119 დანაშაული; ბავარიაში, სადაც 200,000 მცხოვრები იყო, 1748-1776 წ. განმავლობაში სიკვდილით 11 ათასი კაცი დაისაჯა, ინგლისში ელისაბედის მეფობის დროს წლიურად საშუალოდ 400 დამნაშავე ისჯებოდა სიკვდილით[3]).

ასოთა დამაშავებელი სასჯელი.

ასოთა დამაშავებელი სასჯელი ორგვარია: ან ასახიჩრებს დამნაშავეს, ან აყენებს მას მხოლოდ წვალებას. ჩვენში ამ სასჯელსაც ჰქონდა ადგილი. ვახტანგის სამართალი მხოლოდ სამი დანაშაულისათვის აწესებს ასეთ სასჯელს. ვინც დასტოვებს თავის რაზმს და მტრის რაზმში გადავა, ის ნიშნად იმისა, რომ არ არის ღირსი ატა-

---

[1]) ბერძენთა კანონები, 30-34 ს.

[2]) ვახტ. დებულება, 33, 61, 81, 82 მ.

[3]) Белогриц-Котляревский, 255 стр.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს მოღალატური ფეხები, ისჯება ფეხის მოჭრით [1]). ეს სამხედრო წესის კანონი იყო. თუ ფეხის მოჭრის შემდეგ მოღალატე ცოცხალი დარჩებოდა, მისი უფეხობა ამჟღავნებდა მის მოღალატურ საქციელს.

იგივე სამართალი უწესებს ასოთა დამაშავებელ სასჯელს სარწმუნოებრივ დანაშაულისათვის, როდესაც მას საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეაქვს მტრობა და არევ-დარევა, წესიერების დარღვევა. დასახჩრებით ისჯებოდენ მკითხავები და „კუდიანები", როდესაც მათი მოქმედება საზოგადო წესიერებისათვის და მშვიდობიანობისათვის საფრთხეს წარმოადგენს [2]).

ენის მომტანი, თუ ვერ დაამტკიცებდა ბრალდებას, ისჯებოდა გაროზგვით [3]). სამართალი ლმობიერებას იჩენდა, როდესაც დანაშაულს არ ჰქონდა საზოგადო-პოლიტიკური მნიშვნელობა, როდესაც ის კერძო ინტერესებს შეეხებოდა, მაგრამ ის მკაცრი იყო, როდესაც ყმა ბატონისადმი ჩაიდენდა არა თუ მძიმე, მცირე დანაშაულსაც. გლეხი ისჯებოდა ხელის მოჭრით, თუ ბატონს სცემდა; ისჯებოდა ენის მოჭრით, თუ ბატონს გალანძღავდა [4]). ცხადია, ასეთი მკაცრი სასჯელი აიხსნება მით, რომ გლეხობის თავგასულობაში და უპატივცემლობაში ბატონისადმი სამართალი ხედავდა არსებულ ფეოდალურ ურთიერთობის წინააღმდეგ გალაშქრების ცდას. კანონმდებელი, აწესებს რა ასეთ სასჯელს, იქვე ამბობს: თუ გლეხმა დაინახა, რომ შესაძლოა ბატონისაგან თავის დაღწევა, ყველაფერს ჩაიდენსო [5]). კანონი აქაც ერთგვარ ფორმალურ ლმობიერებას იჩენს: გლეხს არჩევანი ეძლევა—ან ხელის და ენის მოკვეთა, ან სისხლის საფასურის გადახდა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სისხლის დასაურავი, ვახტანგის სამართლით, საგრძნობად დიდია (15.360—480 მან), რომ გლეხს ეს თანხა უნდა გადაეხადა თავის შეძენილ ქონებიდან,—ყმისთვის შეუძლებელი იყო სისხლის დასაურავის გადახდა. ამიტომ ის ამ მძიმე სასჯელს ვერ აცილდებოდა.

აქედან აშკარაა, რომ ჩვენი ფეოდალური კანონმდებლობა ღვიძლი შვილი იყო იმ ეკონომიურ ურთიერთობის, რომელიც ფეოდალურ სახელმწიფოში სუფევდა.

შემარცხვენელი სასჯელი.

გარდა სამშობლოდან ანუ ხევიდან გაძევებისა, ქონების კონფისკაციისა [6]) და საპყრობილისა, ჩვენმა ფეოდალურმა სამართალმა

---

1) ვახტ. დებულება, 220 მ.
2) იქვე, 251 მ.
3) იქვე, 236 მ.
4) იქვე, 259 მ.
5) ვახტ. დებულება 259 მ.
6) ძეგლის დება, 1-18 მ.; ვახ. დებულება, 221, 227 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცოდა ეგ. წოდ. შემარცხვენელი სასჯელი. ეს სასჯელი იმაში გამოიხატებოდა, რომ დამნაშავეს უნდა ჩაედინა ისეთი რამ საქციელი, რომელიც მას საზოგადოებაში პატივს დაუკარგავდა.

ასეთ სასჯელს სამართალი უწესებდა იმ ქალს, რომელიც ხელს შეუწყობდა მეზობელ ან მეგობარ ქალის მეძაობას თავის სახლში. ასეთ დამნაშავე ქალს გააძრობდენ ტანსაცმელს, შეაბამდენ კისერზე ბაწარს და საცვლებსამარა ჩამოატარებდენ [1]), მაგრამ ასეთი სასჯელი მაინც პირობითი იყო, თუ დამნაშავე ვერ გადაიხდიდა სისხლის დასაურავს.

ძირითადი კანონმდებლობა ცოტა მასალას იძლევა შემარცხვენელი სასჯელის შესახებ. „ბერძენთა კანონები" ორ დანაშაულს იხსენიებს, რომლისათვისაც დამნაშავე სამარცხვინო წესით ისჯებოდა ესაჯული, რომელიც განზრახ უსამართლო განაჩენს გამოიტანს, ისჯებოდა შემდეგნაირად: თანამდებობა წაერთმეოდა, გაპარსავდენ, პირისახეს გაუმურავდენ, ვირზე შესვამდენ, თავზე ცხვრის შიგნეულს ჩამოჰკიდებდენ და ასე ატარებდენ ქუჩებში [2]). იმავე დროს სამართალი მსაჯულის პიროვნებას დიდად იცავს: ვინც შეურაცხყოფდა მოსამართლეს, მას ვირზე შემჯდარს ატარებდენ ქუჩა-ქუჩა. [3])

რა-კი ეს კანონი კანონმდებელმა თან დაურთო ძირითად სამართალს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ შესაძლებლად და სამართლიანად მიაჩნდა ასეთი სასჯელის განწესება უსამართლო მსაჯულისათვის, მით უფრო, რომ ჩვენი სამართალი დიდ როლს აკუთვნებდა მსაჯულს საზოგადო და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ მეორე მხრით მსაჯულებად ფეოდალურ საქართველოში იყვნენ დიდი თანამდებობის პირნი: მდივანბეგები, მდივნები თავად-აზნაურობას ეკუთვნოდენ. ამიტომ ძლიერ საეჭვოა, რომ მმართველ წოდების პირნი, თუ გინდ უსამართლო განაჩენისათვის, დაესაჯათ ისეთი სამარცხვინო სასჯელით, როგორიცაა ვირზე შეჯდომა და ქუჩაში ტარება. ალბად, ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ძირითადი კანონმდებლობა არაფერს ამბობს ამ სასჯელის შესახებ.

რაც შეეხება გლეხს, თუ ის მოსამართლეს, რომელიც კეთილშობილ წრეს ეკუთვნოდა, შეურაცხყოფდა, სამარცხვინო წესით მის დასჯას, ცხადია, არავინ მოერიდებოდა, თუ კი ის სისხლის დასაურავს ვერ გადაუხდიდა შეურაცხყოფილს.

---

1) ვახტ. დებულება, 69 მ.
2) ბერძ. კანონები, 2 მ.
3) იქვე, 56 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის დაურვა.

ჩვენი ფეოდალური სამართლის სასჯელთა სისტემის ქვაკუთხედი სისხლის დაურვაა. სხვა სასჯელს აქვს დამატებით მნიშვნელობა. სისხლის დაურვა, გამოსყიდვა შურის ძიების მოადგილე მოვლენაა.

როგორც ყველგან, ისე ჩვენშიაც, დაურვას თავიდანვე ჰქონდა ნებაყოფლობითი ხასიათი. შესაძლო იყო, რომ დაზარალებულს არ მიემართა შურისძიებისათვის სხვადასხვა მოსაზრებით და მიეღო დამნაშავესაგან სხვა გვარი დაკმაყოფილება. შემდეგ ჩვეულება და სამართალი აძლევს დაურვას სათუო ხასიათს: ან შურის ძიება, ან დაურვა. არჩევანი დამოკიდებული იყო დაზარალებულზე.

თუმცა „ძეგლის დება“ გადაჭრით დგას დაურვის საფუძველზე, მაგრამ სათუობის ხასიათი ამ ინსტიტუტს აქაც ემჩნევა. ასეთი ხასიათი აქვს სისხლის დაურვას ცოლის მოტაცებისათვის. სამართალი ანგარიშს უწევს მას, რომ ეს დანაშაული უაღრესად შეურაცხყოფს ოჯახს და ქმარს, და ამიტომ დასაშვებად მიაჩნია, ორი წლის განმავლობაში შური იძიოს დამნაშავის ქონების განადგურებით; აგრეთვე მაშინ, თუ დამნაშავე გაურბის სასამართლოს და არ სურს პასუხი აგოს მის წინაშე [1]).

შემდეგი კანონმდებლობა (15-18 საუკ.) დგას დაურვის სავალდებულო საფუძველზე: ყოველგვარი უფლების დარღვევა სისხლის სამართლის სფეროში დაურვით წყდება.

თუმცა 1755 წ. მეფის დადგენილება ეწინააღმდეგება ამ საერთო მიმართულებას, მაგრამ ამ დადგენილებას მხედველობაში ყავს მეორე სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც ჩადის მძიმე დანაშაულს მეზობელ სახელმწიფოს მიმართ და უკანასკნელს არ აკმაყოფილებს. ეს შემთხვევა ასეთია: იმერეთში ტყვედ წაყვანილი ქართელი თავ. წერეთელმა ახალციხეში გაყიდა. გაყიდულის ნათესავებმა მიმართეს ქართლის მეფეს, რომელმაც აცნობა ეს ამბავი იმერეთის მეფეს და სთხოვა დაზარალებულის დასაკმაყოფილებლად მიეღო ზომები. იმერეთის მეფემ არ მიაქცია ყურადღება მეფის შუამდგომლობას და არც თავ. წერეთელმა დააკმაყოფილა დაზარალებული. ასეთ პირობებში მეფე ნებას აძლევს დაზარალებულს გაუსწორდეს **პირადად დამნაშავეს** [2]). ეს დადგენილება, გამოწვეული არაჩვეულებრივ მოვლენით, არ აბათილებს დაურვის, როგორც იურიდიული ინსტიტუტის, ვალდებულებას. დაურვა, როგორც სასჯელთა სისტემაში უმთავრესი ინსტიტუტი, მოწმობს, რომ ჩვენში ფეოდალურ ურთიერთობის დროს მოვლენები ფასდებოდა მატერიალური თვალსაზრისით.

თვით სისხლის დაურვა აგებულია წოდებრივობაზე:

---

[1]) ძეგლის დება. 22, 26, 29 მ.

[2]) Д. Пурцеладзе, крепост. акты, 13 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

	საერო პირნი:		**სასულიერო პირნი:**
I	ხარისხის თავადის სისხლი	1536 თუმანი	მას უდრის მთავარ-ეპისკოპოსის სისხლი
II	„ „ „	768 „	„ „ ეპისკოპოსის „ და დიდებულის (1 ხარისხის) ნათესავები
III	„ „ „	384 „	„ „ არქიმანდრიტის „
	აზნაურები:		
I	ხარისხის აზნაურის სისხლი	192 თუმანი	ამას უდრის წინამძღვრის „
II	„ „ „	96 „	„ „ მღვდელმონაზონის „ და დიდი ვაჭარის (მოქალაქის) სისხლი; უბრალო ბერის სისხლი $^1/_5$ ნაკლებია.
III	„ „ „	48 „	ამას უდრის მღვდლის სისხლი და მეორე ხარისხის ვაჭრის სისხლი.
	მსახურის სისხლი	20 „	ამას უდრის არქიდიაკონის და მე-III ხარისხის ვაჭრის სისხლი.
	გლეხის „	12 „	ამას უდრის მე-IV ხარისხის ვაჭრის სისხლი [1]).

[1]) ვახტ. დებულება, 26-33 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ცხრილიდან აშკარად დასანახავია, რომ მამული და წოდება იყო ყოველი მდგომარეობის საზომი. ვაჭრის სისხლიც იმდენად მეტად ფასობს, ე. ი. სამართალი მას იმდენად მეტად იცავს, რამდენად ის მდიდარია და რამდენად ახლო დგას მმართველ ფეოდალურ წრეებთან, რომელთაც თუ ფულით, თუ სამსახურით დახმარებას უწევს.

კანონის წინაშე არ არსებობს თანასწორობა. თანასწორი წოდებით არის თანასწორი კანონითაც. [1])

ზოგ შემთხვევაში დამსახურება ამა თუ იმ თავად-აზნაურისა იმდენად საყურადღებო იყო პირველი ფეოდალის—მეფისათვის, რომ ის განსაკუთრებულ ღირებულებას აკუთვნებდა მათ სისხლს გვარეულობით ან პერსონალურად. 1478 წ. მეფე ბაგრატი აძლევს გიორგი და მახარობელ კალანდაძეს სასისხლო სიგელს, რომელიც მათ წინათაც ჰქონიათ და დაკარგვიათ. მათი გვარის სისხლი დაფასებულია 420,000 კირმანაულად (კირმანაული ორი შაურია), შეურაცხყოფისათვის 900 კირმ., ქალის გაუპატიურებისათვის—ამდენივე, თავზე დასხმისათვის 10,000 კირ. და სხვა. ასეთივე სიგელი მიუღია 1477 წ. აზნაურ მაღრაძეს, რომლის სისხლი დაფასებულია 400,000 კირმ., შეურაცხყოფისათვის 20,000 კირ., ქალის მოტაცებისათვის სისხლის დასაურავის $^1/_2$ და სხვა. აგრეთვე სასისხლო სიგელი გაცემულია 1463 წ. [2]) უკანასკნელი სიგელიდან ჩანს, რომ სიგელის გაცემას წინ უძღოდა მეფის თათბირი წარჩინებულებთან—სამეგრელოს მთავარ დადიანთან, გურიის მთავარ გურიელთან „სხვა იმერთა, თავადთა და დარბაზის ერთა". განსაკუთრებით ბევრი იყო ასეთი სიგელები 13-17 საუკ. დასავლეთ საქართველოში, მაგ. სისხლის სიგელი ნიქაბაძეთა, მიქელაძისა და სხვა [3]).

ამ სიგელების შესახებ მე-18 საუკ. დასაწყისში სამართალი აღნიშნავს, რომ ისინი დღეს აღარ შეესაბამებიან ნამდვილ მდგომარეობას, რომ ზოგი ამაღლდა, ზოგი დამდაბლდა, ზოგმა დაჰკარგა მამული, ზოგმა შეიძინა და ამიტომ მოსამართლემ, სისხლის დაურვის დროს, უნდა იხელმძღვანელოს სამართალში აღნიშნულ ნორმებით და არა ამ სიგელების მიხედვით. ხოლო ყოველ შემთხვევაში მსაჯულის სახელმძღვანელო პრინციპი უნდა იყოს: ვისაც აქვს დიდი მამული, ვინც ძლიერი ფეოდალია, მისი სისხლი უფრო მეტად ფასობს და პირუკუ. [4])

---

[1]) იქვე, 36 მ.

[2]) **Д. Пурцеладзе. Двор. Грамоты**; ექ. თაყაიშვილი, საქარ. სიძველენი, III ტ. 436 გვ.

[3]) ისტორიული მოამბე, № 2, 1925 წ. ს. კაკაბაძე, 51, 52, 107 გვ.

[4]) ვახტ. დებულება, 80.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეოდალურ საქართველოში ფული ძვირი იყო. ამიტომ სამართალი, თანახმად სისხლისა, სამსახურისა და მამულისა, აწესებს: ვინ რამდენი უნდა აიღოს ფულად და სხვა ღირებულებით დასაურავის ანგარიშში.

დამნაშავეს სისხლის დასაურავის ანგარიშში მით უფრო მეტი უნდა გადაეხადა ოქროთ და ვერცხლით, ე. ი. ფულად, რაც უფრო დიდი წოდების პირი იყო მოკლული, დაჭრილი, ან დაზარალებული. პირველი ხარისხის თავადი თუ იყო მოკლული, დაზარალებულზე იყო დამოკიდებული, რას მოსთხოვდა დამნაშავეს: ოქროს, ვერცხლს, გლეხებს, ძვირფას ქვებს, იარაღს, სპილენძს თუ საქონელს [1]).

აზნაურს შეეძლო მოეთხოვა ფულად სისხლის დასაურავის $^1/_3$, $^2/_3$ იარაღით, ცხენებით, სპილენძით, ხარებით, ცხვრებით და ტყვეებითაც და ასე წოდების მიხედვით [2]).

გლეხის სისხლის გადახდა, რომელიც 120 მან. იყო დაფასებული, ე. ი. 60 ხარად ან ძროხად, შეიძლებოდა ყოველგვარი დოვლათით [3]).

ამგვარად, სისხლს, წოდებას, გვარს ამ საკითხის გადაწყვეტის დროსაც უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა.

სისხლის დაურვით ისჯება ყველა დანაშაული: ვის რამდენის ზარალი აქვს მიყენებული, იმის კვალობაზე ზარალი უნდა იქნეს ანაზღაურებული: დაცემა [4]), დაჭრა [5]), მრუშობა [6]), ქალის მოტაცება [7]), ქურდობა [8]) და სხვა და სხვა.

დასაურავს უმეტეს შემთხვევაში თავად-აზნაურობა გლეხებით იხდიდა. მაგ. ონასაშვილმა დასჭრა ასლან ბებურიშვილი. ბატონიშვილი ერეკლე და კათოლიკოზი 1737 წელს ონასაშვილს სჯიან მით, რომ ბებურიშვილს მიუსაჯეს ონასაშვილის ხუთი კომლი კაცი [9]). 1797 წ. მეფე სოლომონი ცხენის ქურდობისათვის აზნაურ ჩხეიძეს ართმევს გლეხებს მამულით და აძლევს დაზარალებულს სასახლის მღვდელს [10]).

თავისუფალი მოქალაქე, თუ ის სისხლის დასაურავს ვერ გადაიხდიდა, ჰკარგავდა თავისუფლებას. მაგ., სეხნიაშვილმა ჩაიდინა დანა-

---

[1]) იქვე, 22 მ.
[2]) იქვე, 19-23 მ.
[3]) იქვე, 18 მ.
[4]) იქვე, 51, 53, 54, 55 მ.
[5]) იქვე, 46, 47, 48, 49 მ.
[6]) იქვე, 67, 68, 69, 70, 71 მ.
[7]) იქვე, 84, 85 მ.
[8]) იქვე, 152-154 მ.
[9]) ექ. თაყაიშვილი. საქარ. სიძ. III ტ. 439 გვ.
[10]) დ. ფურცელაძე. ღრამოტები, 106 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაული. დაზარალებული სომეხი იყო. რადგან დამნაშავე სეხნიაშვილმა ვერ გადაიხადა დასაურავი, ის საწინდრად წაიყვანა დაზარალებულმა სომეხმა. შემდეგ ის სახლთუხუცესმა გამოიყიდა და მთელი მისი ოჯახით ნაყიდ ყმად გახადა [1]).

მე-18 საუკ. მიწურულში დასაურავი რამდენადმე საზოგადო-სახელმწიფოებრივ ხასიათსაც ღებულობს. მაგ., ქურდი იხდის ნაქურდალის შვიდჯერ მეტ ღირებულებას. აქედან ორი ნაწილი დაზარალებულს მიაქვს, ერთი ნაწილი ხევის თავს, ორი ნაწილი მეფეს, ორი მოურავს. ვინც ომიანობის დროს დაძახებისათანავე არ გამოცხადდებოდა, ისჯებოდა ჯარიმით, რომლიდან $^2/_3$ მეფეს ერგებოდა, $^1/_3$ მოურავს. 1750-1760 წ. „კახეთის ბაჟის გარიგება"-ც დასაურავს ასეთსავე დანიშნულებას აძლევს [2]).

ამგვარად, დაურვა, გარდა კერძო მატერიალურ ხასიათისა, თანდათან ითვისებდა საზოგადო-სახელწიფოებრივ ინსტიტუტის ელემენტებს: სახელმწიფო ორგანოები აჯარიმებენ დამნაშავეს და ჯარიმის ნაწილი ხაზინაში შედის.

დანაშაულთა საერთო დახასიათება.

აქ ჩვენ არ შევუდგებით ცალკე ქმედებათა გარჩევას და დახასიათებას. აღვნიშნავთ მხოლოდ საერთო ხასიათს და კლასიფიკაციას.

დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ ჩვენს ფეოდალურ სამართალში აქა-იქაა გაბნეული: მოკვლა, დაჭრა, შეურაცხყოფა, ცილის წამება, ქრისტიანის ურწმუნოსათვის მიყიდვა და სხ.

აქვე შეხვდებით ქონებრივი ხასიათის დანაშაულთ: კვალიფიციურ და უბრალო ქურდობას, დაცემას, ძალით მამულის დაპყრობას, თვითნებობით სხვისი ქონების სარგებლობას და სხვა.

სახელმწიფოებრივ და სარწმუნოებრივ ხასიათის დანაშაულთ სამართალი ფრიად მძიმე დანაშაულად აღიარებს. სამართალი არც სქესობრივ დანაშაულს სტოვებს დაუსჯელად.

ყველა ამ დანაშაულთ თანამედროვე ხანის— ფეოდალური ურთიერთობის ბეჭედი აზის: დიდი ფეოდალის, დიდი თავადის და აზნაურის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული მძიმე, კვალიფიციურია; დაბალი წოდების პირის წინააღმდეგ—ჩვეულებრივი, არა კვალიფიციურია.

---

[1]) დ. ფურცელაძე. ღრამოტები, 30 გვ.

[2]) ექ. თაყაიშვილი. საქარ. სიძველენი, III ტ.; დ. ფურცელაძე. ღრამატები, 79 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ კანონიერება და სამართალი, რა ნაკლიც არ უნდა ჰქონდეს მას, მაინც დასაფასებელი და ძვირფასია უკანონობასა და უსამართლობასთან შედარებით.

ფეოდალურ საქართველოში კანონი, სამართალი, რომელიც არსებობდა, ხშირად ერთი იყო, ხოლო სინამდვილე სულ სხვა.

საქართველოს ფეოდალურ წეს-წყობილების ისტორია არის ფეოდალების ერთი მეორის წინააღმდეგ ბრძოლის, განდგომის, ერთი მეორისადმი ღალატის ისტორია. სამეფო ხშირად რამდენიმე მებრძოლ ბანაკად იყო დაყოფილი. ცხადია, როდესაც ძლიერი თავადი ებრძვის მეფეს, ურჩი თავადის საფეოდალოში მეფის მიერ გამოცემული კანონი სავალდებულო არ იყო, თავის სამფლობელოში ის იყო მმართველი და მსაჯულიც. ასეთივე მდგომარეობა იყო მაშინ, როდესაც თავადები თვით ებრძოდენ ერთი მეორეს და მეფე უძლური იყო აელაგმა ისინი.

ასეთ პირობებში, თუ ფეოდალი კარგი პიროვნება იყო, მისი სამართალიც ასეთი იყო; თუ ცუდი, სასტიკი და გაუნათლებელი, მისი მამულის მობინადრე გლეხებიც მისი სისასტიკის და უვიცობის მსხვერპლი იყო.

ეს დაუსრულებელი დავა, ბრძოლა, ქიშპობა და თვითნებობა იმდენად ძლიერი იყო, რომ თვით სამართალი უწევს ანგარიშს მას და აკანონებს, რომ, როდესაც ბრძოლა წარმოებს ძალაუფლებისათვის, ამ ბრძოლის დროს ჩადენილი ცარცვა, თავდასხმა და სხვა არ ისჯება, რადგან ყველა ორ ბანაკად არის დაყოფილი, მტრობენ და ანადგურებენ ერთი მეორეს. [1])

---

[1]) ვახტ. დებულება, 76 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცესუალური ნორმები.

სასამართლო.

ფეოდალურ წეს-წყობილების დასახასიათებლად არა მცირე მნიშვნელობა აქვს იმის აღდგენას, რა უფლებები ჰქონდათ მხარეებს სამართლის წარმოების დროს და რა საშუალებით იკვლევდა სასამართლო სიმართლეს და ადგენდა განჩინებას.

ოფიციალურ მოსამართლეების ინსტიტუტი ცნობილი იყო ფეოდალურ ურთიერთობის დროს მდივანბეგის, მოურავის, ბჭენის, მსაჯულის სახელწოდებით. „ძეგლის დება“ იხსენიებს მეფის მრჩევლების სამსჯავროს [1]) და ამ სასამართლოსაგან განსხვავებულს ჩვეულებრივ სასამართლოს.[2]) ბექა-აღბუღას სამართალი აღნიშნავს, თუ როგორი დადებითი ღირსებები უნდა ჰქონოდა მოსამართლეს [3]). სხვა დადგენილება სასამართლოს ორგანიზაციის შესახებ ამ საკანონმდებლო აქტებში არ მოიპოვება.

ვახტანგის სამართალი (18 საუკ. დასაწ.) სასამართლოში საქმის წარმოების წესებს მეტ ყურადღებას აქცევს და არკვევს.

ის დიდი ყურადღებით ეპყრობა მოსამართლის მოღვაწეობას. სამართალი აღიარებს მას ოფიციალურ პირად, რომელსაც დაკისრებული აქვს სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულება, მას დიდი სარგებლობა და დიდი ზიანიც შეუძლია მიაყენოს სახელმწიფოს კანონიერი და სამართლიანი და უკანონო და უსამართლო განაჩენით. [4])

სამართალი ყველგან ერთ მოსამართლეზე მოგვითხრობს, რომელსაც შეეძლო მოეწვია მცოდნე, გამოცდილი, ჭკვიანი პირები და რთული საქმის გარჩევის დროს მათი აზრი მოესმინა, თუ ამას საჭიროდ დაინახავდა. [5]) მე-18 საუკ. უფრო გვიან საბუთებში ჩვენ ვხვდებით კოლეგიალურ სასამართლოსაც, მაგ. 1775 წ. 1786 წ., და სხვა. [6]) ზოგ დიდ საქმეებს, ე. ი. სადაც მხარეები წარჩინებული წოდებისანი

---

[1]) ძეგლის დება, 1 მ.

[2]) იქვე, 29 მ.

[3]) 100, 101 მ. ბექას სამართლისა.

[4]) ვახტ. დებულება, 1, 2, 4 მ.

[5]) იქვე, 5 მ.

[6]) ეკ. თაყაიშვილი, საქ. სიძველენი, III ტ. დ. ფურცელაძე. ღრამატები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ, მეფის კარზე, მეფესთან არსებული სასამართლო იხილავდა. ამ სასამართლოს შემადგენლობა კოლეგიალური იყო, სადაც საქმის მიხედვით, გარდა მეფის კარზე მოსამსახურე დიდი თანამდებობის პირთა, მონაწილეობას იღებდა კათალიკოზი და ზოგიერთი მღვდელ-მთავარიც, მეფის არჩევით და მოპატიჟებით.

ყველა მემამულეს მოურავი ჰყავდა, რომელიც მამულის უშუალო გამგე იყო და იმავე დროს გლეხებს შორის მოსამართლეც. თუ საბატონო სოფლებს შორის რაიმე დავა ატყდებოდა, მას თვით ბატონი-მემამულე არჩევდა.[1]) მოურავს ჰყავდა სოფლად ნაცვალი და მამასახლისი, რომელთაც მოჰყავდათ სისრულეში მოურავის განაჩენი.[2]) როგორც ნაცვალი, ისე მამასახლისი და მოურავიც გლეხებისაგან იღებდენ გასამრჯელოს სამსახურისათვის, საქმის გარჩევის და სისრულეში მოყვანისათვის.—გლეხს, მოურავის განჩინებით უკმაყოფილოს, შეეძლო მიემართა ბატონისათვის; ბატონის შევიწროებაზე მას შეეძლო ეჩივლა მდივანბეგთან და შემდეგ მეფესთანაც. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს უფლება ყმისათვის ფიქტიური იყო; ფაქტიურად მათ ასეთი უფლება არა ჰქონდათ.[3])

ოფიციალური მდივანბეგების სასამართლო თავად-აზნაურთათვის არსებობდა, რომლის განაჩენის გასაჩივრება შეიძლებოდა მეფის კარზე არსებულ სასამართლოში და პირადად მეფესთან.

მაგ. 1749 წ. მეფის შვილი დავითი და მდივანბეგი არჩევენ დავას ბეჟან და ივანე ამილახვრებს შორის, რომლებიც ერთი მეორეს ედავებიან სამი მოსახლე გლეხის, გვარად კუპატაძეების, შესახებ; სასამართლოს გამოაქვს განაჩენი, რომელსაც მეფე ამტკიცებს.

გლეხებიც ახერხებდენ მეფესთან ჩივილს. მაგ., 1769 წ. დათუნიკა მაისურაძე თხოვნით მიმართავს მეფეს აზნ. ქაიხოსრო ლოლაძის მოქმედების შესახებ. მეფე საქმეს გასარჩევად უგზავნის მდივანბეგს. 1799 წ. გლეხები უჩივიან პაპუნა ორჯონიკიძეს, რომ ის ძალით ასახლებს მათ თავის მამულში, რომ ის 8 დეკემბერს 50 შეიარაღებული კაცით დაეცა და მოსთხოვა ბჟინვალს გადასახლება. მეფე არ არჩევს ამ საჩივარს, რადგან მომჩივნები იმერეთის მეფის ქვეშევრდომები იყვნენ.[4])

მეფის, როგორც ფეოდალის, მამულშიაც იყვნენ მოურავები, რომლებიც ადგილობრივ მოსამართლის ფუნქციებსაც ასრულებდენ, როდესაც საქმე გლეხებს შეეხებოდა.

---

[1]) დასტურლამალი, ვახტ. VI, 12 გვ.

[2]) იქვე, 11 გვ.

[3]) Обычаи, введенные при груз. царях законом.

[4]) დ. ფურცელაძე, ღრამოტები, 74, 13, 23, 76 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ამ ორგანოებს: მოურავს, ბატონს, მდივანბეგს, მეფის კარის სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელებინათ, საქმის გარჩევის და განაჩენების გამოტანის დროს, მეფის მიერ გამოცემულ სამართლით. ამ მხრით ჩვენმა ფეოდალიზმმა არ იცოდა სამართლის შეუვალობა, [1]) მაგრამ ფაქტიური მდგომარეობა, ფეოდალების ბრძოლა მეფესთან და ერთი მეორესთან, კუთხური პოლიტიკა და მხოლოდ თავის საფეოდალოზე ზრუნვა თითქმის აბათილებდა მეფის ამ უფლებას და სწყვეტდა ფეოდალურ სახელმწიფოს შემაკავშირებულ ძაფებს.

ოფიციალური სასამართლოს და მოსამართლეს გარდა ჩვენმა ფეოდალურმა სამართალმა იცის მედიატორეთა სასამართლოც. ამ ინსტიტუტს, როგორც ყველგან, ისე ჩვენში, სხვა და სხვა გვარი ხასიათი ჰქონდა თავის განვითარების პროცესში, ხოლო ბოლოს, მე-18 საუკუნეში სამართლით და ჩვეულებით ის ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: მედიატორებს ირჩევდენ მხარეები მეფის ან მისი მოხელის წინადადებით; მედიატორეთა რიცხვი შეიძლება ყოფილიყო ორი, სამი ან ექვსი [2]), ვახტანგის სამართლით კი მხოლოდ ერთი. მედიატორეთა განაჩენი სავალდებულო იყო მომჩივან-მოპასუხისათვის, მაგრამ მათ შეეძლოთ მედიატორეთა გადაწყვეტილება გაესაჩივრებინათ მეფესთან ან ოფიციალურ სასამართლოში და დაემტკიცებინათ, რომ მედიატორეებმა თავიანთი განაჩენით დაარღვიეს კანონი, და თუ მათი გადაწყვეტილება სამართლის საწინააღმდეგო აღმოჩნდებოდა, ოფიციალური სასამართლო ადგენდა ამტყდარ დავის შესახებ ახალ საბოლოო განაჩენს. [3]) სამედიატორო სასამართლოს მიმართავდენ წოდებრივად თანასწორი პირნი.

მოწმეები, ფიცი და მოფიცრები.

მოსამართლე ვალდებული იყო გამოერკვია საქმის გარემოება ყოველ მხრივ, მოესმინა მხარეები, ობიექტიურად აეწონდაეწონა საბუთები, არ აჩქარებულიყო, დაეკითხა მოწმეები, როგორც დაინახავდა საჭიროდ, ცალ-ცალკე ან პირში წაყენებით. საქმის ვითარება და მოწმეების ჩვენება, თუ რთული საქმე იყო, უნდა ჩაეწერა და შეეძლო განაჩენი მაშინვე არ გამოეტანა. ოქმებს აწარმოებდა მდივანი.

მსაჯულს უნდა მიეღო ყოველი ზომა, რომ განაჩენი გამოეტანა უფიცრად, მხოლოდ მოწმეების დაკითხვით, მაგრამ თუ ეს შეუძლებელი იყო, უნდა მოქცეულიყო თანახმად კანონისა, ე. ი. მიემართა

---

[1]) ივ. ჯავახიშვილი, 104 გვ.

[2]) Обычаи, введенные при груз. царях законом (рилож. к сборнику Вахт. VI).

[3]) იქვე, 379 გვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფიცისათვის[1]). აქედან ჩანს, რომ ახსნა-განმარტების შემდეგ პროცესში პირველი ადგილი მოწმეების ჩვენებას ეჭირა. კანონმდებელი ამასთანავე აღნიშნავს, რომ წინათ მოწმეებს საქართველოში არ აქცევდენ დიდ ყურადღებასო.

ცხადია, რომ ჩვენს პროცესში მოწმეებს მე-17 საუკ. მიწურულამდე არ ეჭირათ ისეთი გადამწყვეტი ადგილი, როგორც შემდეგ მე-18 საუკუნიდან[2]); წინათ პირველი ადგილი პროცესში ეჭირა ფიცს.

მაგრამ მოწმეების ინსტიტუტსაც ამ ხანში ფეოდალური ურთიერთობის დაღი აზის. ყველა არ ვარგოდა მოწმედ. შეიძლება ეს თუ ის პირი ფაქტიურად იყო მოწმე რომელიმე მოვლენისა, მაგრამ თუ ის არ იყო სასულიერო წოდების, ან ცნობილი სამართლიანობით, ან ჭკუით, ან რამე სხვა დადებითი ღირსებით,—მოწმედ არ ვარგოდა[3]). ფეოდალური შეხედულებით ყმა მოკლებული იყო ყველა თვისებებს და, მაშასადამე, მოწმედ ის იშვიათად თუ გამოდგებოდა.

თუ ასეთი მოწმეები არ იყვნენ, მაშინ მოწმობა ფიცად გადადიოდა. იმ მხარეს, რომელიც ვალდებული იყო დაემტკიცებინა თავის უდანაშაულობა, უნდა მოეყვანა კანონით განსაზღვრული რიცხვი მოფიცართა, ან მთელი სოფელი. ამ მოფიცართ ფიცქვეშ უნდა დაედასტურებინათ ის, რასაც ამტკიცებდა მხარე, რომელმაც მოფიცარნი დაასახელა. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი მოწმეებს მაღლა აყენებდა, ვიდრე ფიცს, უკანასკნელს მაინც დიდი გასავალი ჰქონდა სასამართლოში და უმთავრესად საქმეები ფიცის საშუალებით წყდებოდა. აიხსნება ეს მით, რომ ფეოდალურ ურთიერთობას ამტკიცებდა ის შეხედულება, რომ ასეთი წეს-წყობილება ღვთის ნებითაა წარმოშობილი, მეფე ღვთის არჩეულია, დანაშაული ბოროტი სულის გავლენის შედეგია და ის მიმართულია ღვთის ნებით არსებულ წეს-წყობილების წინააღმდეგ. ამიტომ ვინც ტყუილზე დაიფიცებს, ხატის და ჯვრის წინ დაადასტურებს მას, რასაც ადგილი არ ქონია, და მით დანაშაულს გაამართლებს, ის ღვთის რისხვას დაიმსახურებს.

ფიცის მიღება შემდეგნაირად ხდებოდა: ბრალდებული მიიღებდა მღვდლის ხელიდან ხატს და ამბობდა, რომ ფიცავს ღვთის წინაშე, რომ მას არ ჩაუდენია ის, რასაც აბრალებენ, და არც არაფერი იცის ამის შესახებ. ამის შემდეგ მოფიცრები ამბობდენ: ვფიცავთ, რომ მან მართალი სთქვა.[4]) მოფიცრები ადასტურებდენ არა ფაქტს, არამედ ფიცავდენ, რომ მოპასუხე ან ბრალდებული მართალია, რომ ის

---

[1]) ვახტ. დებულება. 3 მ.

[2]) ურბნელი. აღბუღა და ბექა და მათი სამართალი, 301 გვ.

[3]) ვახტ. დებულება, 13 მ.

[4]) ვახტ. დებულება, 10 მ.; დ. ფურცელაძე, ღრამატები, 69 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ ჩაიდენდა იმ დანაშაულს, რომელსაც მას აბრალებენ. 1809 წ. „საქართველოს მართველობის ექსპედიცია“ თავის მოხსენებაში სწერს, რომ მოწმეებს სასამართლო კითხავდა უფიცრად, მაგრამ თუ სასამართლო დაინახავდა საჭიროდ, მოპასუხეს უნდა დაეფიცა თავის მოწმეებით. მათ ეძლეოდათ მოსაფიქრებლად 40 დღე. ფიცი დიდი ცერემონიით სრულდებოდა მღვდლის და ხალხის თანდასწრებით[1]). ფიცისაგან განსხვავდებოდა ეგ. წოდ. „ცოდვის მიღება“, რომელსაც ისეთივე საფუძველი აქვს, როგორც ფიცს. განსხვავდებოდა მით, რომ ამ აქტის დროს არ იყო საჭირო მოფიცრები ან მოწმეები. მოპასუხე მოიკიდებდა მომჩივანს ზურგზე და შეფიცავდა, რომ თუ მას ჩაედინოს ის დანაშაული, რომელიც მას ბრალდება, ის მომჩივნის მაგიერ აგებს პასუხს ღვთის წინაშე მეორედ მოსვლის დროს და მის მაგიერ იქნეს დასჯილი მისი ცოდვებისათვის.[2])

ფიცი და „ცოდვის მიღება“ შესაძლებელი იყო თანასწორთ შორის, წოდებრივობა აქაც გადამწყვეტი იყო; გლეხს არ შეეძლო აზნაურის ან თავადის მოფიცრობა, ან აზნაურს გლეხის.

ხმალი, შანთი და მდულარე.

მძიმე დანაშაულის დროს ეჭვმიტანილს თავი უნდა ემართლებინა ან ხმლით, ან შანთით, ან მდულარით. ასეთ დანაშაულად სამართალი სთვლიდა ღალატს, დიდებულის მოკვლას, ხაზინის გაძარცვას, სარწმუნოების შეურაცხყოფას და სხვა ამგვარ დანაშაულს.

„ხმლით“ თავის მართლება შემდეგნაირად წარმოებდა: ბრალდებული და ბრალმდებელი 40 დღის განმავლობაში ლოცულობდენ; ევედრებოდენ ღმერთს, რომ, ხმალში გასვლის დღეს, მას არ მოეხსენებინა სხვა დანაშაული; თუ ის დამნაშავე იყოს ამ საქმეში, მისცეს მისი თავი მოწინააღმდეგეს, ხოლო თუ უდანაშაულო, მას მისცეს მოწინააღმდეგის თავი. ამის შემდეგ, თითო მემათრახის თანხლებით, ცხენოსანი შეიარაღებული ბრალდებული და ბრალმდებელი მოედანზე შეებმოდენ ერთმანეთს. ვინც გადააგდებდა მეორეს ცხენიდან, მართალი იყო, დამარცხებული კი მტყუანი. ამ ბრძოლას მეფე შორიდან უცქერდა. დამნაშავეს, ე. ი. დამარცხებულს, წარუდგენდენ მეფეს, რომელიც ისე მოეპყრობოდა მას, როგორც სურდა. თუ ცხენიდან ორივე მებრძოლი გადმოვარდებოდა, ბრძოლა უცხენოთ, ქვეითად უნდა განეგრძოთ.[3])

---

[1]) Акты К. А. К. IV ტ. 6—13 გვ.

[2]) იქვე, 14 მ.

[3]) ვახტ. დებულება, 70.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მდუღარე“ სიმართლის გამოსარკვევად შემდეგი წესით იხმარებოდა: გააცხებდენ წყლით ქვაბს, ჩაკიდებდენ შიგ რკინის, სპილენძის, ან ვერცხლის ჯვარს, აადუღებდენ წყალს და ბრალდებულს ადუღებული წყლიდან უნდა ამოეღო იქ ჩაკიდებული ჯვარი. ხელს მაშინვე შეუხვევდენ და სამი დღის შემდეგ ნახავდენ. თუ ხელი დამწვარი იყო, ბრალდებული დამნაშავე იყო, თუ არა, მართალი [1]). „შანთით“ თავის მართლება ამ გვარივე წესით წარმოებდა. გახურებულ შანთს დაუდებდენ ბრალდებულს ხელის გულზე, რომელზედაც გადაფარებული იყო ქაღალდი. დაუდებდენ თუ არა მას შანთს ხელზე, ბრალდებულს სამი ნაბიჯი უნდა გადაედგა და გადაეგო ხელიდან შანთი. თუ დაწვავდა, დამნაშავე იყო. [2])

ამ აქტების საფუძველი იყო ის რწმენა, რომ ღმერთი მხოლოდ დამნაშავეს სჯის, რომ სიმართლის გამოსარკვევად ის გამოიჩენს სასწაულთმოქმედებას.

მდუღარეს ან შანთს სასამართლო მიმართავდა დიდებულის მკვლელობის გამო, თუ ბრალდებული თავის წოდებრივი მდგომარეობით დიდებულზე დაბლა იდგა. ხმალში გასვლა შეეძლო მხოლოდ თანასწორთ, ასე რომ თუ ეჭვმიტანილი წოდებრივი მდგომარეობით დიდებულზე დაბლა იდგა, მასთან ხმალში მისი თანასწორი, დიდებულის ხელქვეითი უნდა გასულიყო [3]).

არც „ძეგლის დება“ (14 საუკ.), არც საათაბაგოს სამართალი (15 საუკ.) და არც სხვა ჩვენამდე შენახული წინანდელი აქტები არავითარ ცნობას არ იძლევიან მის შესახებ, რომ წინათ, მე-17 საუკუნის მიწურულამდე, ჩვენმა სამართალმა იცოდა ასეთი ბარბაროსული საშუალებანი სიმართლის გამოსარკვევად. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ერის ცხოვრების დიდ რეგრესთან, დაქვეითებასთან. ეს მოვლენა აიხსნება მით, რომ მე-16-17-საუკ. ჩვენი ისტორიისა ისეთი ხანაა, როდესაც საქართველო შეიქნა სპარსეთის და ოსმალეთის განსაკუთრებული გავლენის ასპარეზად. მე-17 საუკ. საქართველოში იწყება, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, სპარსეთის ხანა, როდესაც სპარსეთის გავლენას მკვიდრი ნიადაგი ჩაეყარა ჩვენში. ერთ საუკუნეზე მეტი გასტანა ამ გავლენამ. აღმოსავლეთი საქართველო იყო სპარსეთის გავლენის ობიექტი, დასავლეთი-კი ოსმალეთის. ეს ხანა სავსეა ჩვენი კულტურული ძალების გაწყვეტის ფაქტებით. გარეშე მტრის შემოსევას და გავლენას დაერთო უმაგალითო ერთი მეორისადმი ღალატი და ბრძოლა. სპარსე-

---

[1]) იქვე, 8 მ.
იქვე, 9 მ.
[3]) იქვე, 37, 38 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის მმართველები მოხერხებულად სარგებლობდენ მეფეების, მთავრების, დიდებულების კერძო ინტერესებით და თავიანთ გავლენას მათ ბრძოლა-ქიშპობაზე აგებდენ. რჯულის გამოცვლა, მაჰმადიანობის მიღება უპირველესი საბუთი იყო სპარსეთის ერთგულების დასამტკიცებლად. ამიტომ რჯულის გამოცვლაში მმართველი წრეების წარმომადგენელნი, ზოგიერთთა გამოკლებით, ერთი მეორეს ეცილებოდენ; სარწმუნოებას-კი დიდი გავლენა ჰქონდა შინაურ ცხოვრებაზე. ამიტომ საქართველოში სპარსეთის ბატონობის და გავლენის დროს დაეცა კულტურა, აზროვნება, ზნე-ჩვეულება და სამართალშიაც ფეხი მოიკიდა სპარსულმა სიმართლის გამოსარკვევმა საშუალებებმა.

იმ ხანად ქართველებმა მიიღეს „ქცევა და ზნენი ყიზილბაშთა და დაუტევებდენ ქართულთა: იწყეს განცხრომა, მრუშება ვიდრე სოდომამდე, პატივისათვის და ჯამაგირისათვის იქნებოდიან მაჰმადიანებად და მიიღებდიან ყაენისაგან როჭიკსა“. კახეთის მეფე იმამ ყული ხანი (1703-1722) იყო „სრულიად წესსა და რჯულსა მაჰმადიანისასა, არა რა სწამდა ქრისტიანეთა, არამედ წიგნი და ენანი ქართულ-სპარსული უწყოდა წარჩინებულად“. „ეს სარწმუნოება (მაჰმადიანობა) ზოგს მიტომ მიულია“, სწერს შარდენი—„რომ მეფის კარზე ადგილი ეშოვნა და ჯამაგირი ჰქონოდა, ზოგს იმისათვის, რომ თავის ქალები მეფისათვის მიეთხოვებინათ. ისეთი საძაგელი კეთილშობილნიც არიან, რომ თავიანთი ლამაზი ქალები მიჰყავთ მეფესთან“-ო.

რასაკვირველია, ქართული კულტურა ამ ხანაშიაც არ ჩამქრალა. თეიმურაზ მეუე (1663), არჩილ მეფე (1681 წ.), თბილელი (1688 წ.), გორგიჯანიძე, საბა ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, დავით გურამიშვილი და სხვები ამ ხანას ამშვენებდენ, მაგრამ საერთო კულტურული მიმდინარეობა სპარსეთის გავლენის ქვეშ მოექცა და დაქვეითდა.

ამიტომ ეს „ორდალიები“, რომლებიც არაჩვეულებრივ გამონაკლისს შეადგენენ ჩვენ ცხოვრებაში სწორედ მაშინ, როდესაც სხვა ერის ცხოვრებაში ამ დროს (მე-18 საუკ. დასაწ.) ისინი ქრებიან,—ნასესხები, სპარსეთიდან ჩამონერგილი უნდა იყოს საქართველოს ცუდ პოლიტიკურ და კულტურულ ხანაში. თვით იდეა „ორდალიებისა“, რომ ღმერთი უსამართლობას არ დაუშვებს და გამოააშკარავებს მტყუანს და მართალს, არ იყო უცხო ქართული აზროვნებისათვის; ფიცი და მოფიცარნი ამ იდეის გამომხატველია. ხოლო ცუდ კულტურულ პირობებში ამ იდეამ მიიღო ბარბაროსული ფორმა.

საგულისხმოა, რომ ამ საშინელ პროცესუალურ საშუალებებს ვერ ვხედავთ ვახტანგის დებულების შემდეგ აქტებში. საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთთან შეერთების შემდეგ (1815 წ.), შეკრებილ იქნა თავადაზნაურთა და მცოდნე პირთა საშუალებით ყველა ის ჩვეულებანი, რომელნიც სამართალთან ერთად მოქმედებდენ საქართველოში ახლო წარსულში. არსად ამ ჩვეულებათა აღწერაში არ არის მოხსენებული არც ხმალი, არც შანთი და არც მდულარე.[1]) უნდა ვიფიქროთ, რომ დასავლეთ საქართველოში მეტ ხანს შენახულა ეს პროცესუალური საშუალებანი, რადგან გურიის მდივანბეგების განჩინებები იხსენიებენ მათ.[2]) მ. კოვალევსკი, რომელმაც, სხვათა შორის, სვანების ზნე-ჩვეულება შეისწავლა, ამტკიცებს, რომ სვანებმა არ იცოდენ „შანთი", მხოლოდ მოხუცებულებს ახსოვდათ, რომ ლეჩხუმისაკენ რაღაც ამის მსგავსი ცოდნიათო[3]). ესეც ამოწმებს მას, რომ „ორდალიები" შანთის და ხმლის სახით ჩვენი სამართლის ნასესხები მოვლენაა და მსესხებელი სპარსეთის გავლენა და კულტურა უნდა იყოს.

დამტკიცების სიმძიმე (Onus probandi).

სასამართლოში დავის დროს იმ მხარემ, რომელმაც განაცხადა სარჩელი ან წამოაყენა ბრალდება, უნდა დაამტკიცოს პირველიცა და მეორეც.

ჩვენი ფეოდალური პროცესი საწინააღმდეგო პრინციპზე იყო აგებული: ბრალდებულს თავის უდანაშაულობა თვით უნდა დაემტკიცებინა, მოპასუხეს სადაო საგნის ან უფლების კუთვნილება, ან ვალდებულების უარყოფა.

მოსამართლემ უნდა იცოდეს, ამბობს სამართალი, რომ ფიცი უნდა მიიღოს მოპასუხემ, ან მან, ვის მფლობელობაშიცაა სადაო საგანი[4]). იგივე სამართალი განუმარტავს მოსამართლეს, რომ მოვალემ უნდა მიიღოს ფიცი, რომ მას არ აუღია ვალად ფული მომჩივანისაგან, როდესაც უკანასკნელს არ აქვს წერილობითი საბუთი[5]).

საინტერესოა, თუ რაზეა აშენებული დამტკიცების სიმძიმის ასეთი განაწილება? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი განაწილება ემყარება იმ რწმენას, რომ გარეშე ღვთის ნებისა ერთი ღერი ბალანიც არ ჩამოვარდება ადამიანის თავიდან, ის განაგებს ყველა მოვლენებს, და თუ მოპასუხე, რომლის წინააღმდეგ აღძრულია ძიება ან ბრალ-

---

[1]) Обычаи, введенные при груз. царях законом (Приложение к Сб р. Вахтанга).

[2]) იქვე.

[3]) М. Ковалевский. Закон и обычаи на Кавказе. II т. 29 стр.

[4]) ვახტ. დებ. 11, 157 მ.

[5]) იქვე, 147 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება, მართალია, იმართლოს თავი, მიიღოს ფიცი, გავიდეს ხმალში და სხვა.

დამტკიცების სიმძიმის განაწილების დროს სამართალს სახეში აქვს მხარეთა წოდებრივი თანასწორობა. რაც შეეხება ყმის პროცესუალურ უფლებებს, მასზე ლაპარაკი შეიძლება იმდენად, რამდენადაც ის ედავება ან აბრალებს რასმეს თავის მდგომარეობის ან მასზე დაბლა მდგომ კაცს, და იმდენად, რამდენადაც ბატონი ნებას მისცემს მას აღძრას ძიება ან წამოაყენოს ბრალდება, რადგან დავის წაგება მოასწავებდა გლეხის ქონების შემცირებას, გლეხის დაზარალებას, ხოლო რაც გლეხისაა, ის ბატონის საკუთრებას შეადგენდა.

ყველაზე უმწეო მდგომარეობაში ფეოდალურ პროცესში იყო ქალი. ქალი ყოვლად უუფლებო იყო საქმის გარჩევის დროს. ქალი შესაძლებელი იყო გამოსულიყო მომჩივნის როლში მამაკაცის წინააღმდეგ, მაგრამ მისი მოთხოვნით არ შეიძლებოდა მოპასუხე მამაკაცის დაფიცება, და თუ მოწმედ ვისმე მამაკაცს დაასახელებდა, ასეთი მამაკაცი მოწმედ არ მიიღებოდა. მაშასადამე, ფიცი ისევ მაძიებელ ქალს უნდა მიეღო [1]). უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი უუფლებო იყო პროცესში გლეხი ქალის მდგომარეობა. მმართველი წრის ქალები არ შეიძლება ასეთი უუფლებო ყოფილიყვნენ. წინააღმდეგ, ქმრის სიკვდილის შემდეგ ცოლს ქმრის მოადგილედ, ბატონის როლში ვხედავთ. მაგ., 1782 წ. აზნაურ რჩეულაშვილის ქვრივი სთხოვს მეფეს, რომ თავ. მაჩაბლებს სურთ გაყოფის დროს მისი, რჩეულაშვილის, გლეხებიც დაჰყონ. მეფე არ აძლევს ამის უფლებას თავ. მაჩაბლებს და უბრძანებს, რომ გაყოფის დროს ერთ რომელსამე მაჩაბელს რგებოდა აზნ. რჩეულაშვილი თავის გლეხებით [2]). აქაც წოდებრივობა სწყვეტდა საკითხს.

ხანდაზმულობა.

ყოველი წესწყობილების დამახასიათებელია ვადა, რომლის განმავლობაში ეს თუ ის პირი მატარებელია უფლების და რომლის შემდეგ ის ჰკარგავს უფლებას იმ საგანზე, რომელიც განსაზღვრულ ხნის განმავლობაში იყო მისი უფლების გარეშე. ფეოდალურ ურთიერთობას, საერთოდ, არ ეგუება ვადა, ხანდაზმულობა. ეს ურთიერთობა ღვთის ნებითაა დაკანონებული და ამიტომ ვერავითარი ვადა, დრო ვერ გააუქმებს ამ ურთიერთობით შექმნილ უფლებებს. და თუ

---

[1]) ვახტ. დებ., 216 მ.

[2]) დ. ფურცელაძე, ღრამატები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიმე ვადა შეიძლება იქნეს მიღებული, ის უნდა იქნეს დიდი, ხანგრძლივი. ასეთია ფეოდალური შემეცნება.

საათაბაგოს სამართალმა არ იცის არავითარი ხანდაზმულობა უძრავი ქონების შესახებ. მის მესაკუთრეს ყოველ ვადის გარეშე შეეძლო აღეძრა საკითხი მამულის დაბრუნების შესახებ, თუკი მას ჰქონდა დამამტკიცებული საბუთები, რომ მამული ეკუთვნოდა მას [1]). ვახტანგის სამართალი-კი დგას ხანდაზმულობის საფუძველზე.

გლეხს შეეძლო გაეთავისუფლებინა თავი ბატონყმობის უღლიდან, თუ ის გაექცეოდა ბატონს და 30 წლის განმავლობაში ბატონი მას ვერ მოძებნიდა. უძრავ ქონების შესახებაც 30 წლის ხანდაზმულობა მოქმედებდა. მაგ., 1785 წ. სასამართლომ გაარჩია მეიტრაშვილის და მეპურიშვილის საქმე მამულის შესახებ. სასამართლო განჩინებაში ამბობს, რომ, თუმცა კანონით ვინც განსაზღვრელ ხნის განმავლობაში ჰფლობს მამულს, მას არ შეიძლება ჩამოერთვას ის და ასეთი მფლობელი მესაკუთრედ უნდა იქნეს ცნობილიო, მაგრამ კანონს მხედველობაში აქვს ამ ხნის განმავლობაში შეუწყვეტელი და მშვიდი მფლობელობა, რაც არ მტკიცდება ამ საქმეშიო [2]). აქედან ცხადია ხანდაზმულობის არსებობა. ასეთ ვადად 30 წელი უნდა ჩაითვალოს [3]).

თავისთავად ცხადია, რომ გლეხი, რომელსაც ბატონი ყავდა და რომელიც მის მიწაზე ცხოვრობდა, ვერ შეიძენდა საკუთრების უფლებას ვერავითარი ვადით, რადგან ის არ ჰფლობდა, მხოლოდ სარგებლობდა. ხანდაზმულობა მამულის შესახებ არსებობდა მემამულეთათვის.

—

ამით ვათავებთ ჩვენი ფეოდალური სამართლის ზოგი ნორმების განხილვას. შევეხეთ მათ იმდენად, რამდენადაც, ჩვენი აზრით, საჭირო იყო ფეოდალური ურთიერთობის გასაშუქებლად.

—

დ ა ს კ ვ ნ ა.

ასეთია ჩვენი ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბებული ზოგადი სურათი მე-18 საუკუნის მიწურულამდე: მმართველი წრე— მემამულე, უფლების მატარებელი, ქვეყნის ფუძე და მარჩენალი— მხოლოდ მოვალეობით დატვირთული; ერთი ბატონი, მეორე ყმა;

---

[1]) ბექა-აღბ. სამარ., 43 მ.

[2]) დ. ფურცელაძე. საგლეხო აქტები, 46 გვ.

[3]) ვახტ. დებულება, 202 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონი და იმავე დროს ყმა; უკანასკნელი საფეხური — ყმა ბატონობას მოკლებული.

მამულიანი და გვარიანი, უმამულო და უგვარო.

კუთხური ფეოდალური ძალების ბრძოლა ცენტრის წინააღმდეგ. ცენტრის მიერ მათი დამორჩილების ხანა — საქართველოს საგარეო სიძლიერის და შინაური აღორძინების ეპოქაა. ამ ეპოქაში ქართველმა ერმა გამოააშკარავა თავის სახელმწიფოებრივი უნარი და შემოქმედებითი ძალების არსებობა და განვითარების შესაძლებლობა.

მაგრამ ერის ცხოვრების მიმდინარეობის საკითხს მაინც ძირითადი ფაქტორი სწყვეტს. კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობა, კუთხური შინაური და გარეშე პოლიტიკა გაერთიანებას თანდათან არღვევს. მონარქიული პრინციპი ადგილს უთმობს ანარქიულს, ფეოდალურს.

ფეოდალური სამეურნეო ძალები ვერ ავითარებენ თავის წიაღში ახალ საწარმოო ძალებს. ახალი ისტორიის საწარმოო განვითარებამ, მე-16 — 18 საუკ., ვერ ჩაითრია თავის მიმდინარეობაში საქართველო, როგორც საწარმოო და პოლიტიკური ერთეული. ის მოექცა ფეოდალურ ჩიხში; შიგნით დასუსტდა, ბრძოლა გაჩაღდა, გარეშე მტრებმაც არ დააყოვნეს მისი მდგომარეობის გართულება, რამაც ხელი შეუწყო დაშლის პროცესს.

უკანასკნელმა მისმა ხელმძღვანელმა მეფე ირაკლიმ („პატარა კახმა"), არა ერთხელ სცადა ბრძოლის ველზე გამარჯვებით და დიპლომატიით ეხსნა საქართველო. მისი ხსნა მან მფარველობაში დაინახა და 1783 წელს ქართველი ერის ბედი დიდი რუსეთის ბედს დაუკავშირა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეორე ნაწილი

V. ახალი ხანა.

პირველი ნაბიჯები.

რუსეთთან შეერთებით ქართველი ერის ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა. ამ აქტის შემდეგ საქართველოს ცხოვრების ხელმძღვანელი შეიქნა რუსეთის თვითმპყრობელი მეფე და მისი მთავრობა, რომელიც თავის მიზნების განსახორციელებლად როგორც რუსეთში, ისე ჩვენში თავად-აზნაურობას ეყრდნობოდა.

ეკონომიურმა კარჩაკეტილობამ, საწარმოო ძალების განუვითარებლობამ, სისტემატიურმა შინაურმა ბრძოლამ და განცალკევებამ და მეზობლების ოინებმა დააძაბუნეს საქართველოს პოლიტიკური ორგანიზმი. მე-18 საუკ. საქართველო პოლიტიკურად იმდენად მოიშალა და საგარეო პოლიტიკა იმდენად გაურთულდა მას, რომ მისი პოლიტიკის დედა-ძარღვი შეიქნა ერთმორწმუნე მფარველი და მოკავშირის ძებნა სპარსეთის და ოსმალეთის წინააღმდეგ. საქართველო არ იყო მოკლებული ევროპის სახელმწიფოებთანაც მისვლა-მოსვლას, მას იცნობდენ ევროპაში, მაგრამ მე-18 საუკ. საქართველოს საგარეო პოლიტიკის გეზი რუსეთისაკენ იყო მიმართული. ამ პოლიტიკის ძირითადი დებულება შემდეგი იყო: ერთმორწმუნე რუსეთთან ვასალური დამოკიდებულება გვირჩევნია ურწმუნო სპარსელებთან და ოსმალებთან ასეთსავე დამოკიდებულებას [1]), საქართველოს მმართველ წრეებს, ე. ი. მეფეს და მის სასახლეს, თავად-აზნაურობას და უმაღლეს სამღვდელოებას მტკიცედ სწამდათ, რომ რუსეთის ერთმორწმუნე თვითმპყრობელი მეფე საქართველოს გაუწევდა მფარველობას და იხსნიდა მას გარეშე მტრების თარეშისაგან. ეს რწმენა იმდენად ძლიერი იყო, მმართველ წრეებს ისე შეთვისებული ჰქონდათ ეს აზრი, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში ვერავითარმა ფაქტმა, რეალობამ ვერ დაარწმუნა საქართველოს ფეოდალური წრეები, რომ იმ ხანად ასეთი იმედი ქვიშაზე იყო აგებული.

მიუხედავად იმისა, რომ საგარეო პოლიტიკის ასეთი გეზი დიდ ზიანს აყენებდა საქართველოს საქმეებს, მაშინდელი პოლიტიკური აზროვნება მხსნელს და მფარველს მაინც რუსეთის თვითმპყრობელო-

---

[1]) Авалов. Присоединение Грузии к России, 51 стр.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში ხედავდა, ხოლო ეს მფარველობა არ ესმოდა მას დამოუკიდებლობის დაკარგვად. საქართველოს ფეოდალურ წრეებს სურდათ თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ ბატონობის შერჩენა და იმავე დროს რუსეთის მფარველობა, და არა შეერთება, რუსეთის თვითმპყრობელობაში გათქვეფა და გაქრობა.

მე-18 საუკ. ქართლ-კახეთი იყო საქართველოს პოლიტიკის მაწარმოებელი; აქ წყდებოდა საქართველოს ბედი. დასავლეთი საქართველო ვერ თამაშობდა ხელმძღვანელ როლს. ამიტომ ქართლ-კახეთის პოლიტიკა იყო საქართველოს პოლიტიკა.

საქართველოში მეფობის მოსპობით რუსეთის თვითმპყრობელობამ საქართველოს ფეოდალურ იერარქიულ კიბეს მოაშორა ყველაზე ზევით მდებარე საფეხური—მეფობა, და მისი ადგილი რუსეთის თვითმპყრობელობამ დაიჭირა.

უმაღლესი წოდება—მეფე, დედოფალი, ბატონიშვილები და თავად-აზნაურობა რუსეთის თვითმპყრობელობამ ჩამოაშორა პოლიტიკურ ასპარეზს, ხოლო სოციალური ურთიერთობა ბატონ-ყმობაზე აგებული დარჩა, მაგრამ მასში თანდათან იჭრება და იქმნება ახალი დამრღვევი და შემოქმედი ძალები. უფლებააყრილი მეფის სახლობა, ცხადია, უკმაყოფილო იყო მით, რაც მოხდა: ისინი მიტომ კი არ ებრძოდენ ერთი მეორეს, რომ ტახტი დაეკარგათ, არამედ იმიტომ, რომ თვითეულ მათგანს მეფობა და ბატონობა რგებოდა.

ზოგი მათგანი არ დაემორჩილა ბედს და იმერეთს გაიქცა, ზოგი სპარსეთს, ზოგი მთაში და ასე დაქსაქსულად ოცნებობდენ ტახტის დაბრუნებაზე. განსაკუთრებით შეურიგებელი იყო ალექსანდრე ბატონიშვილი.

თვითმპყრობელი რუსეთის მთავრობა ცდილობდა ბატონიშვილები რუსეთში გადაეყვანა და იქ დაესახლებინა: „მე მინდა მათი ნახვაო—სწერდა პავლე I ღენ. კნორინგს—ასე უთხარი და პატივით ჩემსკენ გამოისტუმრე“-ო.[1]) საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეული ბატონიშვილები არ მშვიდდებოდენ, თავის ბედს არ ურიგდებოდენ, პოლიტიკური ბატონობის დაკარგვა ძნელი იყო.

წესიერების დასამყარებლად საქართველოში გამოგზავნილ იქნა ერთი ქვეითა პოლკი, ოთხი ბათალიონი და 12 ზარბაზანი.[2]) შესდგა ღენ. ლაზარევის თავმჯდომარეობით საქართველოს დროებითი მმართველობა, რომლის წევრებად იყვნენ: ზაალ ბარათაშვილი, ეგნატე თუმანიშვილი, სულხან თუმანიშვილი და ტფილისის მელიქი დარჩი ბებუთოვი. ბატონიშვილი დავითი თავ. ბეგლარ ორბელიანს მათ

---

[1]) Акты К. А. К. № 520.

[2]) იქვე, № 524, 525.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ სწერდა: „ოთხი არამზადა და ერთი სულელი მართავენ ჩვენს ქვეყანას“-ო [1]).

უმეტესობა ბატონიშვილებისა და მეფის სახლობის წევრებისა რუსეთს გაისტუმრეს. დედოფალმა მარიამმა ხანჯლით მოჰკლა ღენ. ლაზარევი, როდესაც მან ძალით მოინდომა მისი რუსეთს გაგზავნა. იმ ბატონიშვილებს, რომლებიც გაიქცენ, ჩამოერთვათ მამულები; ვინც რუსეთში გადასახლდა, მათ იქ მისცეს მამული და დაუნიშნეს ჯამაგირი.

გიორგი XII შვილებს, რომლებსაც არ ჰქონდათ სოფლები და შემოსავალი, დაენიშნათ თვიურათ ასი მანეთი ჯამაგირი. ბატონიშვილ დავითს, მამულიდან შემოსავლის გარდა, თვიურად 500 მან. დაუნიშნა მთავრობამ, დედოფალ დარიას 300 მან., ერეკლე II ქალიშვილებს მარიამს, ანასტასიას, ეკატერინეს და თეკლეს, გიორგი XII ქალიშვილებს: სოფიოს, რიფსიმეს, გაიანეს და ნინოს წლიურად 1.000 მან. თვითეულს [2].)

12 ენკენ. 1801 წ. მანიფესტით ყველა დატოვებულ იქნა თავის წოდებაში და უფლებებში, ე. ი. დადასტურებულ იქნა ის ფეოდალური ურთიერთობა, რომელიც არსებობდა.

8 მაისს 1803 წ. დაიწყო მოქმედება საქართველოს მმართველობამ, რომელიც, კოვალევსკის თავმჯდომარეობით, შესდგებოდა იმ თავადებისაგან, რომელნიც რუსეთს მიემხრენ. [3]) სამოქალაქო ურთიერთობის სფეროში, იმპერატორის ბრძანებით, ძალაში დარჩა ვახტანგ VI კანონები; თუ რომელიმე შემთხვევაში ვახტანგის სამართლის ნორმები არ იქნებოდა საკმარისი, შეიძლებოდა რუსეთის კანონებით სარგებლობა. სისხლის სამართლის საქმეებისათვის კი შემოღებულ იქნა რუსეთში არსებული კანონები. ტფილისის გუბერნიაში შემოღებულ იქნა ისეთივე საგუბერნიო მმართველობა, როგორიც ამ დროს რუსეთში იყო: გუბერნიის მეთაური, საგუბერნიო მრჩეველები, გუბერნიის პროკურორი, ისპრავნიკები, მოსამართლეები. [4]) მაზრებში ახალ თანამდებობებზე დანიშნულ იქნა ერთგული თავად-აზნაურობა.

სახაზინო შემოსავლის წყაროდანაც დატოვებულ იქნენ ის გამოსაღებნი, რომელნიც ერეკლეს და გიორგის დროს არსებობდენ.

ახალი კალაპოტი.

ქართლ-კახეთმა გადასწყვიტა დასავლეთ საქართველოს, იმერეთ-გურია-სამეგრელოს ბედიც. ამიერიდან ქართველობამ პირი იბრუნა

---

[1]) Дубровин. 224 стр.

[2]) Акты К. А. К. № 339, 173; Дубровин, 225 стр.

[3]) იქვე, № 566.

[4]) იქვე, № 562.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზიიდან და ევროპის სფეროში შევიდა. ის დიდი ხანია დაეძებდა ამ გამოსავალს; ბიზანტიის დაცემის შემდეგ (15 საუკ.) ევროპასთან ურთიერთობა თითქმის შეუძლებელი შეიქმნა, რაკი სტამბულში, გასავალ ყელში, თურქობა დამკვიდრდა.

იწყება ახალი ხანა, ხანა დიდშესანიშნავი. საქართველო ჩაება იმ მიმდინარეობაში, რომელმაც რუსეთში პეტრე დიდის დროიდან ფეხი აიდგა და თანდათან ძლიერდებოდა. კონ. კაპანელის აზრი სწორია, როდესაც ის ამბობს: „საქართველომ ისტორიულად უარყო აზია; საკმაოდ დაღლილი არსებობისათვის ბრძოლაში, დიდი ხნის იჭვებისა და გააზრების შემდეგ საქართველო იხრება ევროპისაკენ რუსეთის გზით; სხვა გზა საქართველოს არ ჰქონდა: შავი ზღვა ბოსფორთან დაკეტეს თათრებმა მეთუთხმეტე საუკუნიდან და საქართველო რუსეთს რომ არ შეერთებოდა თავის დროზე, ქართველი ხალხი დღეს შეიძლება ისეთ კულტურულ და სოციალურ პირობებში ყოფილიყო, როგორშიაც სპარსეთი იმყოფება; შეიძლება ფეოდალური წესწყობილება დღესაც არ ყოფილიყო საქართველოში მოსპობილი; რუსეთის საშუალებით საქართველო დაუკავშირდა ევროპას და როგორც ინდუსტრიალურად, ისე იდეოლოგიურად საქართველომ განიცადა მაშინვე ერთგვარი გადახალისება“ [1]).

მე-17-18 საუკუნის რუსეთი ისეთივე ნატურალური კარჩაკეტილი მეურნეობის ქვეყანა იყო, როგორც საქართველო. აღებმიცემობას უფრო შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და ფუფუნების საგნებს შეეხებოდა. მიწათმოქმედებაში გაუმჯობესებული იარაღები ხმარებაში არ იყო. თუ ვისმე რუსეთში ასეთი მოეძებნებოდა, ეს ჩამოსახლებულ უცხოელებს.

მაგრამ მე-19 საუკ. დასაწყისიდან რუსეთში თანდათან ფეხს იკიდებს კაპიტალისტური მეურნეობა, რაც თავდაპირველად თავადაზნაურობის პრივილეგიას შეადგენდა. 50% მაუდის ქარხნებისა მემამულეებისა იყო, თავად ბარიატინსკის, უსპენსკის და სხვების. ხდება თანდათანობითი „ევროპეიზაცია“. აღებმიცემობა იზრდება, მემამულეთა ცხოვრება რთულდება.

რუსეთის პური ევროპის ბაზარზე ჩნდება. 1802-4 წ. რუსეთის პურის გაზიდვის რაოდენობა რვა მილიონს უდრიდა, ხოლო 1847 წ. 70 მილიონს გადააცილა. ახალი წარმოებაც სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ:

1746	წ.	რუსეთში	იყო	262	ფაბრიკა,	40.000 მუშა
1796	„	„	„	984	„	87.263 „
1804	„	„	„	2.423	„	95.000 „
1825	„	„	„	5.261	„	216.568 „
1850	„	„	„	9.843	„	517.679 „

[1]) კონ. კაპანელი. სოციალური ესთეტიკის საფუძველი, 252 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან ცხადად ჩანს, რომ კაპიტალისტურმა ელემენტებმა უკვე შეანგრიეს ფეოდალური ურთიერთობა, რომ უკანასკნელს წყალი შეუდგა. იმატა უცხოეთის საქონლის შემოზიდვამაც, ქალაქის მცხოვრებლების რიცხვმა და სხვა და სხვა [1]).

საქართველოც, რუსეთის ფარგლებში შესული, ვერ ასცდებოდა კაპიტალისტურ ტალღებს, რომელიც რუსეთში არსებულ ფეოდალურ ურთიერთობას ანგრევდა. ამიტომ ახალ ორიენტაციას მოჰყვა ახალი ურთიერთობის ჩასახვა და განვითარება.

იწყება ნელ-ნელი ნგრევა ჩვენი ნატურალური წარმოებისა. როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც თანდათან ჩნდება ახალი ძალები, რომლებიც ვერ მოთავსდებოდენ ბატონ-ყმურ დამოკიდებულების ჩარჩოებში და ფორმებში. საქართველოში შემოდის რუსეთის საშუალებით ევროპიული საქონელი. მომხმარებელი ეცნობა ამ საქონელს, ეცნობა მის გემოს, იზრდება აღებმიცემობა, შეძლებულ წრეებს ებადებათ ახალი მოთხოვნილებანი, იზრდება აღებმიცემობის მაწარმოებელნი, ვაჭარნი, ჩარჩნი, ძლიერდება მოვახშე კაპიტალი,—ერთი სიტყვით, ჩნდება ფეოდალურ ურთიერთობის დამრღვევი ძალები, ბურჟუაზიული ფაქტორები [2]).

მაგრამ წარმოება ნორმალურად მანამ მაინც ვერ გაიზრდებოდა, სანამ შრომა ბატონ-ყმურ მდგომარეობიდან არ გამოვიდოდა. ხალხს თავი უნდა დაეღწია ბატონ-ყმურ ურთიერთობისაგან, ამას მოითხოვდა თანდათანობით მომწიფებული პირობები, მაგრამ, სამაგიეროდ, მას თავი უნდა გაეყო კაპიტალიზმის ჭახრაკში [3]).

ამ ეკონომიურ ტენდენციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ერის ცხოვრებისათვის. მთელი ნახევარი საუკუნე გრძელდება ჩასახული ძალების ზრდა. მხოლოდ ბატონ-ყმობის დაცემით ფართო გზა გაეხსნა წარმოებას და აღებ-მიცემობას. ფული იჭრება ცხოვრებაში. ფულიანობა ებრძვის მამულიანობას და გვაროვნობას. უგვარო, მაგრამ ფულიანი იკაფავს გზას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ ამ მოძრაობის გამომხატველია. უბრალო, უფულო, დამცირებული მეჯღანეს შვილი სოლომონა ებრძვის ათასგვარ დაბრკოლებას, სიმწრით და გაჭირვებით იძენს ფულს და მით გვერდში უდგება დიდებულთ და წარჩინებულთ. უკანასკნელნიც ანგარიშს უწევენ მას, როგორც ფულიანს, რადგან მათთვის ფული შეიქნა საჭირო, უფულოდ ცხოვრება შეუძ-

---

1) Экономическое развитие и классовая борьба в России в 19 и 20 в. в. Сборник статей 1-5 104 стр.

2) ფ. მახარაძე. დანიელ ჭონქაძე და მისი დრო, 28 გვ.

3) ნ. ჟორდანია. რჩეული ნაწერები, 52 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელი გახდა, შინაური ხამი, ყმის ბეგარა, ღალა და კულუხი საკმარისი აღარ არის.

ახალ კალაპოტში ჩამდგარი საქართველო იდეურადაც თანეზიარა რუსეთში დაწყებულ განმათავისუფლებელ მოძრაობას. ჩვენი ახალგაზრდობა რუსეთის მოწინავე მოღვაწეთა აზრებს ეცნობა და ითვისებს. გაჩნდა ახალი ინტელიგენცია, ახალი მწერლობა, სუსტი, გაურკვეველი, მაგრამ მაინც ახალი ცხოვრების ელემენტების მატარებელი.

„ღმერთი მაღლაა, მეფე შორაა!"

მე-19 საუკ. პირველი ნახევრის განმავლობაში საქართველოში თვითმპყრობელი რუსეთის მმართველობა იყო უგეგმო მოქმედება, ბევრი მიზანშეუწონელი ზომისა და არევ-დარევის ხანა.

თავიდანვე ვითომ გამიჯნული იყო ქართული (ვახტანგის) და რუსული სამართლის მოქმედების სფერო, მაგრამ ფაქტიურად ამ კანონებით სარგებლობის დროს მოხდა სრული არევ-დარევა, არავინ იცოდა დანამდვილებით, რომელი კანონი მოქმედებდა, რომელი სამართლით უნდა ეხელმძღვანელა მოსამართლეს და მოხელეს. ყველა თავის შეხედულებით სარგებლობდა სამართლით, რაც, ცხადია, იწვევდა თვითნებობას და უუფლებლობას.

თავდაპირველად სასამართლოებში საქმის წარმოებაც რუსულ ენაზე იყო შემოღებული; რუსული კი არავის არ გაეგებოდა. ამ უაზრობის მიხვედრა ადვილი იყო და 1805 წ. ეს წესი შეცვლილ იქნა. კომისია კომისიას სცვლიდა, პროქტები პროქტებს, მაგრამ არ იქნა და ვერ გაიმიჯნა ვახტანგისა და რუსეთის კანონების მოქმედების ასპარეზი, მეორემ ვერ შესცვალა პირველი და ვერც პირველი გახდა მომქმედი სამართალი.

დასასრულ, როგორც იქნა, მხოლოდ 1859 წ. გამოიცა უმაღლესი ბრძანება ვახტანგის სამართლის გაუქმებისა, და საქართველოში რუსეთში მომქმედ სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონების მოქმედების შემოღებისა.

ნახევარი საუკუნის მანძილზე ამ გარემოებას ისიც ერთოდა, რომ ისეთ შორეულ ქვეყანაში, როგორც რუსეთისათვის საქართველო იყო, ჩვენში მოხელეებად მოდიოდენ მდარე ხარისხის პირნი, რომლებიც კანონიერებასთან და სინდისთანაც მწყრალად იყვნენ. მათ უსამართლობას და უკანონობას საზღვარი არა ჰქონდა. ამას დაემატა პროვინციაში მდგომ ჯარის ნაწილების უკანონო და მცხოვრებთა შემავიწროებელი მოქმედება. ღენ. ლაზარევი 1802 წ. ჯარისადმი სცემს ბრძანებას, რომელშიაც სწერს, რომ ჯარისკაცები აოხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებენ, ანადგურებენ მცხოვრებლების ქონებას, ართმევენ მათ, რის წართმევაც კი შეიძლება, უკანონოთ სარგებლობენ მათი ურმებით და ცხენებით, მათი სარგებლობისათვის არ იხდიან არც ერთ კაპეიკს, შეურაცხყოფენ მცხოვრებლებს, იღებენ ღვინოს ჭურებიდან, თვრებიან და შემდეგ გალეშილნი ჭურებს მიწით ავსებენო [1]).

განსაკუთრებით საშინელი იყო მცხოვრებთათვის ინტენდანტების და „პოდრიადჩიკების“ საქციელი. მაშინ, როდესაც ხალხი თვით საშინელ შიმშილობას განიცდიდა, როგორც შედეგს იმ ხანად საქართველოში არსებულ ჟამიანობისა (1809-1816 წ), ინტენდანტები ჯარის სურსათისათვის საშინელ შევიწროებას აყენებდენ მცხოვრებთ. ბეგარა,—ურმებით სამხედრო ქონების გადატანა ქართლ-კახეთიდან დასავლეთ საქართველოში, ისე შორს, როგორც ფოთია, წელში სწყვეტდა გლეხობას. აი, როგორ ახასიათებს მაშინდელ თვითნებობას და უკანონობას 1812 წ. „კახეთის ამბოხების“ ავტორი ფრონელი: „რა ჯოჯოხეთის ცეცხლად გადექცა კახელობას მარტო ბეგარა, არც კი დაიჯერებთ, საბეგრო ურმის და ცხენის საზიდავი რიცხვი რომ მოგახსენოთ. მარტო ქართლ-კახეთს, ყოფილა ისეთი დრო, გაუყვანია უსასყიდლოდ წელიწადში 112, 154 ურემი და 99, 780 საბარგო ცხენი. ეს ციფრები აღნიშნულია თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის წერილში და გამომძიებელ კომისიის საქმეში. აღარც საქონელი და აღარც ურემი თითქმის აღარ უბრუნდებოდა პატრონს. ან რა ხეირი დაეყრებოდა საქონელსა და ურემს მაშინდელ გზებზე ქართლ-კახეთიდან ფოთსა, ყარსსა, ერევანსა და ამისთანა შორეულ მანძილზე. მეურმე და ცხენის გამყოლიც ნახევარზე მეტი დაავადებულ-დასნეულებული ბრუნდებოდა შინ. ბ-ნ ანოსოვის სიტყვით, მკვიდრი ჰკვნესოდა და ჰგმინავდა ოჯახის ამკლებ საურმე ბეგრისა გამო. იგივე კაპიტანი ანოსოვი გვიამბობს, რომ „სულისმღაფავ ერის მოთმინება უაღრეს წერტილამდე იყო ასული, ძარღვები ისე დაჭიმული იყო, რომ დღედღეზე უნდა გაწყვეტილიყო. აი, ამ წარმოუდგენელ ვითარებაში ჩავარდნილ კახელობას პურის შესაკრებად ეკზეკუცია ჩაუყენეს, გავარვარებულ ჯოჯოხეთს მუგუზალი რომ მიუმატეს, სწორედ ასეთი საქმე დაემართა დამშეულ კახეთს 1812 წ. მუგუზალის როლი ეკზეკუციამ შეასრულა, შიმშილით გამწარებული, გაფცქვნილ-გაძარცული ერი თავს ძლივს იკავებდა. ან-კი რისა ეშინოდა, რაღა უნდა დაეკარგა. სასოწარკვეთილი ერი ყველაფერს მოიმქმედებდა, ოღონდ-კი როგორმე თავი დაეღწია მაჯლაჯუნასავით ზედდაწოლილ უღვთო ურჯულოებისაგან. საკმარისი იყო მცირედი ნაპერწკალი“ [2]). ასეთი

---

[1]) Акты К. А. К. № 516.

[2]) ფრონელი. ამბოხება კახეთისა 1812 წ. 81-82 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ქართლ-კახეთის საერთო სურათი მე-19 საუკ. პირველ წლებში თვითმპყრობელ რუსეთის მმართველობის დროს.

როდესაც გაჭირვებული ხალხი შესჩივლებდა მაშინდელ მოხელეს თავის გაჭირვებას და ჩივილით დაემუქრებოდა, თავაშვებული მოხელე ეტყოდა ხოლმე: „ღმერთი მაღლაა, მეფე-კი შორსაა“-ო, ე. ი. სამართალს ვერსად იპოვიო.

მდგომარეობას ართულებდა ის გარემოება, რომ რუსეთის მთავრობამ ყველა გადასახადების ასაღებ სისტემად მათი იჯარით გაცემა დააწესა. ხალხს გამოსაღებთა მოიჯარადრეების სახით ახალი ბატონი გაუჩნდა; მათი მოქმედება თითქმის უკონტროლო იყო; თუმცა მთავრობამ გამოსცა მათთვის ინსტრუქცია, მაგრამ მას არავინ ასრულებდა.

იჯარით გაცემული იყო ყოველგვარი გადასახადი და შემოსავლის ცალკე წყაროები: თევზეულობა, თამბაქო, ღვინო, არაყი, რკინა, საღებავი, ყაფანი, სადამოჟნო გადასახადი და სხვა [1]).

ამგვარად, მემამულე ბატონს სხვა ბატონები მიემატენ: ახალი მოხელე, ჯარი, ეკზეკუცია და მოიჯარადრე. ქართლ-კახეთის მაშინდელი ხელმძღვანელნი ოფიციალურ მოხსენებაში ვერ მალავენ მართველობის საშინელ მდგომარეობას: მოხელეების ბოროტმოქმედებას, თვითნებობას, მოხელეებისა და მებატონეების უფლებების განუსაზღვრელობას, და მართვა-გამგებლობაში სრულ უსისტემობას [2]). მთავარმართებელი პასკევიჩი (1827-1831) თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში აღნიშნავს, რომ მართვა-გამგეობა არეულია, ერთ მაზრაში ერთი წესია, მეორეში—სხვა, ერთ მაზრაში რუსულადაა სასამართლოში საქმის წარმოება, მეორეში—ქართულად, სასამართლოს და აღმასრულებელ ორგანოების უფლებები ერთი მეორეში არეულია, არავითარი კონტროლი ფულის ხარჯვისა არ არის, გადასახადები სხვადასხვაგვარია და სამძიმო, რომ ალაგ გადასახადები კერძო პირების სასარგებლოდ წესდება, რომ საქართველოში რამდენიც მაზრაა, იმდენი სხვადასხვა მმართველობაა და სხვა [3]). ასეთივე საშინელ სურათს მართვა-გამგეობისა იძლევა 1831 წ. გრაფი კუტაისოვი და მეჩნიკოვი: მოხელეებმა დაივიწყეს ღმერთი და ისე მართავენ ქვეყანას. ხელმწიფის ბრძანებას არა თუ არ ასრულებენ, მას აუქმებენ და თავიანთი წესები შემოაქვთ, საქართველოში სამაგალითო გამგებლობაა იმისა, თუ როგორ არ უნდა მართვა ქვეყნისაო [4]). მთავრობის მოწინავე წრეები ებრძოდენ ამ არევ-დარევას,

---

[1]) Акты К. А. К. № 559, 584.

[2]) Акты К. А. К. IV. 10 გვ.

[3]) Авалиани. Крест. вопрос, 88 გვ.

[4]) იქვე, 86 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოროტმოქმედებას, სურდათ შემოეღოთ მტკიცე და გარკვეული მართვა-გამგეობა, განესაზღვრათ ბატონისა და ყმის უფლება-მოვალეობა, მაგრამ ამაოდ.

თავად-აზნაურობა.

თვითმპყრობელი რუსეთის მთავრობა თავის საქმიანობაში ემყარებოდა თავად-აზნაურობას, მემამულეთ. უკანასკნელთ ახალმა მოსულმა უცხო ძალამ წაართვა ქვეყნის პოლიტიკური ხელმღვანელობა. ამ გარემოებამ დიდად შეაშფოთა წარჩინებული წოდება. მან ახლა აშკარად დაინახა, თუ სად მიიყვანა ის ფეოდალურმა ურთიერთობამ და შინაურმა ბრძოლამ და კინკლაობამ.

წინეთ წარჩინებულნი, დიდებულნი, თავადობა მეფესთან ტრიალებდენ, მასთან ახლო იყვნენ და პოლიტიკაზედაც გავლენა ჰქონდათ, თავიანთ ქვეყანაში ბატონი და პატრონი იყვნენ. ახლა სულ სხვა დრო დადგა, მათ პოლიტიკაზე არავინ ეკითხებოდა. ახალმა მთავრობამ მათ თავის ადგილი უჩვენა. სოფლების მართვა-გამგეობა ახალმა მმართველობამ „ისპრავნიკებს“ ჩააბარა. ამით შეშფოთდენ სოფლის მოურავები და მემამულეები. კახეთის მემამულეებმა მთავრობას შემდეგი განცხადებით მიმართეს: „ჩვენ, ქართველები, პატარა ოჯახს შევადგენთ. ჩვენ გვებრძოდა სულთანი, შახი, დაღესტანი. ყველამ ააოხრა ჩვენი ქვეყანა და დროებით კიდეც გვიპყრობდენ, მაგრამ მეფობა ჩვენში არავის მოუსპია და ჩვენთვის ღირსება და უფლება არავის წაურთმევია. ჩვენ ვიგერიებდით მტრებს ხან ხმლით, ხან ხერხით, ხან ხარკის გადახდით. ბოლოს ჩვენ მივმართეთ დიდ ხელმწიფეს ვედრებით დახმარებისათვის. ხელმწიფემ კეთილინება ჩვენი რუსეთთან შეერთება და გვიწყალობა მანიფესტი, რომლითაც შეგვპირდა ყოველგვარ მოწყალებას, მაგრამ ეს დაპირება თქვენ არ შეასრულეთ. აღგვითქვით მტრებისაგან დაცვა, მაგრამ ლეკები ანადგურებენ ჩვენს სოფლებს; აღგვითქვით ჩვენი უფლებების შენარჩუნება, თქვენ კი გვართმევთ იმ თანამდებობას, რომელიც შევიძინეთ ჩვენი სამსახურით და სისხლით, და ახლა „ისპრავნიკები“ უცხადებენ ხალხს, რომ ყოველივე საქმის შესახებ მათ მიმართონ და არა ჩვენ, რომ მოურავობა აღარ არის. თქვენ კარგად იცით, რომ თანამდებობის დაკარგვით ჩვენ ვკარგავთ შემოსავალს და ჩვენ მეტი არა გაგვაჩნია რა, რომ დავიღუპოთ და დავიხოცოთ“ [1]). ასეთივე შუამდგომლობა აღძრა თავად-აზნაურობამ 1806 და 1810 წ.: ითხოვდენ მოურავობის დატოვებას და „კაპიტან-ისპრავნიკების“ მათ საქ-

---

[1]) Иванюков. Гражд. Управление Закавказья, 41 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეში ჩაურევლობას. „ჩვენ გვსურს ვემსახუროთ რუსეთის იმპერატორს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე—სწერდენ ქართველი თავადები მხოლოდ გთხოვთ: 1) სასამართლო იყოს ჩვენს წესზე, რადგან არ ვიცით რუსული არც ენა და არც კანონები, 2) თავადებს სამსახურისათვის მინიჭებული ჰქონდათ სახაზინო სოფლების მოურავობა, დაგვტოვეთ ამ თანამდებობაზე, „კაპიტან-ისპრავნიკები საჭირო არ არიან“ [1]). ამ თხოვნებმა დროებით გასჭრა: 1807 წ. 30 მარტს გრაფ გუდოვიჩმა გასცა განკარგულება, რომ მემამულე თავის გლეხებს შორის ამტყდარ დავას თვით არჩევდა და არა ახალი მოსამართლეები. მაგრამ ადრე თუ გვიან „ისპრავნიკებს“, ე. ი. მოხელეობას უნდა გაემარჯვა და თვით მემამულეები მოხელეობის ტალღას უნდა გაჰყოლოდენ. ეს ასეც მოხდა.

საქართველოში შემოყვანილი ჯარი საკმარისი საბუთი იყო თავად-აზნაურობას დაენახა, რომ თვითმპყრობელი რუსეთი არ ხუმრობდა. მათ კარგად ესმოდათ, რომ დიდ რუსეთთან კინკლაობით არა გამოვიდოდა, რაკი საქართველოს შეერთებას მოითხოვდა რუსეთის რეალური ინტერესები. ამიტომ დიდმა უმეტესობამ ქედი მოიხარა, შეჰფიცა რუსეთის ტახტს და ერთგულ სამსახურს შეუდგა.

პოლიტიკის მაგიერ მთავრობამ მათ სამსახური უჩვენა; ჩინი და ორდენები დაანახვა; მათი მიღების მადა გაუღვიძა, რადგან ამ დაწინაურებასთან დაკავშირებული იყო კარგი ჯამაგირი, პენსია და პატივი. თავად-აზნაურობაც ამ ასპარეზისაკენ გაეშურა და დაიწყო ჩინ-ორდენებისათვის შეჯიბრება.

საქართველოს მთავარმართებელი სისტემატიურად აცნობებდა სანკტ-პეტერბურგს ვინაობას იმ თავადებისას, რომლებიც მთავრობის სამსახურით თავს ისახელებდენ, და მათ დაჯილდოებას მოითხოვდა. 1802 წ. მთავარმართებელი უგზავნის იმპერატორ ალექსანდრე I სიას იმ პირთა, რომლებმაც ტახტისადმი ერგულებით თავი გამოიჩინეს საქართველოში იმ ხანად მომხდარ აჯანყების ჩაქრობის დროს; ასეთი იყო: ტფილისის მიტროპოლიტი არსენი, ნინოწმინდის მიტროპოლიტი მიხეილი, თავადი ივანე ორბელიანი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, გიორგი ამილახვარი, ალექსანდრე მაკაევი, დარჩი ბებუთოვი, სოლომონ თარხანოვი, დიმიტრი ჩოლოყაევი, მიხეილ და შამშე ერისთავი, შიოტ თუმანოვი, ბეჟან სიდომონ-ერისთავი და სხვანი [2]). როგორც ხედავთ, ჩვენმა თავად-აზნაურობამ გვარების დაბოლოების შეკვეცაც კი მოასწრო რუსულად ასე მალე და საქართველოში რუსეთის თვითმპყრობელობის გამტარებელი შეიქნა.

---

[1]) იქვე, 52 გვ.; III ტ., № 6; Эсадзе, Историческая записка, 61 გვ.

[2]) Акты К. А. К. № 517, 532 ტ. IV.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ხაზი და დახასიათება ჩვენი თავად-აზნაურობისა საერთოა მე-19 საუკ. პირველ ნახევარში. რუსულმა ჩვეულებამ, რუსულმა სამსახურმა, რუსულმა ენამ ისე გაიტაცა ჩვენი ქვეყნის მაშინდელი მოწინავე საზოგადოება, რომ 1876 წ. ნიკო ნიკოლაძე „ცისკარში“ სწერდა: „ამ ხუთი-ექვსი წლის წინეთ, იცით, რა დრო და ამინდი იყო ჩვენთვის? ქართული ენა ვის ახსოვდა, ქართულ მწერლობას ვინ აქცევდა ყურადღებას. ქართული გაზეთი ვის რად უნდოდა? გაზეთზე ხელს აწერენ თხოვნისა და ხვეწნის გამოისობით, თითქოს მოწყალებას იძლეოდენ. ქართველი მწერალი ზოგს ტუტუცად მიაჩნდა და ზოგს გიჟად: საქმე გამოლევია, ჯღაბნისო—ამბობდენ ყოველგან. მის სიტყვას სრულიად არავითარი გავლენა არა ჰქონდა საზოგადოებაში“.[1]) თავად-აზნაურობის უმთავრესი სარბიელი სამხედრო სამსახური შეიქნა. თუმცა სამოქალაქო დაწესებულებების კარებიც მისთვის ღია იყო, თუ ვისმე რამე ცოდნა და გამოცდილება შესწევდა, მაგრამ სამხედრო სამსახურს, გარეგან ფორმის, ჩინის, ორდენების და მხიარული ცხოვრების გამო, უფრო ეტანებოდა თავად-აზნაურობა. არსებითად არც ერთისათვის და არც მეორისათვის თავად-აზნაურობა მომზადებული არ იყო, მაგრამ გვარიშვილობას ახლაც დიდი გასავალი ჰქონდა.

1831 წ. შესდგა ქართული დრუჟინა, შემდეგ მილიციად გადაკეთებული; თავად-აზნაურები იყვნენ ამ დრუჟინის ხელმძღვანელნი და მისი უმთავრესი შემადგენლობა. დრუჟინის უფროსებად იყვნენ თავადი ანდრონიკაშვილი, შემდეგ ჭავჭავაძე და ვაჩნაძე. დრუჟინის არსებობის მიზანი იყო—კახეთის დაცვა ლეკების შემოსევისაგან. მართლაც, დრუჟინამ დიდად ისახელა თავი 1839 და 1842 წელს ლეკებთან ბრძოლაში, 1857 წ. შამილის და მისი მომხრეების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებაში და შემდეგ 1878 წ. მონაწილეობა მიიღო ოსმალეთსა და რუსეთს შორის ამტყდარ ომში, რისთვისაც მან დიდი მადლობა და საჩუქრები მიიღო იმპერატორ ალექსანდრე II-გან. 1879 წ. 26 ნოემბერს იმპერატორმა ალექსანდრე II შემდეგი სიგელი და ჯილდო გამოუგზავნა ქართულ დრუჟინას:

„წყალობითა მღვთისათა
ჩვენ, ალექსანდრე მეორე,
იმპერატორი და თვითმყრობელი
სრულიად როსსიისა, მეფე პოლშისა,
დიდი მთავარი ფინლიანდიისა
და სხვათა და სხვათა და სხვათა.

---

[1]) ფ. მახარაძე. დანიელ ჭონქაძე და მისი დრო, 48 გვ.; ნ. ჟორდანია, ქართული პრესა, 19 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს 1-ლს ქართველთა ქვეითა დრუჟინას. სახსოვრად ჩვენისა უმონარქიებრივის წყალობისა, სიმხნისა და ვაჟკაცობისათვის ქართველ 1-ლ ქვეითი დრუჟინასა 1877 და 1878 წ. ოსმალებთან ომიანობაში, ყოვლად უმოწყალესად გვიბოძებია ამ დრუჟინისათვის წმ. გიორგის ვერცხლის სასიგნალო ნაღარები ზედ წარწერით:

„1877 და 1878 წლებში ოსმალებთან ომიანობაში თავის გამოჩენისათვის“, და გიბრძანებთ ნაღარები ისე ხმარებულ იქმნან ჩვენდა და მამულისადმი სამსახურსა შინა ერთგულებითა და გულმოდგინებით, ვითარც სჩვევია მხედრობასა როსსიისასა“.

ალექსანდრე [1]).

ამგვარად, თავად-აზნაურობა ჩაება განსაკუთრებით სამხედრო სამსახურში. ამასთან ერთად, ის გაეცნო „ევროპეიზაციით“ მოკაზმულ ცხოვრებას, და გაუჩნდა მას ახალ-ახალი მოთხოვნილებანი. რუსეთის საშუალებით შემოტანილი ევროპიული „მოდა“, კლუბი და სხვა გართობა გადაიქცა ქართველი თავად-აზნაურობის აუცილებელ მოთხოვნილებად. თუ წინედ სოფელში, ხის ჩრდილ ქვეშ თავადაზნაურობა ეძლეოდა ქეიფს და დროს გატარებას, ეხლა ასეთი დროს გატარება ქალაქში გადმოიტანა და მას განუსაზღვრელად მიეცა. მე-19 საუკ. 50 წლებში საქართველოში უმოგზაურია ალექსანდრე დიუმას, რომელიც, სხვათა შორის, ასე მოგვითხრობს ახალი ცხოვრებით და მოთხოვნილებით გატაცების შესახებ: „საქართველოს მანდილოსნები მხოლოდ ორი კვირით თუ იქნებიან ჩამორჩენილი პარიზის „მოდებს“. როდესაც მე ტფილისში ჩავედი, იქ დიდი აურ-ზაური იყო. ერთ თავადის ქალს... ჩამოეტანა ტფილისში ახალ-მოდის „კორსეტი“, რომელიც მის ისედაც ლამაზ მოყვანილობას დიდად ამშვენებდა. სხვა თავადის ქალებმა მაშინვე გამოიწერეს კორსეტები. ყველა მეკითხებოდა, როგორ გამოიგონეს უცხოეთში ასეთი მშვენიერების მომგვრელი რამ. მე იძულებული ვიყავი მომეთავსებია ჟურნალ „ცისკარში“ პატარა ახსნა-განმარტება კორსეტის შესახებ. ამის შემდეგ „ცისკარის“ მთელი რედაქცია იყო ჩემთან, მადლობა გადამიხადა და ნადიმზე მიმიწვია... ნადიმზე დიდი ქეიფი იყო და შეჯიბრება ღვინის სმაში, რომელშიაც მეც მივიღე მონაწილეობა, თუმცა ღვინოს არა ვსვამდი წინეთ. მეორე დღეს „ცისკრის“ რედაქციამ მოწმობა მომცა, რომ მე ნადიმზე ყველაზე მეტი ღვინო დავლიე. ეს იყო 28 ნოემ. 1858 წელს“ [2]).

---

[1]) ისტორია ქართული დრუჟინისა, 91 გვ.

[2]) Александр Дюма. Кавказ. 530-531 стр.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმარისია გადაიკითხოთ გ. ერისთავის კომედიები: „დავა“, „ძუნწი“, „თილისმით მოარშიყე“, მისი სატირები, რომ სწორი წარმოდგენა იქონიოთ მე-19 საუკ. პირველი ნახევრის თავად-აზნაურობაზე. სამსახურის, ჩინის, ორდენების და ფულის ძებნა და ამ ძიებაში საშუალებების განურჩევლობა—აი, რა ახასიათებს მაშინდელ გავლენიან წრეებს. თუ ფული ხელთ ჩაიგდო, ფლანგავს; არც მამულის დაგირავებას, არც გლეხების გაყიდვას, არც სომეხ ვაჭართან დასიძებას აღარ თაკილობს ბრწყინვალე წოდება. შვილებსაც აგზავნის რუსეთში სასწავლებლად, ფულს ხარჯავს, რომ შვილმა „კაპიტნობა“ მიიღოს, „ზასედატელი“ შეიქნეს, რადგან „ზასედატელს“ კარგი შემოსავალი აქვს, ქრთამები ბლომად მოდის. მაგრამ შვილებიც ვერაფერს ითვისებენ რუსეთში, გარდა „რუსული სიყვარულისა“.

„უიმე! თქვენ გენაცვალეთ, ხედავთ სულელსა,
ქმრად იწუნებს ტუტუცი დიდ იარანალსა!
ვარსკვლავი აქვს გულზედა, ყელზედ ჯვარები“, [1])

უსაყვედურებს დედა თავის ქალს. ჭკვიან, გონიერ ქალს ასე ეალერსება დედა:

„სულის ჩემო ნუგეშო, სიცოცხლევ ჩემო თაო,
როგორც რომ გინდოდა გიშოვე კარგი ქმარი:
მდიდარი, დიდკაცი, მშვიდი, კეთილი, წყნარი.
ჯერ არის პოლკოვნიკი, მარამ იანარლობას
მოელის ერთ თვეს უკან, და სხვა მრავალ წყალობას,
მალეც დაგიძახებენ ტფილისის კამენდანტშას!...
თვითონ შენ გააკეთებ ვეჩერებსა და ბალებს,
ნეტა როდის იქნება კალასკით ვიზიტობდეთ,
გასტინაში სანთელი მოსკოვისა აგვენთოს!...

აი, მე-19 საუკ. 30 წლების ბრწყინვალე წოდების დედის ნატვრა და ამ წრეების მისწრაფება!

„მართალი მითხრა დედამა, რათ მინდა ბეგლარ ქმარად:
იმას არ შეუძლია ცხოვრება რუსულ გვარად!
მე შევირთავ ასეთ ქმარს, იყოს ჯერ მაიორი.
თვეში ორჯერ მდიდრულსა ვაკეთებდე ბალებსა,
მერე ხუთშაბათობით ვპატიჟებდე ქალებსა;
დილით ფაიტონითა ყოველთვის დავგულაობდე,
საღამოს კავალრებით უნდა ვკავალკადობდე,
ოხ, რა რიგად მექნება გასტინა გაწყობილი!. [2])

---

[1]) გ. ერისთავის თხზულება, 14 გვ. „სატირა“ 1838 წ. დაწერილი.
[2]) იქვე, 19 და 24 გვ. დაწერილია 1838 და 1839 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფულმა და უდარდელმა ცხოვრებამ ისე გაიტაცა თავადაზნაურობა, რომ მიკირტუმი—სომეხი თამამად ეუბნება რუსეთში სწავლა მიღებულს ივანე დიდებულიძეს: „ლუბაით ნადა კრასავიცა,

ფული მოგცეს მეტი ვინცა;
თუ არა აქვს ფული ცოლი,
უნდა ჭამო ხომ კონჩოლი! [1])

კარაპეტა-კი ქართველ თავად-აზნაურობაზე ასე ჩივის:

— „ქართველი ფულის მტერია, მინუტი ფული არ დააყენებს ჯიბეში, როგორც ნიორი ისე აუყროლდეს და ისე გადაჭყრის. ფული იშოვა ქართველმა, თითქოს ეკალი შეერჭო ფეხში, ამაიძრობს და გადააგდებს“ [2]).

ფულს გარდა, ყმების რაოდენობითაც ფარდება მემამულე, რადგან ყმები შესაძლებელია გაიყიდოს და ფულად იქცეს:

„დიდი კაცის ძე, უცხო გულისა,
მექონე კარგის ყმა-მამულისა“,

— უქებს ანასტასია ანა ხანუმს სასიძო თავადს.

„შენ ბრძანების ქვეშ იქნებიან ორმოცამდე გოგო და ბიჭი, რომლებიც არც ერთი არ ჩამოუვარდება გოგია ვაჭარს,“-ამბობს მაია თავ. ვახტანგზე, რომელიც საცოლოზე ეცილება ვაჭარ გოგიას. [3])

რუსეთში ნასწავლი თავად-აზნაურობის შვილები სამშობლოში ახირებული აზრებით ბრუნდებიან: „საქართველოში სიყვარულის მაგალითი არ ყოფილა, რომანიც არ დაწერილა. რომან ბეზ ლიუბვი უჟას!“, ასე მსჯელობს რუსეთიდან დაბრუნებული ივანე დიდებულიძე. „სიყვარული“ მან რუსეთში გაიცნო, და არა მარტო მან, მისმა მხლებელმა გაბრიელამაც, რომელიც სულ რუსულად ლაპარაკობს, თუმცა რუსულის არა გაეგება. ქართულად ლაპარაკი სამარცხვინოდ მიაჩნია როგორც ბატონს, ისე მოახლეს, რომელმაც რუსეთი და პოლონეთი ერთად მოიარეს: ,,რა სკუჩნობაა! ტოლი დელო ვარშავა! პროშუ პანა გაბრიელ, „ნამაზურე ობერტასა“. ყარდაშვერდი-კი სთხოვს გაბრიელს ასწავლოს მას „რუსული სიყვარული‘‘, ნინაც ამასვე სთხოვს თავის მიჯნურს: ,,რუსული სიყვარული სხვა არის! მასწავლე!‘‘ [4]).

ცხადია, ამ ახალი ცხოვრების მოთხოვნილებებს მემამულენი ვერ დააკმაყოფილებდენ სამსახურის ჯამაგირით. საჭირო იყო ფული, რომელიც თავად-აზნაურობას, რათაც არ უნდა დაჯდომოდა, უნდა ეშოვა. თავ. ვორონცოვმა დააარსა საქართველოში ეგ. წოდ. ,,პრიკა-

---

[1]) იქვე, „დავა“, 17 გვ.
[2]) იქვე, გ. ერისთავი, „ძუნწი“.
[3]) იქვე, „მაიკო“, 118 გვ.
[4]) იგივე, „გაყრა“, „თილისთმათ მოარშიყე.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზი", სადაც თავად-აზნაურობას შეეძლო დაეგირავებინა ადგილ-მამული და გლეხები, მიეღო სესხი და ამით ეკონომიური მდგომარეობა გაეუმჯობესებინა. „პრიკაზმა" სავსებით გააძვალტყავა თავად-აზნაურობა, რომელიც სიამოვნებით აგირავებდა მამულს, მაგრამ მის გამოყიდვაზე, სესხის დაფარვაზე არ ზრუნავდა. დაგირავებული მამულები „პრიკაზს" რჩებოდა ვალში და სარგებელში.

ქონებრივად შევიწროებული წოდება დააწვა კისერზე ყმებს, როლებიც ბატონს პირში ლუკმას არ უდებდენ, თორემ ყოველგვარ მოთხოვნილებას უკმაყოფილებდენ. მთავრობასაც ამის წინააღმდეგი არაფერი ჰქონდა, თუ კი მემამულენი მთავრობის მომხრე და მორჩილნი იქნებოდენ.

მეორე რიგი მემამულეთა ქალაქს იშვიათად ეტანებოდა, სოფელში ყმების შრომით ცხოვრობდა. ფულის გემო ამათაც გაიცვნეს, ახალი ცხოვრება მათ სასახლეებშიაც შეიჭრა. გლეხობის ნაოფლარს თვეობით და წლობით აგროვებდენ, გადასახადი და ბეგარა ერთი-ორად გაადიდეს, დაგროვილი ფულით ქალაქს ესტუმრებოდენ და ახალ ცხოვრებას დროებით თანეზიარებოდენ. მეურნეობაში ისინი არავითარ მონაწილეობას არ იღებდენ; სიზარმაცის და ნებივრობის განხორციელება იყვნენ; დიდი რწმენით ქადაგობდენ, რომ ბატონყმობა, უფროს-უმცროსობა ღვთის გაჩენილიაო, და ყმებიც სულგანაბულნი უსმენდენ მათ. „სურამის ციხის" ბატონი და „კაცია-ადამიანის" „ლუარსაბი და დარეჯანი" მე-19 საუკ. პირველი ნახევრის ტიპიური მოვლენაა. სიტყვა და საქმე აქ ერთი და იგივეა: ლუარსაბი არა თუ ქადაგობს ბატონობის აუცილებლობას, ამართლებს მას, და ყმების მდგომარეობა მას აინტერესებს იმდენად, რამდენადაც მათ შეუძლიათ მისი განებივრებული გვამი დააკმაყოფილონ.

მაგრამ ამ დროს ისეთებიც იყვნენ, რომელთა სიტყვასა და საქმეს შორის დიდი ნაპრალი იყო. სიტყვით „ლიბერალები"—არსებული ურთიერთობის მოწინააღმდეგენი, საქმით კი „კნიაზები". მათ პირზე აკერიათ მაღალი ფრაზები, ხალხის კეთილდღეობა, საქმით კი სულ სხვას ემსახურებიან. [1]) რეალური ინტერესები სჭარბობდენ იდეებს, მათ საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ უკეთესი წეს-წყობილების და ურთიერთობისა, მაგრამ ისე, რომ მათს ინტერესებს არა ვნებოდა-რა.

უნუგეშო მდგომარეობა იყო. „ცისკარი"-ს თანამშრომელი მოლაყბე (მიხეილ თუმანიშვილი) ფარნით დაეძებს ქართველ კაცს, რომელსაც საზოგადო საქმე აინტერესებს. ეახლა ერთ თავადს საზოგადო საქმისათვის, მაგრამ მან არ მიიღო. ქართველი კაცის ძიება

---

[1]) ფ. მახარაძე. დანიელ ჭონქაძე და მისი დრო, 43 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით დამთავრდა, რომ ტფილისში მან მხოლოდ სომეხი ნახა და შესთავაზა მას „ცისკარი“-ს ნომერი. „ცისკარმა“ მოლაყბის წერილებით დაიწყო ზოგი საზოგადო ნაკლულევანებების გამომჟღავნება, მაგრამ „მოლაყბე“ იძულებული იყო რედაქციიდან წასულიყო, რადგან, როგორც რედაქტორი ივ. კერესელიძე სწერდა, „ოთხკუთხივ აღგვიდგენ“-ო. ნ. ნიკოლაძე 1870 წ. ასე ახასიათებდა მაშინდელ თავად-აზნაურობას: „ვინც მე ბრძოლაში და ჯაფაში მეგულებოდა გარეული, ისინი მშვენიერ სასახლეებში, აბრეშუმებით და ხავერდებით შემკულნი დამხვდენ... და სამაგალითოდ, სასიმწაროდ დამზადებული ამხანაგები—უდარდელი გულით, ტუჩმოუშორებლად ტკბილ სიამოვნებას დასწაფოდენ... რის თავის განწირვა, სადაური მაგალითი?—მეუბნებოდა მე მათი ყოფაქცევა. კაცს ცხოვრება უნდა ქვეყანაზე, ჭამა, სმა, მაშასადამე ის ფრთხილად უნდა ეპყრობოდეს საზოგადო „შეცთომებს“, დროებით კიდეც უნდა ურიგდებოდეს... იმ დროს, როდესაც მთელი ქვეყანა კანს იცვლის და როცა ჩვენ საკუთარ ცხოვრებაში ისეთი შესანიშნავი ცვლილებები ხდება, რომლის მსგავსი საქართველოს არ უნახავს, ჩვენი საზოგადოება უწინდებურად, უდარდელად, უთავბოლოდ ცხოვრობს“... [1])

თუ ასე იყო მე-70 წლებში, როდესაც ბატონ-ყმობის ბორკილები დამსხვრეული იყო, რა უნდა ყოფილიყო მის დაცემამდე? მემამულეთა წრეებში გამეფებული იყო სიჩუმე, მორჩილება, გაღმერთება და თაყვანისცემა ძლიერი პოლიტიკური ძალისა [2]). აწმყო არაფერ ნუგეშს არ იძლეოდა, მომავალი გაურკვეველი იყო. და ამიტომ ზოგი ძლიერ პესიმისტურად უმზერდა აწმყოსა და მომავალსაც, ბევრი ხედავდა ბრწყინვალე წოდების დაცემას, დაქვეითებას, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობდა; მოსთქვამს, დასტირის წარსულს და აწმყოს და მომავალს უიმედოდ უცქერის.

ნ. ბარათაშვილს არ სურს დარჩეს ასეთ საზოგადოებაში, უნდა მოშორდეს მას ფიზიკურად თუ ვერა, ოცნებით, ფიქრებით მაინც და მოუწოდებს თავის მერანს, რომ გაჭენდეს უსაზღვროდ და მისი შავი მღელვარე ფიქრები გაატანოს ნიავს...

მე-19 საუკ. პირველი ნახევრის მდგომარეობა, საზოგადოებრივი ძალების მხრით, სავსებით უიმედო იქნებოდა, რომ აქა-იქ ცხოვრებაში და ლიტერატურაში არ მოჩანდეს საიმედო ხაზები. ყრუ, ჩუმი, ჯერ გაურკვეველი პროტესტი აქა-იქ ისმის, ამჩნევთ განახლებულ ცხოვრების წინამორბედს საიმედო და სანუგეშო მოვლენებს.

---

[1]) „ცისკარი“, 1870 წ. № 23, 47.

[2]) არჩ. ჯორჯაძე. V წ., 12 გვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„სურამის ციხის“ ავტორმა მზეზე გამოიტანა თანამედროვე სიდუხჭირე და დასვა ყოფნა-არყოფნის საკითხი. „სურამის ციხე“ თავს დასტრიალებს მე-19 საუკ. პირველ ნახევრის მიწურულს, მისი გამოძახილი განუწყვეტლივ გაისმის და ძილს უფრთხობს მებატონეთ; ვაი თუ ამ გამოძახილს ხორცი შეესხა, და ყმებმა ბორკილები დაიმტვრიონო!

ბატონ-ყმური ურთიერთობა წინ ეღობება განვითარებას, ის არტახებად გადაექცა ცხოვრებას, რომელსაც ისინი უნდა დაეწყვიტა. მაგრამ, სანამ ეს მოხდებოდა, გლეხობამ, მე-19 საუკ. პირველ ნახევარში, მძიმე ცხოვრება განიცადა: ახალი ცხოვრების მოთხოვნილებებით გაჟღენთილი ბატონი დამძიმდა და მთელი სიმძიმე ყმობას დააწვა.

მთავრობის მზრუნველობა.

თვითმპყრობელი მთავრობის პირველ საზრუნავ საგანს საქართველოში შეადგენდა ქართველი თავად-აზნაურობა, მისი მომხრობა, ხოლო ურჩების თავიდან მოშორება. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში თვითმპყრობელი რუსის მთავრობა თავად-აზნაურების საშუალებით განაგებდა ქართლ-კახეთს,— ტფილისის გუბერნიას. მდივან-ბეგები, ბოქაულ-ისპრავნიკები, მოსამართლეები, მაიორები, ღენერლები და სხვა მოხელენი ქართველ თავად-აზნაურობის წრიდან ინიშნებოდენ. ესენი ამშვიდებდენ აჯანყებულებს, უჩვენებდენ დამსჯელ რაზმებს გზას, აწოდებდენ მთავრობას საიდუმლო ცნობებს. ამ სამსახურისათვის იღებდენ კარგ გასამრჯელოს და ჯილდოდ ჩინ-ორდენებს. ამიტომ მთავრობამ ამ წოდებას მიანიჭა ის უპირატესობა, რომლითაც რუსეთის თავად-აზნაურობა სარგებლობდა, რისთვისაც საჭირო იყო თავად-აზნაურების წოდებრივი ორგანიზაციის შექმნა. უკანასკნელს თვით მთავრობა დაეყრდნობოდა თავის გეგმების განხორციელების დროს.

რუსეთში თავად-აზნაურობას ჰქონდა თავის წოდებრივი ორგანიზაცია: ყრილობები, წინამძღოლები, დეპუტატები, საკრებულო და სხვა. ეს ორგანიზაცია წარმოადგენდა იურიდიულ პიროვნებას. თვით თავად-აზნაურთ მინიჭებული ჰქონდათ დიდი უპირატესობა როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო უწყებაში, სასჯელის მხრით დანაშაულობისათვის, საკუთრების შეძენის დროს, ვაჭრობა-მრეწველობაში და სამოქალაქო ურთიერთობაში. მაგ., სამხედრო გვარდიაში მხოლოდ აზნაურებს იღებდენ. სამოქალაქო სამსახურიდან სამხედროში მხოლოდ მათ შეეძლოთ გადასვლა. 1798 წ. რუსეთში მთავრობამ აკრძალა არააზნაურებისათვის აფიცრის ჩინის მიცემა: მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1829 წ. შემოიღო წესი, რომლის ძალით არააზნაურს უბრალო ჯარის-კაცად უნდა ემსახურა 6-10 წელი და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლეოდა უფლება აფიცრობის ხარისხის მიღებისა. თავად-აზნაურის დასჯა დანაშაულისათვის არ შეიძლებოდა ასოთა დამაშავებელი სასჯელით [1]) და სხვა და სხვა.

რუსეთის მთავრობამ გადასწყვიტა ყველა ამ უპირატესობით დაეჯილდოვებინა ქართველი თავად-აზნაურობაც და შეედგინა მათი ორგანიზაცია მსგავსად რუსეთის ორგანიზაციისა. ქართველმა მემამულეებმა პირველად იჭვის თვალით შეხედეს ასეთი ორგანიზაციის დაარსებას. მას შემდეგ, რაც მათ ქვეყნის პოლიტიკური მართველობა დაჰკარგეს, მათ მთავრობის ყოველი ნაბიჯის ეშინოდათ: ვაი თუ ის უფლებებიც, რომელიც მათ ჰქონდათ, როგორც აზნაურთ და მემამულეთ, დავკარგოთო. მაგრამ თავ. პავლე დავითის ძე ციციანოვმა— თვითმპყრობელი რუსეთის პოლიტიკის საუკეთესო გამტარებელმა, ისეთი გავლენა მოიპოვა მათ შორის, რომ თავად-აზნაურობას მისი სჯეროდა და მას ენდობოდა. მას შემდეგ, რაც მან აცნობა თავად-აზნაურობას, რომ ახალი წოდებრივი ორგანიზაცია მიმართული იქნება მათი ინტერესების და პრივილეგიების დაცვისაკენ, მალე მოხდა თავად-აზნაურთა პირველი ყრილობა ქ. ტფილისში და საგუბერნიო და სამაზრო მარშლების ანუ წინამძღოლების არჩევა. მთავარსარდალი, თავადი პ. ციციანოვი, სწერდა თავად-აზნაურობას: „ვზრუნავ-რა განუწყვეტლივ ამ ოლქის (საქართველოს) კეთილდღეობისათვის, ვბრძანე, თანახმად რუსეთში არსებულ კანონებისა, შეედგინათ მარშლების არჩევნების წესი. ამ კანონებით თავად-აზნაურობა დაიცავს თავის სასარგებლოდ წოდებრივ ღირსებას... შეგეწიოთ ყოველი კეთილის მომცემი ღმერთი... და გქონდესთ იმედი თქვენი მშობელ დედისა, დიდი რუსეთისა, სასიხარულოდ და დასაკმაყოფილებლად ყველა მისი შვილების“. [2])

ამას შემდეგ მალე, 1815 წელს, შესდგა თავად-აზნაურთა პირველი ყრილობა, რომელიც დიდი ზეიმით გაიხსნა. ცერემონიალის გეგმა წინასწარ იყო გამომუშავებული. პირველ დღეს მოხდა მთავარმართებლის შეხვედრა თავად-აზნაურობასთან. ტფილისში შეკრებილმა თავად-აზნაურობამ ამცნო მთავარმართებელს, რომ დელეგატები შეიკრიბენ. ამ ცნობის მისატანად მასთან გაიგზავნა ოცი რჩეული თავადი და აზნაური. მთავარმართებელი მათი თანხლებით მობრძანდა კრებაზე. კარებში მას შეხვდენ თავადნი და აზნაურნი და შესაფერისი სიტყვით მიმართეს მას. მთავარმართებელიც უპასუხებს და

---

[1]) Владимирский-Буданов, 115-117 стр.

[2]) Акты К. А. К. III ტ., 187 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუწოდებს მათ თვითმპყრობელობის ტახტის სამსახურისაკენ. ამას შემდეგ პარაკლისი, „მრავალ-ჟამიერი“ იმპერატორს, მის მოადგილეს—მთავარმართებელს, ღვთის მოყვარე მხედრობას და თავადაზნაურობას... [1]) თავად-აზნაურობის პირველ მარშლად თავადი გარსევან ჭავჭავაძე იქნა არჩეული, რომელიც მალე იმპერატორმა ალექსანდრე II დაამტკიცა ამ თანამდებობაზე. არჩეულ იქნენ მაზრის მარშლებიც, საქართველოს მართველობის მრჩეველნი, სამაზრო მოსამართლენი და საერობო პოლიციის წევრები. [2])

ამგვარად, მართველობა წმინდა თავად-აზნაურული იყო რუსის მოხელეების დამატებით. მმართველობის სათავეში იდგა იმპერატორის ნდობით აღჭურვილი რუსის თავადი, გრაფი ან სხვა დიდი პიროვნება, ან რუსის მოხელეზე უფრო ერთგული ქართველი მემამულე.

ინსტრუქცია, რომელიც თანამდებობის პირთა არჩევას შეეხებოდა, ამბობდა, რომ უმაღლეს თანამდებობაზე, როგორიც იყო ცენტრალური მმართველობის მრჩეველები, არ შეიძლებოდა არჩეულ ყოფილიყვნენ აზნაურნი. ეს თანამდებობა თავადების პრივილეგია იყო [3]).

ამგვარად ჩამოყალიბდა ჩვენი თავად-აზნაურობის წოდებრივი ორგანიზაცია. ის შეიქნა „ხალხი“-ს აზრის გამომხატველი და უქვეშევრდომილესი მოხსენების მიმრთმევი. ამ ორგანიზაციით თავადაზნაურობა ვითომ ახლო დადგა პოლიტიკასთან, ნამდვილად-კი ის შეიქნა სანკტ-პეტერბურგიდან ნაკარნახევი პოლიტიკის ხელის შემწყობი და ცხოვრებაში გამტარებელი. გუბერნიის მარშალს დაევალა: თავად-აზნაურობის მეთვალყურეობა, მათში მტრობის და შუღლის მოსპობა, მათი დაწყნარება და, საერთოდ, მათ შორის მშვიდობიანობის ჩამოგდება [4]). მას უნდა მიეღო ყოველი ზომა გამდგარ ბატონიშვილების და უკმაყოფილო თავადების შერიგებისათვის. თვით თავადმა პ. ციციანოვმა წერილით მიმართა სპარსეთში გასულ თავადაზნაურობას, აცნობებდა მათ, რომ ის უკანასკნელად სთხოვს მათ დაბრუნდენ სამშობლოში, შეურიგდენ ახალ მთავრობას, რაც მათ ჩაუდენიათ, იმპერატორი აპატიებს, მოუარონ თავიანთ ადგილ-მამულს, თორემ, ემუქრებოდა, თქვენს ადგილ-მამულს თქვენს ნათესავებს ჩამოვართმევ და სამუდამოდ დაეკარგებით შვილები მამას და მამა შვილებსაო [5]).

---

1) Акты К. А. К., 189—190 стр. III т.

2) იქვე, 190 გვ.

3) იქვე, № 356.

4) იქვე, 187 стр. III т.

5) იქვე, № 364.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-19 საუკ. პირველ ნახევარში დიდ როლს თამაშობდა წოდებრივობა და ჩინიანობა. მამულიანობას, ქონებრივ ცენზსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მას მეტოქეობას უწევდა ჩინი და ორდენები. მთავრობამ განუმარტა თავად-აზნაურობას, რომ მათ კრებებზე არ შეეძლოთ მიეღოთ მონაწილეობა იმ აზნაურთ, რომლებსაც არა ჰქონდათ არც „ჩინი“ და არც მამული. მაგრამ თუ აზნაურს აფიცრის „ჩინი“ მიღებული ჰქონდა სამხედრო მოქმედების დროს თავის გამოჩენისათვის, მას ეძლეოდა უფლება დასწრებოდა თავად-აზნაურთა კრებას და მონაწილეობა მიეღო იქ დასმულ საკითხების გარჩევაში. დაუბრუნდათ უფლებები იმ თავადებს, რომლებიც იღებდენ მონაწილეობას ქართლ-კახეთის და სხვა კუთხეებში მომხდარ ამბოხებებში, რადგან მათ შეინანიეს თავიანთი შეცთომები [1]). „ჩინი“, მოხელეობა დიდი ფაქტორი შეიქნა. მისი მიღება-კი თავად-აზნაურთ შეეძლოთ ტახტისადმი ერთგული სამსახურისათვის. ფეოდალურ-იერარქიულ ურთიერთობას დაეკარგა გარკვეული იერარქიული ხასიათი და უმთავრესად ის სამსახურსა და ჩინიანობას დაუმორჩილდა. საქართველოში დამყარებულმა წეს-წყობილებამ თავის თავად მოსპო სამეფო, სადედოფლო, საბატონიშვილო თავად-აზნაურთა კატეგორია. ამიერიდან თავადი იმპერატორის მოსამსახურეა სამხედრო და სამოქალაქო სარბიელზე; მას, როგორც უმაღლესი წოდების პირს, აქვს მოვალეობა იმპერატორის წინაშე. აღარ არის არც ხარისხებად მათი დაყოფა მამულის მიხედვით, მამული მათ შერჩათ იმდენად, რამდენადაც ტახტის ერთგულება გამოიჩინეს. გვარს კიდევა აქვს მნიშვნელობა, მაგრამ „უჩინოდ“, უსამსახუროდ არავინ ვარგა. დიდი თავადი ისაა, ვინც მეტი ორდენები მიიღო, ვინც სამსახურით ხელმწიფის მეტი ყურადღება მიიქცია, ვინც წმ. გიორგის ჯვარი ან ანდრია პირველწოდებულის ორდენი მიიღო. „ჩინს“ ჯამაგირი მოსდევს, კარგი და მდიდრული ცხოვრება და პატივი.

არც სამეფო, საეკლესიო, სათავადო აზნაურობაა. არსებობს აზნაური, რომელსაც იმავე სამსახურით შეუძლია წინ წაიწიოს.

თავადი და აზნაური ერთი მეორისაგან დამოუკიდებელია ფეოდალურ-იერარქიულად. ასე დახურდავდა და განმარტივდა რთული ფეოდალური სისტემა. ყველამ სამსახურის ჭახრაკში გაჰყო თავი. ბიუროკრატია და აზნაურობა, აზნაურობა და ბიუროკრატია—აი, მე-19-საუკ. პირველი ნახევრის მმართველი წრეების დედაბოძი.

მიუხედავად ზედაფენებში ურთიერთობის გადაჯგუფებისა, ძირითადი ურთიერთობა უცვლელად დარჩა. შეირყა ზედაფენი, საფუ-

---

[1]) Акты К. А. К. V т. № 302.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი-კი ძველი დარჩა—ისევ ბატონ-ყმური დამოკიდებულება. თავადი და აზნაური ისევ ყმის ბატონია, ორივე-კი იმპერატორის მოსამსახურეა.

ამავე დროს დაიბადა საკითხი: ვინ არის თავადი ან აზნაური, რომელი საბუთით? ამ საკითხის გამორკვევა და სათანადო სიების შედგენა დაევალა ახლად დაარსებულ დეპუტატთა საკრებულოს (1819). სიების საბოლოო დამტკიცება ეკუთვნოდა იმპერატორის გეროლდიას, რომელსაც საქართველოს მმართველობა უგზავნიდა მთელ საქმის წარმოებას.

ამ საკითხის დაყენებამ ბევრი მითქმა-მოთქმა და შიში გამოიწვია. მემამულეები შიშობდენ პრივილეგიების შეზღუდვას. ამიტომ მაზრის მარშლებმა: გორის—ერისთავმა, ტფილისის—მელიქოვმა, თელავის—ქობულოვმა, სიღნაღის—ვაჩნაძემ, ანანურის—ბაგრატიონმა მიმართეს გუბერნიის მარშალს, რომ მას შუამდგომლობა აღეძრა მთავრობის წინაშე ამ საკითხის მოხსნის შესახებ [1]). საკითხი არ მოიხსნა, მაგრამ ის იმდენად რთული გამოდგა, რომ მე-50-წლებში კიდევ არ იყო დასრულებული. აზნაურობის მიღების სურვილი ბევრს აღეძრა და, რადგანაც ერთ დამამტკიცებელ საბუთად აზნაურობისა დასავლეთ საქართველოში აღიარებულ იქნა სიგელზე იმერეთის მეფის, სოლომონ II, ხელის მოწერა,—ჯერ კიდევ 1830 წელს გაჩნდა ბევრი ყალბი საბუთი, რომელთაც თავი ვერ გაართვა ვერც დეპუტატთა საკრებულომ და ვერც გეროლდიამ [2]). აზნაურობა სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში იმდენ პრივილეგიას იძლეოდა, რომ ბევრი ყალბი საბუთების ფაბრიკაციასაც არ ერიდებოდა. ამ ხელობას, ცხადია, ის ეწეოდა, ვისაც აზნაურობაში ფეხი ედგა, გლეხს-კი აზნაურობა არც დაესიზმრებოდა.

დიდი დავა გამოიწვია აგრეთვე სათავადო აზნაურების განთავისუფლებამ. მთავრობამ თავადებს ჩამოართვა აზნაურები; ამით თავადები ქონებრივად დაასუსტა და პირი ბიუროკრატიისაკენ აქცევინა.

თავადები დიდ ხანს იცავდენ თავის უფლებებს აზნაურებზე (1816-1833 წ.), მოჰყავდათ თავის უფლებების დასამტკიცებლად სიგელები, ჩვეულებანი, მაგრამ 1833 წ. სახელმწიფო საბჭომ დაადგინა აზნაურების განთავისუფლება თავადების დამოკიდებულებისაგან. იმავე დადგენილებით, თუ აზნაური თავადს მეფის მიერ ჰყავდა ნაწყალობევი მამულით და ეს გარკვევით იყო აღნიშნული წყალობის წიგნში, მამული თავადს რჩებოდა; წინააღმდეგ შემთხვევაში, აზნაური მამუ-

---

[1]) Акты К. А. К. V т, № 306.

[2]) С. Авалиани. Крест вопрос. 104-108 стр.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით თავისუფლდებოდა. კეთილშენაძენი მამული ყოველ შემთხვევაში აზნაურისა იყო.

1848 წ. ეს რეფორმა გატარებულ იქნა იმერეთში და გურიაშიაც. აქ თავადს, სხვადასხვა გარემოებათა მიხედვით, ნახევრიდან—ერთ მეხუთედამდე რჩებოდა აზნაურის მამული [1]).

სათავადო აზნაურების განთავისუფლება კიდევ არ სწყვეტდა მათი უფლებრივი მდგომარეობის საკითხს. ბევრი იმ აზრისა იყო, რომ ყოფილი სათავადო აზნაურები უნდა გადარიცხულიყვნენ სახაზინო გლეხებად, როგორც სამეფო და საეკლესიო გლეხები. ამ საკითხმაც დიდი დავა გამოიწვია და, ბოლოს, მით გადაწყდა, რომ თუ თავადის აზნაური ამ ხარისხზე აყვანილი იყო მეფის დამტკიცებით, ის სარგებლობდა აზნაურის უფლებით, წინააღმდეგ—ჩაირიცხებოდა სახაზინო გლეხად [2]).

რაც შეეხება ეკლესიას, მან, როგორც ფეოდალმა, დაკარგა არსებობა. 1811 წ. ეკლესიას ჩამოერთვა აზნაურები მამულით და ჩაირიცხა სახაზინო უწყებაში, ასეთივე ბედი ეწია 1852 წ. საეკლესიო გლეხებს. სამღვდელოებას მამულის და გლეხების მაგიერ ჯამაგირი დაენიშნა [3]). სამღვდელოებაც სამსახურში გაება. ეკლესიას, როგორც მორწმუნეთა ორგანიზაციას, მოესპო დამოუკიდებული არსებობა და მთავრობამ რუსეთის უწმინდეს სინოდს დაუმორჩილა.

ამგვარად, თავადი, აზნაური, მღვდელი, ბერი მეფის ტახტის, თვითმპყრობელობის სამსახურში ჩაება. თავადი და აზნაური იმპერატორს ემსახურება, თავადს და აზნაურს-კი ყმა. თავადს და აზნაურს აქვს წოდებრივი ორგანიზაცია და უფლებები,—ყმებს არავითარი ორგანიზაცია და უფლებები.

---

[1]) იქვე, 133-135 გვ.

[2]) Акты К. А. К. 6 т. 1 ч. 118 стр.

[3]) С. Авалиани. Крест. вопрос, 116, 135 стр.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI. ᲧᲛᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, მე-19 საუკ. პირველ ნახევარში ყმების მდგომარეობა სამწუხარო სურათს წარმოადგენს.

თავად-აზნაურობა იყო ის წრე, რომელზედაც ეყრდნობოდა თვითმპყრობელი მთავრობა ჩვენში თავის პოლიტიკის გატარებისა და გამტკიცებისათვის. ამიტომ მემამულეთა ინტერესებს მთავრობა ძლიერ სათუთად ეპყრობოდა: მათი საბატონო უფლებების შეზღუდვა და ყმების ინტერესების დაცვა არ შეიძლებოდა რეალურად შესულიყო მთავრობის სამოქმედო გეგმაში. ამიტომ დამოკიდებულება მემამულეთა და ყმებს შორის გამოურკვეველი და განუსაზღვრელი იყო. ბატონის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული ყმის მდგომარეობა, მისთვის უფლების მინიჭება და მოვალეობის დაკისრება. ძველი სამართალი, რომელიც განსაზღვრავდა მათ შორის ურთიერთობას, შეირყა, ახალი-კი არსად ჩანდა. ეს გაურკვევლობა ყველაზე ცუდი იყო, რადგან ამ მდგომარეობით სარგებლობდა ბატონი და ახალი ცხოვრების სხვადასხვაგვარ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ყმას თავის სურვილის მიხედვით ავალებდა.

მთავრობას შეიძლება არც კი მიექცია ყურადღება ყმების მდგომარეობისათვის, რომ ყოველ იმედს მოკლებულ გლეხობას არ დაეწყო ალაგ-ალაგ აჯანყება მებატონეთა წინააღმდეგ. ამბოხებამ ფართო ხასიათი მიიღო, და მთავრობაც იძულებული იყო მიექცია ყურადღება გლეხობის უკმაყოფილების მიზეზებისათვის.

მეორე მხრით, როდესაც მე-20 წლებში მთავრობა შეუდგა გამორკვევას, თუ ვინ არის აზნაური და აზნაურებს მოთხოვა დამამტკიცებელი საბუთი, ბევრი გაჭირვებული გლეხი შეედავა ბატონს და აღძრა საჩივარი უსაფუძვლოდ დაყმობის შესახებ. ამ საჩივრების დიდმა რაოდენობამაც მიიქცია მთავრობის ყურადღება.

დაისვა საკითხი ბატონის და ყმის უფლება-მოვალეობის გამორკვევისა და გამჯვნის შესახებ.

ვის შეეძლო მიეცა მთავრობისათვის ცნობები წოდებათა დამოკიდებულების შესახებ?.—ბატონს და ყმას. მაგრამ ყმას არავინ ჰკითხავდა, მას, მაშინდელი შეხედულებით, არც აზრი და არც სიტყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გააჩნდა. მაშასადამე, საკითხი ისევ მებატონეთ უნდა გადაეწყვიტათ. ასე იდგა საკითხი მე-19 საუკ. მეოცე წლებში.

1826 წელს საქართველოს უმაღლეს მართველობაში ეს საკითხი პრინციპიალურად იდგა; ის დასვა პროკურორმა შემდეგი სახით: აქვს თუ არა უფლება მთავრობის აგენტებს პროვინციაში ჩაერიონ ბატონ-ყმის შორის დამოკიდებულებაში, როდესაც ბატონი ახდევინებს ან ბეგრავს ყმას ჩვეულებრივზე ზედმეტად; მემამულემ ამის ნებართვა უნდა აიღოს თუ არა ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენლისაგან?—პროკურორმა, ქართელმა მემამულემ ჩილიაევმა, ეს საკითხი დასვა იმიტომ, რომ მთავრობის ზოგი აგენტები მოითხოვდენ ამ წესის შემოღებას. ჩილიაევმა შემდეგი დასკვნა მისცა: „ყველა მემამულეს სრული უფლება აქვს თავის მიხედვით განუწესოს ყმას გადასახადი და ბეგარა, რადგან ყმა შეადგენს სრულ მის საკუთრებას. თავის მოქმედებაში ბატონი არავის არ უწევს ანგარიშს და არც არავის რამეს ჰკითხავს“. მთავრობის ერთმა მრჩეველმა, ქართველმა თავადმა, მხარი დაუჭირა პროკურორის წინადადებას, ხოლო ორი—რუსი მრჩეველი, პროკურორის ასეთი განმარტების წინააღმდეგი იყვნენ. მართველობამ ეს საკითხი საბოლოო გადასაწყვეტად წარუდგინა ღენ. ველიამინოვს. წარდგენილ მოხსენებაში მისი ავტორი სწერდა, რომ პროკურორი თვით მემამულე რომ არ იყოს, ასე არ იმსჯელებდაო [1]). —იმავე წელს მთავრობა შეეკითხა მაზრისა და გუბერნიის მარშლებს ამ საკითხის გამო და ყველამ ერთგვარი პასუხი გასცა. თელავის მაზრის მარშლის ცნობით „მემამულეები თავის საჭიროების და მდგომარეობის მიხედვით სარგებლობდენ გლეხებით და ამ უფლებების არავითარ შეზღუდვას არ ქონია ადგილი“. ტფილისის, სიღნაღის, გორის და დუშეთის მარშლებმა აცნობეს მთავრობას, რომ ყოვლად დაუშვებელია ბატონსა და ყმას შორის დამოკიდებულების განსაზღვრა და ჩამოყალიბება, რადგან ბატონი ყოველთვის თავის მიხედვით სარგებლობდა გლეხის პიროვნებით, შრომით, ოჯახით და ქონებით [2]). ამასთანავე მარშლები ზოგადათ მაინც აღნიშნავდენ ყმის მოვალეობას, რომელიც ჩამოთვლილია 38 მუხლში და შეიცავენ ყმის გამოსაღებს და ბეგარას. საინტერესოა ამ მოვალეობათა ზოგიერთი მუხლები მაინც.

პირველ მუხლში აღნიშნულია, რომ მემამულეს აქვს უფლება გაყიდოს გლეხის მამული, დასაჯოს ის ასოთა დასაშავებელი სასჯელით, გარდა სიკვდილისა.

მეორე მუხლი ავალებს ყმას დახნას, დათესოს, მორწყოს, გათოხნოს და დაამუშაოს ბატონის მამული.

---

[1]) Акты К. А. К. VI т., 1 ч., № 130.

[2]) იქვე, № 132, 1826 წ. 30 აპ. № 26 მოხსენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-16 მუხლში ნათქვამია, რომ თუ ბატონი განიზრახავს ან სახლის, ან სამზარეულოს, ან საბძელის, ან სხვა რაიმეს აშენებას, გლეხები ვალდებული არიან ასაშენებელი მასალა მოიტანონ და კიდეც ააშენონ.

თუ ბატონი სადმე წავიდოდა, გლეხებმა ცხენები უნდა მიართვან და თანაც ეახლონ (17 მუხ.). გლეხი ვალდებულია მიართვას ბატონს ქათამი, იხვი, ბატი, გოჭი, კვერცხები და სხვა რამდენიც ბატონს დაჭირდება (21 მუხ.).

ასეთივე აზრი გამოსთქვა გუბერნიის მარშალმა თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ. [1])—ამგვარად, მემამულეების წარმომადგენელნი—მარშლები ენერგიულად იცავდენ თავიანთ მარწმუნებლების ინტერესებს. და ეს მაშინ, როდესაც გლეხობის მდგომარეობას ოფიციალური საბუთები ასე ახასიათებენ: „თავადებს და აზნაურებს განუსაზღვრელი უფლებები აქვთ თავიანთ ყმებზე. როგორც მამაკაცთ, ისე ქალებს ყიდიან, აგირავებენ, ართმევენ დამუშავებულ და გაშენებულ ბაღებს, მზითვათ აძლევენ, გადასახადებს, მათ შორის, „საურის“ და „საუდიეროს“ ახდევინებენ. ასევე ეპყრობიან გლეხებს მიტროპოლიტები, ეპისკოპოსები, არხიმანდრიტები და იღუმენები, მხოლოდ არ ყიდიან, დანაშაულობისათვის თავიანთ აზნაურებს არ აძლევენ“. [2])

მიუხედავათ იმისა, რომ მარშლები ამტკიცებდენ, არ შეიძლება ბატონის და ყმის დამოკიდებულობის გამორკვევაო, მაინც მთავრობის განკარგულობით 1843 წ. შესდგა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელსაც უნდა შეეგროვებინა მასალა ამ საკითხის შესახებ და დაეშუშავებინა იგი. კომიტეტის მუშაობა დიდი საიდუმლოებით იყო მოცული. 1847 წ. კომიტეტმა დაასრულა თავის მუშაობა და შეადგინა პროექტი მემამულესა და ყმას შორის დამოკიდებულების შესახებ. სანამ შემუშავებულ პროექტს იმპერატორს წარუდგენდენ, მთავარმართებელმა, თავ. ვორონცოვმა, შეადგინა კიდევ ახალი კომისია, ეგ. წოდ. „დროებითი კომისია“, ყველა მაზრის თავად-აზნაურობის წარმომადგენელთაგან, რათა ისინი გაცნობოდენ პროექტს და გამოეთქვათ თავიანთი აზრი.

შემუშავებული პროექტის დედა აზრი იყო, რომ ბატონსა და ყმას შორის არსებულ დამოკიდებულებაში არ უნდა მომხდარიყო ძირითადი ცვლილებანი, და რადგან საქართველოს ბატონ-ყმური დამოკიდებულება თითქმის იგივეა, რაც რუსეთის, საქართველოს გლეხობაზე თანდათანობით უნდა გავრცელებულიყო რუსეთში არსე-

---

[1]) Акты К. А. К., VI т., I ч., № 132, 48 стр.

[2]) იქვე, 4 ტ. 255—256 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული საგლეხო კანონმდებლობა, ადგილობრივ პირობების მიხედვით. სხვათა შორის, პროექტი აკანონებდა ყმების საჯაროდ გაყიდვას მემამულის ვალში, რაც იმ ხანად რუსეთშიაც არსებობდა, მაგრამ ყმას აძლევდა უფლებას 30 დღის განმავლობაში, დღიდან საჯარო ვაჭრობის დანიშვნისა, გამოეყიდა თავი, გადაეხადა ბატონის ვალი, თუ მყიდველი არავინ იქნებოდა. ხოლო თუ მყიდველი გამოჩნდებოდა, გადაეხადა ის თანხა, რომელსაც მყიდველი იძლეოდა. მთელი ოჯახის ერთად, ან ცალ-ცალკე ოჯახის წევრების გამოყიდვა დამოკიდებული იყო მყიდველზე. ეს წესი ყმების საჯარო ვაჭრობისა დამტკიცებულ იქნა უმაღლესი მთავრობის მიერ 1847 წ. პროექტი ბატონს ანიჭებდა ყმის მზითვად გაცემის უფლებასაც.[1])—აქედან ცხადია, რომ პროექტი შედგენილი იყო მემამულეთა უფლებების სრული დაცვით.

მაგრამ სამაზრო თავად-აზნაურთა კომიტეტებს, რომლებსაც გადაეცა ეს პროექტი განსახილველად, მაინც არ აკმაყოფილებდათ ასეთი ფართო უფლებები და მეტს მოითხოვდენ. მაგ., სიღნაღის თავადაზნაურობა მოითხოვდა, რომ მას მისცემოდა მამულის და გლეხების დაგირავების უფლება არა მარტო საქართველოში—„პრიკაზ"-ში, არამედ გარეშე ამიერ-კავკასიისაც. გორის თავად-აზნაურობა წინააღმდეგი იყო, რომ გლეხს საჯარო ვაჭრობის დროს თავი უმამულოთ გამოეყიდა, რადგან, თუ გლეხობას ასეთი უფლება მიენიჭებოდა, ეს გამოიწვევდა მათი მამულის ფასის დაცემას—უგლეხო მამული უფასო მამული იქნებაო.

თუმცა ამ პროექტში ყმების სასარგებლოდ არაფერი იყო დაწერილი, მაგრამ მთავრობას რომ ეს პროექტი მიეღო, ეს გარემოება მაინც დიდი რამ იქნებოდა გლეხობისათვის, რადგან მისი მოვალეობანი გარკვეული იქნებოდა, და სავსებით ბატონის სურვილზე არ იქნებოდა დამოკიდებული მისი ბედი. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. თავ. ვორონცოვი არ იზიარებდა პროექტის დედა აზრს. ის იცავდა იმ დებულებას, რომ საქართველოში დარჩენილიყო ის მდგომარეობა და დამოკიდებულება, რომელიც იყო ბატონსა და ყმას შორის მანამ, სანამ არ ჩატარდებოდა მიწის გამიჯვნა და მემამულეების დამტკიცება თავად-აზნაურულ უფლებებში. 1849 წელს კავკასიაში მეფის მოადგილის, თავ. ვორონცოვის აზრი დაამტკიცა იმპერატორმა, და ამრიგად უცვლელად დარჩა საქართველოში არსებული დამოკიდებულება ბატონსა და ყმას შორის, ე. ი. ყმა ბატონის სრულ განკარგულებაში[2]).

---

[1]) С. Авалиани. Крест. вопрос, 125—126 стр.; Акты К. А. К. X т. № 38, 44 стр.

[2]) იქვე, 127-128 გვ.; Акты К. А. К. X т. 45-46 стр.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება მეორე საკითხს—გლეხობის მიერ აღძრულ საჩივრებს მემამულეების წინააღმდეგ ყმობის შესახებ, იმპერატორმა იმავე 1849 წელს დაამტკიცა კავკასიის კომიტეტის აზრი, რომლითაც გლეხს წაერთვა უფლება აღეძრა საჩივარი მემამულის წინააღმდეგ განთავისუფლების შესახებ [1]).

ამ საკითხის ასე გადაწყვეტას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ მემამულეები განუწყვეტლივ თხოვდენ მთავრობას ყმებისთვის ეს უფლება წაერთმიათ. ასეთი თხოვნით მათ მიმართეს 1842 წ. სამხედრო მინისტრს ღერ. ჩერნიშოვს, რომელიც იმ ხანად საქართველოში ჩამოვიდა. მინისტრმა აღუთქვა თავად-აზნაურობას დახმარება და მისი მეოხებითაც ეს საკითხი ასე მოგვარდა.

ამგვარად, გლეხობის მდგომარეობა ფრიად უნუგეშო იყო. მას პატრონი არ ყავდა, ბატონი-კი ერთის მაგიერ ორი: ერთი ძველი ბატონი, მეორე ახალი—თვითმპყრობელობის მოხელე.

მიუხედავათ ყველა ამისა, დროგამოშვებით იცემოდა მთავრობის მიერ ზოგიერთი წესები, კანონები და განკარგულებები, რომლებს სახეში ჰქონდათ გლეხობის მძიმე მდგომარეობის შემსუბუქება.

1808 წელს ქართლ-კახეთში, ხოლო 1841 წელს იმერეთ-გურია-სამეგრელოში სასულიერო პირნი, რომელნიც ყმურ მდგომარეობაში იმყოფებოდენ, განთავისუფლებულ იქნენ, მაგრამ უმამულოდ. უკანასკნელმა გარემოებამ „განთავისუფლებული“ სამღვდელოება ჩააგდო ძლიერ მძიმე ქონებრივ პირობებში. და რაკი მამულიდან მათ არ ჰქონდათ არავითარი შემოსავალი, მღვდლებმა იმდენად გაადიდეს გადასახადი სხვადასხვა საეკლესიო წესების შესრულებისათვის, რომ მათი მოთხოვნა მტაცებლობას წააგავდა [2]).

1816 წელს გამოიცა განკარგულება, რომ ქრისტიანი გლეხები, რომლებიც მებატონეთ დაეგირავებინათ ებრაელებისათვის, ასეთი მოვლენა-კი ხშირი იყო განსაკუთრებით იმერეთში,—მებატონეთ უნდა გამოეყიდათ; წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი გლეხები წაერთმეოდა მებატონეთ და ჩაირიცხებოდენ სახაზინოთ, ებრაელებს-კი აეკრძალათ გლეხების გირაოდ მიღება. დამნაშავე სასტიკად ისჯებოდა, ციმბირში გადასახლებითაც-კი.

1836 წ. გაუქმებულ იქნა 30-წლიანი ხანდაზმულობა: თუ გლეხი სასამართლოს წესით დაამტკიცებდა იმ ფაქტს, რომ ის 10 წლის განმავლობაში არ იმყოფებოდა ყმურ მდგომარეობაში, ან იმყოფებოდა ტყვეობაში, ის თავისუფლდებოდა.

---

[1]) Акты К. А. К. X, 45-46 стр.

[2]) С. Авалиани. Крест. вопрос, 136-145 стр.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1832 წელს იმ პირთ, რომლებიც არ ეკუთვნოდენ თავადაზნაურობას, აეკრძალათ ყმების ყოლა, და ეგ. წოდ. მოქალაქეთ მიეცათ ორი წლის ვადა, რომ ან გაეყიდათ ან გაენთავისუფლებინათ ყმები.

ბატონს წაერთვა უფლება თავის ყმის გასამართლებისა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის. ბატონს არ შეეძლო უმამულოთ გაეყიდა გლეხი, ან გაყიდვის დროს დაეცილებინა ცოლ-ქმარი ერთი მეორესათვის. აკრძალული იყო თავისუფალი კაცის ყმად გახდომა, ან თავისუფლების სიგელის გაუქმება. თავისუფალი მოქალაქე, თუ ცოლად ყმის ქალს აიყვანდა, ეს კავშირი ანიჭებდა ცოლს და შვილებს თავისუფალი პიროვნების უფლებას.[1]) სამაგიეროდ, დავას თავის გლეხებს შორის არჩევდა ბატონი, თვით ყმა და მისი ქონება ბატონის საკუთრებად იყო აღიარებული; ყოველგვარი გამოსაღები და ბეგარა ძველებური იყო შენარჩუნებული.[2])—ამასთან ერთად, ბატონ-ყმობის ასპარეზი მეორე მიმართულებით გაფართოვდა: საქართველოში მოსამსახურე რუსის მოხელეებმა მიიღეს უფლება ყმების შეძენის და მათზე ისეთივე უფლებების განხორციელების, როგორც სხვა მებატონეთ ჰქონდათ[3]).

ასეთი იყო ყმების საერთო მდგომარეობა, ოფიციალური საბუთების მიხედვით.

ყმებით ალებმიცემობა.

მე-19 საუკ. პირველ ნახევარში ყმის ყიდვა-გაყიდვამ ძლიერ ფართო ხასიათი მიიღო: ყმა იყიდება მებატონეების მიერ ერთი მეორესთან შეთანხმებით, იყიდება ვალში საჯარო ვაჭრობით; ყიდულობს ვაჭარი, რომელსაც ფული აქვს, ყიდულობენ უცხოელნი, რომელნიც ამ „საქონლით“ სავაჭროდ მოდიან საქართველოში; იყიდებიან ცალცალკე ოჯახის წევრები; იყიდება კაცი და ქალი, მოხუცი და ბავშვი, გათხოვილი და გაუთხოვარი, ცოლიანი და უცოლო. ყიდის ყველა: თავადი, აზნაური, მღვდელი და ბერი. ყიდულობს ყველა, ვისაც საშუალება აქვს; ყიდულობს ახალი მოხელეც.

მე-18 საუკუნეშიაც არსებობდა ჩვენში ყმების ყიდვა-გაყიდვა, მაგრამ მე-19 საუკუნეში ეს „კომერცია“ გასაოცარ ხასიათს იღებს, ფართოვდება და ნამდვილ საბაზრო და მოგებიან „საქონლად“ ხდება. როგორც ხარი, ძროხა, ცხენი და სხვა ოთხფეხი გამოყავთ გასაყი-

---

[1]) Эсадзе. Историческая записка, III т. 285-296 стр.

[2]) იქვე, 296 გვ.

[3]) С. Авалиани. Крест. вопрос, 136-145 стр.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დად ტფილისის და ქუთაისის ბაზარში, ისე გამოყავთ ორფეხა „ცხოველი“- ადამიანიც. როგორც ოთხფეხს უშინჯავენ კბილებს, რომ გაიგონ მათი წლოვანობა, ისე შინჯავს მყიდველი გასაყიდათ გამოყვანილ ყმებსაც.

ძირითადი მიზეზი ამ მოვლენისა უნდა ვეძიოთ ახალ ცხოვრების პირობებში. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ, თავად-აზნაურობა გაეცნო და დაეწაფა ახალ ცხოვრებას, გაუჩდა მას ახალ-ახალი მოთხოვნილებანი, რომლის დაკმაყოფილებას დიდი ფული უნდოდა. ამ ხარჯების დაფარვამ გადაიტანა თავად-აზნაურობის პირადი ქონება და გააძვალტყავა გლეხობა. ვერც სამსახურმა, ვერც მამულის დაგირავებამ, ვერც „პრიკაზ“-მა და ვერც გადასახადების და ბეგარის გადიდებამ უშველა-რა. დარჩა უკანასკნელი დასაგირავებელი და გასაყიდი „საქონელი“—თვით გლეხი და მისი ცოლ-შვილი.

რუსეთთან შეერთებულმა საქართველომ კავშირი გააბა მის ბაზართან, აღებმიცემობამ იმატა; თვით საქართველოში მოწყვეტილი კუთხეები ერთი-მეორეს დაუახლოვდა. ასეთ პირობებში შრომაზე მოთხოვნილება იზრდება, მშრომელი კი ყმა იყო და ამ გარემოებამ ყმის სავაჭრო ღირებულებაც ასწია.

ამ გარემოებამ, სხვა პირობებთან ერთად, გამოდენა ბაზარში ყმები და მით აღებმიცემობამ საარაკო სახე მიიღო. ამ აღებმიცემობით თავად-აზნაურობა სჭრიდა იმ ტოტს, რომელზედაც იჯდა, ძირითადად ასუსტებდა თავის ქონებრივ მდგომარეობას, მაგრამ ასეთია ეკონომიურ ცხოვრების ულმობელი კანონი. მთავრობამ სრული ლეგალიზაცია უყო ამ აღებმიცემობას: ყმებით ვაჭრობა საჯაროთ ინიშნება, წინასწარ წერილობით ცხადდება საჯარო ადგილებზე, განცხადებები გაკრულია სხვადასხვა თვალსაჩინო და სახელმწიფო დაწესებულებების შესასვლელთან და კედლებზე, მოუხმობენ მყიდველებს: მობრძანდით, ვისაც ფული გაქვთ, ამა და ამ დღეს, ამ და ამ ადგილას იყიდება ბატონის ვალში მისი ყმებიო. ეს ოპერაციები სწარმოებს სავსებით კანონიერი გზით, სასამართლოს და ადმინისტრაციის საშუალებით და ნებართვით.

აი მაგალითები: „ტორლი

1846 წ. 29-სა ნოემბერის თვეს, თამაზ ანდრონიკაშვილის ვალში გაყიდულ იქნება მისივე ყმანი, სიღნაღის მაზრის სოფელ გურჯაანში მცხოვრებნი, ორი კომლი ცისკარა ცისკარაშვილი და რომანოზ ცისკარაშვილი, თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით, ვენახით და სახნავი მიწით, საიდამაც წელიწადში 44 მან. არის შემოსავალი, ათი წლის ზედშეკეცით დაფასებულია 440 მანეთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ტ ო რ ლ ი

1847 წ. 28 აგვისტოს, ზურაბ ერისთავის ვალში, გაისყიდება მისივე ყმანი, რომელთაც სურთ, რომ თავიანთ საკუთარი მამულიდან ხელი აიღონ, ყველა ისინი გაიყიდონ, ფული ბატონის მევალეს მისცენ და თავი გაინთავისუფლონ. ეს ხალხი ცხოვრობენ: სოფ. სვირში 4 კომლი, სოფ. ციცაკში 8 კომლი, სოფ. ჩიხირაულში 4 კომლი, მანდასტაში 7 კომლი და სულ 46 კომლი; სულად არის 204 მამაკაცი და 152 დედაკაცი. ამათ აქვთ სახნავი მიწა 317 დღიური, ტყე 421 ქცევა და თითო კომლს თითო ვენახი, ბაღები არის ნახევარი ქცევიდან ორ ქცევამდე. ყველა ამათ წელიწადში 882 მ. შემოაქვს, დაფასებულია 9742 მან. 92 კაპ“.

„ტ ო რ ლ ი

1846 წ. 14 ოქტომბერს, აბაშიძის ვალში გაისყიდება მისივე ყმა, ქუთაისის უეზდის სოფ. დილიკაურში მცხოვრები რეზიკა სეხნიევი, შვილი კახიაშვილისა, თავის უძრავი და მოძრავი ქონებით და სახნავი მიწით, რომელსაც წელიწადში 22 მან. 50 კაპ. შემოაქვს, ათი წლის შემოსავლის ზედშეკეცით დაფასებულია 225 მან.“.

„ტ ო რ ლ ი

1847 წ. 25 თებერვალს გაყიდულ იქნება ოთხი კომლი წულუკიძის ყმათა: გოგინა კობახიძე, ნინიკა ბაბილაშვილი. ქონების შემოსავალი წელიწადში 152 მან. დაფასებულია 1520 მან.“.

„ტ ო რ ლ ი

1846 წ. 16 დეკემბერს ეგორ ბელიანოვსკის ვალში გაისყიდებიან მისივე ყმანი სოფ. ვაჩნაძიანში მცხოვრებნი სამი კომლი; გიორგი გურმისიშვილი, გოგია მოსემღვდლის შვილი და დიმიტრი სემიქაძე, თავიანთის უძრავი და მოძრავი ქონებით, წელიწადში 72 მან. 80 კაპ. შემოაქვს. დაფასებულია 728 მან.

ასე იყო 50 წლებშიაც:

„1854 წ. 1 აგვისტოს, აზნაური ივანე მხეიძის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ერთი კომლი ხუცია სვანიძე, ამის ოჯახში ორი მამაკაცია და ერთი დედა-კაცი, ცხოვრობს სოფელ ნამახვანში. ეს გლეხები თავის უძრავის და მოძრავის ქონებით დაფასებულია 160 მანეთად“.

„1854 წ. 10 ნოემბერს, სიმონ ჟღენტის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ერთი კომლი ივანე გიორგაძე, რომელიც ცხოვრობს ქუთაისის გუბერნიის არგვეთის ნაწილს სოფელ ჩხარში. დაფასებულია 367 მანეთად“.

„1853 წ. 16 თებერვალს, ზურაბ ერისთავის ვალში გასყიდული იქმნებიან მისივე ყმათა 41 კომლი, ამათში 145 მამაკაცი, 116 დედაკაცი. ისინი ცხოვრობენ ქუთაისის გუბერნიის შორაპნის უეზდში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 კომლი სვირის ნაწილ სოფელს სვირში; 9 კომლი ამავე ნაწილის სოფელს ბოსლევში; 3 კომლი სოფელ სკინდორში; 3 კომლი სოფელ ითხვისში, 1 კომლი ბერეთისაში, 2 კომლი ს. მანდაეთში, რომელნიც დაფასებული არიან 11,184 მან. 50 კაპ.“ [1]).

ამგვარად, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, როგორც თავადნი, ისე აზნაურნი ვალს უხვად იღებდენ და მსესხებელნი მათ ყმებს ადგილ-მამულით საჯარო ვაჭრობით ვალის დასაფარავად, მთავრობის ორგანოების საშუალებით, ყიდდენ. თუ როგორ ფართოდ სწარმოებდა ეს აღებ-მიცემობა, იქიდან ჩანს, რომ 200-300 ქალი და კაცი ერთად გაყავდათ ბაზარზე გასაყიდათ. ეს ნამდვილი ცხვრის ფარაა. ასეთი მასიური გაყიდვა არაფრით არ განირჩევა ოთხფეხის გაყიდვისაგან: „ტფილისში მორეკილ ყმებს ერთად მოიყვანდენ დანიშნულ სამმართველოში, იქ მათ გაამწკრივებდენ რიგზე, ზოგი დაჯდებოდა, ზოგი დაკუნტდებოდა, ყმაწვილებს ზოგთ ხელში პური ეჭირათ, ზოგი სხვა ასეთი. გასაყიდებთ თან აქვდათ ხურჯინით მოტანილი ხორბლის პური, მჭადი, ან ქერის პური და ასეთი, ზოგ ყმას ეს გარემოება ეთაკილებოდა, ზოგი მორიდებით იდგა, ხალხს ეკრძალებოდა სახით, ზოგნი ნამეტურ ხნიერნი მამაკაცნი ჯოხზედ იყვნენ დაყრდნობილი და ფიქრობდენ მასზე, თუ 'ახლა იგინი ვის ჩაუვარდებოდენ ხელში, მათ ვინ იყიდდა. იდგნენ ჩუმად, უყურებდენ საქმის დასასრულს. დაიწყებოდა ვაჭრობა, გაიმართებოდა ლაპარაკი, საქმე მოგვარდებოდა, თითქმის გათავებაზე მივიდოდა. ამ დროს მყიდველს მოესურვებოდა ზნისა და ხასიათის შეტყობა, რომ მათ თავიანთი ბატონი ხომ არა სძულდათ... როგორი თვისებისა იყო... ან ხარჯს როგორ უხდიდა ბატონს“... [2])

მხოლოდ ასეთი ფაქტიური მასალის გაცნობის შემდეგ დასაჯერებელია სხვადასხვა თანამედროვე პირთა და მოგზაურთა აღწერა ჩვენში ყმების ყიდვა-გაყიდვის შესახებ.

ყმისათვის დიდ ბედნიერებას შეადგენდა, თუ ოჯახობით ერთად გაიყიდებოდა. როდესაც ბაზარზე 200-300 ყმა ქალი და კაცი ერთად გასაყიდათ გამოყავდათ, ძლიერ საეჭვო იყო, რომ ერთი ოჯახის წევრები ერთი მყიდველის ხელში მოხვედრილიყო. მყიდველი დაეძებდა საუკეთესო „საქონელს“, არჩევდა, რადგან ასარჩევი საშუალება იყო; ეს გარემოება ერთი-ორად ამძიმებდა ყმების მდგომარეობას.

ხშირად თვით ბატონსაც თითო-თითოდ გამოყავდა გასაყიდათ ყმის ოჯახის წევრები. როდესაც მთელი ოჯახი ერთად გამოყავდათ,

---

[1]) საქართველოს ბატონ-ყმობის ფაქტიური მასალები. ხუხუნაიშვილის რედაქტორობით. ზ. ჭიჭინაძის შეკრებილი. II ტ. 75-83 გვ., III ტ. 119-142 გვ.

[2]) იქვე. III ტ. 104 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ მეტი შესაძლებლობა იყო, რომ ოჯახი მთლიანად ეყიდა ვისმეს, მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში ასეთი ბედნიერება შეუძლებელი იყო. [1])

ყმებისათვის არა ნაკლები სამძიმო იყო ის გარემოებაც, რომ ყმებს განსაკუთრებით ყიდულობდენ ვაჭრები, შეძლებული სომხები და თავიანთ ქვეყანაში აგზავნიდენ, ყმა სამშობლოს შორდებოდა.

ამგვარად, მე-19 საუკ. პირველ ნახევარში ყმების ყიდვა-გაყიდვას ჩვენში საზარელი ხასიათი ჰქონდა.

მაგრამ მემამულეებშიაც იყვნენ ადამიანები, მათაც ჰქონდათ გრძნობა, გამოეცადათ ოჯახური, მშობლიური გრძნობა, და ყველა მათგანი ასე სასტიკად არ ეპყრობოდა თავის ყმებს. ხოლო ასეთები გამონაკლისი იყვნენ და თითით საჩვენებელი.

გარდა ამისა, წინეთ ბატონი თავის ყმების დახმარებით ებრძოდა ან მეზობელ ფეოდალს, ან მასთან ერთად გარეშე მტერს. ამ გარემოებას არ შეიძლებოდა არ ჰქონოდა გავლენა ბატონსა და ყმას შორის დამოკიდებულებაზე. ბატონი ბევრად თუ ცოტად უნდა გა[illegible] თხილებოდა თავის ყმას და დაეზოგა ის ყოველმხრივ.

მე-19 საუკუნეში სურათი იცვლება: ქვეყნის დაცვა გარეშე მტრისაგან რუსეთის იმპერატორმა იკისრა და მანვე აიღო ხელში მართვა-გამგეობა. ამის შემდეგ ყმა ბატონისათვის მხოლოდ ქონებრივად სასარგებლო პიროვნება შეიქნა, მას დაეკარგა ერთგვარი პოლიტიკური მნიშვნელობა.

მიუხედავათ ამისა, ტფილისის მოქალაქეებს შორის ყოფილან ისეთი პირებიც, რომლებიც ხშირად ბაზარზე გამოყვანილ ყმებს ყიდულობდენ მემამულეთაგან იმ მიზნით, რომ ეხსნათ ბატონ-ყმობის უღლიდან და განეთავისუფლებინათ.

ასეთი ყოფილა ადამ ბეჟანიძე ფორაქაშვილი, ზაქარია დავითის ძე სარაჯიშვილი და სხვა მცირერიცხვოვანი მოქალაქენი [2]).

ყმების ყიდვა-გაყიდვის საშინელ მხარეს შეადგენდა ის გარემოება, რომ ყმები უცხოეთში, განსაკუთრებით ოსმალეთში, იყიდებოდენ. დასავლეთ საქართველოში ზოგმა ხელობათ გაიხადეს ოსმალეთში ქართველი ყმებით ვაჭრობა. ოსმალეთის ბაზარზე ქართველი გოგო და ბიჭი ძვირად ფასობდა. ოსმალეთში ქართველი ყმის გაყიდვა ძველი მოვლენაა; ამას მოწმობს სჯულის კანონი (კათალიკოზის კანონები) და ვახტანგის დებულებაც [3]). მაგრამ მე-19 საუკ. პირველ ნახევარში ყმების ექსპორტმა, ოსმალეთში გაზიდვამ ძლიერ

---

[1]) იქვე, ტ. III, 112 გვ.

[2]) იქვე. III ტ. 113 გვ.

[3]) კათალ. კანონები—1-2 მუხ.; ვახტ. დებულება, 96, 97 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმატა. ყმებით მოვაჭრე პირებს გურიის და აჭარის გზით გაჰყავდათ ოსმალეთში ყმები და იქ ასაღებდენ [1]).

იმ ხანად საზოგადოება იმდენად ყოფილა გაჟღენთილი ამ სამარცხვინო აღებ-მიცემობით, ეს „საქონელი“ იმდენად ბევრი ყოფილა ბაზარზე, რომ ხელმომთბარი ყმაც-კი ახერხებდა გასაყიდათ გამოყვანილ ყმის ყიდვას. რასაკვირველია, ყმის ბატონი არ იქნებოდა წინააღმდეგი, რომ მის ყმას ეყიდა ყმა, რადგან ორთავე, — უყიდი და ნაყიდი, მისი საკუთრება იყო. მაგ., ყმა ასალო ხუციშვილი უჩივის ოზურგეთის „უეზდნი ნაჩალნიკთან“ ეკატერინე დადიანის ასულს, რომ მან, დადიანმა, წაართვა მას მამა-პაპეული ყმა ურუშაძე, და თხოვს მას ყმის დაბრუნებას [2]).

რაკი ბატონის უფლება იმდენად დიდი იყო, რომ მას შეეძლო ყმის გაყიდვა, ცხადია, რომ მას ჰქონდა ყმის დაგირავების, მზითვად გაცემის, გაჩუქების და სხვა სამოქალაქო ურთიერთობაში გამოყენების უფლებაც. ამ უფლებით მემამულეები უსაზღვროდ სარგებლობდენ. ხშირად ერთ კომლ ყმას რამდენიმე პირს უგირავებდენ, და გირაოს მიმღებნი უზომოთ სარგებლობდენ მათი შრომით და ქონებით. მაგ., 1848 წ. საბატონო ყმა ოთარ თევდორაძე თხოვნით მიმართავს ლეჩხუმის „ნაჩალნიკს“ და აცნობებს, რომ მისმა ბატონმა, აზნაურმა ჯაყელმა, ჯერ დაუგირავა ის მღვდლის შვილს დარჩიას და შემდეგ კიდევ მაჭუტაძეს; თხოვს მას „თქვენსა განკარგულებასა, დაფარვისათვის ჩემისა **ერთის პირისადმი** მიყიდვისა ან დაგირავებისაგან“ [3]).

საქართველოს ყოველ კუთხეში: ქართლ-კახეთში, იმერეთში, გურია-სამეგრელოში, სამურზაყანო-აფხაზეთში ყმებს აგირავებდენ, ამზითვებდენ, აჩუქებდენ და ყიდდენ [4]). და თუ გლეხი მიმართავდა მთავრობის წარმომადგენელს ბატონის შევიწროების გამო, შემდეგ პასუხს მიიღებდა: „მე რა ვქნა, რაც შენ ბატონს უნდა, იმას გიზამს, მე რა გინდა ვქნა“-ო, ასე უპასუხა „ნაჩალნიკმა“ ყმას ჩეჩელაშვილს 1840 წ. [5]) აზნ. გიორგი ქაიხოსროს-ძე მახარაძემ, რომლის გამანადგურებელ მოქმედების შესახებ მისმა ყმებმა ოქროპირა და ეფრემა დოლიძეებმა საჩივარი შეიტანეს ოზურგეთის სამართველოში, 1856 წ. ასეთი მუქარა შეუთვალა მთავრობის წარმომადგენელს: „მოსპობილ იქნეს მაგ საქმე, რადგან მე ბატონი ვარ და ისინი ყმები, მე აზნაურისშვილი და ისინი გლეხები“-ო. [6])

[1]) მასალები ბატონ-ყმობის შესახებ, ზაქ. ჭიჭინაძის, III ტ., 69 გვ.
[2]) იქვე, III ტ., 151 გვ.
[3]) იქვე, I ტ., 81 გვ.
[4]) იქვე, I, II, III ტომი.
[5]) იქვე, II ტ. 124 გვ.
[6]) იქვე, II ტ., 139 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ღამის უფლება (Jus prima noctis).

ყველაფერი, რაც ყმას გააჩნდა: სული და ხორცი, მოძრავი და უძრავი—ბატონისაა. ყმის ოჯახიც მისია. შესაძლოა, რომ ასეთ პირობებში დაცული ყოფილიყო ყმის ოჯახი, მისი ცოლ-შვილი ბოროტი ბატონის შეურაცხყოფისა და გაუპატიურებისაგან?—რასაკვირველია, არა. ყველაფერი დამოკიდებული იყო ბატონის სინდისზე, ადამიანობაზე, რასაც ყველა არ იყო მოკლებული. მაგრამ საერთოდ ამ მხრივ ყმების მდგომარეობა უნუგეშო ეყო: მათი ოჯახის პატივი ბატონის სურვილზე იყო დამოკიდებული.

თუმცა სამართალი იცავდა ყმის ოჯახის ხელუხლებლობას: თუ ყმა ბატონს მოასწრებდა თავის ცოლთან მრუშების დროს, მას შეეძლო ბატონი მოეკლა და პასუხს არ აგებდა, [1]—მაგრამ ფაქტიური მდგომარეობა სულ სხვა იყო

ზ. ჭიჭინაძეს, მის მიერ შეკრებილ მასალაში, მოჰყავს რამოდენიმე მაგალითი დასამტკიცებლად იმისა, რომ მე 19-საუკ. პირველ ნახევარში ჩვენში მებატონეები სარგებლობდენ პირველი ღამის უფლებით. მაგ., „1830 წ. „კაკო ყაჩაღი“ ყოფილა კახეთის ერთი სოფლის ოჯახის შვილი და კარგი ვაჟკაცი. ის ყოფილა ანდრონიკაშვილის ყმა. კაკოს განუზრახავს ცოლის შერთვა. ამას, თურმე, ამის გამო ბატონი წასდავებია, რომ შენი საცოლე პირველ ღამეს ჩემიაო. კაკო თავ-მომწონე ბიჭი ყოფილა და ეს წინადადება საძრახისად მიუღია, სოფლად რუსის მოსამართლესათვის მიუმართია და იმას ყურადღება არ მიუქცევია,—ეგ ბატონის საქმე არისო. მერე მღვდლისათვის მიუმართავს, მღვდელს დარიგება მიუცია. ამის შემდეგ კაკოს მოუმზადებია კარგი ძღვენი, ამასთანავე კარგათ გაულესავს ერთი კარგი ხანჯალი და ერთ დღეს სწვევია თავის ბატონს თავის ძღვნით, ხანჯალი-კი ჩოხის ქვეშ ჰქონია დამალული. კაკო მისულა ბატონთან, ძღვენი მიურთმევია და უთხოვნია, რომ ნება მომეცით, რომ დავქორწილდეო. ბატონს უთქვამს, შენი ცოლი პირველ ღამეს ჩემიაო. კაკოს უთქვამს: ბატონო ჩემო, ეგ თქვენ ზრდილობას და კეთილშობილებას როგორ ეკადრებაო. ბატონმა მიუგო: ჩემ ზრდილობას და კეთილშობილებას სწორეთ ეს ეკადრებაი. ამაზე კაკო გაცეცხლებულა, მაგრამ ბატონისათვის მაინც კიდევ თხოვნა დაუწყვია. ბატონს-კი უარი უტკეცნია და გაგდება დაუპირებია. მაშინ კაკოს უძვრია ხანჯალი, ბატონისათვის თავი გაუგდებინებია და გაქცეულა ტყეში“. [2]) ამილახვარებმა იცოდენ პირველი ღამეო და „რომელ

---

[1]) ვახტ. დებულება, 42 მუხ.

[2]) მასალები ბატონ-ყმობის შესახებ, III ტ, 13 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალსაც-კი თვალს გადაავლებდა და მოეწონებოდა, იმას უსათუოდ ხელშიაც ჩაიგდებდა. სხვისი ყმის ცოლიც რომ მოსწონებოდა, არც იმის მოტაცებას შეუშინდებოდა, იმასაც მოიტაცებდა“ ო. [1]) 1830 წელს რევაზ ერისთავის შინა ყმას ნიკურაძეს ცოლი შეურთავს, მაგრამ სახლში ვერ წამოუყვანია, რადგან ეშინოდა ბატონის, რომელმაც „პირველი ღამის“ ჩვეულება იცოდაო. ეს რომ ბატონს გაუგია, ყმის ცოლი ძალით თავის სახლში მოუყვანია და გაუუპატიურებია, რის შემდეგ სისხლით შეღებილი პერანგის ამხანაგი გაუხდია და აივანის მოაჯირზე გადმოუკიდია, რომ გამვლელ-გამომვლელს დაენახა. ეს ამბავი სოფელს ვერ აუტანია, შეთქმულება მოუხდენიათ და ერთი ორის საშუალებით ბოროტი ბატონი სოფელს მოუკლავს. [2]). ამავე დროს იგივე ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ მე-18 საუკუნეში და წინეთ ჩვენში ეს ჩვეულება არ ყოფილა, რომ ის საქართველოში 1809 წ. თავ. პავლე დიმიტრისძე ციციშვილმა, რომელიც რუსეთში იყო გაზრდილი და გარუსებული, შემოიღოო.

ჩვენი აზრით, რაკი ყმა ბატონის სრულ განკარგულებაში იყო და მას დამცველი არავინ ყავდა, თავგასული ბატონი ბოროტათ იყენებდა თავის განუსაზღვრელ ბატონობას.

ამიტომ ზ. ჭიჭინაძის მიერ მოყვანილი მაგალითები ამ საკითხის შესახებ ცხოვრებიდან უნდა იყოს ამოღებული.

ჩვენი მემამულეების ცხოვრების და ზნე-ჩვეულების კარგად მცოდნე და მხატვრულად ამ ცხოვრების დიდებულად დამახასიათებელი ილია ჭავჭავაძე, რომელსაც არ შეიძლება დავსწამოთ გადაჭარბება, თავის „გლახის ნაამბობში“ შემდეგს მოგვითხრობს: ბატონი დათიკო ყმა გაბრიელას ხელში გაზრდილია, ყმაწვილობიდან ერთი მეორესთან შეზრდილნი და ნაამაგარი. გაბრიელას ერთი ყმის გოგო თამრო მოეწონა, შეუყვარდა, ცოლად უნდა შეირთოს. ბატონ დათიკოსაც მოეწონა თამრო, მან დაიბარა გაბრიელა და მათ შორის შემდეგ ბაასს ჰქონდა ადგილი:

„— სად ბრძანდებოდი, ჩემო შერმადინ,—მითხრა დაცინვით დათიკომ.

— არსად, ისე დავეხეტებოდი.

— ასე ადრე?

— რაც შენთვის ადრეა, ის ჩვენთვის ადრე არ არის.

— ეგ გადაკვრით ლაპარაკი რად იცი შენ?

— ეგრე გაუჩენივარ ღმერთს...

---

[1]) იქვე, 45 გვ.

[2]) იქვე, ტ. I, 39, 44 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყური დამიგდე: შენ რაღაც ნაღველი გაქვს და მე მიმალავ.

— იქნებ.

— არა, თუ ღმერთი გწამს.

— მართალს მოგახსენებ.

— მოდი, მითხარ—რა ნაღველი გაქვს.

— თქმა ადვილია, ბატონი ხარ, გეტყვი, მაგრამ შენთვის რა ხელსაყრელია?

— ეგ მე ვიცი.

— მე რატომ არ უნდა ვიცოდე?

— შენც შეიტყობ.

— თუ აგრეა, მოგახსენებ: მე პეპიას გოგო მიყვარს და ჯვარი უნდა დავიწეროო.

— მერე რა გიშლის?

— პეპია ცოლზე მგლოვიარედ არის, სულ ექვსი თვე არის, რაც ცოლი დამარხა და ჯერ ხანობით ეს მიშლის.

— სულელი ჰყოფილხარ.

— რადა?

— რომ ჯვარს იწერ.

— მაშ?

— მაშ ისა, რომ ქალი ჟინის საკლავად არის კარგი და არა ზურგზე ასაკიდად. მაგრამ მე არ გიშლი, დაიწერე ჯვარი, მზითევი და შენი დაბინავება ჩემი კისერი იყოს.

— შენ რა შუაში ხარ, რომ მზითევს მპირდები?

— ქალი ჩემია, და მზითევსაც მიტომ გპირდები, რომ ჯერ ჩემი იქნება.

— ეგ რა სთქვი?—წავძახე მე კანკალით.

— ისა ვსთქვი, რაც შენ გაიგონე.

— დათიკო! მე გლეხი კაცი ვარ და შენ ბატონი, ვუთხარი მე გულმხურვალედ და ვედრებით: გევედრები, გზიდან ჩამომეცალე..... ყველას დაგითმობ და იმ გოგოს ნამუსს კი არა. ის გოგო ჩემია...

— ჯერ ჩემია-მეთქი—გამაწყვეტინა სიტყვა: მერე თუნდა შენი იყოს, თუნდა სხვისა... როცა მე ჩემსას ავასრულებ, მერე შენთვის დამილოცნია".

ილია ჭავჭავაძე ამ შემთხვევაში იმდენათ დიდი ავტორიტეტია, რომ ჩვენ შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ „პირველი ღამის უფლება" ჩვენში, როგორც ფაქტი, არსებობდა, როგორც ყველა იმ ქვეყნებში, სადაც ფეოდალური ურთიერთობა იყო.

მართალია, ყმები ვერ ურიგდებოდენ ამ „უფლებას", ებრძოდენ მას, ხშირად ყმა ან თვით ჰკლავდა ბატონს ამ „უფლებისათვის", ან სხვას აკვლევინებდა, ან ცოლი მალულად ყავდა და სახლში

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მოყავდა, მაგრამ საერთოთ ყმის უუფლებო მდგომარეობიდან გამომდინარეობდა ამ „უფლების“ ფაქტიური არსებობა. ბატონს ყოველთვის შეეძლო რეალიზაცია ეყო ამ „უფლებისათვის“, თუ კი მოისურვებდა.

ფეოდალიზმის ხანაში „პირველი ღამის უფლება“ თითქმის ყველა ევროპის სახელმწიფოებში არსებობდა. ევროპაში ამ „უფლებით“ სარგებლობდენ როგორც საერო, ისე სასულიერო ფეოდალები. მაგ., მარსელში ვენ-ბიქტორის ტაძრის მოსამსახურეთ ოფიციალურად ქონდა მინიჭებული ეს „უფლება“. იყო შემთხვევებიც, როდესაც ერთი ფეოდალი მეორეს მიყიდდა ამ „უფლებით“ სარგებლობას.

რუსეთის ურთიერთობისათვისაც კარგად ცნობილი იყო ეს სამარცხვინო „უფლება“, რომელიც შემდეგ სათანადო გამოსაღების სახით, ეგ. წოდ. „выводной куницы“, შეიცვალა. რუსეთში ეს „უფლება“ მე-XIX საუკუნეშიაც, როგორც ფაქტი, არსებობდა.

მე-19 საუკ. მეორე ნახევარში სამართალი სდევნიდა ამ „უფლებით“ სარგებლობას, მაგრამ სანქცია ამ ქმედებისათვის იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ აკრძალვას ფიქტიური ხასიათი ჰქონდა. მაგ., 1855 წ. მემამულე კშადოვსკი ამ „უფლების“ გამოყენებისათვის მხოლოდ ჯარიმით დასაჯა სასამართლომ. ამიტომ ეს მოვლენა ხშირი იყო რუსეთის მემამულეთა შორის.[1])

სხვა უუფლებობა.

თავაშვებული ბატონები ბევრ სხვა შევიწროებასაც აყენებდენ ყმებს. ზოგი შეუბრალებელი ბატონი ურემშიაც კი აბამდა მათ ხარების და კამეჩების მაგიერ, ზოგი იმდენად ამცირებდა მათ პიროვნებას, რომ ყმის ქალებს ლეკვებსაც აკვებინებდა ძუძუთი, ძაღლებზე ცვლიდენ და სხვა[2]). ზოგი ცინიზმამდის მიდიოდა: ბატონი წინადადებას აძლევს ყმას, თუ ის ყინვიან ღამეს ტიტველი მთაზე გააატარებს, გაანთავისუფლებს მას. საწყალი ყმა ასეთ საშიშ მდგომარეობასაც არ გაურბის, ოღონდ თავი იხსნას ბატონისაგან. მთელი ღამე საშინელ ყინვაში მთაზე ტიტველი დაჰყო, შორიახლო მას ბატონის გზირები ყარაულობდენ და თვალყურს ადევნებდენ, რომ არ ჩაეცვა ტანს. ეს ამბავი ბატონს სასაცილოთაც არ ეყო: ყმა მაინც არ გაანთავისუფლა[3]).

ასეთი მოვლენები შესაძლებელი იყო, რადგან ყმა უპატრონო და უმფარველო იყო ამ ხანად. მას არა თუ არავინ დამცველი არ

---

[1]) Князь Васильчиков. Землев. и земледелие.—Энцик. Словарь Б—Эф.

[2]) იქვე, ტ. III, 28, ტ. II, 91 გვ.

[3]) იქვე. I ტ. 41, 53 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყავდა, წინააღმდეგ, 1859 წ., ბატონის წინადადებით, ბოქაული არბევს გლეხს, ანადგურებს მათ ქონებას [1]). ბევრი ყმა ვერ უძლებდა ასეთ მდგომარეობას, გარბოდა სამშობლოდან ოსმალეთში, სპარსეთში, იღებდა მუსლიმანობას, იქ რჩებოდა და სამუდამოდ თავის ქვეყნისათვის იკარგებოდა.

დანიელ ჭონქაძემ „სურამის ციხეში" შეუდარებლად გადაშალა ქართველი ყმის ცხოვრების უმწეო მდგომარეობა: დურმიშხანი თავად წერეთლის გოგოს შვილია. დურმიშხანის დედა მოეწონა თავადის შვილს და ამის შემდეგ დაიბადა დურმიშხანი. დურმიშხანი რომ წამოიზარდა, წერეთელთან სტუმრად მოსულს მუხრან-ბატონს მოეწონა ის, დედას წაართვა და მუხრან-ბატონს გაატანეს. საბრალო დედა ვერ უძლებს შვილის მოგლეჯას და ერთი წლის შემდეგ დარდით კვდება.—ბატონი ართმევს ნოდარს ვენახს, ხარ-კამეჩს და დედა და შვილი თავისთან მიჰყავს. შემდეგ ნოდარს დაუპირებს კახელ მღვდელზე გაყიდვას; საწყალი დედა ვერ იტანს შვილის დაშორებას და შვილებით გარბის ბატონისაგან, იმალება ტფილისში, ქართველობას მალავს, თავის თავს და შვილებს სომხებათ ასაღებს. აღსარების დროს მღვდელს ვერ უთხრა ტყუილი. მოძღვარს გამოუტყდა. მოძღვარმა გასცა. ნოდარი და დედა შეიპყრეს, ბატონთან გაგზავნეს. ბატონი გუთანში და კევრში შებმით სჯის ურჩ ყმათ. დედა კევრსქვეშ კვდება.—ნოდარს ნატო შეუყვარდა. ნატოს კი ბატონმა გაუპატიურება დაუპირა. საწყალი ქალი თავს ირჩობს წყალში. გაბოროტებული ნოდარი სწყვეტს ბატონს მთელი ოჯახობით, გარბის სათათრეთში და იქ, სამშობლოს მოშორებული, ბევრი ვაი-ვაგლახით ათავების თავის სიცოცხლეს [2]).

მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს ბერო ზაქარიას ძე შათირი-შვილის თავგადასავალიც: „ეხლა 95 წლისა ვიქნები. ვცხოვრობ დაბადებიდან ს. კურდღელაურში. ოცი წლისა ვიყავი, როცა ჩვენმა ბატონმა, ალექსანდრე რუსიევმა, მიბრძანა მას თან წავყოლოდი. ნეტა რა დაუშავე, რათ მომიტაცა იმ უღმერთომ!.. (ამ სიტყვებთან მოხუცი ცხარე ცრემლით ატირდა). ბატონის სახლში რომ მიველი, ბატონმა მითხრა: —შენ ღმერთ-ძაღლო, შენ მამა-ძაღლო, რასაც შენ გიბრძანებ, ის უნდა აღასრულოვო. რაც შემეძლო დავრბოდი წაღმა და უკუღმა, ჩვენი ბატონის საქმეს დღე და ღამ ვერთგულობდი, ის კი გინებით და მუქარით მიმასპინძლდებოდა... მახსოვს, ერთ ახალწლის დღეს ჩვენს ბატონს ეახლა ყმა მაჩუაშვილი და სავსე ხურჯინი ძღვნით მიართვა. მაგრამ ჩვენი ბატონი ამ ძღვენმა ვერ დაა-

---

[1]) იქვე, II ტ., 113 გვ.

[2]) დ. ჭონქაძე. „სურამის ციხე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

კმაყოფილა, იგი გამოედევნა მაჩუაშვილს და მრისხანებით დაუწყო ყვირილი:

— შენ ვირის შვილო, რატომ მსუქანი ღორი და ხოხობი არ მომიტანეო. წადი, თვალიდან დამეკარგე და ვაი შენს დღეს, თუ ხვალვე არ მოგირთმევიაო.—შვილო, ყველა უბედურებას ვინ მოიგონებს, კინაღამ დამავიწყდა, ჩვენს მეზობლათ, სოფ. რუისპირში, თავადმა მაყაშვილმა გლეხები კევრში შეაბა და აწამა. ვინც მათ შავს კბილს გაეკრებოდა, ცოცხალი ვერ გადარჩებოდა. ამა ჩვენს სოფელში ხომ ჩვეულებათ იყო, როცა გლეხი ქალს მოიყვანდა, იგი პირველ ღამეს ბატონს უნდა ეხმარა; ერთ ღამეს იქ გაათენებდა და შემდეგ ქმარი წაიყვანდა სახლში, უბედურება ის იყო, რომ პირველი ღამე ბატონისა იყო. გლეხს სიმწრისაგან რომ გაეცინებია და ეს ბატონს არ ეჭაშნიკებოდა, წამოაქცევდა ბატონი—ხალხში, ჩახდიდა საცვლებს და წკეპლა როზგით სისხლს ადენდა, ბატონები კი შორიახლო ბრძანდებოდენ და ხარხარობდენ. ბატონს რომ რომელიმე სოფლის ქალი მოსწონებოდა, წაატანდა ხელს, წაიყვანდა ან წაათრევდა სახლში, იხმარდა და გინებით უკან გამოაგდებდა. ს. რუისპირის მებატონე, ტატო მაყაშვილი, გლეხს გაატიტვლებდა, თაფლს წაუსობდა და დათოკვილს გზაში დააგდებდა. აბა ვინ რას გაბედავდა! ბატონი ისეთი უღმერთო რამე იყო, რომ ყველას კუდით ქვას ასროლიებდა... ბატონისათვის რომ ერთი ვერსიდან ქუდი არ მოგეხადა, წამხდარი იყო შენი საქმე, ამ ქვეყნად ცხოვრებაზე ხელი უნდა აგეღო" [1].—ეს ნაამბობი, ბევრიც რომ იყოს აქ გადაჭარბებული, მაინც სამწუხარო სურათს იძლევა, გლეხის მდგომარეობა ფრიად მძიმე და უმწეო იყო.

ამასთან ერთად ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მებატონეთა შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებიც ყმებს ადამიანურად უყურებდენ და მათ კეთილდღეობაზე ზრუნავდენ. ბატონი ილია ორბელიანი ყმებს პატიოსნათ უყურებდა და უვლიდა. მისი ყმისათვის რომ ვინმეს ხელი ეხლო, ეცემა, ან სხვა ისეთი რამე ექმნათ, ის ამას იწყენდა და იტყოდა, რომ „ჩემი ყმის ცემა, ეს ჩემი ცემა არისო". 1850 წ კაცის კვლისათვის დახრჩობა მქონდა გადაწყვეტილი,- ამბობს ილია ორბელიანის ყმა, სახრჩობელიდამ ამ ჩემმა ბატონმა და გრ. ორბელიანმა დამიხსნესო [2]).

ცხადია, ასეთი შემთხვევები არ ცვლიან საერთო სურათს და ვერ გააბათილებენ ბატონ-ყმურ დამოკიდებულების ძირითად დამახასიათებელ თვისებებს.

---

[1]) ბატონ-ყმობის ფაქტიური მასალები. ზ. ჭიპინაძე. ტ. VI, გვ. 497-398.

[2]) იქვე. ტ. VI, გვ. 456.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგზოხებები.

ყმების მძიმე მდგომარეობა იწვევდა მათ სტიქიურ გამოსვლებს. აქა-იქ გლეხები უჯანყდებოდენ მებატონეთ, ზოგ ბოროტ და ადამიანობას მოკლებულ ბატონს კიდეც ჰკლავდენ. ზოგი ყმა ვერ ურიგდებოდა არსებულ ბატონობას და ყაჩაღათ მიდიოდა. „არსენა ყაჩაღის“ არსებობა აშკარა, აქტიური პროტეს*ია ბატონის ძალმომრეობის წინააღმდეგ და ტიპიური მოვლენაა. ეს არის მოვლენის ერთი მხარე.

მეორე მხრით, გლეხობას არა ნაკლებ აწუხებდა მოხელეების თვითნებობა. მოხელეების თვითნებობა და თავაშვებულება ავიწყებინებდა გლეხობას ბატონების ძალადობას.

ორივე ერთად, ბატონი და მოხელე, გლეხისათვის ჯოჯოხეთურ პირობებს ქმნიდა.

ამ ნიადაგზე აღმოცენდა მე-19 საუკ. პირველ ნახევრის აჯანყებები.

ახალ მთავრობას პოლიტიკური მტრებიც ყავდა. ნაწილი ბატონიშვილებისა და დიდი ფეოდალებისა ვერ შეურიგდა პოლიტიკური ხელისუფლების ჩამორთმევას. ისინი, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში შეხიზნულნი, ებრძოდენ ახალ ხელისუფლებას, ალექსანდრე ბატონიშვილს სპარსეთთანაც ჰქონდა კავშირი [1]). ის სპარსეთში გაიხიზნა და იქიდან აწარმოებდა მიწერ-მოწერას საქართველოში მყოფ თავის მომხრეებთან და უცდიდა ხელსაყრელ დროს აჯანყებისათვის.

ცხადია, ბატონიშვილი ალექსანდრე და მისი მომხრენი არ დააყოვნებდენ გლეხობის მძიმე მდგომარეობის გამოყენებას თავის მიზნებისათვის.

თავდაპირველად ბატონიშვილები მშვიდობიანი საშუალებით მოქმედებდენ ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. მათ განიზრახეს პეტიციის, თხოვნის მირთმევა იმპერატორისადმი, რომ მას აღედგინა ბაგრატიონთა გვარის მეფობა საქართველოში, და ამრიგად ისინიც დაებრუნებინა პოლიტიკურ სარბიელისათვის. თავ. პ. ციციანოვი 1802 წ. 4 დეკემბერს სწერდა ღენ. კნორინგს, რომ საქართველოში იყო განზრახვა, რომ თავად-აზნაურობას შეედგინა თხოვნა იმპერატორის სახელზე საქართველოში მეფობის აღდგენის შესახებ, ამ საქმეს სათავეში უდგა ალექსანდრე ბატონიშვილი და თავადი გარსევან ჭავჭავაძე, მაგრამ მან მოიწვია თავად-აზნაურობის გონივრული ნაწილი, მოელაპარაკა მათ და ამ განზრახვაზე ხელი ააღებინა. თვით თავად-აზნაურობა არ სთვლიდა ამ საქმეს სერიოზულად, — სწერდა პ. ციციანოვი — რადგან ჩემთან სადილობის ან ვახშმობის

---

[1]) Акты К. А. К. V ტ. № 97.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს არ მალავდენ და გულუბრყვილოდ ასახელებდენ ხელის მომწერთო [1]).

ამის შემდეგ პოლიტიკური ხასიათის გამოსვლები დაკავშირებული იყო ყმების მდგომარეობასთან.

პირველი გამოსვლა მოხდა კახეთში 1802 წელს. ბატონიშვილმა იულონმა გამოაცხადა თავი მეფეთ და ხალხმაც შეფიცა მას. ადგილობრივ, კახეთში ამ გამოსვლას მეთაურობდა ვახტანგ ბატონიშვილი. ეს აჯანყება შეთანხმებული იყო იმერეთში მყოფ ბატონიშვილების მოქმედებასთან. დაიწყო თუ არა გამოსვლები კახეთში, იმერეთში მყოფი ბატონიშვილები მაშინვე ქართლის საზღვრებს მოადგენ. მაგრამ აჯანყება მალე იქნა ჩაქრობილი. ღენ. ტუჩკოვმა კახეთი დაამშვიდა, ვახტანგ ბატონიშვილი მთიულეთში გაიქცა, შემდეგ მალე დანებდა მთავრობას და დანაშაულიც შეინანია. რაკი კახეთში არა გამოვიდა, იმერეთში შეხიზნული ბატონიშვილები იძულებული იყვნენ ქართლის საზღვრებიდან უკან დაეხიათ, მით უფრო, რომ მათ წინააღმდეგ გაგზავნილი იყო ოთხი ზარბაზანი და 2,000 ჯარისკაცი [2]). მთავრობამ მიიღო ზომები გლეხების დასამშვიდებლად: შეაჩერა ჯარისათვის სურსათის აკრება, და სასტიკი ბრძანება გასცა ჯარისადმი, რომ გლეხობა არ შეეწუხებინათ ჯარისკაცებს და ოფიცრებს. [3])

მაგრამ მოხელეების და ბატონების თვითნებობას საზღვარი არ დაედვა. 1809 წელს ქსანის ხეობის გლეხობა შეიკრიბა სოფ. ახალშენში, შეიჭრა ლომისკარში, მოჰკლა თავადები შამშე და რევაზ ერისთავები და სოფლების დასაცავად თავიანთი ყარაულები დააყენეს.

გლეხები მოითხოვდენ: მიგვეცით ერთ რომელიმე თავადს, ჩვენი ბატონი ორმოცი ერისთავია და ყველანი ერთი მეორეზე ტყავს გვაძრობენო; ამას წინად სოფ. ოდძის შეესიენ და მთლად გაანადგურესო. გლეხობა თხოვდა მთავრობას ჯარს ბატონებისაგან დასაცავად: გამოგვიგზავნეთ ჯარი, ჩვენ მივცემთ ბინას, ჩვენ შევინახავთო [4]).

განსაკუთრებით სასტიკი იყო და ფართო ხასიათი მიიღო კახეთის აჯანყებამ 1812 წელს.

საქართველოს გლეხობა ბევრ რამე კარგს მოელოდა ერთმორწმუნე თვითმპყრობელ რუსეთის მთავრობისაგან. ამ მხრივ მისი იმედები არ გამართლდა: ბატონსაც განუსაზღვრელი უფლება მიეცა მათზე და მოხელეებიც უკონტროლოდ და უპასუხისმგებლოდ მოქმე-

---

1) იქვე, ტ. I, № 513.
2) იქვე, ტ. I, № 593.
3) იქვე, ტ. I, № 5114, 516.
4) იქვე, ტ. III, № 207.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებდენ. განსაკუთრებით აუტანელი იყო გლეხობისათვის ჯარისათვის სურსათის მოგროვება და ბეგარა. წინაწლებში საქართველოში მოუსავლობა იყო, ხორბალი არ იშოვებოდა, გლეხობას კი ჩალის ფასად უნდა მიეცა ხორბალი ინტენდანტებისათვის. მოუსავლობას დაერთო ჟამიანობა, რომელმაც ბევრი ხალხი გასწყვიტა და ბევრი ოჯახი გაანადგურა [1]).

ყველა ამას მიემატა მოხელეების მიერ ადგილობრივ ზნე-ჩვეულების უპატივცემულობა და ოჯახის შეურაცხყოფა.

საინტენდანტო მოხელეების შესახებ 1812 წელს მარტში პაულუჩი, ოფიციალური და დიდად პასუხისმგებელი პირი, ასე სწერდა მთავრობას პეტერბურგში: „სასურსათო უწყების მოხელენი ათასობით ჩადიან საზიზღროებასა და უტიფრობას. მცირე ხანია, რაც ჯარის უფროსად ვარ, და ჯერ ვერ გამოვააშკარავე ეს სისაძაგლე და ვერ შევაჩერე ეს ბოროტება, თუმცა გაფაციცებით ვადევნებ თვალყურს. გენერალ თავად ციციანოვის სიკვდილის შემდეგ მოხელენი ხელს არ იღებენ ბოროტმოქმედებაზე ქვეყნის დასაღუპავად და ხაზინის საზარალოდ“ [2]).

„მოხელენი,—სწერს კაპიტანი ანოსოვი—თავიანთ თავს ისე უყურებენ, როგორც ქართველების „კეთილმყოფელთ“, „გამაბედნიერებელთ“ და „მხსნელთ“. ამის გამო რიდი და ხათრი არ ჰქონდათ, არ ერიდებოდენ ადგილობრივ მკვიდრსა და ფიქრობდენ, რომ „ტუზემცები“ უნდა გაიმსჭვალონ მადლიერების გრძნობით და სიტყვის შეუბრუნებლად აასრულონ მათი ჟინი, ახირება და გულის თქმა, თუნდა რომ ნამეტანი წრეს გადასული იყვეს ეს ჟინიანობა და გულის თქმა. მექრთამეობას და ფულის უკანონოთ მობოჭვას საზღვარი არ ჰქონდა. ქრთამის აღებაში ყოველი რიდი და თავაზიანობა მოისპო“ [3]).

ზოგი ზნედაცემული ასეთ საქციელსაც კი ჩადიოდა: „თიანეთის მთვრალთა ოფიცერთა შეიპყრეს დედაკაცი და საშოსა შინა შთაასხეს ძაბრითა ღვინო..... ვერღარა მოითმინეს თიანელთა ესე ვითარი სირცხვილი, იქმნა შფოთი ქართველთა და რუსთა შორის [4]).

თუ მოხელეების, ჯარისკაცების და ოფიცრების ასეთ თვითნებობას მივუმატებთ ბატონების ძალმომრეობას, 1812 წ. ამბოხება ადვილი გასაგებია.

ისიც ცხადია, რომ ისინი, ვინც დაჰკარგა პოლიტიკური გავლენა და უკმაყოფილო იყვნენ შექმნილ მდგომარეობით, ისარგებ-

---

[1]) Акты К. А. К. V ტ. № 97.

[2]) ფრონელი, ამბოხება კახეთისა, 11.

[3]) იქვე, 13 გვ.

[4]) იქვე, 23 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებდენ მთავრობის აგენტების მოქმედებით და ყოველგვარი ნაკლულევანებით ხალხის ასამხედრებლად.

ამბოხებას ხელს უწყობდა სპარსეთის მთავრობაც, რომელიც მუ ამ წინააღმდეგი იყო საქართველოში რუსეთის გავლენის განმტკიცებისა. სპარსეთის გავლენით ლეკებიც ხელს უწყობდენ საქართველოში მდგომარეობის გართულებას. ერთთან და მეორესთან კავშირი ჰქონდათ უკმაყოფილო წრეებს [1]).

ბოდბისხეველნი, ამბოხების შესახებ, შემდეგ ჩვენებას აძლევენ მოურავს თავ. იოსებ ანდრონიკაშვილს: „მთავარმართებლის სახელით გვეკითხებით, რამ გვაიძულა გველალატნა ხელმწიფისათვის და აჯანყება მოგვეხდინა?—ღალატი გულში არ გაგვიტარებია, მაგრამ ცამეტი წლის განმავლობაში, რაც ხელმწიფემ ღირს გაგვხადა მფარველობისა, სული ამოგვხადა უსამართლობამ, ამგვარი უღვთოობა და უბედურება არ გამოგვიცდია ლეკთა, ყიზილბაშთა და ოსმალთა ბატონობის დროსაც კი. ვითმენდით, ვიტანდით თავზე მოვლენილ ჭირსა, რადგან ერთგულების ფიცი მივეცით ხელმწიფეს. მაგრამ როდესაც ხელიდან ცოლები წაგვგლიჯეს, ველარ მოვითმინეთ და ავიშალენით. რუსებმა მოსტაცეს ცოლები ბინობაშვილს, ორი კვირა ჰყავდათ ბოდბისხევში და შემდეგ დაითხოვეს. ბაღაშვილსა და ხოპაშვილს წაართვეს ცოლები, თითო კვირა ჰყავდათ თავიანთსა და მერე დაითხოვეს. ცოლთა გაუპატიურება და ნამუსის ახდა საკუთარის თვალით იხილეს ამ უბედურებმა. კანონი ხელმწიფისა ისეთია, რომ თუ მამაკაცი რასმეს დააშავებს, სასჯელიც დამნაშავეს უნდა გადახდეს. ამის მაგიერ წაავლებდენ ხელს დედაკაცს, ჩახდიდენ ნიფხვებს და ჯოხებით უკან ტანს უჭრელებდნენ.

ამ სიშორიდან გაგვრეკეს ურმებით ფოთში სურსათის საზიდავად. სულ თუთხმეტი ურემი იყო ჩვენი და ერთი ხარი არ დაგვბრუნებია ცოცხალი. ნახევარი მეურმეც გაწყდა ლაშქრობაში, ვინც დაბრუნდა, ისიც ველარ გამოდგა, რადგან სასტიკი ზამთრის გამო ხელ-ფეხი და ტანი დაძრული ჰქონდათ. საითაც კი დაიძროდა ხელმწიფის მხედრობა, ჩვენც უკან მივდევდით ურმებით, დაგვქონდა სურსათი ერევანს, გუმბრს, განჯას და სხვაგან. გავდიოდით სადარაჯოდ და საომრად, ასე რომ თუ სალდათები ანთხევდენ სისხლთა, ჩვენც მათთან ვიჟლიტებოდით. პური იყო ჩვენზე გაწერილი, კოდში ექვს აბაზს იძლეოდენ. მარტო გადატანაში ვაძლევდით თითო მანეთს, ასე რომ კოდზე აბაზი გვრჩებოდა, მაგრამ რადგან შიმშილობის გამო ჩვენი სამყოფიც არა გვქონდა, პურს სხვაგან ვყიდულობდით ოთხ მანეთად კოდს.—ერთხელ სურსათს რომ აგროვებდნენ, მარტო 350

---

[1]) აქტ. კ. ა. კ. V ტ. მარკიზ პაულუჩის მოხსენება. 1812 წლის 26 მარტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქათამი მოგვტაცეს; პურს, ქერსა და ღვინოს ვინღა დასთვლისო? გენერალ პორტნიაგინმა სოფელში ჯარი ჩაგვიყენა. ვიდრე თხუთმეტი ურემი ხორბლით არ გაუგზავნეთ, ჯარი არ მოგვაშორა. პურისა, ღვინისა და საქონლის გარდა 4 ურემი ქერი დახარჯეს თვით სოფელში. ცარცვა-გლეჯისა და ცემატყეპის გარდა სული გაგვიმწარეს ქრთამების აღებით... სამართალი ხომ არ არსებობდა ჩვენთვის. ისპრავნიკი ნამდვილი ძილის გუდა იყო. მომჩივანს კარს არ გაუღებდნენ, ვიდრე ქრთამს არ დაანახებდა. ბავშვებს პურსა ჰგლეჯდნენ ხელიდან, დედაკაცებს კისერზე ქვებს ჰკიდებდნენო. ისპრავნიკმა უდანაშაულო რევაზს და იოსებს 140 მან. წაართვა, მამუკასა და ზურაბს ცხრა-ცხრა თუმანი... ჩვენი აჯანყების მიზეზი სულ გენერალი პორტნიაგინი და ისპრავნიკებია, სხვა არაფერიო. ნეტა ხელმწიფეს რა სარფა ჰქონდა, ჩვენთვის ასეთის დაწიოკება-დარბევისაგანა"-ო [1]).

ამბოხება საშინელი სისასტიკით იქნა ჩაქრობილი. მეამბოხე მხრითაც დიდ დაუზოგველობას ჰქონდა ადგილი. იბრძოდენ, ერთი მხრით, ფეოდალები, რომლებსაც უნდოდათ წართმეული პოლიტიკური ძალაუფლების დაბრუნება. ამათ იკისრეს უკმაყოფილო ხალხის მეთაურობა. მეორე მხარეზე იდგენ ის ფეოდალები, რომლებიც ახალი მთავრობის სამსახურში მოეწყვენ და გლეხობაზედაც განუსაზღვრელი უფლება მოიპოვეს. ესენი ამბოხების ჩაქრობას ხელმძღვანელობდენ.

უკანასკნელთ შორის განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის თავ. თამაზ ორბელიანს; აგრეთვე—კონსტანტინე მუხრან-ბატონს, თორნიკე ერისთავს, იოსებ ანდრონიკაშვილს, ვახტანგ ორბელიანს,—პოეტ ვახტანგ ორბელიანის მამას და სხვათა.

ეს იყო უკანასკნელი ამბოხება, რომელსაც მეთაურებმა მისცეს პოლიტიკური ხასიათი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1832 წლის შეთქმულობის ცდას.

—

1832 წლის თავად-აზნაურობის ერთი ჯგუფის შეთქმულების ცდა დიდი მარცხით გათავდა. ამ შეთქმულების ცდა იყო პოლონეთის აჯანყების გამოძახილი. მას მიზნად ჰქონდა დასახული არსებული მთავრობის დამხობა და მეფობის აღდგენა. შეთქმულებას სათავეში უდგა ბატონიშვილ იულონის შვილი დიმიტრი. დიმიტრიმ სცადა სამსახურში შესვლა და დაწინაურება, მაგრამ შეურაცხყოფილმა მით, რომ მას თავდაპირველად „კოლეჟსკი რეგისტრატორის ჩინი" მისცეს, სამსახურს თავი დაანება და დაიწყო ძალაუფლებაზე ოცნება. დიმიტრი პეტერბურგში ცხოვრობდა; ქართველი ახალგაზრდობა,

---

[1]) ფრონელი. აჯანყება კახეთისა. 13, 161 გვ.; აქტები კ. ა. კ. V ტ., გვ. 61-62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც იმ დროს იქ ცხოვრობდა, თავის გარშემო შემოიკრიბა, ჩაუნერგა მათ აზრი საქართველოში მეფობის აღდგენისა, და ამის შემდეგ მათ მოქმედება საქართველოში დაიწყეს.

დიდ როლს შეთქმულობაში თამაშობდა ელიზბარ ერისთავი. მან მიიმხრო ახალგაზრდა 17 წლის პოეტი გიორგი ერისთავი, მამუკა ჯამბაკურ-ორბელიანი და სხვები, 30 კაცამდის. მონაწილეებს განზრახვა ჰქონდათ თავიანთ გლეხების შეიარაღებისა და სამოქმედოთ გამოყვანისა. შედგა ფანტასტიური გეგმა. დეკემბერში უნდა მომხდარიყო თავად-აზნაურობის ყრილობა. ამის გამო თავად-აზნაურობას უნდა გაემართა ნადიმი, რომელზედაც უნდა მოეწვიათ ყველა ტფილისში მყოფი რუსის დიდი მოხელეები და ამოეწყვიტათ. ამ აქტის შემდეგ ატყდებოდა ზარების რეკა და დაიწყებოდა აჯანყება.

ბევრი მონაწილე, მიდგა თუ არა საქმე შეთქმულების განხორციელებაზე, გონს მოვიდა; ნაწილმა გაითვალისწინა მისი უნიადაგობა და შედეგები და უარი განაცხადა მონაწილეობაზე. ერთმა კი, ღუბერნატორ ევსევი ფალავანდიშვილის ძმამ, გასცა შეთქმულება და მისი ყველა მონაწილენი.

ამის შემდეგ მთავარი დიმიტრი პეტერბურგიდან გადაასახლეს სმოლენსკში, ხოლო დანარჩენნი რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში. შემდეგ ბევრმა მათგანმა აღიარა თავის შეცდომა, არსებულ წესწყობილებას მიემხრო და ზოგ მათგანს პასუხსაგები ადგილებიც ეჭირათ კავკასიაში და საქართველოშიაც [1]).

—

გლეხობის დიდ აჯანყებას ჰქონდა ადგილი ქუთაისის გუბერნიაში, საბეკის რაიონში 1841 წელს და ამაღლება-ბაღდათის რაიონში 1858 წელს. გლეხობა იკრიბებოდა და გამოქონდა დადგენილება ბეგარის, გადასახადების და ბატონთან სამსახურის გაუქმების შესახებ, მოითხოვდენ სრულ თავისუფლებას. აღნიშნავდენ ბატონების მხრით სასტიკ მოპყრობას და ბეგარა-გადასახადების სიმძიმეს. განსაკუთრებით ძნელი იყო გლეხობისათვის ცხენების გამოყვანა და საზღვრის დაცვა.

ამ ამბოხების დასაწყნარებლად მთავრობამ ორგვარ ზომას მიმართა: წინადადება მისცა მემამულეთ არ შეევიწროვებინათ გლეხობა, და მეორე მხრით — ურჩთ, წესიერების დამრღვევთ იარაღით იმორჩილებდა [2]).

—

[1]) Иванюков, Гражд. Управ. Закав. 193 стр.

[2]) С. Авалиани. Крест. вопрос, 162 გვ.; აქტი კ. ა. კ. IV ტ., № 349.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავგანწირული იყო ოსების აჯანყება თავ. მაჩაბლების და ერისთავების წინააღმდეგ 1840 წელს.

ჯერ კიდევ 1814 წელს არხიმანდრიტმა დოსითეომ, რომელსაც დავალებული ჰქონდა ოსეთში ქრისტიანობის გავრცელება, დააყენა საკითხი პეტერბურგში თავად მაჩაბლის და ერისთავის გლეხების განთავისუფლების შესახებ, რადგან, მისი აზრით, სანამ გლეხები არ იქნებიან განთავისუფლებულნი იმ შევიწროებისაგან, რომელსაც მათ მემამულეები აყენებენ, შეუძლებელია გლეხებს რაიმე დაეჯერებინათ ქრისტიანობის გამავრცელებელ კომისიისა. ამ საბუთმა მიიქცია მთავრობის ყურადღება და 1814 წელს 31 აგვისტოს მთავრობამ უბრძანა კავკასიის მართველს რტიშჩევს, რომ ქსნის და გვერდისძირის გლეხები თავის ქონებით გადაერიცხა სახაზინო გლეხებათ, ხოლო თავ. მაჩაბლის და ერისთავისათვის დაენიშნა წლიურად 10 ათასი მანეთი.

მაგრამ რტიშჩევს მთავრობის ასეთი გადაწყვეტილება მიაჩნდა უტაქტოთ და აყოვნებდა მის სისრულეში მოყვანას. მისი აზრით, მაჩაბლის და ერისთვის გლეხების განთავისუფლების ფაქტს შეეძლო გამოეწვია არევ-დარევა მემამულეთა და გლეხთა წრეებში. ხოლო კავკასიის მთავარმართებელი ერმოლოვი კი გადაჭრით წინააღმდეგი იყო მთავრობის ასეთი დადგენილებისა და მისი ზეგავლენით მთავრობამ 1817 წ. 8 თებერვალს გააუქმა წინანდელი თავის გადაწყვეტილება მაჩაბლის და ერისთავის გლეხების განთავისუფლების შესახებ.

ამის შემდეგ თავ. მაჩაბლების ჩვეულებრივმა შევიწროებამ გამოიწვია გლეხების პერიოდიული ურჩობა, რომელიც 1840 წელს აჯანყებად გადაიქცა. აჯანყებულ გლეხობის დასაწყნარებლად გაგზავნილ იქნა სამხედრო ექსპედიცია 2.000 ჯარისკაცისაგან შემდგარი და სამთო არტილერია პოლკოვნიკ ანდრონიკაშვილის მეთაურობით. მას ებრძანა, რათაც არ უნდა დაჯდომოდა, სასტიკად დაესაჯა ურჩი გლეხობა. ექსპედიცია გლეხობამ მიიღო, როგორც მტრის შემოსევა. გლეხობა ჩაება ექსპედიციასთან ბრძოლაში, გაიხიზნა მიუვალ ადგილებში და თავგანწირულად იბრძოდა. ექსპედიცია ზარბაზნების ყუმბარებით ანადგურებდა სოფლებს. სოფ. ბაგიად-კარში რამდენიმე ოჯახი ქალებით და ბავშვებით გამაგრდა ერთ კოშკში და არასგზით არ დამორჩილდა ექსპედიციას: „ეს ციხე ჩვენ ამოვირჩიეთ სამარეთ, დავიხოცებით, მაგრამ არ დაგნებდებით“-ო, შემოუთვალეს მათ პოლ. ანდრონიკაშვილს. ექსპედიციის უფროსის ბრძანებით, კოშკში შეყარეს ჩალა, წაუკიდეს მას ცეცხლი და იქ მყოფი გლეხები თავის ცოლ-შვილით გამოიხჩვენ და დაიწვენ [1]).

—

[1]) Иванюков. Гражд. Управ. Закавказья, 336 стр.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი გლეხთა მოძრაობა იყო 1841 წელს გურიაშიაც, სადაც იგივე მიზეზები მოკმედებდენ, რაც სხვა ადგილებში, უმთავრესად ბატონ-ყმური ურთიერთობა; მაგრამ გურიის აჯანყებაში ოსმალეთის ხელიც ერია. ოსმალეთისათვის მიუღებელი იყო კავკასიის ქედის ამ მხარეზე რუსეთის გავლენის გაფართოვება; ამიტომ ის ხელს უწყობდა მოსაზღვრე გურიაში არევ-დარევას, მისი აგენტი ქობულეთელი ხასანბეგ თავდგირიძე გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა გურიის გლეხობის მდგომარეობას და ამხედრებდა მათ მთავრობის წინააღმდეგ.

მოძრაობა სოფ. ხვარბეთიდან დაიწყო და მთელ გურიას მოედვა. ამბოხებული გლეხობა უარს აცხადებდა ყოველგვარ გადასახადების გამოღებაზე, გადადიოდა ერთი სოფლიდან მეორეში, აწყობდა კრებებს, მოუწოდებდა გლეხებს ხელი აეღოთ ბატონის სამუშაოზე, აფიცებდა მათ ხატზე და ჯვარზე, და ამგვარად მთელი გურია აჯანყებამ მოიცვა. აჯანყების ერთი მეთაურთაგანი იყო გლეხობაში კარგად ცნობილი და გავლენიანი ყმა ოთარ ლომინაძე [1]).

გურიის აჯანყების ამბები მოთხრობილი აქვს ეგ. ნინოშვილს ისტორიულ რომანში „ჯანყი გურიაში“ ანუ „სამწუხარო შედეგები“ [2]). აჯანყებული გლეხობის წინააღმდეგ მემამულეების დამცველნი იყო გურიაში მდგომი ჯარის ნაწილები; ამიტომ, სადაც კი იდგა მცირერიცხოვანი ჯარის ნაწილები, გლეხობამ შეიპყრო, ალაგ-ალაგ შეტაკებაც ქონდა მათთან. მაგრამ აჯანყებულები ოზურგეთში მაინც ვერ შევიდენ. მათ დაიჭირეს ოზურგეთში მიმავალი გზები და მოსწყვიტეს ის ქუთაისს და სხვა ადგილებს, საიდანაც შესაძლო იყო მაშველი ჯარის გამოგზავნა.

პეტერბურგიდან მოვიდა ფიცხელი განკარგულება, რომ მიეღოთ სასწრაფო ზომები ამბოხების ჩასაქრობათ, და ამავე დროს ნაბრძანები იყო, რომ რადგან შესაძლოა აჯანყება გამოიწვია ადგილობრივ მოხელეების ბოროტმოქმედებამ, ამიტომ მოხდეს გამოძიება, ხოლო მანამდე შეჩერდეს გადასახადების აკრებაო. მაგრამ მაინც საჭირო შეიქნა იარაღისათვის მიმართვა. გურიის დასაწყნარებლად გაგზავნილ იქნა პოლკოვნიკი თავ. არღუთინსკი, ოომლის განკარგულებაში, მილიციის გარდა, იყო გრენადერის პოლკის $2^1/_2$ ბათალიონი, მინგრელსკის და ეგერის პოლკის ორი რაზმი, ქართული პოლკის ხუთი რაზმი და ათი ზარბაზანი [3]).

აჯანყებულები დამარცხდენ. მათ შეფიცეს მთავრობას და დამორჩილდენ თავიანთ ბატონებს. მეთაურებს ას-ასი როზგი დაჰკრეს.

---

[1]) ფაქტიური მასალები, ზ. ჟიჟინაძე, 3 ტ., 68 გვ.

[2]) ეგ. ნინოშვილი, 15 გვ. 1920 წ. გამოცემა.

[3]) აქტები კ. ა. კ. 9 ტ. № 194.; Авалиани, крест. вопрос, 163 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, უკვე შერყეული ბატონ-ყმური ურთიერთობა თვითმპყრობელობამ და მისმა მხედრობამ როზგით შეამაგრა.

—

განსაკუთრებით ძლიერი და საყურადღებო იყო სამეგრელოს ამბოხება 1857 წელს.

ბატონ-ყმური დამოკიდებულება სამეგრელოში თავის სიმკაცრით აჭარბებდა იმერეთის და ქართლ-კახეთის ყმების მდგომარეობას. სამეგრელოში უფრო მძიმე იყო ყმის მდგომარეობა მით, რომ ყმებით აღებმიცემობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო, რასაც ხელს უწყობდა სამეგრელოს გეოგრაფიული მდებარეობა, ზღვის სიახლოვე და ოსმალეთის მეზობლობა.

ყმებს ქონდათ სრული საბუთი ბატონების წინააღმდეგ ამბოხებისა. მაგრამ ამ ძირითად საბუთს თან დაერთო სხვა მიზეზებიც.

სამეგრელო რუსეთს შეუერთდა 1803 წელს, როგორც ვასალური სამთავრო. მან შეინარჩუნა თავის შინაური მართვა-გამგებლობა და „დადიანობა". შეერთების შემდეგ მას განაგებდა მთავარი დავით დადიანი, რომლის გარდაცვალების შემდეგ 1857 წ., რადგან მისი მემკვიდრე ნიკოლოზ დადიანი მცირეწლოვანი იყო, მის მეურვედ და სამეგრელოს მმართველად დაინიშნა დედა მისი, ეკატერინე დადიანისა.

ცხადია, რომ რუსეთის თვითმპყრობელობისათვის არ იყო მისაღები ასეთი ადგილობრივი მმართველობა, ამიტომ მას არაფერი ექნებოდა მის წინააღმდეგ, თუ სამეგრელოში შეიქნებოდა ისეთი მდგომარეობა, რომელიც საბაბს მისცემდა მას მოესპო ეს მმართველობა. ამ ხაზს ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ სამეგრელოს მმართველ წრეებში არ იყო ერთსულოვნება: თავადი დადიანები მტრობდენ ერთი მეორეს, განსაკუთრებით გრიგოლი და კონსტანტინე. თავადაზნაურობაც დაყოფილი იყო; ზოგი იყო გრიგოლის მომხრე, ზოგი კონსტანტინესი და ზოგი ეკატერინესი. გაჩაღებული იყო პირადი მტრობა, შური, ინტრიგანობა და ერთი მეორის სახელის გატეხა.

იყვენ ისეთებიც, რომლებიც არ იყვნენ დადიანების მმართველობის მომხრენი, და სამეგრელოსათვის უფრო სასარგებლოდ სთვლიდენ ისეთივე მმართველობის შემოღებას, როგორიც იყო ქართლ-კახეთ-იმერეთში. ამ „რუსულ პარტიას" ეკუთვნოდენ ელიზბარ დადიანი, თავადი ფაღავა, მხეიძე, მიქაძე, დგებუაძე და სხვები.

აჯანყება 1857 წელს ჯვარის რაიონში დაიწყო, მოედვა მარტვილის, ზუგდიდის და სხვა რაიონებს და თითქმის მთელი სამეგრელო ამბოხების ცეცხლში გაეხვია.

დიდძალი გლეხობა, შეიარაღებული თოფებით, ნაჯახებით, ცულებით, კეტებით და სხვა გადადიოდა ერთი რაიონიდან მეორეში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ართმევდა თავად-აზნაურობას მოსამსახურეთ, ხსნიდა გლეხებს სამუშაოდან, აფიცებდა მათ და მოითხოვდა ბატონებისაგან განთავისუფლებას. მორჩილებიდან გამოსული გლეხობა არ ჩადიოდა არავითარ დარბევას და ცარცვა-გლეჯას. ზოგს ხელში ხატი და ჯვარიც კი ეჭირა.

ამბოხებას მეთაურობდენ მჭედელი უტუ მიქავა, „კეისრად" წოდებული და უტუ თოდუა.[1]) ამ აჯანყებაში არ ერია არც ერთი თავად-აზნაურთაგანი, და ის სავსებით მიმართული იყო მათ წინააღმდეგ, როგორც მემამულეების და მმართველებისა.

ამბოხებას მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა და ადგილობრივ შექმნილ მდგომარეობის წინააღმდეგ იყო მიმართული, თუმცა აჯანყებულებს შორის გაისმოდა უფრო ფართო ლოზუნგებიც, მაგ., „ფუფუნება ცოდვაა; ყველანი ძმები ვართ".

აჯანყება დაიწყო მაშინ, როდესაც სამეგრელოს მმართველი ეკატერინე სამეგრელოში არ იყო, პეტერბურგში იმყოფებოდა. ჩამოვიდა თუ არა, მმართველმა მაშინვე ინახულა აჯანყებულები. მათ შესჩივლეს მას თავიანთი გაჭირვება: ბატონების თვითნებობა, შევიწროება, სიცოცხლის და ქონების უუზრუნველყოფა, გადასახადების და ბეგარის სიმძიმე და სხვა.

მმართველმა აღუთქვა მათ განცხადების გარჩევა და წინადადება მისცა დაწყნარებულიყვენ, დაშლილიყვენ და განეგრძოთ მშვიდობიანი მუშაობა.

ხელმძღვანელებმა აღუთქვეს მმართველს, რომ დაუცდიან მის განკარგულებას, მაგრამ მოძრაობა მაინც არ შეწყდა. მდ. ხოპის მარჯვენა მხარეზე მან კვლავ იფეთქა. მაშინ მმართველმა მიმართა ქუთაისის გუბერნატორს კოლუბიაკინს, რომ მას გამოეგზავნა სამეგრელოში ჯარი აჯანყებულების დასაწყნარებლად. ქუთაისის გუბერნატორმა შეიწყნარა ეს თხოვნა, გაგზავნა ჯარი და თვითონაც წავიდა სამეგრელოში თავ. ერისთავის და მიქელაძის თანხლებით.

სენაკში მან ინახულა მმართველი ეკატერინე დადიანისა და ჰქონდა მასთან თათბირი. აქ გუბერნატორმა გაიგო, რომ აჯანყებულები თავმოყრილნი იყვნენ ახლო, 25 ვერსის მანძილზე.

კოლუბიაკინი ჯარით გაეშურა მათკენ.

გზაზე მას შეხვდა დიდძალი შეიარაღებული ხალხი მიქავას მეთაურობით, რომელიც ცხენოსანი, რუსულ ტანსაცმელში გამოწყობილი, მოუძღოდა შეიარაღებულ ხალხს.

---

[1]) Иванюков. Граж. Упр. Зак. 492 გვ.; კოლხიდელი. გლეხების აჯანყება სამეგრელოში და სახალხო ტრიბუნი უტუ მიქავა. გვ. 44, გამოც. 1926 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის გუბერნატორს კოლუბიაკინს წარუდგა აჯანყებულების მეთაური უტუ მიქავა და მოახსენა:

„დაახლოვებით წლის უკან სამშობლო ჩვენი გარემოცული იყო ოსმალეთის ჯარით; მტერმა გასწყვიტა, დაანგრია ყველაფერი, რასაც მისი ხელი მიწვდა. შველას ჩვენ არსაიდან არ მოველოდით: რუსის ჯარი ჩვენგან წავიდა და ჩვენმა მებატონეებმა კი დახმარების მაგიერად დაიწყეს ბავშების მოტაცება და ოსმალეთში გაყიდვა; აუარებელი ბავში წაათრიეს უკანასკნელებმა ოსმალეთში.

მოგვშორდენ ოსმალები, მაგრამ ჩვენი მებატონეები თვით ოსმალებზე უფრო სასტიკად მოგვეპყრენ. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენი შრომის ყოველგვარი ნაყოფი მათ სასარგებლოთ მიდის... პირუტყვი უფრო ფასდება, ვიდრე ჩვენ... იქ-კი, ცხენისწყლის გაღმა, არავითარ მსგავსს მოვლენას არა აქვს ადგილი. ჩვენ ვიცით, რომ ისინი იქ არ დგანან პირუტყვზე დაბლა, რომ იქ არსებობს მათთვის სამართალი და კანონი. რად ვართ ჩვენ ასე მოძულებული ღვთისაგან, რომ ჩვენშიაც არ დამყარდა ასეთივე რამ?... ჩვენ შევერთდით ამხანაგურად და ძალადობას ძალადობით ვუპასუხეთ... ჩვენ ჩამოვართვით მათ ჯაჭვები და ხაჯალურები, რომლებითაც ისინი მთელი წლობით გვტანჯავდენ. გამოვიყვანეთ მათი სახლებიდან დები, ქალიშვილები, რომლებსაც ისინი ხასებად იყენებდენ მოახლის სახელწოდებით, და ქრისტიანულად დავაქორწინეთ... სამშობლო ჩვენთვის მობეზრებულა... რაღაა ის სამშობლო, სადაც შეუძლებელია თავის შეფარება, სადაც შენზე, ვით მხეცზე, ნადირობენ. დედოფალმა ყველაფერი ეს უწყოდა ჩვენგან, მაგრამ მას ჩვენი შველა არ უნდოდა“ [1]).

აჯანყებულები მოითხოვდენ: კაცის (ბატონის) კაცი არ უნდა არსებობდეს; არა ბატონთა მმართველობა, ერთი კანონიერი მმართველობა; ყმებით აღებმიცემობის მოსპობა; გადასახადების განსაზღვრა; საკუთრების ნორმა და მისი უზრუნველყოფა; ბატონსა და ყმის შორის სასამართლოს შემოღება [2]).

ღენერ. კოლუბიაკინმა სამეგრელოს მდგომარეობის გამოსაკვლევად დანიშნა ქართველი თავადები ერისთავი და მიქელაძე, რომლებიც ხოპის მონასტერში შეხვდენ აჯანყებულების მეთაურთ მიქავას და თოდუას და ეთათბირენ სამეგრელოს საქმეების გამო.

ხოპის მონასტერში მოვიდა დედოფალიც და ინახულა მიქავა. მათ შორის საინტერესო საუბარს ჰქონდა ადგილი:

---

[1]) კოლხიდელი. გლეხების აჯანყება სამეგრელოში და სახალხო ტრიბუნ უტუ მიქავა, 44-47 გვ.

[2]) იქვე, 47 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიქავა, შენ ამოგარჩია გლეხებმა; რატომ ჩემთან არ მოდი და არ შემომჩივლე მათი გაჭირვება? შენ ხომ იცი, რომ ჩემთან მოსვლა ყველას შეუძლია? მე არაფერი ვიცოდი თქვენი გაჭირვების შესახებ.

— მიტომ არ მოვედი, დედოფალო, რომ თქვენ არ შეგიძლიათ დაგვეხმაროთ. აი, ამ მთის ძირში ცხოვრობს ერთი შენი გლეხი. მას ერთად-ერთი მარჩენალი ძროხა ყავდა. ერთი საათის წინეთ შენმა კაცებმა წაართვეს მას ძროხა, დაჰკლეს და ეხლა მწვადებს ამზადებენ. თქვენ რით დაგვეხმარებით, დედოფალო, თქვენი მსახურნი რას ჩადიან, თქვენ არ იცით [1]).

ღენერ. კოლუბიაკინი რომ გამოძიებას შეუდგა, სამეგრელოს მმართველმა უმაღლეს მთავრობას მიმართა და შესჩივლა, რომ კოლუბიაკინი არ იღებს გადამჭრელ ზომებს, ის ორჭოფობს და მღელვარება თანდათან იზრდებაო. მართლა, ხალხი არ მშვიდდებოდა, არ ცხრებოდა და თანდათან ღელავდა.

კოლუბიაკინი მალე დააშორეს როგორც ქუთაისის გუბერნიას, ისე სამეგრელოს, უმნიშვნელო დავალებით მარსელში გაგზავნეს, და სამეგრელოში წესიერების აღსადგენად მთავრობამ გაგზავნა სასამართლოს წევრი იპოლიტე დიკრუასი. უკანასკნელმა სასტიკ ზომებს მიმართა: მეთაურები შეიპყრა და პასუხისგებაში მისცა. უტუ მიქავა და თოდუა ხუთ-ხუთი წლით გადაასახლეს რუსეთში და სხვა მეთაურები სხვადასხვა ვადით. ყოველ ათ კაცზე თითოს 25 როზგი დაჰკრეს და ასეთი ხაზით წესიერება აღადგინეს [2]). იმავე დროს დადიანების მმართველობა 1857 წელს სამეგრელოში გაუქმებულ იქნა და შემოღებულ იქნა „დროებითი საბჭო“ იმავე დიკრუასის თავმჯდომარეობით [3]).

—

უკანასკნელი გლეხთა მოძრაობა იყო 1861 წელს გურიაში. ამ ხანად ქართულ მწერლობაში უკვე ნათქვამი იყო გაბედული სიტყვა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ 1859 წელს ყუმბარასავით გასკდა ქართველ საზოგადოებაში; 1861 წელს რუსეთში დაეცა ბატონ-ყმობა. ამავე წელს გურიის გლეხობა, განსაკუთრებით თავად გურიელის და ნაკაშიძეების გლეხობა, კვლავ აჯანყდა და მოითხოვდა ბატონ-ყმურ მდგომარეობიდან განთავისუფლებას.

ეხლა მთავრობა გურიაში გაგზავნილ პირებს ავალებდა, რომ არ მიემართათ სასტიკ ზომებისათვის, დაერწმუნებინათ გლეხობა, რომ

---

[1]) Иванюков. Граж. управ. Зак., 476 გვ.; კოლხიდელი, 82 გვ.

[2]) კოლხიდელი, 65 გვ.; Иванюков. Граж. управ. Закав.

[3]) აქტები კ. ა. კ. XII ტ. № 231, 24, 179, 276, 229. С. Авалиани, Креет вопрс с в Зак. 168—169 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთბაშათ და ნაჩქარევად შეუძლებელია ასეთი დიდი საკითხის გადაწყვეტა, ხოლო თავად-აზნაურობა, რომ დაუშვებელია უსაზღვრო თვითნებობა [1]). დაწყებული მოძრაობის შეჩერება ხიშტებით შეუძლებელი იყო. ხვალ ან ზეგ კიდევ იფეთქებდა. ამიტომ 1862 წელს 1 იანვარს ქუთაისის გუბერნატორმა აცნობა მთავრობას, რომ ერთადერთი გამოსავალია საქართველოშიაც გლეხთა განმათავისუფლებელი რეფორმების გატარებაო [2]).

ამგვარად, მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე გლეხობა სტიქიურად და თანდათან შეგნებულად იბრძოდა თავისუფლებისათვის.

შ ე დ ა რ ე ბ ა.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ქართველ და რუსის ყმებს ერთი თვითმპყრობელობის და მებატონეების უღელი ადგა კისერზე, მათ ერთად უნდა გადაეგდოთ ეს უღელი, ერთად უნდა ეწარმოებინათ ბრძოლა მჩაგვრელის წინააღმდეგ.

იმ ხანად არც რუსეთის გლეხობის მდგომარეობა იყო სახარბიელო.

რუსეთში მხოლოდ 1857 წელს დაისვა საკითხი: მიცემოდა თუ არა გლეხს ცოლის შერთვის უფლება ბატონის ნებადაურთველად, საკუთრების შეძენის უფლება, შეზღუდული უნდა ყოფილიყო თუ არა მემამულის უფლება გლეხებს შორის ამტყდარ დავის გარჩევისა, გლეხების დასჯისა, მათი გადასახლებისა ციმბირში მებატონეს განკარგულებით, მიეცემოდა თუ არა, გლეხს საჩივრის აღძვრის უფლება მებატონის წინააღმდეგ, და სხვა და სხვა.

გლეხების ყიდვა-გაყიდვა იმ ხანად რუსეთშიაც არსებობდა. მხოლოდ 1841 წელს აღკრძალულ იქნა ოჯახის წევრების ცალ-ცალკე გაყიდვა, 1843 წელს კი უმიწოთ გაყიდვა და გაზეთებში მათი გაყიდვის განცხადებების ბეჭდვა [3]).

„ევროპეიზაცია"-ს რუსეთშიაც ისეთი შედეგი ჰქონდა, როგორც ჩვენში:

მემამულეების ახალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება გლეხობას დააწვა:

---

[1]) აქტები კ. ა. კ. IV ტ.

[2]) იქვე, XII ტ.

[3]) Князев. Падение креп. права в России, 17 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18 საუკ. დასაწყისში მემამულის სასარგებლოდ გადასახადი სულზე იყო . . . 40 კ.—1 მ.
18 საუკ. საშუალო წლებში მემამულის სასარგებლოდ გადასახადი სულზე იყო . . . 2 მ.
18 საუკ. დამლევს მემამულის სასარგებლოდ გადასახადი სულზე იყო . . . . . 5 მ.
19 საუკ. შუა წლებში მემამულის სასარგებლოდ გადასახადი სულზე იყო . . . 20—24 მ.

ამავე დროს გლეხობას დასამუშავებელი მიწის რაოდენობა უმცირდებოდა: განთავისუფლების წინა წლებში, მაგ., ტვერის გუბერნიის გლეხს ჰქონდა 9,10% სავარგისი მიწა, მემამულეს კი 90,90%; ხერსონის გუბერნიაში გლეხობას 13,40%, მემამულეს კი —86.60%; ეკატერინესლავის გუბერნიაში გლეხობას 18,43%, მემამულეს—81,57%; პოლტავის გლეხს—31,37%; მემამულეს—68,63%; ხარკოვის გლეხს—31,82%, მემამულეს—68,18% [1]).

ამგვარად, ჩვენშიაც და რუსეთშიაც გლეხობა საერთოთ ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ჩვენში ოსმალეთის და სპარსეთის მეზობლობა ყმის ცხოვრების ზოგიერთ მხარეებს აუარესებდა, და თვითმპყრობელი მთავრობის პოლიტიკაც ამ უარყოფით მოვლენებს არ ებრძოდა.

მაგრამ ვერც ჩვენი და ვერც რუსეთის გლეხობა ველარ ეგუება არსებულ ძალმომრეობას და ებრძვის მას. მე-50 წლების ყირიმის სამხედრო კამპანიამ სავსებით გამოამჟღავნა რუსეთში არსებული წესწყობილების უვარგისობა და დაძაბუნება. ამ ხანად რუსეთში უკვე სწარმოებდა ბრძოლა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. მწერლობაც აშკარად ილაშქრებდა ამ უსამართლობის წინააღმდეგ. ხალხი სტიქიურად იბრძოდა მის წინააღმდეგ.

1854 წ. გამოიცა განკარგულება სახალხო ლაშქარში ჩაწერის შესახებ. რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში გავრცელდა ხმა, რომ ვინც ლაშქარში ჩაეწერება, ის მიიღებს თავისუფლებასო. ამ ხმების გამო მთელი გუბერნიების გლეხობა დაიძრა ცენტრისაკენ,—ლაშქარში მიგვიღეთ, თავისუფლება გვინდაო. ვერაფერმა ვერ შეაჩერა ეს ზღვა ხალხი. ვინც აუხსნიდა—განუმარტავდა ასეთი ხმების უსაფუძვლობას, მტრად სთლიდენ და სიკვდილით ემუქრებოდენ. რიაზანის, ვლადიმირის, ნიჟნი-ნოვგოროდის, ტობოლის, პენზის, სარატოვის, სიმბირის, ვორონეჟის, კიევის და სხვა გუბერნიების გლეხობა მოიხსნა სოფლებიდან და საგუბერნიო ქალაქებს მიაშურა. მოხელეებს და

---

[1]) Экономическое развитие и классовая борьба в XIX и XX в.в. Вознесенский, 68 стр.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდლებს კეტებით, დაერიენ,— ხელმწიფის ბრძანებას არ გვიცხადებთო. არ გასჭრა არავითარმა ზომამ: არც ციმბირში გაგზავნამ, არც როზგმა და არც სხვა სასტიკმა ზომებმა. განთავისუფლება სიზმრად ჰქონდა გადაქცეული გლეხობას და არავის არ უჯერებდა საწინააღმდეგოს. ბევრ ადგილას მოხდა შეტაკება ჯარსა და გლეხებს შორის და სისხლიც დაიღვარა.

1848 წელს რუსეთში 64 სხვადასხვა ადგილას აჯანყდა გლეხობა, 1852 წელს 44-ჯერ; გლეხთა მოძრაობა დიდად გაიზარდა [1]).

---

[1]) Иванюков. Падение креп. права в России, 9—11 стр.;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდლებს კეტებით, დაერიენ,— ხელმწიფის ბრძანებას არ გვიცხადებთო. არ გასჭრა არავითარმა ზომამ: არც ციმბირში გაგზავნამ, არც როზგმა და არც სხვა სასტიკმა ზომებმა. განთავისუფლება სიზმრად ჰქონდა გადაქცეული გლეხობას და არავის არ უჯერებდა საწინააღმდეგოს. ბევრ ადგილას მოხდა შეტაკება ჯარსა და გლეხებს შორის და სისხლიც დაიღვარა.

1848 წელს რუსეთში 64 სხვადასხვა ადგილას აჯანყდა გლეხობა, 1852 წელს 44-ჯერ; გლეხთა მოძრაობა დიდად გაიზარდა [1]).

---

[1]) Иванюков. Падение креп. права в России, 9—11 стр.;

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII. ლიტერატურა.

გ. ერისთავის და ივ. კერესელიძის „ცისკარი".

ამბობენ—ლიტერატურა ცხოვრების სარკეაო. ეს არ ითქმის მე-19 საუკ. პირველი ნახევრის ჩვენ მწერლობაზე მთლიანად.

მაშინ, როდესაც ფეოდალურ წეს-წყობილების საფუძველი—ბატონ-ყმური ურთიერთობა—ერთი მხრით, რყვნიდა და ანებივრებდა მმართველ წრეებს და, მეორე მხრით—ანადგურებდა გლეხობას, ართმევდა მას ყოველგვარ უფლებებს,—მწერლობა და პრესა სდუმდა, კრინტსაც არ სძრავდა ამ რისხვის წინააღმდეგ.

მაშინ, როდესაც თვითმპყრობელმა ხელისუფლებამ მექრთამე მოხელეობის და დაუზოგველ ბიუროკრატიზმის წუმპეში ჩაყარა მოწინავე წოდება და თავის მიზნების ბრმა იარაღათ გაიხადა,—ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელნი სიტყვით, საქმით და მწერლობით ქება-ხოტბას ასხამდენ თვითმპყრობელ მეფეს და მის წინაშე ქედს იხრიდენ.

ახალმა მმართველობამ და ცხოვრების ხახალმა პირობებმა გააბრუა საზოგადოება, ე. ი. თავად-აზნაურობა, დაქსაქსა ის, გზა-კვალი აუბნია, თავის ბუდიდან ამოაგდო, ხოლო ახალი მან ჯერ ვერ მ ოძებნა.

დეზორგანიზაციაქმნილი საზოგადოება, მწერლობა, პრესა თითქმის დამუნჯდა.

„საქართველოს გაზეთი" (1817 წ.), „ქართული გაზეთი" (1821), „ტფილისის უწყებანი" (1832), „კავკასიის მხარეთა უწყებანი" (1845) ხშირად ათავსებენ თავის ფურცლებზე განცხადებებს ყმების საჯაროდ გაყიდვის შესახებ, მაგრამ თანამედროვე ცხოვრების, მისი ავ-კარგიანობის შესახებ სრულებით არაფერს.

მაგრამ ადრე თუ გვიან დამუნჯებულ და დამონებულ საზოგადოებას ენა უნდა ამოეღო, გონს მოსულიყო და ცხოვრების სიდუხჭირეზე ვინმეს უნდა მიეთითებინა.

ეს კარგად ესმოდა კავკასიის მეფის მოადგილეს თავ. ვორონცოვს, რომელიც ჩვენში მე-50 წლებში მოღვაწეობდა.

რუსეთის ცხოვრების მოვლენები: „დეკაბრისტები", „სტანკევიჩის წრე": გერცენი, ოგარევი, ბაკუნინი, ბელინსკი; პეტრაშევის საქმე და სხვა თავ. ვორონცოვს საბუთს აძლევდა ყურადღება მიექცია ხალხის კულტურულ მოთხოვნილებისათვის იმ მოსაზრებით, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი აზროვნება დაემორჩილებინა, ხელში დაეჭირა და გამოეყენებინა.

ამიტომ თავ. ვორონცოვმა დაიბარა პლატონ იოსელიანი და გ. ერისთავი და აღუთქვა დახმარება წიგნების დაბეჭდვისათვის.

„ცისკარის“ 1-№-ში მოყვანილი იყო ეს ცნობა და აგრეთვე განცხადება, რომ მზადდება დასაბეჭდად „მოგზაურობა ტიმოთე ეპისკოპოსისა“-ო.

რასაკვირველია, თავ. ვორონცოვს არაფერი საწინააღმდეგო ექნებოდა ისეთი წიგნების ბეჭდვის, როგორც ტიმოთე ეპისკოპოსის მოგზაურობა იყო. მას კარგად ესმოდა, რომ მე-50 წლებში საჭირო იყო ცოტა რამ კულტურულ საკენკის გადაგდება, რომ საზოგადოებას მით თავი შეექცია.

„ცისკარი“ გ. ერისთავის რედაქტორობით ნამესტნიკის სტამბაში იბეჭდებოდა და ნამესტნიკი ფულითაც ეხმარებოდა, ჟურნალის №№-ს შეძენის სახით.

ტყუილად დაუწყებთ გ. ერისთავის „ცისკარ“-ში (1852-1854) ძებნას რაიმე სადღეისო საკითხების დაყენებას, ან თანამედროვე ცხოვრების მოვლენების დაფასებას. „ცისკარი“ არაფერს ამბობს იმ დიდ მოვლენაზე, რომელსაც საქართველოში მონობაში ყავდა ხალხის დიდი უმრავლესობა, ბატონ-ყმობაზე. გ. ერისთავი თავის სატირებში და კომედიებში ამჟღავნებს ცხოვრების ზოგიერთ უარყოფით მხარეებს: მოსამართლეთა მექრთამეობას, მემამულეთა უდარდელობას, დავალიანებას და სხვა:

„ასი თუმანით, აბა რას ბრძანებთ,
სუდსა, პალატას ხელით ვაქანებ.
ჩვენ სუდიასა — ა იმ კუკნასა,
სულ ვათამაშებ ლეკურ-ბუქნასა;
და სეკლეტარსა მე ოც თუმნათა
გნებავთ გაგიხდით მაიმუნათა“ [1]).

მაგრამ არსებითად არ ეხება გლეხობის უმწეო მდგომარეობას და ბატონების ძალ-მომრეობას.

ყველაფერს წაიკითხავთ გ. ერისთავის „ცისკარში“, „ბატის მომზადებასაც“ კი, მაგრამ ვერ ნახავთ გლეხზე და ბატონზე, მათ ურთიერთობაზე და მდგომარეობაზე რაიმე საბუთიან და აშკარა აზრის გამოთქმას.

თავ. ალ. ჭავჭავაძე ღვინოს და ქალებს უმღერდა; თავ. გრ. ორბელიანი ბუნების აღწერას მიეცა; თავ. ვახტანგ ორბელიანი საქართველოს წარსულს დასტიროდა; მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილი, „სულით დაობლებული“, ვერ ხედავს რა სანუგეშო რამეს თა-

---

[1]) გ. ერისთავი, „გაყრა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამედროვე ცხოვრებაში, მიილტვის მაღალ იდეებისაკენ. მისი პოეზია სპეტაკი იყო, იგი „ბრწყინავდა და დღესაც ბრწყინავს მთელ ჩვენ მწერლობაში, როგორც მნათობი ცის სივრცეში“[1]).

ივ. კერესელიძის „ცისკარმა“ (1876) შეიტანა პრესაში გამაცოცხლებელი სიო. მაგრამ საერთოდ ეს მეორე ხანის „ცისკარი“-ც მორჩილების და თვითმპყრობელობის იდეალიზაციის გამომხატველია.

ივ. კერესელიძის „ცისკარს“ სამღვთო წერილის ეპიგრაფია აქვს:

„თუ შეიყვარო სმენად, მიითვალე,
და უკეთუ მიუპყარ ყური შენი, ბრძენ იქმენ“.

წიგნი ისო-ზირაქისა, თავი 6, მ. 34,

ე. ი. ჟურნალი ფიქრობდა სწეროს მკითხველების ჭკუის სასწავლებლად და ამ უფლებას ასაბუთებდა საღვთო წერილის სიტყვებით.

პოლიტიკური ცხოვრების აქაც არაფერი იყო. თუმცა ჟურნალში იყო „სხვადასხვა“ ამბების განყოფილება, მაგრამ ჟურნალი არ ეხება თანამედროვე საზოგადო მოვლენებს.

ჟურნალში ყველა სწერდა, განურჩევლად მიმართულებისა: „ყველას სტატიას დავბეჭდავთ, თუ არ იქნება კანონის წინააღმდეგი“-ო[2]).

კანონიერება, მორჩილება, მთავრობის ქება—ივ. კერესელიძის ჟურნალის მთავარი ხაზია ისე, როგორც წინედ გ. ერისთავის „ცისკარის“ იყო.

ჟურნალში სიცოხლის ნიშანწყალი შეიტანა „მოლაყბემ“ (მიხეილ თუმანიშვილმა), რომელიც უბრალო და მკვეთრი ენით ამხელდა საზოგადოების ზოგიერთ სენს, მაგრამ ისიც სტრიქონს ისე არ დასწერდა, რომ „დიდი რუსეთის იმპერიის წყალობა“, „ბედნიერი არწივი ჩრდილოეთისა“, „კეთილი განზრახვა დიდი ხელმწიფისა“ და სხვა არ მოეხსენებინა:

„არა, თავის მოყვარეობა ჩემი მდგომარეობს მასში—სწერდა მოლაყბე—რომ მამული ჩემი, ჩემი ენა, რომლისთვისაც სისხლი უღვრიათ ჩვენთა განსვენებულთა წინაპართა, იყოს იმ მდგომარეობაში, როგორც შეშვენის დროსა, **რომელიც მოგვეცა წყალობითა წყალობად ჩვენისა დიდის რუსეთის იმპერატორისაგან**“[3]).

მეორე ადგილას იგივე მოლაყბე სწერს: „მტერი ვერ გაბედავს ჩვენ შევიწროებას, ვინაიდან გვიცავს **უძლიერესი ორთავიანი ბედნიერი არწივი ჩრდილოეთისა**[4]) და გამოსთქვამს სურვილს: „მინდა

---

[1]) ფ. მახარაძე. დ. ჭონქაძე და მისი დრო, 68 გვ.

[2]) „ცისკარი“, 1859 წ., № 10.

[3]) „ცისკარი“, № 6.

[4]) „ცისკარი“, № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცხოვრო, რომ ვნახო ქართველნი იმ გონების მექონენი, რომელსაც ესმოდეს ღირსება თავიანთი მამულისა, **ესმოდეს ყოველივე კეთილი განზრახვა დიდისა ხელმწიფისა**" [1]).

„მოლაყბე" ამხელს ქართველი საზოგადოების ზოგიერთ ნაკლს: რომ ქართველებს (თავად-აზნაურობას) არ უყვარს თავის ენა, თეატრი, რომ ქართულ წარმოდგენებს არ ესწრება ქართველობა, ხოლო „როდესაც იქნება სხვა ენაზე, ფეხებს იმტვრევენ"-ო, რომ საზოგადოება მისდევს უაზრო დროს გატარებას, ბანქოს თამაშს, სადაც მოთამაშეები ტანსაცმელს, ხმალს, ხანჯალს აგებენ და სხვა [2]), და ამავე დროს დასძენს, რომ „უმაღლესი ჩვენი მთავრობა ზრუნავს იმ დღიდან, რა დღიდანაც იმყოფება საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ, რომ ის **არის საზოგადო ჩვენი კეთილდღეობა**"-ო [3]).

ცხადია, რომ ასეთი მონური მიმართულებით წერა სავსებით უარს ჰყოფდა თანამედროვე წეს-წყობილების საფუძვლზე,—ფეოდალიზმზე და ბატონ-ყმობაზე, წერას, ბაასს და კამათს.

ეს იყო მორჩილების, თვითმპყრობელობის და თავად-აზნაურობის გუნდრუკის მკმეველი პრესა.

მაშინ, როდესაც ცხორება დუღდა, ველარ ეტეოდა ის ბატონ-ყმურ ჩარჩოებში, როდესაც როგორც რუსეთში, ისე ჩვენში ყმები სტიქიურად გამოდიოდენ მებატონეთა წინააღმდეგ და ტიტველი ხელებით იბრძოდენ ხიშტების წინააღმდეგ,—ქართულ პრესას მეტი ვერა უთქვამს რა, გარდა „დიდ ხელმწიფის კეთილ განზრახვებისა".

ცხადია, რომ პრესის და მწერლობის ასეთ დადუმებას ხელს უწყობდა საშინელი ცენზურის პირობები, გარდა იმისა, რომ მწერლობა და პრესა მემამულეების ხელში იყო.

როდესაც ალექსანდრე II რუსეთის თავად-აზნაურობას აუწყა, რომ თუ ზევიდან არ დაიწყო რეფორმები, ქვევიდან დაიწყებაო, მაშინ „მოლაყბე"-მაც ენა ამოიღო ამ საგანზე და ისევ მოკრძალებით სწერდა: „დიდო იმპერატორო! ჩვენო მფარველო, ჩვენო უსჯულო მაჰმადიანთაგან მხსნელო! გვიბრძანე და მზადა ვართ ერთგული შვილნი ივერიელნი... ყოველი ჩვენი გონება, სული, გული და თითეული ასო გადაიქცა გრძნობად და გვითხრა: რად არ შემიძლია **სიცოცხლე ჩემი შევსწირო მას, რომელსაც ჩემი შეწირვით შეეძლოს აღსრულებაში მოყვანა კეთილისა ამ განზრახვისა**" [4]).

(კურსივი ყველგან ჩვენია).

---

[1]) იქვე, № 3

[2]) იქვე, 1857 წ. № 11,1858 წ. № 3.

[3]) იქვე, 1857 წ. № 11.

[4]) იქვე, № 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მოლაყბე“-ს ეს უბრალო სიხარულიც არ აპატია მებატონეებმა. ამ წერილის შემდეგ „მოლაყბე“-ს ველარ ვხედავთ „ცისკარში“; 1859 წლის 1 №-ში რედაქტორი აცხადებდა, რომ „**რადგან ოთხ-კუთხივ აგვიღეს**“ მოლაყბის წერილების გამო, იძულებული ვართ „მოლაყბეს“ მისი ფურცლები უკანვე დავუბრუნოთო.

აშკარაა, რომ დიდი გამბედაობა, დიდი რწმენა და თავ-გაწირვა იყო საჭირო იმ დროს, რომ მებატონეთა წინააღმდეგ და ყმების სასარგებლოდ ვინმეს ხმა ამოელო.

მაგრამ რაკი ახალი სიტყვა სიხარულის სახით მაინც ითქვა, მისი ჩაკვლა შეუძლებელი იყო. უკვე მოჩანს საზოგადოებაში ახალი ჯგუფი, რომელიც „მოლაყბის“ მხარეზე დგება და მას ესარჩლება. იმ წყვდიადში „მოლაყბის“ უქვეშევრდომილესი თუ კრიტიკა, თუ სიხარული დიდ დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. „მოლაყბის“ ათი მომხრე „მებუკე“ აცხადებენ, რომ გაჩერება შეუძლებელია, მხილება საჭიროა; თუ რომ „მოლაყბეს“ ჩააჩუმებთ, მოჭკლავთ, მის ადგილს რიგ-რიგობით ჩვენ დავიჭერთ, ჩვენ შევუდგებით მხილებასო. ესენი იყვნენ: 1—მყვირალა, 2—გადარეული, 3—თავხედი, 4—ყბედი, 5—ავყია, 6—გიჟ მაჟი, 7—ავგული, 8—ბრაზიანი, 9—დაუკარებელი, 10—რეტიანი და 11—მოლაყბე [1]).

ჩანდა, რომ ბრძოლა მალე უნდა დაწყებულიყო.

დ ა ნ ი ე ლ ჯ ო ნ ქ ა ძ ე.

ბატონ-ყმობის შესახებ მალე ორი მიმდინარეობა ერთი-მეორეს დაეტაკა. თავ. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი „ცისკრის“ ერთი უახლოესი თანამშრომელთაგანი იყო. ამ თავადმა იკისრა ბატონ-ყმობის შესახებ საკითხის დაყენება. და არც შეიძლებოდა ამ დროს (1858 წ.) არ წამოჭრილიყო ეს საკითხი. რუსეთის მოწინავე საზოგადოებამ 1857 წელს აშკარად დაიწყო სჯა-ბაასი ბატონ-ყმობის შესახებ [2]), და არ შეიძლებოდა ჩვენშიაც არ ენახა ამ მოვლენას გამოძახილი.

თავ. ალ. ორბელიანმა დაბეჭდა „ცისკარში“ წერილი „ბატონ-ყმობა საქართველოში“ [3]). ამ წერილში ის ამტკიცებდა, რომ ძველად საქართველოში ბატონ-ყმობა იყო მამაშვილური დამოკიდებულება—„მებატონე თავის ყმას შვილსავით ყურს უგდებდა და შვილის მსგავსად გული სტკივოდა ყმისათვის... მებატონეები თავს არასოდეს არ ზოგავდენ ყმისათვის... ობლებს მებატონე კაცებს დაუყე-

---

[1]) არჩ. ჯორჯაძე, V ტ. 31 გვ.

[2]) Иванюков. Падение креп. права в России.

[3]) 1858 წ., № 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებდა და იმათ პატრონობით ზრდიდა, თუ არა სახლში გადმოიყვანდა მოსამსახურედ და შვილსავით ზრდიდა"-ო. თავ. ორბელიანი არაფერს ამბობდა თანამედროვე ბატონ-ყმობაზე, მაგრამ ჩანს, რომ მას არ მიაჩნდა დადებით მოვლენად მაშინდელი ბატონ-ყმური დამოკიდებულობის სიმკაცრე. მისთვის ბატონ-ყმობა, როგორც წესწყობილების საფუძველი, არა თუ მისაღები, სასურველი იყო, ის მომხრე იყო ასეთი ურთიერთობის, მაგრამ არა თანამედროვე სისასტიკის და წრესგადასულობის. გაუმარჯოს ბატონ-ყმობას! ძირს სისასტიკე! ასეთი იყო თავ. ორბელიანის ხაზი, თუმცა თვით თავადი, როცა მისთვის საჭირო იყო, არ აყოვნებდა ყმების გაყიდვას, დაგირავებას და დამზითვებას" [1]).

ამ მიმართულებას ძირითადად წინააღუდგა უბრალო სემინარიელი დანიელ ჭონქაძე (1830—1860 წ.), რომლის ნაწარმოების „სურამის ციხის" პირველი ნაწილი დაიბეჭდა „ცისკარში" 1859 წელს, უკანასკნელ ნომერში, ხოლო დაბოლოვება 1860 წელს პირველ ნომერში.

რა სთქვა დანიელ ჭონქაძემ?

მან სთქვა, რომ ბატ ნ-ყმობა ხალხისათვის დიდი უბედურებაა, ის უნდა მოისპოს.

მან სთქვა, რომ დაუშვებელია ადამიანის გაყიდვა, შეუწყნარებელია დედას შვილი მოსტაცო და სხვას აჩუქო ან მიჰყიდო. გულშემზარავია ბატონის მიერ ყმის ცოლის გაუპატიურება, ამაღელვებელია დედის და შვილის კვერში შებმა და მის ქვეშ, შვილის თვალწინ, დედის ტანჯვით მოკვლა. შეუძლებელია მოთმენა ბატონის მიერ ყმის ქონების და სახლკარის განადგურებისა.

მან სთქვა, რომ სანამ ადამიანი ბატონის ყმაა, უკანასკნელისათვის ბედნიერება შეუძლებელია. ყმამ უნდა მიიღოს პირადი თავისუფლება. მაგრამ ეს არ კმარა, პირადი თავისუფლება ვერ იხსნის ყმას მონობისაგან, თუ ყმას არ ექნა ცხოვრების ნივთიერი საშუალება.

მან სთქვა, რომ ბატონ-ყმობა ემუქრება ყმებს ეროვნული გადაგვარებითაც.

მან სთქვა, რომ ამ სამარცხვინო საქმეს, ბატონობას ყმებზე, ეწევა თავადი, აზნაური, მოხელე, მღვდელი და ბერი, — თვითმპყრობელი მთავრობის ბურჯნი.

უნდა მოისპოს ბატონ-ყმობა, ყმა უნდა განთავისუფლდეს. აი, დ. ჭონქაძის პროგრამა. [2]).

დ. ჭონქაძემ ისეთ მხატვრულ და უბრალო ფორმაში ჩამოასხა ეს საეპოქო ნაწარმოები, რომ მან აიტანა ცენზურის სისასტიკეც: „ერთხელ მამა ჩემი—ამბობს ნოდარი—წავიდა ძნის მოსატანად, უნდა

[1]) ფ. მახარაძე. დანიელ ჭონქაძე და მისი დრო, 61 გვ.

[2]) დ. ჭონქაძე. „სურამის ციხე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოეტანა ძნა თავდალმართზე. ჩვეულებისამებრ მოუძღოდა ის ურემს წინ, რო არ დაქანებულიყო. მაგრამ ურემი დაქანდა, ხარ-კამეჩს თავი ველარ დაუჭირა, მამაჩემი წაიქცა და ურემმა გაჭყლიტა. ბატონმა წაგვართო ვენახი, იმიტომ ვითომც, რო ალარ შეგვეძლო მოვლა, მერე თითო-თითოდ ხარ-კამეჩი და უკანასკნელად უბრძანა დედაჩემს, გადასახლებულიყო იმასთან სახლის მოსამსახურეთ. საწყალი დედა ჩემი უნდა გენახა, რა მწუხარებით ესალმებოდა სახლს! ღმერთო, რა გვარათ არ ეხვეწებოდა საწყალი ბატონს, რო დაენებებინა თავი და არ მოეშალა ოჯახი, მაგრამ ბატონს ვითომ არ ესმოდა... ერთ-ხელ მოვიდა ჩემ ბატონთან ერთი მღვდელი კახეთიდან. ვახშამზე რომ ვემსახურებოდი მათ, იმ მღვდელს ჩემმა ბატონმა თვალით აჩვენა ჩემზე. მღვდელმა ამხედა, ჩამხედა და ბატონს დაუწყო რაღაც ლაპ-რაკი ჩუმათ. არ ვიცი, რათა, მაგრამ სტუმარმა რომ დამიწყო ყურება, ჟრუანტელმა დამიარა ტანში და ამეშალა თმა. გულმა იგრძნო, რომ ჩემ თავს მოელოდა რაღაც უბედურება. მეორე დღეს ბატონმა დაიბარა დედაჩემი და უბრძანა, რომ მოვემზადებინეთ მე და ჩემი და იმ მღვდლის გასაყოლად..... დედაჩემი დაემხო მიწაზე და დაუწყო ხვეწნა ბატონს ისე, როგორც შეუძლიან შეხვეწნა დედას, რომელსაც საუკუნოთ ართმევენ შვილსა. ბატონმა უბრძანა ბიჭებს, რომ გაეგდოთ ის კარში..... დედაჩემმა დაირქო სომხობა და სულ ყველას სახელები გამოგვიცვალა: თითონ დაირქო მათუა. მე დამარქო კარაპეტი და ჩემ დას — შუშანა. ასე გავატარეთ დრო თითქმის ხუთი წელიწადი. ჩემი და გაიზარდა და მივათხოვეთ სომეხს. ჩვენც დავდიოდით სომხების საყდარში. მაგრამ არც მე და არც დედა ჩემი არ ვზიარებულვართ იმ ხუთ წელიწადში..... ქართულ ეკლესიაში კი ვერ ვბედავდით ზიარებას, იმიტომ რომ გამოჩენისა გვეშინოდა. ერთხელ მარიამობის მარხვაში დედაჩემი ატყდა, თუ არ ვეზიარე არ იქნებაო... აღსარე-ბაში მღვდელს ყველაფერი უთხრა. იმავე დღეს, რაც თქო აღსარება, ვიღაც კაცები დაგვესხენ, შეგვიკრეს ხელები და გაგვიგდეს წინ... ბატონთან რომ მიგვიყვანეს, იმან შემდეგ სხვათა და სხვათა სას-ტიკთა ტანჯვათა უბრძანა ბიჭებს, რომ შევებით გუთანში ისე, როგორც აბამენ ხარებს. ხარის უღელი დაგვადგეს კისერზე..... მეორე დღეს შეგვაბეს კევრში. კევრზე დაჯდა თვითონ და გვერეკებოდა... დედაჩემმა თითქმის ათჯერ შემოურბინა კალოს ისე, რომ ერთი ჩი-ვილიც არ ამოსვლია პირიდან. მეთერთმეტედ რომ უნდა დაგვეწყო შემოვლა, დედაჩემი უეცრად წაიქცა და მოკვდა... ბატონს ეგონა, რომ ატყუებდა იმას და იმიტომ სახრით დაუწყო ცემა, რომ აეყე-ნებინა, და ასე სახრის ქვეშ ამოუვიდა სული“...

დ. ჭონქაძემ დიდი რწმენით და ყმის გაჭირვებული მდგომა-რეობის ცოდნით შეიარაღებულმა, თვით გლეხის შვილმა, ჩვენში

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველმა აღიმაღლა ხმა ამ ისტორიული უსამართლობის წინააღმდეგ.

ადვილი წარმოსადგენია, თუ „მოლაყბე"-ს შავი დღეები დააყენეს მებატონეებმა თავის უქვეშევრდომილესი გრძნობებისათვის, რა დღეში ჩააყენებდენ დ. ჭონქაძეს, რომელმაც თავის პატარა ნაწარმოებით დიდი ყუმბარა ესროლა არსებულ წესწყობილების საფუძველს. გრ. ორბელიანს დიდი საყვედური უთქვამს „ცისკრის" რედაქტორის ივ. კერესელიძისათვის „სურამის ციხის" დაბეჭდვისათვის. კუკიის ხიდთან უცემიათ დ. ჭონქაძისათვის და მტკვარშიაც გადაგდებას უპირებდენ.

მოწინააღმდეგეთა სასიხარულოდ და ქართული ლიტერატურის სავალალოდ, დ. ჭონქაძე მალე გარდაიცვალა. მის წინააღმდეგ იმდენად ამხედრებული იყო ქართველი საზოგადოება (თავად-აზნაურობა), რომ მის დასაფლავებას არა თუ მემამულენი, არც ერთი ქართველი მწერალი არ დასწრებია[1]).

„თერგ-დალეულნი".

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ჩვენში ბატონ-ყმობის დაცემის წინა ხანებში, უკვე არსებობდა შეუკავშირებული წრე იმ პირთა, რომლებმაც რუსეთში მიიღეს სწავლა-განათლება, გაეცნენ იქაურ განმათავისუფლებელ გლეხთა მოძრაობას, ეგ. წოდებ. „თერგ-დალეულნი", რომლებს არ შეიძლება არ ჰქონოდათ შეგნებული ბატონ-ყმობის უარყოფითი მხარეები.

მაგრამ ამავე დროს ეს პირნი მემამულეთა წრეს ეკუთვნოდენ, და ადვილად გასაგებ მოტივების გამო, მათთვის არც ისე ადვილი იყო აქტიური გამოსვლა და თავის ინტერესების წინააღმდეგ გალაშქრება. არსებულ პირობებში ისინი დაიმსახურებდენ დევნას თავიანთ წრეში, სახელს გაიტეხდენ მმართველ სფეროებში და თავის კარიერას ძლიერ დააზიანებდენ. გარდა საშინელი საზოგადოებრივი აზრისა, სასტიკი იყო ცენზურის პირობებიც: დევნილი იყო ყოველი ცოცხალი აზრის გამოთქმა, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში, ნიკოლოზ I და ალექსანდრე II ხანა ცნობილია, როგორც მწვავე რეაქციონური. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თერგ-დალეულთაგან არ იყო ნათქვამი გაბედული სიტყვა ბატონ-ყმურ ურთიერთობის შესახებ.

მათ შორის თავ. ილია ჭავჭავაძე თავიდანვე შესამჩნევი იყო. ის თავიდანვე ჩაება ცხოვრებაში, როგორც მგოსანი და ბელეტრი-

---

[1]) ზ. ჭიჭინაძე, ტ. 2, გვ. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტი, კრიტიკოსი და პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე და მეევრმეტ-ყველი ორატორი.

მისმა კრიტიკულმა წერილებმა (1866) ქართველი მწერლობის ძველებურ ზნე-ჩვეულებების წინააღმდეგ დიდი აურ-ზაური გამოიწვია: მან ომი გამოუცხადა უნიჭო მელექსეთ, ძველ ორფოგრაფიას, მაღალ და ბუნდოვან სამწიგნობრო კილოს წერისას, რეტორიკას და პიიტიკას [1]). მის წინააღმდეგ გაილაშქრა ბარბარე ჯორჯაძემ, გ. ბარათაშვილმა, რევ. ერისთავმა, მწიგნობარმა ალექსი-მესხიშვილმა და სხვებმა. მათთან ბრძოლაში ილია ჭავჭავაძე იყო დაუზოგველი და პირდაპირი.

მაგრამ არსებულ ურთიერთობის შესახებ აზრის გამოთქმაში და მოქმედებაში ილია ჭავჭავაძე იყო ძლიერ ფრთხილი და თავდაჭერილი. ის ერიდებოდა გამოემჟღავნებინა თავის შეხედულება ბევრ საზოგადო მოვლენის შესახებ, რადგან აშკარად გამოთქმული დაფასება გამოიწვევდა ძირითად განხეთქილებას იმ წრესთან, რომელსაც ილია ეკუთვნოდა.

ილია ჭავჭავაძეს არ შეეძლო არ დაენახა, რომ რუსეთში ბატონყმობის დაცემის შემდეგ მისი დღენი საქართველოშიაც დათვლილი იყო.

1860 წ. 29 ივლისს მან დასწერა პატარა შესანიშნავი ლექსი:

„მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნვლად მონობისა.
აღმიტაცებს ხოლმე ეს ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში,
ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!“

დასწერა, მაგრამ ეს ლექსი არ გამოქვეყნებულა, არ დაბეჭდილა 1871 წლამდის, როდესაც ბატონ-ყმობის ჭაჭანიც არსად იყო. ცხადია, იმ დროს ასეთი ლექსის გამოქვეყნება ადვილი არ იყო, ცენზურა არ გაუშვებდა და ავტორი მებატონეთაც საშინლად აიმხედრებდა[2]). 1863 წელს საკითხი ჩვენში ბატონ-ყმობის გაუქმებისა აქტიურად იყო დაყენებული, თავად-აზნაურობა თათბირობდა ამ საკით-

---

[1]) გრ. ყიფშიძე. ილია ჭავჭავაძე, 28 გვ.

[2]) თუ მართალია ის აზრი, რომელიც ამ ხანად პავლე ინგორყოვამ გამოსთქვა, რომ ამ ლექსის დაწერის დროს ილიას მხედველობაში ჰქონდა გარიბალდის მოღვაწეობა, მაშინ თავისთავად იხსნება საკითხი ამ ლექსის გლეხთა განთავისუფლებასთან დაკავშირებისა (იხ. 365 გვ. ილია ჭავჭავაძე, ტ. I პავლე ინგორყოვას და ალ. აბაშელის რედაქციით. 1925 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის შესახებ თავის სამაზრო და საგუბერნიო ყრილობებზე, იმუშავებდა თავის პროექტებს და იცავდა თავის ინტერესებს, მთავრობაც იმუშავებდა პროექტს.

ილია ჭავჭავაძემ თავის „გლახის ნაამბობის“ მხოლოდ პირველი ხუთი თავი დაბეჭდა 1863 წელს „საქართველოს მოამბე“-ში „ჯიმშერიძე“-ს ფსევდონიმით, სავსებით კი 1873 წელს დაბეჭდა „კრებულში“, ბატონ-ყმობის გაუქმების ცხრა წლის შემდეგ.

„რამოდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, სადაც დასურათხატებულია ბატონ-ყმობის უარყოფითი მხარეები: ძალმომრეობა, ადამიანის დამონება, მამაშვილური გრძნობის გათელვა, ყმის წვალება და მისი სასოწარკვეთილება,—ილია ჭავჭავაძემ მთლიანად გამოაქვეყნა მხოლოდ 1879 წელს „ივერიაში“, მაშინ, როდესაც ეს პოემა მან დასწერა 1860 წელს პეტერბურგში ყოფნის დროს.

მხოლოდ ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი“ იმავე ფსევდონით „ჯიმშერიძე“ დაიბეჭდა 1863 წელს. ამ მოთხრობაში ავტორმა გადაშალა მემამულეთა ცხოვრების ზოგი მხარეები: სიზარმაცე, უვიცობა, ყმის შრომით ცხოვრება, მათი ყმების განთავისუფლება და შეეხო გლეხის უმწეო და უუფლებო მდგომარეობას:

— „ეს გლეხები არიან: გაჭირ ვირსავით, თუ ერთხელ შედგა, მერე, თუნდა შვინდის სახრით მისდგე, ფეხს ვერ გადაადგმევინებ, თუ ადრევე დატუქსული არ გყავს“,—მსჯელობენ ლუარსაბი და დარეჯანი.

— „გლეხკაცს ყოველ ცისმარა დღეს უნდა ეშინოდეს, თორემ ღორის კბენარსავით, რომ გლეხკაცი ფეხზედ დაისო, თავზედ აგაცოცდებაო. მაშ, მიში შეიქმს სიყვარულსაო“.

„ბატონის ოჯახის პატივი და სახელი ერთგულმა ყმამ ქვეყანას უნდა მოსდოს... ნამდვილი სისხლის თავადიშვილი ამას ვერ აიტანს, ხელებს არ დაიბებრებს ნამგლის ჭერითა და არც ამ პაპანაქებაში დაისიცხება... თავადს თავადობა უნდა ეტყობოდეს და გლეხს—გლეხობა... ან გლეხი იყოს, ან სომეხი, კიდევ ჰო,—ეგა მკლავს, რომ თავადიშვილია... ამასაც შეესწარი, რომ თავადიშვილი ქირაზედ ურმებს ატარებს!... ამას იქით გლეხი და თავადი რით უნდა გაირჩიოს... სომხები გახდნენ, სწორედ სომხები... ბატონ-ყმობა ღმერთს დაუწესებია და თითონვე ღმერთი რად მოშლის?..“

უდავოა, რომ ამ ნაწარმოებში დიდი ნიჭით გადაშლილია მაშინდელ მემამულეთა უგნური და ბედოვლათური ცხოვრება, საერთოდ თავის მხატვრულ ნაწარმოებში ილია ყმის მხარეზეა, მაგრამ ბატონ-ყმობის არსებობის საკითხი მას არ დაუყენებია ისე ძირითადად, როგორც ეს დ. ჭონქაძემ უფრო ადრე (1859 წ.) დააყენა.

დ. ჭონქაძის შემდეგ ეს საკითხი 1863 წელს წამოაყენა ანტონ ფურცელაძემ, რომელმაც „ცისკარში“ გაარჩია „სურამის ციხე“. ივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერესელიძეს და ანტონ ფურცელაძესაც ბევრი, ბევრი უსიამოვნება შეხვდათ ლიტერატურაში ამ მივიწყებული საკითხის აღძვრის ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ანტ. ფურცელაძე გამოვიდა დ. ჭონქაძის აზრების დამცველად და გამავრცელებლად.

ლ. პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი.

ლიტერატურაში ნახა გამოძახილი არა მარტო ბატონ-ყმობის უარყოფითმა მხარეებმა, არამედ ახალი ცხოვრების პირობების გავლენამაც.

მამულიანობის გარდა ცხოვრებაში მეორე მდგომარეობა იბადება, იზრდება და შესამჩნევი ხდება,—ფულიანობა. ფული იჭრება კარჩაკეტილ და პრიმიტიულ ბატონ-ყმურ მეურნეობაში, იქ შეჭრილი ვერ თავსდება მის ფორმებში და ფარგლებში და იწყება ძველი ურთიერთობის ეკონომიური ნგრევა.

ჩნდება ფულიანი პირნი, რომელნიც მომჭირნეობით და მოხერხებით იძენენ პატარა თანხას, ასარგებლებენ მას, ასესხებენ მემამულეებს, იღებენ მათგან სარგებელს, ყიდულობენ პურს, გამოაქვთ ბაზარზე, მოგებას ნახულობენ, პურს და ღვინოს სოფლად წინასწარ იბევებენ,—ამ გზით დიდი ფულის პატრონნი ხდებიან და დიდგვაროვანებს გვერდში გუშინდელი მეჯღანეს შვილები უდგებიან. ეს პირნი ახალი კლასის წინამორბედნი არიან, მისი ელემენტები.

ეს სარბიელი თანდათან იზრდება, რაც მოითხოვს პიროვნების თავისუფლებას: წარმოშობილი ეკონომიური პირობები ეწინააღმდეგება არსებულ საწარმოვო ურთიერთობას და პიროვნების მდგომარეობას. ყმა უნდა გადაიქცეს მოქალაქედ, რომელიც ჩაერევა აღებ-მიცემობაში და თავისუფალი ურთიერთ შორის ხელშეკრულების საფუძველზე მიიღებს მონაწილეობას წარმოებაში.

ეს პროცესი თავის ღირს შესანიშნავ ნაწარმოებში „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი"-ში აღნიშნა ლ. პ. არდაზიანმა, რომელმაც ეს მოთხრობა 1861 წელს „ცისკარში" დაბეჭდა.

სოლომონა, უბრალო მეჯღანესშვილი, ჯერ დალალობით, ჩარჩობით, შემდეგ აღებ-მიცემობით და მევახშეობით იძენს დიდ სიმდიდრეს, ფულიანი კაცი ხდება და ქ. ტფილისში შესამჩნევი და საყურადღებო პიროვნება. დიდი გაჭირვება გაიარა მან. მამა რომ მოუკვდა, ერთი წლისა იყო. დედა მისს გაიანეს კნეინა დარეჯან ნადირაძემ გაუწია მფარველობა, თავის ოჯახში მიიღო, მაგრამ ახალგაზრდა გაიანემ ვერ გაუძლო ყველას მხრით მუშტრის თვალით ყურებას და ნამუსის დაკარგვას სიკვდილი არჩია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტოდ-მარტო დარჩენილი სოლომონა იკავებს გზას, დიდი შეძლების პატრონი ხდება და მით წარჩინებული პიროვნება.

ფულმა ის კაცად გამოიყვანა, პატივი და დიდება მისცა. თუმცა მისი გვარი აშკარად ამტკიცებს მის უგვარობას, მაგრამ რაკი ის ფულიანია, ყველაფერს აპატიებს მას ბრწყინვალე წოდებაც-კი, რომელსაც ფული ძლიერ ეჭირვება.

„ვინ არის დღეს ჩვენში პირველი კაცი?—რასაკვირველია, სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი.

ვინ ატრიალებს ჩვენი ცხოვრების ჭახრაკს?—რა თქმა უნდა უ. ს. ი. მეჯღანუაშვილი.

საითკენ არიან მიქცეული ჩვენი თვალები სიმშურნით და თან დაკვირვებით?—ს. ი. მეჯღანუაშვილისაკენ. ვის ეფინება ფეხ-ქვეშ ყოველი ჩვენგანი? იმავე ს. ი. მეჯღანუაშვილს“ [1]).

ცხადია, ფეოდალების მაგიერ ბურჟუაზია მოდის, პირველის ადგილი მეორემ უნდა დაიჭიროს, ყმის ადგილი მოქალაქემ და დაქირავებულმა შრომამ.

ნაწილობრივ რუსეთში ეს მოხდა 1861-ს, ჩვენში 1864 წელს.

---

[1]) ჭრ—შვილი. ჩვენი ცხოვრების ღვიძლიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

VIII რეფორმა.

რა გვეშველება!

ადრე თუ გვიან მთავრობას საქართველოზედაც უნდა გაევრცელებინა 1861 წლის 19 თებერვლის აქტი. რომ ამ აქტს, რომელიც ჯერ-ჯერობით არ ვრცელდებოდა საქართველოზე, არ გამოეწვია როგორც მებატონეთა, ისე გლეხებს შორის არევ-დარევა, მთავრობამ აცნობა საქართველოს ეგზარხოსს, რომ მანიფესტი გლეხების განთავისუფლების შესახებ, რადგან ის არ ეხებოდა ამიერ-კავკასიას, არ წაეკითხათ ეკლესიებში.

მიუხედავად ამისა, მანიფესტმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქართველ თავად-აზნაურობაში და გლეხობაში. გლეხობა დღე-დღეზე მოელოდა ბატონ-ყმურ დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას; მემამულეები კი შეიპყრო შიშმა მოსალოდნელი რეფორმის გამო. მაგრამ მებატონეთა წრეები თავს ინუგეშებდენ: თუ რუსეთში ხელმწიფემ მებატონეთ ჩამოართვა ყმები, ეს იმიტომ, რომ მანვე უბოძა მათ ყმებიო; ჩვენ კი ქართველ მეფეებისაგან გვყავს ნაწყალობევი, ჩვენი სისხლით და სამსახურით შეგვიძენია, ხელმწიფის ერთგულება არა ერთხელ დაგვიმტკიცებია, და ჩვენზე ხელმწიფე ასეთ უბედურებას არ მოიღებსო.

მაგრამ მათ მალე იმედი გაუცრუვდათ. მაშინდელმა კავკასიის მეფის მოადგილემ თავ. ბარიატინსკიმ 1861 წ. 25 მარტს დაიბარა გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლნი და გამოუცხადა, რომ ტფილისის გუბერნიაშიაც საჭიროა გატარება რუსეთში მიღებულ რეფორმებისაო. მაგრამ იმავე დროს, მთავრობის პროგრამით, რეფორმა უნდა ჩატარებულიყო ისე, რომ საუკუნეების განმავლობაში არსებული ურთიერთობა ძირითადად არ შეიცვლებოდა, თუ ამას არ მოითხოვდა ორივე მხარის, როგორც ბატონის, ისე ყმის ინტერესი. დაყენებული იყო საკითხი არა ყმების განთავისუფლებისა, არამედ საბატონო გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

საკითხის ასე დაყენებამ მემამულეთა წრეებს კიდევ დაუბადა ილიუზიები. მათ ვერ წარმოედგინათ უყმოთ არსებობა და ამ აზრს ვერ შეთვისებოდენ.

„რა რომ გლეხებს განთავისუფლება გამოეცხადებათ, ჩვენი „ოჯახები მაშინვე დაეცემიან,—სწერდა გორის მაზრის 47 მემა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

„**მულე—ჩვენ კარითი-კარს უნდა ვეთრიოთ და მოწყალება ვითხო-**
„**ვოთ. აღარ გვეყოლება მოსამსახურე, აღარც ვენახებისა და მი-**
„**წის შემმუშავებელი. აღარც მწყემსი საქონლისათვის და აღარც**
„**შვილების გამოსაზრდელი ძიძა.** ახალი წესით ცხოვრება არ შე-
„გვიძლია უფულოდ. ვალი გვმართებს მრავალი... ვაჭრისაგან ვალს
„ვიღებდით და საშინელს სარგებელს ვიხდიდით. განსვენებულ კნიაზ
„ვორონცოვს რომ არ ეშუამდგომლა და პრიკაზისათვის ბანკის თვი-
„სება არ დაესაკუთრებინა, ჩვენს დაღუპვას საშველი არ ექნებოდა.
„რა რომ ამით სული მოვიბრუნეთ, ეხლა ეს საქმე გაგვიჩნდა და უნდა
„ყოველივე საცხოვრებელი მოგვესპოს“.

ასე გოდებდა გორის თავად-აზნაურობა.

მას ბანს აძლევდა თელავის მებატონეთა წრეები: „არ არის კა-
„ხეთში არც ერთი კეთილშობილი ოჯახი,— სწერდენ თელავის მაზ-
„რის 48 მემამულე,—რომ დატვირთული არ იყოს პრიკაზის ვალითა,
„ან გარეშე პირთაგან დიდის სარგებლით ნასესხები ფულითა. ეს
„სამძიმო მდგომარეობა წარმოსდგა ამ საუკუნეში. სხვადასხვა გარე-
„მოებამ შეგვავიწროვა და ნამეტნავად სასამართლოში ბრძოლამ
„ჩვენ ყმებთან“...

„**ჩვენ არ შეგვიძლია არც მუშაობა, არც გუთანზე დაჯდომა,**
„**არც ხვნისა და ბოსტანის ბარვა და თოხნა, არც საქონლის და**
„**ცხვრის დევნა და არც სხვაგან მოჯამაგირეთ დადგომა, რომელ-**
„**თაგანაც უცხონი ვართ და უცოდინარნი, რომელთათვისაც მხი-**
„**ლებელ ვიქნებით თვით სვინდისისა ჩვენისაგან; ხოლო გლეხი**
„**მარადის მზა არის ყოველთა ამა საგანთა ტვირთვად და არავის-**
„**გან დაიძრახება, რადგან ის შობილია ამ გუარის მდაბიო ცხოვ-**
„**რებისათვის და სიყრმითგანვე აღზრდილა ამისთანა ცხოვრებაში“.**

ასე მოსთქვამდენ მემამულენი.

„**თუ ფული არ მოგვეცა, ცხოვრება ჩვენი შეუძლებელი იქ-**
„**ნება და როგორათაც დამწვარი სანთელი გაქრეს, ისე გაქრება**
„**ჩემი ცხოვრება,**— სწერდა აზ. ელიზბარ თულაევი— რადგან ჩემი
„ცხოვრება დამოკიდებულია მათს (ყმების) მუშაობაზე და სამსახურ-
„ზედ; ფულიც რომ მომეცეს, მაშინაც ძნელი იქნება ცხოვრება,
„ამისთვის, რომ რაკი გლეხი კაცი განთავისუფლდება, მაშინ აღარ
„იმუშავებს და არც არას მომცემს და იმ ფულით უნდა ვქირაობდე
„მოსამსახურეს, მუშას და ვალს ვაძლევდე; თანდათან გაქრება ის
„ფულიც და ჩემი ცხოვრება და იმ ფულით იქნება რამდენსამე წე-
„ლიწადს ვიცოცხლო და მერე-კი უეჭველად გაქრება“[1]).

---

[1]) შეკრება 21 აზრისა 240 საქართველოს მებატონეთა წარმოთქმულისა ბატონ-ყმობაზე. 1863 წ. (იხ. დამატება პ. გელეიშვილის წიგნი „ილია ჭავჭავაძე“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთმა შიშმა შეიპყრო მებატონეები: ყველას პირზე ერთი რამ ეკრა,—„რა გვეშველება“!

მებატონეთ შორის ზოგიერთ შორს გამჭვრეტელთ და საქმეში ჩახედულთ შეგნებული ჰქონდათ, რომ ამ შემთხვევაში ერემიას გოდება ვერას გააწყობდა. საქართველოში საგლეხო რეფორმის ჩატარება ლოღიკური დასკვნა უნდა ყოფილიყო რუსეთში განხორციელებულ რეფორმებისა; ამიტომ მათ თავიდანვე მოქმედების შემდეგი გეზი აიღეს: ჩაერიონ რეფორმის გატარებაში, მიიღონ მონაწილეობა პროექტის შემუშავებაში, რაც შეიძლება დააგვიანონ რეფორმის განხორციელება და გადამწყვეტ მომენტში დაიცვან თავიანთი ინტერესები.

ამიტომ თუმცა 1861 წელს გამოიცა განკარგულება თავადაზნაურთა სამაზრო კომიტეტების შედგენის შესახებ და კიდეც დაარსდა ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც უნდა დაემუშავებინა სამაზრო კომიტეტების მიერ შეკრებილი მასალა და პროექტები, მაგრამ საქმე წინ არ მიდიოდა. მაზრის თავად-აზნაურობა იკრიბებოდა სამაზრო ყრილობაზე და ირჩევდა სამაზრო კომიტეტს ხშირად ისეთი პირებისაგან, რომლებმაც არც კი იცოდენ არაფერი თავიანთი არჩევის შესახებ. საქმე ლაპარაკს არ ცილდებოდა. ერთი წლის განმავლობაში რეფორმის საქმე წინ არაფრით არ წაწეულა, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას არა ერთხელ მიუცია წინადადება თავად-აზნაურთა წინამძღოლთათვის პროექტის შედგენის დასაჩქარებლად.

ასე მიმდინარეობდა საქმე, სანამ პროექტის შედგენა თავადაზნაურობამ არ მიანდო დიმიტრი ყიფიანს, მცოდნე, გამოცდილ და ჭკვიან თავის წარმომადგენელს. 1863 წ. მან შეიმუშავა ისეთი პროექტი, რომელიც თავად-აზნაურობის საგუბერნიო ყრილობამ დაამტკიცა 539 ხმით წინააღმდეგ 16-სა.

დიმიტრი ყიფიანის პროექტის შინაარსის გაცნობით ჩვენ გავიგებთ ქართველ მებატონეთა აზრს ყმების განთავისუფლების შესახებ. დ. ყიფიანი იყო თავად-აზნაურობის აზრების და მისწრაფებათა გამომხატველი და მისი ინტერესების საუკეთესო დამცველი, რისთვისაც მას ჰქონდა სათანადო გამოცდილება და ერუდიცია.

დ. ყიფიანს თვით ქართველ თავად-აზნაურობაში გლეხთა განთავისუფლების საკითხის გარშემო ყავდა მოწინააღმდეგენიც. საჭიროა მათი აზრის გაცნობაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემამულეთა პროექტები.— დიმიტრი ყიფიანის პროექტი.

დიმიტრი ყიფიანის პროექტი გლეხთა განთავისუფლების შესახებ ორ მთავარ დებულებაზეა აგებული:

პირველი—მისივე სიტყვით: „ყოველი ჩვენი სხვა და სხვა აზრი ერთს სურვილზედ ტრიალებს: გლეხნი ისეთ მდგომარეობაში დავაყენოთ, რომ ჩვენ გვიმადლოდენ“.

მეორე—„ყმებს პირადი თავისუფლება მივსცეთ; სამაგიეროთ ფული ვითხოვოთ და ადგილ-მამული ჩვენსავე კუთვნილებაში დარჩეს“.

ასე სწერდა დ. ყიფიანი კონსტანტინე მამაცაშვილს, რომელიც მოითხოვდა გლეხების მიწით განთავისუფლებას.

ე. ი., დ. ყიფიანის აზრით, რეფორმა ისე უნდა ჩატარებულიყო, რომ პირადი თავისუფლებისათვის ყმებს ფული უნდა გადაეხადათ, ადგილ-მამული კი მებატონეთა საკუთრებად უნდა დარჩენილიყო; იმავე დროს ეს „რეფორმა“ ისეთ ფორმებში და ისეთ ტაქტით უნდა გატარებულიყო, რომ ყმები მებატონეთა მადლიერი ყოფილიყვნენ.

სანამ მომხსენებელი ამ თავის დებულებებს დაასაბუთებდა და პროექტის სახეს მისცემდა, მან მემამულეებს დაუგზავნა თოთხმეტი კითხვისაგან შემდგარი საანკეტო ფურცელი და თხოვა მათ, დასმულ კითხვებზე გამოეთქვათ თავიანთი აზრი. აი შემოკლებით ეს კითხვები:

1. ფულს ვითხოვთ, რა ანგარიშით? და რა მიზეზებით. 2. გლეხს ნუ გადახდება ფული, რა მიზეზით? 3. კომლზე მსახურის მაგიერ ვითხოვთ ფულსა, თუ სხვა საფუძვლით? 4. რა მიზეზით ვესარჩლებით გლეხებს? 5. ადგილს რა მიზეზით ვერ ვაძლევთ? 6. როგორ დავაწყოთ საქმე, რომ გლეხები გვიმადლოდენ? 7. პირველი ვადის გასვლამდინ რა სარგებლობა უნდა გვეძლეოდეს ადგილ-მამულისაგან? 8. თუ ქვეყნის ჩვეულებას დავადეგით, აღვრიცხოთ სად რა ჩვეულებაა, თუ არა? 9. თუ ახალს დავანებებთ რასმე, რას რის მაგიერად დავაწესებთ და შემსუბუქება გლეხებს რაში ექნება? 10. თუ ჩვენს უფლებას დავემყარებით ამ ჩვეულების მიხედვით, ნაწილ-ნაწილად დავყოთ ჩვენი ქვეყანა, თუ არა? 11. ჩვეულებას თუ ვადას დაუწესებთ,—ვთქვათ თუ არა, რომ ვადას მერმეთ ნება-ყოფლობით მოვრიგდებით? 12. თუ გლეხს ჩვეულებით მუშა ემართება, გადაკვეთილი ფასი დავაწესოთ მუშის მაგიერ, თუ არა? 13. ვადის გასვლამდის გლეხს ნება ექმნება გადასახლებისა და ბატონს დათხოვისა, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა? როდის, რა მიზეზით და როგორ? 14. ვადა რამდენი ემჯობინება? [1])

მოყვანილი კითხვები გულისხმობენ: პირადი თავისუფლებისათვის ფულის აღებას და ადგილ-მამულის მიუცემლობას, შეკითხვების ავტორი არ აყენებს საკითხს: ავიღოთ, თუ არა ფული?— „ფულს ვითხოვთ, რა ანგარიშით და რა მიზეზით?" აქ ფულის აღება უკვე ნაგულისხმევია.—„ადგილს რა მიზეზით არ ვაძლევთ?" აქ ადგილ-მამულის მიუცემლობაც იგულისხმება. „პირველი ვადის გასვლამდე რა სარგებლობა უნდა გვეძლეოდეს ადგილ-მამულიდგან", ე. ი. საკითხის საბოლოო გადაწყვეტა არა ეხლავე, მისი გადადება განუსაზღვრელ ვადამდე.

ასეთ ჩარჩოებში ჩაყენდა მომავალი პროექტის შინაარსი.

ყველა მაზრებიდან თითქმის ერთი და იგივე პასუხი მოვიდა.

გლეხის პირადი განთავისუფლება უნდა მოხდეს ფასით,—იყო პასუხი ყოველი მხრიდან—რადგან მათი განთავისუფლებით გვაკლდება სამსახური, მათი შრომა: **„გლეხნი შეადგენენ ჩუენს უმთავრეს საც-„ხოვრებელსა და ახლა, რადგან ისინი უნდა განთავისუფლდნენ „ჩვენის დამოკიდებულობისაგან და მის გამო ჩვენ უნდა მოვაკლ-„დეთ დიდსა საცხოვრებელსა, ამის ანგარიშით ახლა ვითხოვთ ფულსა, რომ იმ ფულითაც არის შევიძლოთ როგორმე ცხოვ-რება"** [2]).

ამასთანავე ყველა აღნიშნავს თავად-აზნაურობის უკიდურეს დავალიანებას ახალი ცხოვრების პირობების გამო. ზოგს ისიც მოჰყავს საბუთად, რომ გლეხები არ არიან დავალიანებული; გორის მემამულეები თავის მოთხოვნას ასაბუთებენ მით, რომ ჩვენ რუსეთის იმპერატორს „არც ხმალით დაუპყრივართ და არც რამე მოუცია, არამედ ჩვენის ნებით შევსულვართ მფარველობასა ქვეშ, რა სიმართლე იქმნებოდა, თვინიერ ჯილდოს ან ფასის მოცემისა, ყმათა ჩვენთა განთავისუფლებისათვის".

გარდა ამისა, ზოგი მიუთითებს მასზე, რომ როდესაც 1801 წელს ალექსანდრე I გამოსცა საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტი, მან აღუთქვა თავად-აზნაურობას, რომ „კეთილ-შობილნი საქართველოისანი დაჰშთებიან ყოველსავე სახით და მდგომარეობით მით, რომლითაც იყვნენ უკანასკნელი მეფის გიორგის დროს"-ო.

მეორე პასუხი ყველა მემამულეებისა ასეთი იყო: **მიწას ყმებს ვერ მივსცემთ,** „ვერ ვიფიქრებთ,—სწერდენ გორელი მებატონეები—რომ აღალარებზე ნაკლები სამართალი და მოწყალება ჩვენზე მოივ-

---

[1]) იქვე, 107—109 გვ.

[2]) იქვე, 144 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლინებოდეს. აღალარებს მამული მიეცათ, რომელიც გლეხებს ეკუთვნოდა და ჩვენ რაღათ წაგვერთმევა, რაც მარადის ჩვენი ყოფილა?... „ადგილი ბატონის საკუთრება არის და მის ნებაზე უნდა იყოს დამოკიდებული“,—სწერდა გუბერნიის მარშალი თავ. ალექსანდრე ორბელიანი. „ვერ მივსცემთ მამულს გლეხებს,—სწერდა თავ. ციციანოვი—ოდეს გლეხს აქვს საკუთრებად სახლ-კარი, მაშინ ბატონის ხარჯის ძლევას არ მოინდომებს, რადგან ახლოსვე არის სახელმწიფოც, საეკლესიო და მრავალთა გლეხთაგან ნასყიდი მამულნი, ესოდენი, რომელ მეპატრონეთაც სამყოფათ ექნებათ და გლეხსაც, მაშინ გლეხი უთუოდ დაიჭერს იმ მამულს სახნავად და აღირჩევს მისთვის მხოლოდ ღალის მიცემას, ვიდრემდის ბატონის ადგილი დაიჭიროს და იმისათვის სხვა და სხვა გვარი სამსახურები აძლიოს; ამის გამო მებატონე მოაკლდება ყოველსავე ცხოვრების გზას და მამულიც დარჩება უქმად. გამოცდილებით ვიცით,—განაგრძობს თავ. ციციანოვი—და თვალითაც გვინახავს, როდესაც ხიზანი კაცი მებატონის მამულზე მოვა, **ვიდრემდის ან სახლს იყიდდეს ან სახნავ მამულს, მანამდის ბატონს ისე ემსახურება, როგორადაც საკუთარი თავისი ყმა, რა სახლ-კარის ადგილი და სახნავი მიწა (თუნდაც საკმაო არ იყოს) დაისაკუთრა, თუმცა მებატონეს მამულითაც სარგებლობდეს, გარე მიიქცევა იმ სამსახურიდან, რომელიც ადრე უძლევია; ასრევე უნდა ვიფიქროთ განთავისუფლებულთა გლეხთათვისაცა“** [1]. (კურსივი ყველგან ჩვენია).

თავ. ციციანოვი გულრწფელია: ყმა უნდა დარჩეს უმიწოთ, მას არ შეიძლება მიეცეს მიწა საკუთრებად, რადგან თუ მან საკუთრება გაიჩინა, მაშინ ქონებრივად ბატონისაგან აღარ იქნება დამოკიდებული და, მაშასადამე, თავისუფალი შეიქნებაო. თავ. ციციანოვი არ ფარავს თავის აზრს სხვადასხვა მაღალი ფრაზებით, ის მარტივად და საღად მსჯელობს: გლეხების უმიწოთ „განთავისუფლება“ არ იქნება განთავისუფლება, ჩვენც ამას უნდა ვეცადოთო; გავანთავისუფლოთ უმიწოთ, ე. ი. ქონებრივად ისევ ჩვენზე იყვნენ დამოკიდებულნი და მაშინ მათი თავისუფლება უბრალო სიტყვა იქნება, უმიწო გლეხი იძულებული იქნება გვემსახუროს, ჩვენი მიწა დაამუშაოს და ჩვენი დავალებები შეასრულოსო.

თელავის მაზრიდან ცხრა მემამულე იძლეოდა ერთ პასუხს, რომელზედაც ხელი უწერია ჩვენ გამოჩენილ მწერალს და მოღვაწეს თავ. ილია ჭავჭავაძესაც. ავტორნი არ არიან წინააღმდეგი ყმების პირადი განთავისუფლების, მაგრამ სამსახურის დანაკლისისათვის მოითხოვენ მთავრობისაგან შემწეობას, მამული, სახლ-კარი, სადაც გლე-

---

[1]) იქვე, 139 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხი ბინადრობს, სხვა შენობები, ვენახი, სახნავი მებატონისაა და უნდა დარჩეს გლეხის დროებით სარგებლობაში, რისთვისაც მან უნდა გადაუხადოს მემამულეს ჩვეულებრივი გადასახადები და შეასრულოს ბეგარა. „როდესაც დაწესებული ვადა გავიდეს,-სწერენ ისინი, მებატონეს უფლება ჰქონდეს ისე მოურიგდეს იმის მამულზე მდგომარე გლეხს, როგორც ენებოს, და თუ გლეხებმა ბატონის მოთხოვნილება არ მიიღონ, მაშინ დაუტეონ მისი მამული“-ო [1]).

ეს ორი საკითხი იყო ძირითადი, და რაკი დ. ყიფიანს ამ საკითხების შესახებ ჰქონდა თავად-აზნაურობის და მისი ხელმძღვანელების აზრი, რომელსაც თვითონაც იზიარებდა, მან თავის პროექტიც ამ ორ დებულებაზე ააგო.

პროექტის დედა აზრი არ შეიცავს ყმების განთავისუფლების საკითხს. ესაა პროექტი საბატონო გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებისა; ამას მოწმობს თვით პროექტის სახელწოდება: „Доклад д. с. с. Кипиани Дворянству Тифлисской губернии об улучшении быта помещичьих крестьян“ [2]).

პროექტის შესავალში დ. ყიფიანი აღნიშნავს იმ შიშს, „რა გვეშველება“-ს, რომელმაც მოიცვა მემამულეები, როდესაც გაერცელდა ხმა ყმების განთავისუფლების შესახებ. ამ პანიკის დასახასიათებლად ის მოუთხრობს მემამულეთა ყრილობას ერთ ამბავს: ერთ უძველეს შენობაში ცხოვრობდა ძველი ოჯახი. ხუროთ მოძღვრებმა აცნობეს იქ მცხოვრებთ, რომ შესაძლებელია ეს შენობა დაინგრესო. გავიდა დრო და მართლა შენობა აქა-იქ გაიბზარა. მაშინ მოიცვა ყველა შიშმა, ყველა მცხოვრებნი გამოცვინდენ გარედ იმ იმედით, რომ ღმერთი და ხელმწიფე არ მოაკლებდა მათ მოწყალებას და მზრუნველობასო.

„ეს უბედურება მოგვევლინა ჩვენც“, ამბობს ავტორი—და ამ საერთო უბედურებაში ვიმყოფებით ყველაო. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ბატონ-ყმობა არსებობდა საუკუნეების განმავლობაში და ვის შეუძლია ეხლა ის დაანგრიოს, მაგრამ უბედურება თავზე გვადგაო [3]). ამის შემდეგ პროექტის ავტორი აღიარებს, რომ საქართველოში არსებობდა და დღესაც არსებობს ფეოდალური ურთიერთობა მემამულისა და ყმის შორის, რომელიც 600 წლის წინად დასავლეთ ევროპის სახელწიფოებში არსებობდაო: не подлежит спору, что в начале нынешнего столетия существовало у нас в Грузии, а в Имеретии, Гурии и Мингрелии существует и теперь, то же самое феодальное устройство народной иерархии,—в особености же в заимных от-

---

[1]) იქვე, 121 გვ.

[2]) Архив наместника, Связка № 5, № 25-80.

[3]) იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ношениях между крестьянами и владельцами их, какое 600 лет тому назад существовалов западных государствах“ [1])

თავდაპირველად პროექტი ასაბუთებს იმ დებულებას, რომ ბატონს ყმა ეკუთვნოდა ყველაფრით, როგორც პიროვნულათ, ისე მამულით, რომ ბატონს განუსაზღვრელი უფლება ჰქონდა თავის ყმაზე. ამ დებულებას ავტორი ასაბუთებს ვახტანგის კანონებით, ჩვეულებით და იმპერატორ პავლე I და ალექსანდრე I მანიფესტებით საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოში ყველა ისარგებლებს იმ უფლებებით, რომელიც მათ ჰქონდათ რუსეთთან შეერთებამდის, და დასძენს: „ამ კანონებიდან, ვგონებ, ნათლად გამომდინარეობს ბატონის უფლების სრული შეუზღუდველობა, და ეს უფლება იყო წყაროა, რომელიც აძლევდა ჩვენ წინაპრებს და ჩვენც არსებობის საშუალებას, მით ვიკვებებოდით და მით ვარსებობდით“ ო. [2]) მომხსენებელი არჩევს თავად-აზნაურობის საცხოვრებელ სხვა საშუალებებს და იმ დასკვნამდის მიდის, რომ ერთად ერთი საშუალება მემამულეთა ცხოვრებისათვის იყო და არის მისი ადგილ-მამული და იქ მობინადრე ყმა. სხვა წყარო ცხოვრებისა თავად-აზნაურობას არ აქვსო: ვერც საქარხნო და საფაბრიკო წარმოებით, რომელსაც ცოდნა და შეძლება უნდა, ვერც ხელოვნებით, მუსიკით, ლიტერატურით, ვერც სამსახურით ჩვენს თავს ვერ დავირჩენთო, არც ერთი, არც მეორე, არც მესამე არ ეხერხება ჩვენ მემამულეებსო. ერთად ერთი საფუძველი ჩვენი ცხოვრებისა არის ყმა და მამულიო.

ამ იურიდიული და ფაქტიური დასაბუთებიდან ლოგიკურად გამომდინარეობდა პროექტის უმთავრესი დებულებები: ადგილ-მამული, სადაც გლეხი ცხოვრობს და რომელსაც ის ამუშავებს -- სახნავი, სათიბი, ტყე, ველი და სხვა — ბატონის საკუთრებაა, და არ შეიძლება მესაკუთრეს წაერთვას მისი საკუთრება და მიეცეს მას, ვისაც მასზე არავითარი უფლება არ აქვსო, რადგან „ყოველი სამოქალაქო ურთიერთობის ძირითადი უფლებაა თავის საკუთრების განკარგულება მესაკუთრის ნების მიხედვით... **გული ყველა ჩვენგანს ეუბნება, რომ კარგი იქნება გლეხს მიეცეს მამული, მაგრამ გონება ეწინააღმდეგება ამ გადაწყვეტილებას**“-ო. უკეთ რომ ვსთქვათ, პროექტის ავტორი ვერ მალავს, რომ სამართლიანობა მოითხოვს გლეხს მიწა მიეცეს, მაგრამ ეს ეწინააღმდეგება მებატონეთა ინტერესებს და ანგარიშს. გარდა ამისა, დ. ყიფიანი გლეხების უმიწოთ განთავი-

---

[1]) იქვე. (ვსარგებლობ დ. ყიფიანის მოხსენებით, რომელიც მთავრობას წარედგინა რუსულ ენაზე დაწერილი).

[2]) იქვე. Авалиани. Крест. вопрос, 253 стр.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფლებას ასაბუთებს მით, რომ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ბატონი და ყმა, როგორც მამა და შვილი ისე ცხოვრობდენ, მათ შორის მამა-შვილური დამოკიდებულება იყოო და შეუძლებელია ამ დამოკიდებულების გაწყვეტა ერთი დაკვრით,—ეს ეწინააღმდეგება ზნეობრივ და ღვთიურ კანონს.

ამგვარად, **ყმების „განთავისუფლება" უმიწოთ,**—ასეთია პირველი და უმთავრესი დებულება დ. ყიფიანის პროექტისა.

სამაგიეროდ პროექტი ურჩევს თავად-აზნაურობას გაიღოს ერთი „მსხვერპლი": მისცეს ყმებს პირადი თავისუფლება, რომ ისინი იყვნენ არა ყმები, არამედ მოქალაქენი. მაგრამ რადგან ყმა პირადი სამსახურით ბატონს დიდად ეხმარებოდა და, მისი განთავისუფლების შემდეგ, ბატონმა სამაგიერო მოსამსახურე უნდა იშოვოს, ცხადია, ეს დანაკლისი ბატონს უნდა აუნაზღაურდესო. დ. ყიფიანი ანგარიშობს შემოსავლის რაოდენობას, რომელსაც ყმა პირადი სამსახურით აძლევდა ბატონს, ამ ანგარიშით ულარიბესი გლეხი ბატონს აძლევდა წლიურად 96 მან. შემოსავალს, უმდიდრესი—239 მან. 80 კაპ., საშუალო 148 მან. $38^1/_3$ კაპ. ამიტომ, მისი აზრით, ეს თანხა, ყმების განთავისუფლების დროს, უნდა აუნაზღმურდეს მებატონეს. სულ გლეხობამ, კომლობის მიხედვით, უნდა გადაიხადოს $42^1/_2$ მილიონი მანეთი [11]). რადგან გლეხობის განთავისუფლებას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესი, ავტორის აზრით, ამ ხარჯის დაფარვაც სახელმწიფომ უნდა იკისროს.

ამგვარად, პროექტი მოითხოვს **გლეხების პირად განთავისუფლებას ფასით.**

მიწა რჩებოდა ბატონს საკუთრებად, მაგრაგ, პროექტის ავტორის აზრით, ის მამული, რომელიც დღეს გლეხს აქვს მიცემული დასამუშავებლად და რისთვისაც ის უხდის ბატონს განსაზღვრულ ყმურ გადასახადს, უნდა დარჩეს გლეხის ხელში სასარგებლოდ და დასამუშავებლად არაროგრც ყმის, არამედ როგორც ხიზანის ხელში. დ. ყიფიანის გამოანგარიშებით, ხიზანმა, ე. ი. მიწის შემკვიდრეობით და უვადო დამამუშავებელმა, უნდა გადაუხადოს მიწის მესაკუთრეს: ღალა დღიურზე 2 კოდი ხორბალი ან შემოსავლის $^1/_6$, ვენახიდან კულუხი—მოსავლის $^1/_4$, თითო კომლმა წლიურად უნდა მოახმაროს მემამულეს 40 ურემი და მიართვას წელიწადში ძღვენი სამჯერ, ხოლო განოყიერებულ მამულიდან—შემოსავლის $^1/_2$, წელიწადში 80 ურემი, ძღვენი სამჯერ და სამი ურემი შეშა, ე. ი. არსებითად ძალაში რჩებოდა ბეგარა, ღალა და კულუხი იმ განსხვავებით, რომ ბატონს ეწოდებოდა მემამულე, ყმას—ხიზანი.

---

[10]) Архив канц. наместн. связ. № 5 № $\frac{25}{80}$

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი იყო დ. ყიფიანის პროექტის უმთავრესი დებულებები ყმების „განთავისუფლების“ შესახებ. ეს იყო თავად-აზნაურობის აზრიც წვრილმანებში სხვადასხვა შესწორებებით.

ასეთივე იყო დასავლეთ საქართველოს მემამულეთა აზრიც: „ჩვენც მზათ ვართ მივცეთ ყმებს თავისუფლება,—აცხადებს დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობა—ჩვენ უმცროს ძმებს, რომლებთანაც ჩვენ არ გვქონია არავითარი უსიამოვნება წარსულში და არც არასოდეს მათ ჩვენ წინააღმდეგ უკმაყოფილება არ გამოუთქვამს არც ამბოხებით ან სხვა რაიმე სახით; წინააღმდეგ, ჩვენ ერთად ვიზიარებდით ჭირსა და ლხინს“. ასე მგრძნობიარეთ სწერდენ დასავლეთ საქართველოს მემამულეები, მაგრამ როდესაც დადგა მიწის და ყმების პირადი თავისუფლების საკითხი, ისინი არა ნაკლებ აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობისა ყოველი საშუალებით იცავდენ გლეხობის განთავისუფლებას უმიწოთ, ხოლო პირადი თავისუფლებისათვის სასყიდლის აღებას [1]).

უმცირესობის პროექტი.

თავად-აზნაურობიდან ყველა არ უჭერდა მხარს დ. ყიფიანის პროექტს. მან თავის პროექტი მთავრობას წარუდგინა, როგორც მემამულეთა სურვილების გამომხატველი; იმავე დროს უმცირესობამც წარადგინა თავისი პროექტი. ამ პროექტს ხელს აწერს 14 მემამულე ორბელიანის, ჭავჭავაძის, ვიზიროვის და ერისთავის გვართაგან [2]). უმცირესობა იცავდა შემდეგ დებულებას: ის არ ჰყოფდა უარს, რომ მემამულეს აქვს უფლება ყმის პირადი განთავისუფლებისათვის მიიღოს ფასი; ის ცნობდა მემამულის საკუთრებას და უფლებას იმ მამულზე, სადაც გლეხი ცხოვრობს და რომელსაც ამუშავებს, მაგრამ იმავე დროს ცნობდა გლეხის უფლებასაც მის შრომაზე. ის, რაც მემამულის მიწაზე გლეხს შრომით, მეცადინეობით და კაპიტალით გაუკეთებია, ეკუთვნის გლეხს. მიწაზე მან ააშენა სახლი, საბძელი, გააშენა ოთხფეხი და სხვ., ყველაფერი ეს უნდა შეადგენდეს გლეხის ხელუხლებელ საკუთრებას და მასზე მემამულეს არავითარი პრეტენზია არ უნდა ჰქონდესო. აგრეთვე, თუ გლეხს თვით შეუძენია მამული რუსეთთან შეერთების შემდეგ, ისიც გლეხის საკუთრებად უნდა დარჩესო.

---

[1]) С. Аяалиани. Крест. вопрос, 436 стр.

[2]) Архив. Кан. Нам. Св. № 5, $\frac{25}{80}$

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის სარგებლობისათვის გლეხმა უნდა მისცეს მემამულეს მოსავლის ნაწილი შეთანხმებით, მაგრამ არა უმეტეს შემოსავლის $^1/_4$-ისა. საბალახო და სათიბი, ეგ. წოდ. „სანახირე-საძოვარი“ გლეხს უნდა მიეცეს უფასოთ.

თუ გლეხი მოისურვებს აყრას მემამულის მიწა-წყლიდან, მას უნდა ჰქონდეს უფლება წაიღოს ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლება ისე, რომ მიწას არ დაეკარგოს სამეურნეო მნიშვნელობა; გლეხს შეუძლია გაყიდოს მამული, მაგრამ იმ პირობით, თუ მემამულის წინაშე მყიდველი შეასრულებს ყოველგვარ ვალდებულებას [1]).

ამგვარად, მემამულეთა როგორც უმეტესობა, ისე უმცირესობა გლეხებს ანთავისუფლებდა უმიწოთ, მაგრამ უმცირესობის პროექტი უფრო ხელსაყრელი იყო გლეხებისათვის, რადგან ის სცნობდა მათ უფლებას შრომაზე. უმცირესობა დ. ყიფიანის ხიზნობას უპირდაპირებდა იჯარას ვადით, ურთიერთ შორის შეთანხმებით.

უმცირესობის პროექტის ერთი დებულება, სახელდობრ: გლეხის წასვლის დროს მისი უფლებების შეზღუდვა—„წაღება შეიძლება მისი, რაც მიწას არ დაუკარგავს ღირებულებას“—პროექტის დადებით მხარეებს უკარგავდა თითქმის ყოველგვარ მნიშვნელობას და დიდად ასუსტებდა გლეხის უჯლებას თავის ნაშრომზე

კონსტანტინე მამაცაშვილის პროექტი.

ყველაზე უფრო მემარცხენე აღმოჩნდა გორის მაზრის მემამულე ღენერალ მაიორი კონსტანტინე მამაცოვი (მამაცაშვილი), რომლის აზრი ძლიერ არ მოსწონებია დ. ყიფიანს და უბრძანებია თავად მამაცაშვილის აზრი ჩაეთვალათ გაუქმებულად, არარსებულად.

კ. მამაცაშვილი, როგორც ჩანს მისი პროექტიდან, განათლებული კაცი ყოფილა, იცნობდა არა თუ რუსეთის მდგომარეობას, არამედ პრუსიის, ბალტიის და სხვა სახელმწიფოს გლეხობის მდგომარეობასაც, გლეხთა მოძრაობას და საერთოთ ისტორიულ-პოლიტიკურ ცხოვრებას. ამასთანავე გულწრფელი და გამბედავი პიროვნება ყოფილა.

კ. მამაცაშვილი მომხრეა გლეხების მიწით განთავისუფლებისა. ეს იყო ძირითადი საკითხი: მიწით, თუ უმიწოთ? და მამაცაშვილი დიდი გამბედაობით იცავს, რომ ეკონომიური და პოლიტიკური მოსაზრებით გლეხები მიწით უნდა განთავისუფლდენ: **„თავისუფლება უმიწოთ გლეხისა.**—სწერს ის—**იქნება მხოლოდ ქალალ-**

---

[1]) Архив Кан. Намес. Св. № 5. № $\frac{25}{80}$

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით და არა საქმით". მისი აზრით, თუ გლეხი მესაკუთრე გახდება, ეს იქნება პროგრესი, და ასეთი მისი მდგომარეობა წინ წასწევს ჩვენს მეურნეობას და ხელს შეუწყობს საზოგადო განვითარებას. მემამულეთ უნდა მიეცეს საფასური იმ ადგილ-მამულისა, რომელიც გადაეცემა გლეხებს საკუთრებად; მაგრამ ამ შემთხვევაში მემამულეები უნდა დააკმაყოფილოს უშუალოდ მთავრობამ. მთავრობას კი შეუძლია გაცემული თანხა ნაწილ-ნაწილად გლეხობისაგან აიღოს: „მებატონეების საქმეა სამართლიანი და სინდისიერი დაფასება მიწებისა, ხოლო მმართველობის საქმეა პირდაპირი და დაუყოვნებლივი ანგარიშის გაწმენდა მებატონეებთან მიწის შესახსნელი ფულითა. მმართველობას შეუძლია ეს ფული დიდიხნით გაჰბორჯოს და შეიბრუნოს გლეხებისაგან წვრილ-წვრილის გადახდევინებით და რაოდენ შესაძლო იყოს შემსუბუქებით"ო [1]). როგორც ხედავთ, თ. მამაცაშვილს არაფრით არ შეულახავს მემამულეების ინტერესები, მაგრამ მან მაინც თავის წრის დიდი წყრომა დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ, თ. მამაცაშვილის აზრით, მის გამოსარკვევად, თუ რომელ მაზრაში რამდენი რაოდენობის მიწა უნდა მიეცეს გლეხს, უნდა შესდგეს ადგილობრივი კომისია, **რომელშიაც გლეხების წარმომადგენელიც უნდა შედიოდეს.** ცხადია, რომ ეს დიდი „ერესი" იყო იმ დროს: გლეხის კომისიაში შეყვანა და მემამულესთან და მთავრობის წარმომადგენელთან თანამშრომლობა!

კ. მამაცაშვილი ყოველ მხრივ აშუქებს საკითხს: ის ურჩევს მემამულეებს, ნუ გაამრავლებენ ბოგანო ხალხს, პროლეტარიატს, რომლებმაც საშინელი შურის ძიება იციანო: „რამდენი სისხლი დანთხეულა მამულის პატრონისა პროლეტარიატისაგან—ანგარიში არ არის", სწერს ის, და იმავე დროს ეროვნული თვალსაზრისითაც უდგება საკითხს: „რომელსა კაცსა ადგილ-მამული არ გააჩნია, იმას არც ბედნიერება ესიამოვნება ქვეყნისა, არც უბედურება შეაწუხებს; მშრომელს ქვეყანაში ფეხის მოსაკიდებელი თუ არა გააჩნია, უცხოა ქვეყნისათვის, უბინადრო, უადგილ-მამულო და კოსმოპოლიტი"-ო [2]).

ცხადია, რომ მემამულეთა სურვილზე არ არის დამოკიდებული არც პროლეტარიატის გამრავლება და არც მამულის საკუთრებაზე სამშობლოს სიყვარული, მაგრამ, მიუხედავათ ასეთი არგუმენტაციისა, კ. მამაცაშვილის აზრი მაშინ ყველაზე უფრო სამართლიანი და გონივრული მით იყო, რომ ის იცავდა გლეხის მიწით

---

[1]) შეკრება 21 აზრისა 240 საქართველოს მებატონეთა წარმოთქმულისა ბატონ-ყმობაზედ, შედგენილი აპრილს 1863 წ. (პ. გელეიშვილს წიგნი „ილია ჭავჭავაძე", 145 გვ.).

[2]) იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთავისუფლებას და მის სრულ მესაკუთრედ გარდაქცევას, რომ მას ჰქონოდა უფლება მისი მიწის და ადგილ-მამულის სრული განკარგულებისა.

ამ გზას არ ადგა არც მთავრობა და არც მემამულეები.

მთავრობის პროექტი.

მემამულეების პროექტები გლეხების განთავისუფლების შესახებ განიხილა ამიერ-კავკასიის კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარე სენატორი ბარონი ნიკოლაი იყო, ხოლო წევრებად მსხვილი მემამულეები და მთავრობის მოხელეები. ამათ გარდა, მოწვეულ იყვნენ, როგორც ექსპერტები, თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი ტფილისის მაზრიდან 7, გორის—13, თელავის—8 და სიღნაღის—7. კომიტეტების წევრებად იყვნენ თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, თავ. ანდრონიკაშვილი, თავ. დ. ჭავჭავაძე და დიმიტრი ყიფიანი. გლეხობას, რასაკვირველია, არ ჰყავდა წარმომადგენელი. მებატონეები მთელი თავისი ენერგიით და ცოდნით იცავდენ მემამულეთა უმრავლესობის პროექტს, გლეხობის დამცველობა, როგორ ოქმებიდან ჩანს, უკისრია რუსის მოხელეებს იმდენად, რამდენად მემამულეთა პროექტი ეწინააღმდეგებოდა რუსეთში მიღებულ წესებს.

უმთავრესი არსებითი საკითხი, როგორც მემამულეთათვის, ისე გლეხებისათვის, რომელიც უნდა გადაეწყვიტა კომიტეტს, იყო: მიწით, თუ უმიწოთ გლეხების განთავისუფლება? თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი დ. ყიფიანის მეთაურობით იცავდენ ყმების უმიწოთ განთავისუფლებას და მათ ხიზნურ მდგომარეობაზე გადაყვანას. მთავრობის წარმომადგენელთათვის ეს საკითხი წინასწარ გადაწყვეტილი იყო, რადგან საქართველოშიც საერთოდ უნდა ჩატარებულიყო ის რეფორმა, რომელიც რუსეთში მიღებულ იყო. რუსეთში კი პრინციპიალურად ცნობილი იყო გლეხის მიწით განთავისუფლება.

მაგრამ პროექტის გამომუშავების დროს, პრაქტიკულ საკითხებს: როგორ და რა წესით უნდა ჩატარდეს გლეხის მიწით განთავისუფლება,—კომიტეტის მთავრობის წევრები მემამულეთა თვალსაზრისით მიუდგენ, და კომიტეტმა მიწით განთავისუფლების ისეთი წესები დაკანონა, რომ არსებითად გლეხი უმიწოდ „განთავისუფლდა“.

კომიტეტმა მიიღო, რომ ყმას უნდა მიეცეს დასამუშავებლად, მემამულესთან შეთანხმებით, ნაწილი იმ მამულისა, რომელსაც ის ამუშავებდა, მაგრამ არა ნაკლებ ნახევრისა. ნახევარზე მეტი გლეხის ხელში მყოფ მამულს უნდა ჩამოეჭრეს და გადაეცეს მემამულეს სრულს მის განკარგულებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტმა იცნო მებატონის სრული უფლება იმ მამულზე, რომელსაც მისი ყმა ამუშავებდა. ამიტომ სანადელო მიწები, რომელშიაც შედიოდა ეზო, სახნავი და სხვა, ეძლეოდა გლეხს არა საკუთრებად, არამედ სასარგებლოდ, რისთვისაც მას უნდა გადაეხადა მამულის სასარგებლოდ ღალა—მოსავლის $^1/_4$ და ეზოს სარგებლობისათვის 3 მან—120 მანეთამდე, ეზოს მდებარეობის და შემოსავლიანობის მიხედვით. ვენახის ნახევარი მიეჭრა მემამულეს, ხოლო მეორე ნახევრის სარგებლობისათვის გლეხს უნდა გადაეხადა მემამულესათვის შემოსავლის $^1/_4$-დი. კომიტეტმა გლეხის საკუთრებად იცნოს მისი მოძრავი ქონება, მის მიერ აშენებული შენობები და სხვა მის მიერ შენაძენი, რაც მას საბუთებით უნდა დაემტკიცებინა.

სრული გლეხის განთავისუფლება, ე. ი. იმ მიწა-წყლის გამოყიდვა გლეხის მიერ, რაც მის სარგებლობაში დატოვებული იყო, დამოკიდებული იყო მემამულის და გლეხის შეთანხმებაზე [1]).

რაც შეეხება ყმების პირადი განთავისუფლებისათვის სასყიდელის მიღებას, კავკასიის მეფის მოადგილე შევიდა თავად-აზნაურობის მდგომარეობაში, ისმინა მათი ერთსულოვანი თხოვნა და აღძრა შუამდგომლობა ხელმწიფის წინაშე დახმარების შესახებ. ხელმწიფემ მიიღო მხედველობაში, „რომ საქართველოს" თავად-აზნაურობა, რომელიც არის ერთი უძველესი წოდებათაგანი მსოფლიოში, საუკუნეების განმავლობაში თავის შრომით და საფასურით იცავდა სამშობლოს, რომ ის კავკასიაში რუსეთის ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ იღებდა მხურვალე მონაწილეობას ყოველგვარ სამხედრო მოქმედებაში და მით დიდი სამსახური გაუწია რუსეთს", დახმარების სახით გადადვა ორი მილიონი მანეთი თავად-აზნაურობის მეურნეობის ხელის შესაწყობად. ეს თანხა განსაზღვრული წესით დაურიგდა თავად-აზნაურობას [2]).

ასეთი იყო მთავრობის პროექტი ყმების „განთავისუფლებისა". ცენტრალურ კომიტეტის მიერ შემუშავებული პროექტი გადაეცა მემამულეთა წარმომადგენელთ დასკვნისათვის.

პროექტის წინააღმდეგ გაილაშქრა მთელმა თავად-აზნაურობამ. თავადი დიმ. აფხაზი და თ. ქობულოვი პირდაპირ სწერდენ 1864 წლის 16 აპრილის თარიღით დაწერილ განცხადებაში, რომ გლეხებს მიეცეს თავისუფლება, მიწა კი უდავოდ უნდა დარჩეს მემამულესო. ისინი გადაჭრით წინააღმდეგი იყვნენ, რომ გლეხებს მიცემოდა პროექტში

---

[1]) Архив Канц. Нам. Св. № 5, № $\frac{25}{80}$; Авалиани, Крест. вопрос. 295-398 стр.

[2]) იქვე, 404 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგულისხმევი „ნადელები“. მაგრამ თუ მთავრობა ამას მაინც ისურვებდა, ისინი მოითხოვდენ, რომ მათ გლეხებთან არ ჰქონოდათ არავითარი დამოკიდებულება, რომ თვით მთავრობას შეეკრიბა ღალა და კულუხი და მემამულეებისათვის გადაეცა [1]).

დ. ყიფიანი თავგამოდებით იცავდა თავის პროექტს, ე. ი. გლეხების უმიწოთ განთავისუფლებას და ნაცვლად ყმურ მდგომარეობისა ხიზნის პირობებში მათ გადაყვანას. მისი აზრით, გლეხის მიწით განთავისუფლება, მისთვის მიწის მიცემა საკუთრებად იქნებოდა მემამულეების საკუთრების უფლების ისეთი შეზღუდვა, რომელიც განადგურებას, გაძარცვას უდრიდა. რაც სამართლიანია რუსეთისათვის, არ არის გამოსადეგი საქართველოსათვისო,—სწერდა ის. მას შეუძლებლად მიაჩნდა, რომ „სანადელო“ მიწების სარგებლობისათვის, თუ კი მიღებული იქნებოდა ცენტ. კომიტეტის პროექტი, მემამულეთ მხოლოდ $^1/_4$ მიეღოთ; ეს, მისი აზრით, იქნებოდა მემამულეების გაღატაკება. ამ შემთხვევაში მემამულეთ თუ შემოსავლის ნახევარი არა, მესამედი მაინც უნდა მისცემოდათ და, გარდა ამისა, ან კომლზე ერთი მანეთი, ან პირადი სამსახურის მაგიერ განსაზღვრული თანხა.

ასეთი აზრის იყო თ. ბაგრატიონ-მუხრანსკიც, რომელმაც თავის დროზე ცალკე პროექტიც წარადგინა „საპატონო გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“ [2]).

თავ. ნიკოლოზ დ. ჭავჭავაძის კონტრ-პროექტი.

თუ დ. ყიფიანის ანკეტების შევსების დროს კ. მამაცაშვილმა გამოიჩინა რადიკალობა, ეხლა მთავრობის პროექტს ძლიერი კრიტიკით შეხვდა თავადი ნიკოლოზ დ. ჭავჭავაძე დ. ყიფიანის საწინააღმდეგო პოზიციით. 1863 წ. 4 მაისის თარიღით მის მიერ შედგენილი მოხსენება გლეხთა განთავისუფლების შესახებ და შენიშვნები მთავრობის პროექტზე საყურადღებოა [3]).

---

1) იქვე, 347 გვ.

2) იქვე, Архив Канц. Нам. Св. № $\frac{25}{82}$. Авалиани, Крест. вопрос.

3) პროფ. ს. ავალიანი თავის შრომაში „Крестьян. вопрос в Закавказьи“ არ ასახელებს, ვინ იყო ეს ოპოზიციონერი თ. ჭავჭავაძე. ერთ დროს ჩვენ პრესაში ატყდა დავა: ზოგი ამტკიცებდა, რომ ეს ოპოზიციონერი თ. ჭავჭავაძე ჩვენი დიდი მწერალი ილია ჭავჭავაძე იყო, ზოგი უარყოფდა ამას, მაგრამ ვერ უჩვენებდა, ვინ იყო იგი, თუ არა ილია ჭავჭავაძე. მაგ. პეტრე გელეიშვილი თავის წიგნში „ილია ჭავჭავაძე“ ამტკიცებდა, ეს ოპოზიციონერი არ იყო ილია, ღია სტოვებდა საკითხს: თუ ილია არ იყო, მაშ ვინ იყო სახელდობრ. საქართველოს ცენტრალურ არქივში მუშაობის და იქ სხვადასხვა საბუთების შესწავლის დროს აღმოჩნდა, რომ კომიტეტის მიერ შემუშავებული პროექტი საბოლოო დასკვნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ყიფიანს არ აკმაყოფილებდა მთავრობის პროექტი, რადგან ის, მისი აზრით, არ უწევდა სამართლიან ანგარიშს მემამულეთა ინტერესებს. თ. ნიკოლოზ ჭავჭავაძის აზრით კი, მთავრობის პროექტი მიუღებელი იყო იმიტომ, რომ ის ვერ სწყვეტდა საკითხს და გლეხობის მდგომარეობის სათანადოთ ვერ აფასებდა. „მთავრობის პროექტი,—სწერს ის,—შედგენილია თეორიით, ის არ იცნობს საქართველოს ბატონ-ყმურ მდგომარეობას, რომელიც ძირიან-ფესვიანათ უნდა იქნეს ამოგდებული. პროექტს ვითომ სურს მოსპოს ეს ბოროტება, მაგრამ არ აქვს წარმოდგენა თვით ამ ბოროტებაზე... იმისათვის, რომ განჭკურნო ავადმყოფი, საჭიროა ცოდნა, თუ რა ავადმყოფობაა... პროექტი მიმართავს ისეთ საშუალებებს, რომლით ბატონ-ყმური მდგომარეობა იღებს ახალ უფრო ცუდ ფორმას, არსებითად კი რჩება ძალაში... გლეხები უნდა იყვნენ ქონებრივად, მიწის მხრით, მემამულეთაგან დამოკიდებულნი, უნდა დარჩენ ისევ მათ მონობაში... ეს არ არის საკითხის გადაწყვეტა“-ო [1]).

თ. ნიკოლოზ ჭავჭავაძე ცდილობს შეათანხმოს მემამულის და გლეხის ინტერესები და მით დაიცვას სამართლიანობა. ის არ ჰყოფს უარს მემამულის უფლებას მამულზე, მაგრამ მოითხოვს, რომ ცნობილ იქნეს გლეხის უფლებაც მის შრომაზე და კაპიტალზე. მისი აზრით, პროექტის „განთავისუფლება“ არ არის ბატონ-ყმობის გაუქმება. უნდა მოხდეს მემამულის და გლეხის გათვისება როგორც პიროვნულად, ისე ქონებრივად, გლეხს არ უნდა ჰქონდეს არავითარი სავალდებულო დამოკიდებულება მემამულესთან.

თ. ნ. ჭავჭავაძის პროექტით, მებატონის უფლება მამულზე და გლეხის უფლება შრომაზე და კაპიტალზე შეიძლება შერიგებულ

სათვის გადაეცა ექსპერტებს, რომლებიც მოწვეული იყვნენ მაზრებიდან. საბუთში შენახულია სია ამ ექსპერტებისა, მათ შორის არის თ. ნ ი კ ო ლ ო ზ დ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე (ტ ფ ი ლ ი ს ი ს მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე). აგრეთვე შენახულა ნიკოლოზ ჭავჭავაძის კომიტეტის სხდომაზე მოსაპატიჟებელი ბარათი და წიგნში მისი ხელწერილი ბარათის მიღების შესახებ—ნ. ჭავჭავაძე. მას თავის აზრი შემუშავებულ პროექტის შესახებ წარუდგენია წერილობითი მოხსენების სახით და შენიშვნებით. ეს შენიშვნები აღნიშნულია კომიტეტის მომხსენებლის მიერ პროექტში მუხლობრივ წარწერით „ნ. ჭავჭავაძის აზრი, იხ. წერილობით“. თვით მოხსენებას, რუსულად შედგენილს, ხელს აწერს რუსულად თ. ჭავჭავაძე, რომლის სახელის პირველი ასო ძნელი გასარჩევია რუსული „ნ“ თუ „ი“-ა. ამით აიხსნება ის სიფრთხილე, რომელსაც იჩენს პროფ. ს. ავალიანი, როდესაც არ ასახელებს ამ ჭავჭავაძის სახელს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენ ვნახეთ ზემომოყვანილი საბუთები, უდავოა, რომ ავტორი ოპოზიციონურ პროექტისა იყო თ ა ვ ა დ ი ნ ი კ ო ლ ო ზ დ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე (ტფილისის მოსამართლე). Архив Канц. Нам, 1863-64 г. по описи № $\frac{27}{82}$, св. 5, стр. 196.

[1]) იქვე, 196

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნეს შემდეგნაირად: მემამულეს მიეცეს ვენახის ერთი ნახევარი, გლეხს—კი მეორე. როგორც მემამულე, ისე გლეხი იყოს თავის ნახევრის სრული მესაკუთრე. მისი აზრით, მემამულე ჰკარგავს ზვარის ნახევარს, მაგრამ იღებს ამდენსავე გლეხის შრომით და კაპიტალით დამუშავებულს. გლეხი ჰკარგავს ნახევარ თავის ნაშრომს, მაგრამ იღებს ნახევარ ზვარზე სრულ საკუთრებას. ეს აქტი არ არის უსასყიდლო: აქ იცვლება გლეხის შრომა მემამულის უფლებაზე, ერთი ანაზღაურებს მეორეს.

რაც შეეხება სამოსახლო ადგილს და მასზე გაშენებულ შენობებს, ჭავჭავაძის პროექტით, ყველაფერი ეს უნდა დარჩეს გლეხის ხელში მის საკუთრებად. ორი წლის განმავლობაში მან უნდა იხადოს ყოველგვარი არსებული გადასახადი-ღალა და კულუხი,—მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მან უნდა გამოიყიდოს სამოსახლო ადგილი მემამულესთან მორიგებით ან მომარიგებელ შუამავლის ჩარევით. ხელმოკლე გლეხს მთავრობამ უნდა მისცეს სესხი სამოსახლოს გამოსყიდვისათვის.

აგრეთვე ორი წლის განმავლობაში მემამულემ უნდა შეახსნას გლეხს სახნავი ადგილების ერთი მესამედი ამავე წესით. გლეხი უნდა გახდეს ორი წლის შემდეგ სრული მესაკუთრე თავის სამოსახლოსი, ეზოსი, სახნავი ადგილების ერთი მესამედის და ზვარის ნახევრისა.

მისი ანგარიშით, ამ ოპერაციებისათვის გლეხებს დასჭირდებათ 2.992.000 მანეთი [1]).

ამგვარად, თ. ნ. ჭავჭავაძე მომხრე იყო, რომ გლეხები გამხდარიყვნენ სრულ მესაკუთრეებად, მიეღოთ სასყიდლათ მემამულე-მესაკუთრისაგან იმ სახნავი მიწების, რომლებსაც გლეხები ამუშავებდენ, ერთი მესამედი, ზვარის ნახევარი გამოსასყიდავად და სამოსახლო ადგილი გამოყიდვით.

თუ ვინიცობაა შეუძლებელი იქნეს გლეხის მესაკუთრედ გადაქცევა, მაშინ ის მოითხოვდა გლეხის ხელში ჩამოუჭრელად დარჩენას სასარგებლოდ ყველა იმ ადგილებისა, რომლებსაც ის ამუშავებდა.

როგორც სჩანს, ეს პროექტი არ იყო უკიდურესი. აქ სავსებით დაცულია მემამულის ინტერესებიც. ავტორს ერთი დიდი აზრი სურს გააფაროს: წვრილ მესაკუთრეთა—მეურნეთა შექმნა. ამ მხრით თ. ნ. ჭავჭავაძის პროექტი ძლიერ უახლოვდება კ. მამაცაშვილის პროექტს.

---

[1]) იქვე; Авалиани, 352 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავათ ამისა, რასაკვირველია, როგორც მთავრობამ, ისე თავად-აზნაურობამ ეს პროექტი უარჰყო.

„განთავისუფლება“ მოხდა მთავრობის პროექტების თანახმად (1864 წ.).

„განთავისუფლება“.

ყმა პიროვნულად „განთავისუფლდა“, ქონებრივად შეიქმნა დროებით-ვალდებული მემამულის წინაშე. მას უნდა დაემუშავებინა მემამულის მიწა-წყალი და ეხადა „სანადელო“ გადასახადი. რადგან „სანადელო“ მამული გლეხისათვის საკმარისი არ იყო, მას მემამულისაგან უნდა აეღო დასამუშავებლად ჩამონაჭრებიც. და ამრიგად, დროებით-ვალდებულება იმავე ბატონ-ყმური დამოკიდებულების ერთი სახეთაგანი იყო, ცხადია, უფრო სუსტი, გლეხისათვის რამდენიმეთ ხელსაყრელი, მაგრამ გლეხი მაინც ვერ იძენდა სრულ ქონებრივ დამოკიდებულებას. ქონებრივი ხასიათის დროებით-ვალდებულებას არ შეეძლო არ გამოეწვია მებატონესაგან პირადი დამოკიდებულებაც. დროებით-ვალდებულებისაგან გამოსვლა კი არ იყო სავალდებულო არც მემამულისა და არც გლეხისათვის, ეს დამოკიდებული იყო მათ შეთანხმებაზე.

ცხადია, ასეთი რეფორმა ნიშნავდა შუა გზაზე გაჩერებას. მან ვერ დააკმაყოფილა გლეხობა, იმედი გაუცრუა მათ, ვინც ოცნებობდა, რომ კეთილი ხელმწიფე ინებებდა ყმების სრულ განთავისუფლებას.

თვითმპყრობელობას ეს არ შეეძლო. მას არ შეეძლო ზურგი ექცია თავად-აზნაურობისათვის, მემამულეთათვის, რომლებზედაც ეყრდნობოდა.

ამიტომ მე-19 საუკ. მეორე ნახევრიდან იწყება უფრო გარკვეული ბრძოლა თვითმპყრობელობის და მისი ბურჯის მემამულეთა წინააღმდეგ.

მე-19 საუკ. მეორე ნახევრის ისტორია რუსეთში და ჩვენში არის ამ ბრძოლის ისტორია. ამ ბრძოლაში თანდათან ებმის, ერთი მხრით, გლეხობა და მუშები პოლიტიკურ პარტიებათ ჩამოყალიბებულნი, მეორე მხრით — თვითმპყრობელობა და თავად-აზნაურობა მთელი თავისი სახელმწიფო აპარატით, იარაღით და ჯარით.

დაწყებული „განთავისუფლება“ ნამდვილ განთავისუფლებამდის უნდა მისულიყო. ნაცვლად თვითმპყრობელობისა ხალხის ბატონობა უნდა დამკვიდრებულიყო...

ფეოდალურ ურთიერთობის სქემა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი.

პირველი ნაწილი.

I. ეკონომიკა.

1. მამულიანობა. სოფლის მეურნეობა. განაწილება . . 2 გვ.
2. მრეწველობა. . . . . 16 „
3. აღებმიცემობა . . . . . 19 „

II. ფეოდალური იერარქია

4. პირველი ფეოდალი . . . . . 26 „
5. დედოფალი . . . . . 35 „
6. ბატონიშვილები. . . . . 37 „
7. უმაღლესი მოხელენი. ცენტრალური მმართველობა . 39 „
8. თავადები . . . . . 43 „
9. ეკლესია-ფეოდალი. . . . . 47 „
10. აზნაურები. . . . . 52 „
11. შედარება . . . . . 58 „

III. ყმები.

12. „ყველაფერი ყმისა ბატონის არის“ . . . . . 63 „
13. ყმის პიროვნება. . . . . 65 „
14. ყმის გაჩუქება . . . . . 69 „
15. ყმები მზითვად . . . . . 70 „
16. ყმების დაგირავება . . . . . — „
17. ყმების გაყიდვა. . . . . 71 „
18. სხვა უუფლებობა . . . . . 75 „
19. მსახურნი . . . . . 76 „
20. აზატი . . . . . 76 „
21. მოჯალაბე, მოახლე, ფარეში . . . . . 77 „
22. ყმების მდგომარერბა ყმების საფუძვლის მიხედვით . — „
23. ყმების ვალდებულება . . . . . 79 „
24. საბატონო გამოსაღები და ბეგარა. . . . . 82 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. საეკლესიო ყმები . . . . . 84 გვ.
26. სამეფო ყმები . . . . . 86 „
27. ყმები და სახაზინო გადასახადი . . . . . 89 „
28. ბატონ-ყმურ მდგომარეობიდან გამოსვლა . . . . . 94 „
29. ხიზნები . . . . . 95 „
30. ფეოდალიზმის გარეშე . . . . . 97 „
31. ყმების უკმაყოფილების გამოძახილი . . . . . 98 „
32. შედარება . . . . . 100 „

IV. სამართალი.

33. წოდებრივობა . . . . . 103 „
34. ღვთაებრივობა . . . . . 104 „
35. მატერიალური ხასიათი . . . . . 105 „
36. უფლების სუბიექტი . . . . . 106 „
37. თავდაცვა . . . . . 107 „
38. სიკვდილით დასჯა . . . . . 109 „
39. ასოთა დამაშავებელი სასჯელი . . . . . 110 „
40. შემარცხვენელი სასჯელი. . . . . 111 „
41. სისხლის დაურვა . . . . . 113 „
42. დანაშაულთა საერთო დახასიათება. . . . . — „

პროცესუალური ნორმები.

43. სასამართლო . . . . . 119 „
44. მოწმეები, ფიცი და მოფიცრები . . . . . 121 „
45. ხმალი, შანთი და მდუღარე. . . . . 123 „
46. დამტკიცების სიმძიმე (Onus probandi). . . . . 126 „
47. ხანდაზმულობა . . . . . 127 „
48. დასკვნა . . . . . 128 „

მეორე ნაწილი.

V. ახალი ხანა.

49. პირველი ნაბიჯები . . . . . 130 „
50. ახალი კალაპოტი . . . . . 132 „
51. „ღმერთი მაღლაა, მეფე შორაა!“. . . . . 135 „
52. თავად-აზნაურობა. . . . . 138 „
53. მთავრობის მზრუნველობა . . . . . 146 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI. ᲧᲛᲔᲑᲘ.

54. საერთო მდგომარეობა. . . . . 152 გვ.
55. ყმებით აღებმიცემობა . . . . . 157 „
56. პირველი ღამის უფლება. . . . . 163 „
57. სხვა უუფლებობა . . . . . 166 „
58. ამბოხებები. . . . . 169 „
59. შედარება . . . . . 181 „

VII. ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ.

60. გ. ერისთავის და ივ. კერესელიძის „ცისკარი“. . . 184 „
61. დანიელ ჭონქაძე . . . . . 188 „
62. „თერგ-დალეულნი“ . . . . . 191 „
63. ლ. პ. არდაზიანი . . . . . 194 „

VIII. ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ.

64. რა გვეშველება! . . . . . 196 „
65. მემამულეთა პროექტები. დიმიტრი ყიფიანის პროექტი 199 „
66. უმცირესობის პროექტი . . . . . 205 „
67. კონსტანტინე მამაცაშვილის პროექტი . . . . . 206 „
68. მთავრობის პროექტი . . . . . 208 „
69. თავ. ნიკოლოზ დ. ჭავჭავაძის კონტრ-პროექტი . . 210 „
70. „განთავისუფლება“ . . . . . 213 „

—:—

71. ფეოდალურ ურთიერთობის სქემა . . . . . 214 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარ შეცდომათა გასწორება.

გვერ.	სტრიქონი:	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
20	შენიშვნა 4	Ламатин	Ламберти
25	10 ზევიდან	ძალებ	ძალები
32	2 ქვევიდან	თვალსაზრისით	თვალსაზრისი
33	9	მკაფიოდ	მკრთალად
34	12 ზევიდან	საბოსტნო	საბატონო
36	9	1008	100
44	21	გვარიანობას	გვაროვნობას
74	18	ვიაც	ვიღაც
77	7	მოჯამაგირე	მოჯალაბე
89	7	ურავი	კრავი
89	11	აგრეთვე	ყმებს აგრეთვე
110	20	ამ სასჯელს	ამ სასჯელს.
110	20	ზეგავლენით.	ზეგავლენით,
113	14 ქვევიდან	სახელმწიფოს მიმართ	სახელმწიფოს მოქალაქის მიმართ.
139	1 ქვევიდან	თვითმპყრობელობის გამტარებელი	თვითმპყრობელობის პოლიტიკის გამტარებელი.
143	12 ზევიდან	ფარდება	ფასდება
161	2	უკანასკნელ	წინააღმდეგ
163	1 ქვევიდან	ამილახვრებმა იცოდენ	ამილახვარმა იცოდა.
170	12	დააყენეს	დააყენა
184	14 ზევიდან	ხახალმა	ახალმა

5ფ.
Უ 196/1
К 259.311
3
ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲤᲐᲡᲘ 2 ᲛᲐᲜ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ც. კ. სტამბა. კამოს ქ., № 68.
მთავლიტი № 1097. ტირაჟი 3000.